ავთანდილ ტუკვაძე

პოლიტიკური ელიტა

საქართველოს საერთაშორისო საზოგადოება
"ცოდნა"

თბილისი
1998 წ.

ISBN 5-89512-116-0

შრომა ეძღვნება ქართული ინტელექტუალური ელიტის ბრწყინვალე წარმომადგენლის ლეო ბორბილაძის სათელ ხსოვნას.

შოთა ჯიჯაძე ავთანდილ ტუკვაძე

ნაშრომში განხილულია პოლიტიკური ელიტის მეცნიერული კვლევის თეორიული და მეთოდოლოგიური პრობლემები, საკითხები სოციალური დიქოტომიის ისტორიიდან, პოლიტიკური ელიტის კლასიკური თეორიები, ელიტების პერპეტუაციისა და ალტერნაციის, ელიტიზმის, დემოკრატიის და იდეოლოგიის თანაფარდობის, სოციალური კონტროლის, ელიტების ტიპოლოგიის აქტუალური საკითხები.

მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა ტოტალიტარული და პოსტტოტალიტარული პერიოდის პოლიტიკური ელიტების ანალიზს.

ნაშრომი ქართულ პოლიტიკურ მეცნიერებაში ელიტის თეორიისა და პრაქტიკის კომპლექსური შესწავლის პირველ ცდას წარმოადგენს. იგი გარკვეულ დახმარებას გაუწევს მკითხველთა ფართო წრეს.

რედაქტორი შოთა ჯიჯაძე

რეცენზენტები სავლე შარიქაძე
გურამ აბესაძე

© საქართველოს საერთაშორისო საზოგადოება
"ცოდნა"

შესავალი

სოციალური პროცესები საერთოდ, და, კერძოდ სოციალური დიფერენციაცია, მათ შორის პოსტკომუნისტურ სივრცეში ახალი პოლიტიკური ელიტის წარმოქმნა სამოყალიბება საგრძნობი თავისებურებებით არ გამოირჩევა. თანამედროვე საბაზრო ეკონომიკის განვითარებადი ფორმების გვერდით შენარჩუნებულია ძველი სოციალური ერთობები ყოფილ კომუნისტურ, პირველ რიგში დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ქვეყნებში. ახალი სოციალური სტრატების კონსოლიდაციის პროცესი ჯერ კიდევ შორსაა დასრულებისაგან. ყველა რამდენადმე მნიშვნელოვანი სოციალურ-პოლიტიკური პროცესი ამა თუ იმ ხარისხით გაშუალებულია სახელმწიფოს მოღვაწეობით.

ამგვარ სპეციფიკურ ვითარებაში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს იმ პიროვნებათა და დაჯგუფებათა როლი, რომელთაც უმაღლესი თანამდებობანი უკავიათ სახელმწიფო მმართველობის აპარატში, პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ორგანიზაციებში, არმიაში, მეურნეობის მართვისა და ინფორმაციის სფეროში. ამ მმართველი ჯგუფების შემადგენლობა მნიშვნელოვანწილად ყოფილი ტოტალიტარული სოციალიზმის საზოგადოებების ანალოგიურია. პოსტკომუნისტური სივრცის ქვეყნებში ეს უპირველეს ყოვლისა ძველი პარტიული (კომუნისტური) ელიტა ახალ პოლიტიკურ პარტიათა ლიდერები, პარლამენტარები და ადმინისტრატორები არიან. ამ სოციალურ ჯგუფებში ვერ ასრულებენ მნიშვნელოვან როლს სპეციალისტები, ექსპერტები და მეცნიერები; არც იდეოლოგიის ფრონტის მუშაკებსა და კულტურის მოღვაწეებს ეთმობათ სათანადო ადგილი.

ზემოხსენებულ სოციალურ წარმონაქმნთა (მმართველი წრეები) რაოდენობრივი შემადგენლობა დიდი არ არის. მაგრამ იგი იზრდება სახელმწიფო აპარატის ფუნქციათა ზრდისა და, რაც პარადოქსულია, ეკონომიკაში სახელმწიფო სექტორის შემცირების კვალობაზე. როგორიც არ უნდა იყოს პოსტკომუნისტურ ქვეყნებში პოლიტიკური ელიტის შემადგენლობა, თავისი სოციალური მდგომარეობით მას ხელი უპყრია სახელმწიფო ხელისუფლება და მნიშვნელოვანწილად, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით, განაგებს საზოგადოების ეკონომიკურ ცხოვრებას. ამის გამო მან უნდა შეასრულოს მნიშვნელოვანი როლი

ქვეყნის სოციალურ-პოლიტიკური და ეკონომიკური განვითარების გზების შერჩევაში. პოლიტიკური ელიტის ღირებულებითი ორიენტაციები, ინტერესები და მიზანდასახულობები განსაზღვრავს არა მხოლოდ პოლიტიკურ სტრატეგიათა საერთო ბალანსს, არამედ აგრეთვე, საზოგადოების სოციალური და პოლიტიკური რეფორმირების პრაქტიკის თანმიმდევრულობას. პოსტკომუნისტური სივრცის ქვეყნების პოლიტიკურ ელიტაზე დიდად არის დამოკიდებული, თუ რამდენად ინტენსიურად გადაიზრდება ბრძოლა კომუნისტური გადმონაშთების წინააღმდეგ ქვეყნის საზოგადოებრივი ცხოვრების სიღრმისეულ რეფორმირებაში. აღნიშნული ქვეყნების პოლიტიკური ელიტის გარკვეული მიდრეკილება ანტიკომუნისტური პოლიტიკის განხორციელებისადმი, სრულიადაც არ ნიშნავს რომ იგი ყოველთვის არის მზად დემოკრატიულ და მემარცხენე ორგანიზაციებთან პოლიტიკური კავშირების დასამყარებლად. აღნიშნულ სოციალურ ერთობათა (პოლიტიკური ელიტების) კვლევამ უნდა დააზუსტოს საკითხი იმის თაობაზე, თუ რამდენად არის დამახასიათებელი მისთვის ანტიკომუნისტური პოტენციები.

პოლიტიკური ელიტის მდგომარეობა არსებითად შეიცვალა იმ სოციალურ ძვრებთან დაკავშირებით, რომელთაც ადგილი აქვთ 90-იანი წლების მეორე ნახევრიდან. ადრე პოლიტიკური ელიტების ეკონომიკური ბაზა ბევრად სუსტი იყო, ვინაიდან ჯერ კიდევ არ იყო განვითარებული პრივატიზაციის პროცესი. ამ პერიოდში მიმდინარე პროცესები არსებითად ზემოქმედებს მმართველ ჯგუფებზე და ქმნის წანამძღვრებს, რათა ეს ჯგუფები ერთდროულად პოლიტიკური ერთობიდან ეკონომიკურად გაბატონებულ ერთობად გადაიქცნენ. ეს ტრანსფორმაცია (სხვადასხვა ზომით სხვადასხვა ქვეყნებში) დაკავშირებულია ეკონომიკური და პოლიტიკური დამოუკიდებლობის ტენდენციის გაძლიერებასთან.

90-იანი წლების დასაწყისის არსებულ განსხვავებულ ვითარებაში მოცემულ სოციალურ ერთობათა შესწავლა ახალ პოლიტიკურ მნიშვნელობას იძენს. იმასთან დაკავშირებით, თუ რამდენად ღრმა და ყოვლისმომცველი გახდება ამ სოციალურ წარმონაქმნთა სოციალური ბუნების კვლევა, შესაძლებელი გახდება მმართველი პოლიტიკური ელიტის სტრატეგიული პერსპექტივების პროგნოზირება.

პირველ რიგში ხაზი უნდა გაესვას იმას, რომ პოსტკომუნისტური სივრცის სახელმწიფოთა მმართველი წრეები - პოლიტიკური ელიტები ყალიბდება გარემოში, რომელიც არ განსხვავდება პირობების მრავალფეროვნებით. ეს სოციალური წარმონაქმნები

ყალიბდება ახალ ისტორიულ პერიოდში, "განვითარებული" სოციალიზმიდან საბაზრო ეკონომიკაზე - კაპიტალიზმზე გარდამავალ პერიოდში, რაც ძირფესვიანად განსხვავდება ყველა წინაარსებული პერიოდის ისტორიული სიტუაციისაგან. გარდამავალი პერიოდის მოთხოვნილებათა ხასიათი და ბუნება განაპირობებს პოლიტიკური ელიტის მისწრაფებას შექმნას არა მხოლოდ ეკონომიკური, არამედ საწარმოო ბაზაც და, ამავე დროს, არ განიმარცოს პოლიტიკური და ზედნაშენის ფუნქციებისაგან. გარდამავალი პერიოდის თავისებურება - სპეციფიკა "ავალდებულებს" მათ აგრეთვე განახორციელონ მართვის, ორგანიზაციის საზოგადოებრივად აუცილებელი ამოცანები. ორივე ამ ასპექტით ყოფილი სოციალისტური ქვეყნების მმართველი ჯგუფები პრინციპულად არ განსხვავდებიან დასავლეთის ქვეყნების ანალოგებისაგან. როგორც ერთის, ისე მეორის იერსახეს განსაზღვრავს საერთო მსოფლიო პროცესები. მაგრამ, თუ კაპიტალისტურ ქვეყნებში სახელმწიფოს ე.წ. "ამაღლება" ე.ი. მისი ფუნქციების გაძლიერების მიზეზი საწარმოო ძალების განვითარებაა მზარდი მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მსვლელობაში, პოსტკომუნისტური სივრცის ქვეყნებში კი ანალოგიური პროცესი დეცენტრალიზაციის პროცესის დამუხრუჭებასთანაა დაკავშირებული.

გარკვეული აზრით, საერთო ობიექტური პირობების არსებობის მიუხედავად, პოსტკომუნისტური სივრცის ქვეყნებისა და განვითარებული კაპიტალიზმის სახელმწიფოების მმართველი წრეები, ბუნებრივია, თავიანთი სოციალური ბუნებით არ არიან იგივეობრივნი. მათი განსხვავება მით უფრო ცხადია, რომ ყოფილი სოციალისტური ქვეყნების მმართველი წრეების სტრუქტურაში მნიშვნელოვან გავლენას ინარჩუნებს კომუნისტური მმართველობის პერიოდის გაბატონებული ჯგუფები, რომლებმაც ახალ სოციალურ-პოლიტიკურ სიტუაციაში განიმტკიცეს პოლიტიკური და ეკონომიკური მდგომარეობა, ბოლოს , პოსტკომუნისტური სივრცის ქვეყნების პოლიტიკური ელიტის იერსახე მნიშვნელოვანწილად განისაზღვრება "განვითარებული" სოციალიზმის ტოტალიტარული ისტორიული ტრადიციების თავისებურებით, რომელთა აღორძინების არც თუ უნაყოფო მცდელობას აქვს ადგილი საზოგადოების სოციალ-პლიტიკური და ეკონომიკური რეფორმირების პროცესის მსვლელობაში.

ყოფილი ტოტალიტარული სოციალიზმის ქვეყნების პოლიტიკური ელიტის საგრძნობლად სუსტი პოლიტიკური აქტიურობა

და უმნიშვნელო შედეგიანობა, ახალი ელიტის რეკრუტირების პროცესის დაუმთავრებლობა და, ამასთან ერთად, ამ სოციალური წარმონაქმნის პირველხარისხოვანი მნიშვნელობა ქვეყნის ღრმა თვისებრივი გარდაქმნისათვის, საზოგადოების განახლებისათვის, როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული თვალსაზრისით, მეტად აქტუალურს ხდის პოლიტიკური ელიტის პრობლემას.

დემოკრატიული სახელმწიფოსათვის პირველხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს დიდად შედეგიანი, საზოგადოებისათვის საჭირბოროტო პოლიტიკური ელიტის ფორმირების პრობლემის გადაწყვეტას. მისი სოციალური წარმომადგენლობის უზრუნველყოფას, დროულ თვისებრივ განახლებას. ასევე პირველხარისხოვანი მნიშვნელობისაა პოლიტიკური ელიტის ოლიგარქიზაციის ტენდენციის, მასებისაგან გასხვისებისა და პრივილეგირებულ, გაბატონებულ, თავისთავში ჩაკეტილ კასტად გადაქცევის თავიდან აცილება.

ჩვენი საზოგადოებისათვის იმანენტურმა გარდამავალმა პერიოდმა მნიშვნელოვნად გააფართოვა პრობლემათა სპექტრი, რომლებიც მეცნიერულ გააზრებასა და კვლევას მოითხოვს. ბუნებრივია, რომ ამ პრობლემებს შორის მკვლევართა დიდ ინტერესს იწვევს პოლიტიკური ელიტის პრობლემა. "სოციალური დიფერენციაციის ერთ-ერთი განზომილებაა, - განმარტავს ცნობილი ქართველი მკვლევარი ე. კოდუა, პრივილეგიებისა და პრესტიჟის მიხედვით საზოგადოების დაყოფა. ეს არის საზოგადოების ელიტური სტრუქტურის განზომილება. დღემდე ამ განზომილებით ჩვენი საზოგადოება არ გამოკვლეულა და, მაშასადამე, არც რაიმე ტრადიცია გვაქვს ამ მიმართულებით. არ არის დადგენილი კრიტერიუმები, როგორც მთელი საზოგადოების, ისე ცალკეული ფენების შიგნით ელიტათა რანჟირებისათვის, თუმცა ჩვენი საზოგადოება დღეს იბრძვის პრივილეგიების წინააღმდეგ. ასეთ ვითარებაში ელიტების ობიექტური სურათის დადგენა მრავალ სიძნელეებთანაა დაკავშირებული. გასარკვევია ისიც, ელიტური სტრუქტურაცია შეცვლის სოციალური სტრუქტურაციის კლასობრივ ან ფენობრივ კრიტერიუმებს, თუ ეს იქნება დამატებითი საშუალება ან ფორმა სტრუქტურაციის შესწავლისათვის. ყველა ეს პრობლემა ქმნის სირთულეებს იმის გამო, რომ მარქსიზმის ტრადიციული ცნებები მოძველებულია და სქემა, რომელიც მარქსმა შექმნა, არ გამოხატავს თანამედროვე სოციალურ სინამდვილეს. დღეს დასავლეთში არსებითად უარყოფილია როგორც მარქსის

ორკლასიანი მოდელი, ისე კლასობრივი სტრუქტურაციის მარქსისტული კრიტერიუმები. ჩვენი საზოგადოებისათვის მარქსისტების მიერ შექმნილი მოდელი გამოუსადეგარი ხდება იდეოლოგიით განსაზღვრულობის გამო. სოციოლოგიის დეიდეოლოგიზაცია პირველ რიგში უნდა აისახებოდეს სოციალური სტრუქტურის თეორიაში, თანაც სიძნელეს ქმნის სტრუქტურაციის გამომხატველი ცნებების გაურკვევლობა".[1]

დადგა დრო, როდესაც არსებობს შესაძლებლობა და აუცილებლობაც, მივუდგეთ ამ პრობლემას, როგორც დამოუკიდებელ ფენომენს, განვსაზღვროთ მისი როლი და ადგილი საზოგადოებრივ ცხოვრებაში, მისი ტიპოლოგია, თვისებრივი პარამეტრები და პრაქტიკული ქმედება - მოღვაწეობის ფუნქციური მექანიზმები.

დასავლეთის პოლიტოლოგების მეცნიერული მეთოდოლოგიისაგან განსხვავებით, რომელიც სოციალური პროცესების ანალიზის როგორც თეორიულ, ისე დესკრიფციულ მეთოდებს ეფუძნება, პოსტსაბჭოურ ქვეყნებში მოღვაწე სპეციალისტები თავიანთ სამეცნიერო გამოკვლევებში, როგორც წესი, არ ემყარებიან კონკრეტულ თეორიულ ტრადიციას, თავს არიდებენ დადგენილი მოდელებისა და კონცეფციების გამოყენებას. მაგრამ, ამასთან ერთად, მიზნად ისახავენ სოციალური პროცესების მიზეზ-შედეგობრივ მიმართებათა ზუსტ დესკრიფციას და ობიექტურ ანალიზს. პოსტკომუნისტური სივრცის ქვეყნებში სოციალური კვლევა-ძიების სპეციფიკა შეიძლება გაგებული და ახსნილი იქნეს ადრინდელი მეცნიერული ტრადიციების მიმართ უარყოფითი რეაქციით. კვლევითი სტრატეგია, რომელიც აღნიშნული ქვეყნების მეცნიერთა უმრავლესობამ გაიზიარა, ეფუძნება იდეას, რომლის მიხედვით, წინანდელი თეორიული დოგმების დაძლევა შეიძლება წარმატებით რეალიზებულ იქნეს ზუსტი დესკრიფციული და მიზეზობრივი ანალიზით. ამავ დროს, ხაზი უნდა გაესვას იმ ფაქტს, რომ მოცემული სამეცნიერო-კვლევითი მიზანდასახულობის მნიშვნელოვან ასპექტს წარმოადგენს პოსტსაბჭოური სივრცის რეალიების ახსნისა და გაგებისათვის დასავლეთის ან "მესამე სამყაროს" ქვეყნების პოლიტიკური სტრუქტურების გამოკვლევებზე დამყარებული თეორიული კონსტრუქციების გამოუსადეგარობა.

---

1. კოდუა ე., სოციოლოგია, II ნაკვეთი, თბ., 1996, გვ. 6.

პოსტსაბჭოთა ქვეყნების პოლიტიკური ელიტების შემეცნების პროცესი მოიცავს როგორც სხვადასხვა მიმართულების მებრძოლი ძალების სოციალურ-პოლიტიკურ პრაქტიკას, ისე საკუთრივ მეცნიერულ კვლევას. პოლიტიკური ელიტის საზოგადოებრივი შემეცნების მეორე ასპექტის შესახებ წარმოდგენა შეიძლება ვიქონიოთ კატეგორიალური აპარატისა და ფაქტობრივი ცოდნის სტრუქტურის მახასიათებლების მიხედვით.

კატეგორიალური ინსტრუმენტარიუმი, რომლის მეშვეობითაც ანალიზდება პოლიტიკური ელიტის სტრუქტურა და ფუნქციები, მოიცავს სხვადასხვა ცნებებს, თეორიებს, კონცეფციებს, პრობლემისადმი კონცეპტუალურ მიდგომას. ცნებები ახასიათებს პოლიტიკურ ელიტას, როგორც სოციალურ სტრუქტურებს, რომლებსაც აქვთ ესა თუ ის ნიშან-თვისება და უმნიშვნელოვანესი ფუნქციები.

ელიტის ცნებას კონკრეტული შინაარსი გააჩნია და პოლიტოლოგიურ და სოციოლოგიურ ლიტერატურაში არსებული მისი სხვადასხვა განსაზღვრება ამ კონკრეტული შინაარსის ერთმანეთისაგან განცალკევებული მომენტების ფიქსაციას ახდენს. ელიტის და, უპირველესად, პოლიტიკური ელიტის ცნების შინაარსის ცალკეული მხარეები ლოგიკური ოპერაციის გზით შეიძლება მოწყვეტილ იქნეს ელიტის მთლიანი სტრუქტურისაგან და ცალმხრივ განსაზღვრებად გადაიქცეს. ელიტის ცნების შინაარსი იცვლებოდა და "ანდათან მდიდრდებოდა სხვადასხვა, ზოგჯერ უკვე ადრე დადგენილი ნიშნების საწინააღმდეგო განსაზღვრებებით. მაგრამ მისი ის შინაარსი, რომელიც თავდაპირველად შეიძინა, უცვლელი რჩებოდა. იმ შემთხვევაში, როდესაც ხდება ცნების შინაარსის შეკვსება-გამდიდრება ელიტის ყოფიერებაარსებობის პირობების "წანამძღვრების" ან მიზეზების მახასიათებლებით. მაშინ ამდაგვარი მახასიათებლების ერთობა ქმნის კონცეფციას. პოლიტიკური ელიტის კონცეფციები მეცნიერულ წარმოდგენათა ის ძირითადი სახეობანია, რომელთა მიხედვით შესაძლებელია დასკვნის გამოტანა საკვლევ პრობლემაზე ცოდნის თეორიული სიმწიფის ხარისხის შესახებ. სრულიად მიზანშეწონილი და ლოგიკურად მართებულია ის ფაქტი, რომ ამ კონცეფციათა რიცხვს მიეკუთვნება მხოლოდ თეორიულ კონსტრუქციათა ნაწილი. მათ შორის ის, რომელშიც გაანალიზებულია პრობლემათა უფრო ფართო არეალი.

მაგალითად, მაქს ვებერის ნააზრევში ის, რასაც ჩვენ პოლიტიკურ ელიტას ვუწოდებთ, დახასიათებულია ბიუროკრატიზაციის

კონცეფციაშ., რომელიც მისი სახელმწიფოს ზოგადი თეორიის ნაწილს შეადგენს.

როდესაც პოლიტიკური ელიტის კონცეფციათა შეფასების უშუალო ამოცანის წინაშე ვდგავართ და რაიმე პოზიტიურ დებულებას ვასაბუთებთ (დასაბუთება კი ყოველთვის გულისხმობს საპირისპირო შეხედულებათა უარყოფას). თავს იჩენს კონცეფციათა დაპირისპირების ანალიზის უკმარობა, რაც გამოიხატება ცნებათა დასმულ პრობლემათა ერთიმეორეში აღრევაში და, ამდენად, ისეთ მტკიცებებში, რომელნიც ამა თუ იმ მიმართებით საზრისსმოკლებულად წამოგვიდგება. ასეთი აღრევა ისეთ შემთხვევაშია განსაკუთრებით ხელშესახები, როდესაც ერთმანეთს უპირისპირებენ კონცეფციებს, რომლებიც ერთნაირი ცნებებით და ტერმინოლოგიით კი სარგებლობენ, მაგრამ პრობლემებს განსხვავებულად აყენებენ, რამდენადაც თავისთავად გადაჭრილად მიიჩნიათ პრობლემის თავისებურად დაყენების აუცილებლობის საკითხი. აზრთა სხვაობა იჩენს თავს, აგრეთვე, როდესაც საკითხი დგება იმ მეთოდზე თუ მეთოდებზე, რომლის გამოყენებითაც უნდა შესრულდეს აღნიშნული პრობლემების მეცნიერული კვლევა. უთანხმოების საფუძველია სხვადასხვა თეორიული ვარაუდი ელიტის საერთოდ, და, კერძოდ, პოლიტიკური ელიტის ფუნქციური სტრუქტურის შესწავლა-შემეცნების შესახებ.

აქ მიზანშეწონილი და კანონზომიერია მთელი კატეგორიულობით გაესვას ხაზი უმნიშვნელოვანეს ვითარებას, რომელიც გამოწვეულია სამყაროს მეცნიერულ სურათში პარადიგმების შეცვლით, კერძოდ დეტერმინისტული ახსნიდან პოსტდეტერმინისტულზე გადასვლით. ეს გარემოება დაკავშირებულია ახალ ფუნდამენტურ გამოკვლევებთან, ცოდნის ისეთ დარგებში, როგორიცაა: კვანტური მექანიკა, (კვანტური მექანიკის ერთ-ერთი პრინციპი - განუსღვრელობათა თანაფარდობა - დასავლეთის ფილოსოფიაში განმარტებული იქნა ინდეტერმინიზმის სულისკვეთებით - დასკვნები ელექტრონის "ნების თავისუფლების", მიკროპროცესებში მიზეზობრიობის არარსებობის შესახებ, მიზეზობრიობის კრახის" შესახებ და ა.შ.), მოლეკულური ბიოლოგია და, განსაკუთრებით, სინერგეტიკა - მეცნიერება ქაოსიდან წესრიგის წარმოქმნის, თვითნებური, თვითორგანიზებადი, შემთხვევითობრივი პროცესების შესახებ. ამ ვითარებამ შესაძლებელი გახადა სამყაროს ახლებური ხედვა და მთელი რი-

გი არატრივიალური შედეგები გამოიწვია პოლიტიკური მეცნიერებისათვის, უპირველეს ყოვლისა, რაც შეეხება საერთოდ სოციალურ და, კერძოდ პოლიტიკურ ურთიერთობათა სფეროში მოქმედ კანონსომიერებათა ბუნების, მათი შინაარსის და გამოვლენის გაგებას. გარდა ამისა, ზემოაღნიშნულმა გამოკვლევებმა რადიკალური ტრანსფორმაციები გამოიწვია მეცნიერების მეთოდოლოგიურ საფუძვლებში, მეცნიერული აზროვნების სტილში. სინერგეტიკა აღმოცენდა ბუნებისმეცნიერების სფეროში, მაგრამ თანდათანობით დამაჯერებლად იკვლევს გზას სოციალურ მეცნიერებათა, მათ შორის პოლიტოლოგიის მეთოდოლოგიაში. მრავალ ფილოსოფიურ, პოლიტიკურ, ფსიქოლოგიურ და სხვა საზოგადოებათმცოდნეობრივ და ჰუმანიტარულ ნაშრომებში გამოიყენება ცნებები, რომლებიც სინერგეტიკის ცნებითი აპარატის ბირთვს შეადგენს (ბიფურკაციის, ფლუქტუაციის, ატრაქტორების, არასტაბილურობის, საფაზო გადასვლების, არაწრფივობის, მცირე ზემოქმედებათა, წონასწორობითობისა და სხვ.). სინერგეტიკა ქმნის საფუძველს ახლებურად იქნეს მოაზრებული სოციალურ, პოლიტიკურ, ეკონომიკურ და ადამიანთა მოქმედება-მოღვაწეობის სხვა სფეროებში მიმდინარე ისტორიული პროცესების მიზეზები და განვითარების ფორმები. წარმოიშვა "შემთხვევის" ფენომენის ახლებური გაგება, როგორც სოციალური და პოლიტიკური ევოლუციის დამოუკიდებელი ფაქტორისა, მოხდა თვითორგანიზებად პროცესებში მისი როლის მნიშვნელობის აღიარება. საკითხის არსი იმაში მდგომარეობს, რომ სულ უფრო მეტ ძალას იკრებს პოლიტიკური და სოციალური ცხოვრების კანონზომიერი მოვლენებისა და პროცესების თანმდევი შემთხვევითი, არაორგანიზებადი მოვლენები და პროცესები, რომელთა ახსნა დიალექტიკური მიდგომით პრაქტიკულად შეუძლებელია. როგორც ჩანს, საერთოდ სოციალური, კერძოდ კი პოლიტიკური ურთიერთობების სფერო თავისებური სტოქასტური სამყაროა ხდომილებათა და პროცესების მრავალმხრივი სპეციფიკური გადახლართვით, რომელთა მიზეზები და შედეგები ასიმეტრიული ხასიათისაა. ამიტომ, მათი დესკრიფცია დეტერმინიზმის სულისკვეთებით, უალტერნატივობის, შემთხვევითობის გამორიცხვით უნაყოფოა.

დეტერმინიზმი განვითარებას წარმოგვიდგენს, როგორც საწყისი მიზეზებით განსაზღვრულ, აღმავალი მოძრაობის პროცესს მარტივიდან რთულისაკენ, უმდაბლესიდან უმაღლესისაკენ, რომელსაც არ გააჩნია ალტერნატიული ფენომენი. სამყარო

მიზეზობრივად განსაზღვრულია, ე.ი. ბუნება, საზოგადოება, აზროვნება ან მათი ცალკეული საგნები, საგანთა კლასი, მოვლენები, პროცესები მიზეზობრივად დეტერმინებულია. ყოველ მოვლენას გარკვეული მიზეზი აქვს, უმიზეზო მოვლენები არ არსებობს. სამყაროში ბატონობს მკაცრი მიზეზ-შედეგობრივი კავშირები. შედეგიც იდენტური ან სულ ცოტა მიზეზის პროპორციულია. ამიტომ, სოციალური ისტორიის ახსნა ძირითადად შესაძლებელი და პროგნოზირებადია - წარსული წინასწარ განსაზღვრავს აწმყოს, მომავალს - წარსული და აწმყო.

სინერგეტიკა, სხვაგვარად ვიდრე დიალექტიკა, წყვეტს ონტოლოგიისა და გნოსეოლოგიის პრობლემასაც. დიალექტიკის მატერიალისტური მოდიფიკაციის მიხედვით, დიალექტიკაში ორგანულად ერწყმიან როგორც ყოფიერების, ისე შემეცნების განვითარების კანონები, რადგან ისინი თავიანთი შინაარსით იგივეობრივნი არიან და განსხვავდებიან მხოლოდ ფორმით, ამიტომ, დიალექტიკა არის არა მარტო ონტოლოგიური, არამედ გნოსეოლოგიური მოძღვრებაც, ლოგიკაც, რომელიც აზროვნებას და შემეცნებას განიხილავს თანაბრად ქმნადობასა და განვითარებაში, რადგანაც ნივთები და მოვლენები არის ის, რადაც ის იქცევა განვითარების პროცესში; მათში, როგორც ტენდენცია, თავიდანვეა მოცემული მათი მომავალი, ე.ი. ის, რადაც ისინი უნდა იქცნენ. ამ აზრით თვით შემეცნების თეორიაც განიხილება, როგორც შემეცნების განზოგადებული ისტორია, ხოლო ყველა ცნება, ყოველი კატეგორია, მიუხედავად მათი უკიდურესი ზოგადობისა, ისტორიულობით ხასიათდება. "უნივერსუმი" კი "ცხოვრობს" დიალექტიკის კანონების მიხედვით. სინერგეტიკული მსოფლ-გაგებისათვის ეს პოსტულატები დასაბუთებულობას მოკლებულია.

მრავალი თანამედროვე ცნობილი მკვლევარი[1] უარყოფს საზოგადოების განვითარების ობიექტური კანონების არსებობას. ამასთან ერთად, მათ წარმატებით შეიძლება დაიმოწმონ ნეოკანტიანელობის ბადენის სკოლის მეთაურის ვილჰელმ ვინდელბადისა და ამავე ფილოსოფიური სკოლის გამოჩენილი წარმომადგენლის,

1 მაგ., ამერიკელი სოციოლოგი, ემპირიული სოციოლოგიის ერთ-ერთი წამყვანი მეთოდოლოგი ჰ. ბლეილოკი (1926). გერმანელი სოციოლოგი და ფილოსოფოსი, კრიტიკული რაციონალიზმის წამყვანი წარმომადგენელი ჰ. ალბერტი (1921). ინგლისელი ფილოსოფოსი და სოციოლოგი კ. პოპერი (1902). ამერიკელი სოციოლოგი ე. ტობიჩი და სხვ.

ჰაინრიხ რიკერტის ნააზრევი, რომლებიც ჯერ კიდევ ათეული წლების წინათ ამტკიცებდნენ, რომ სოციალურ ისტორიას საქმე აქვს ერთგვარად ცალკეულ, განუმეორებელ მოვლენებთან.

ამის შედეგად სოციალური ისტორიის შესწავლა არ შეიძლება წარმოადგენდეს ღრმად განმაზოგადოებელი კვლევის საგანს და არც შეიძლება იყოს საზოგადოების სოციალ-პოლიტიკური ევოლუციის მთლიანი პროცესის მომცველი. სოციალური ფილოსოფიის დარგში ყურადსაღებია კ. პოპერის თვალსაზრისი, რომელიც გამოვიდა მარქსიზმისა (ამ მოძღვრებას იგი "პროფეტიკურ" ფუნქციებს მიაწერს) და ისტორიზმის კრიტიკით. იგი კატეგორიულად უარყოფს დეტერმინიზმს, საზოგადოებრივი განვითარების ობიექტურ ისტორიული კანონების არსებობას და სოციალური პროგნოზირების შესაძლებლობას.[1] კ. პოპერის მიხედვით, ის, რაც შეიძლება ისტორიაში ვეძებოთ, არ არის ისტორიული კანონი; იგი განსაზღვრული ტენდენციაა, რომელიც არ შეიცავს მომავლის რაიმე აუცილებლობის ნიშნებს. ტენდენცია მიგვითითებს, რომ მოვლენა გარკვეული მიმართულებით ვითარდებოდა წარსულში, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ მომავალშიც ასე იქნება. ამიტომ, ისტორიაში წარსულიდან მომავალში გადასვლა შეუძლებელია. ეს ტენდენცია არ არის ობიექტური, ის მხოლოდ განსაზღვრული ინტერპრეტაციით მიიღება და თავისთავად ობიექტურ პროცესს არ წარმოადგენს.[2] ნეოპოზიტივიზმიც უბულებელყოფს სოციალური ცოდნის მსოფლმხედველობრივ ფუნქციას, სოციალურ-პოლიტიკური მოვლენების სპეციფიკას და ახდენს ბუნებისმეცნიერების მეთოდების აბსოლუტიზაციას. ნეოპოზიტივიზმის მიხედვით, სოციალური კვლევის მეთოდები ისეთივე ზუსტი, მკაცრი და ობიექტური უნდა იყოს, როგორც ბუნებისმეცნიერებათა ციკლის დისციპლინების მეთოდები (სციენტიზმი). ამ შემთხვევაში მხედველობაში არ არის მიღებული ის უეჭველი ფაქტი, რომ სრულიად განსხვავებული მდგომარეობაა სოციალურ მეცნიერებებში, რომელთა კვლევისა და შესწავლის ობიექტს წარმოადგენს ისეთი სპეციფიკური სფერო, როგორიცაა საზოგადოებრივი ურთიერთობები. ამ ურთიერთობათა სუბიექტები განუმეორებელი ნიშან-თვისებების, ხასიათისა და უნიკალური

1 აღნიშნული პრობლემატიკა ღრმად აქვს გაანალიზებული გამოჩენილ ქართველ მეცნიერს ედუარდ კოდუას საფუძვლიან ნაშრომში - ისტორიის საზრისის საკითხისათვის, თბ., 1976.

2 ე. კოდუა. ისტორიის საზრისის საკითხისათვის, გვ. 212.

ინდივიდუალობის მქონე ადამიანებია, რომლებიც თავიანთ ქმედება-მოღვაწეობაში ხელმძღვანელობენ ნებით, რწმენით, ღირებულებითი ორიენტაციებით, იდეოლოგიებით, ვნებებით, პიროვნული ერთგულებით და ა.შ. ამიტომ, თავისთავად ცხადია, რომ კანონების პრობლემები აქ სხვაგვარად დაისმის.

თანამედროვე სოციალურ მკვლევართა ნააზრევში კანონის პრობლემა დისკუსიური ხასიათისაა; სოციოლოგიურ და პოლიტოლოგიურ ლიტერატურაში ფართოდ არის გავრცელებული სკეპტიციზმი მათი არსებობის თაობაზე. მაგალითისათვის შეიძლება მოვიყვანოთ საზოგადოების შესწავლის პრობლემისადმი სოციოლოგიის ერთ-ერთი ძირითადი თეორიულ-მეთოდოლოგიური მიმართულების ე.წ. გამგები სოციოლოგიის მიდგომის დახასიათება, რომელიც მოცემულია მაქს ვებერის მსჯელობაში: "ყველა "კანონის" შესახებ, რომლებიც მართავს მიმდინარე ხდომილებებს, ყოვლისმომცველი ცოდნის პირობებშიც კი, ჩვენ უსუსურნი აღმოვჩნდებით კითხვის წინაშე საერთოდ როგორ არის შესაძლებელი ამა თუ იმ ინდივიდუალური ფაქტის მიზეზების ახსნა, იმ დროს, როდესაც შეუძლებელია წარმოვიდგინოთ რეალური სინამდვილის უმცირესი მონაკვეთის აღწერაც კი, რომელიც შეიძლება აღიარებული იქნას როგორც ამომწურავი"[1] ამავე ნაშრომში მ. ვებერი შენიშნავს, რომ საზოგადოებრივი განვითარების "ყველა სპეციფიკური მარქსისტული "კანონი".... იდეალური ტიპის ბუნებისაა".[2]

ამერიკელი პოლიტოლოგების ბ. რასეტისა და ჰ. სტარის აზრით მეცნიერთა თეორიული გამოკვლევები საზოგადოებრივ ურთიერთობათა დარგში განვითარების უფრო მაღალ დონესაც რომ იყოს მიღწეული, ვიდრე ამას აქვს ადგილი თანამედროვე პირობებში, მეცნიერები მივიდოდნენ არა კანონების ფორმულირების ფაქტამდე, არამედ ალბათობის მკვეთრად გამოკვეთილი ხასიათის მქონე მტკიცებებამდე. "უკეთეს შემთხვევაში სოციალურმა მეცნიერებამ შეიძლება ალბათობის ხარისხში აიყვანოს საკუთარი შეფასება, რომ მოცემულ სეციფიკურ სოციალურ-პოლიტიკურ ხდომილებას გარდაუვლად მოჰყვება სასურველი ან მოსალოდნელი შედეგი მაინც".[3]

---

1 Weber M.. Soziologie, Weltgeschichtliche Analysen. Stutgart. 1956. S 219.

2 Ibid; S.250

3 Rassett. B; Star, H, World Politics. Menu for Chroice. San Francisco. 1981. p. 51.

სოციალურ მკვლევართა უმრავლესობა ცდილობს მეცნიერულ ხმარებიდან იქნეს ამოღებული ცნება "კანონი" და სარგებლობს ნაკლებად დამავალდებელი ტერმინებით, როგორიცაა: "კანონზომიერება", "ტენდენცია", "წესები" და ა.შ.

აბსტრაქტულად შესაძლებელია ისეთი სიტუაციის კონსტრუირება, რომლის შემთხვევაში ვირტუალურია ამა თუ იმ სოციალური ფაქტის ან ხდომილების რამდენადმე ზუსტი განმეორება. მაგრამ პრაქტიკულად ეს გარემოება გარდუვლად საჭიროებს მრავალი პირობის დაცვას, რომლის რეალიზება სინამდვილეში შეუძლებელია. აქედან გამომდინარე, გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად უნდა შევნიშნოთ, რომ ჩვენ სკეპსისს არ უნდა იწვევდეს მყარი "მარადიული", "უცილობელი" კანონების ფაქტიური არსებობა და შესაბამისად ამა თუ იმ სოციალური მოვლენის ან პროცესის განვითარების გზების განსაზღვრის მცდელობაში მნიშვნელოვან სიძნელეთა არსებობა.

ცნობილი ფრანგი მეცნიერი ჟ.ბ. დიუროზელი ეთანხმება რა მკვლევართა აზრს, რომლებიც ამტკიცებენ, რომ სოციალურ მეცნიერებებში კანონებს არ გააჩნიათ იმ ხარისხის სიმყარე, რომელიც დამახასიათებელია ბუნებისმეცნიერებისათვის, აღნიშნავს რომ ასეთი ვითარება შეიძლება აიხსნას სოციალურ მეცნიერებათა მიერ ასახული რეალიების არსით . ამასთან, რამდენადაც საუბარია ალბათობითი ცოდნის სფეროზე, სადაც ბატონობს გამონაკლისი და, რომელიც ამის გამო, განუყოფელია ინტუიციისაგან, უფრო მიზანშეწონილია ოპერირება ტერმინით "კანონზომიერება". კანონი ასახავს მკაცრად იდენტიფიცირებული ფენომენების საერთო ბუნების მქონე ერთს ან რამდენიმე ჯგუფს. უფრო მეტიც, ისინი განძარცულნი არიან ყოველგვარი ინდივიდუალობისაგან და ამიტომ ემორჩილებიან გაზომვას. იმ შემთხვევაში, როდესაც საქმე გვაქვს ხდომილებასთან, ყოველი მათგანი გულისხმობს ადამიანის გონების არსებობას, ამიტომ, ყოველი ხდომილება ერთეული და უნიკალურია. აქ, ფაქტობრივად, არ არსებობს იდენტურობა და გაზომვა (ზომვადობა).

ხდომილებათა შორის მხოლოდ ანალოგიების გამოსახვაა შესაძლებელი. ასე, არსებობს მსჯელობათა ტიპები, კომუნიკაციათა ტიპები, ძალადობის ტიპები და ა.შ. "კანონზომიერება - ეს მსგავსებათა გრძელი მწკრივის არსებობაა, რომელნიც თითქოსდა არ არიან დამოკიდებულნი ამა თუ იმ ეპოქის თავისებურებებზე, და ამის შედეგად შეიძლება მიკუთვნებულ იქნენ

homa sapiens-ის ბუნების[1] განმეორებითობისა და ხდომილებათა ტიპების მსგავსების ამსახველ კანონზომიერებათა გვერდით, საზოგადოების სოციალური და ტექნიკური დონის, პოლიტიკური რეჟიმისა და გეოპოლიტიკური რეგიონისგან დამოუკიდებლად, არსებობს აგრეთვე "დროებითი წესები" და "რეცეპტები". "დროებითი წესები" ასახავს ნაკლებად ზოგადი რიგის დონეს, ვიდრე კაცობრიობის ერთობლივი ისტორიაა. ეს წესები ეხება ერთ-ერთ "სტრუქტურას", ანუ მოცემული ეპოქის, მოცემული გეოგრაფიული რეგიონის ან მოცემული პოლიტიკური რეჟიმის "იმ ხანგრძლივი ისტორიული ევოლუციის ერთ-ერთ ფაზას, რომელიც გაიარა მსოფლიომ".[2]

დაბოლოს, მოცემულ მომენტსა და გარემოებაში გარკვეული დონის ცალკეული პოლიტიკური ქმედება ხორციელდება მაგრამ, იმისთვის, რომ ეს ქმედებები რაც შეიძლება რაციონალური იყოს, არ არის საკმარისი კანონზომიერებათა და დროებითი წესების არსებობა. მეცნიერული ცოდნის უკმარისობის გამო, სუბიექტების პოლიტიკურ-სოციალური ქმედებები ნორმატიული ხასიათის პრინციპებს ემყარება, რომელსაც ჟ. დიუროზელი "რეცეპტებს" უწოდებს.

თანამედროვე პოლიტიკური მეცნიერების მეთოდოლოგიური პრინციპები ცხადყოფს, რომ დიალექტიკურმა მეთოდმა დაკარგა უნივერსალობა, საყოველთაობა, განსაკუთრებულობა. ცხოვრება ადასტურებს, რომ მეცნიერულ შემეცნებაში წინწაწევა (პროგრესული მოძრაობა) შეუძლებელია მხოლოდ მიზეზ-შედეგობრივი კავშირის პრინციპზე დაყრდნობით. დიალექტიკა, როგორც სოციალური ცხოვრების კონცეპტუალური ხედვა, უკან იხევს და მის პოზიციებს იკავებს ახალი სამეცნიერო-კვლევითი მიდგომა - სინერგეტიკა. მეცნიერებაში გზას იკვლევს ახლებური გაგება, რომლის შესაბამისად, როგორც წესი, არსებობს განვითარების მრავალი ალტერნატიული გზა, მათ შორის, სოციალური ისტორიისათვისაც. თანდათანობით ფეხს იკიდებს საზოგადოების ისტორიის, როგორც სტოქასტური - არაპროგნოზირებადი, არაწინასწარგანსაზღვრებადი პროცესების ახლებური გაგება. მოკლედ, აქ საუბარია სოციალურ მეცნიერებათა პარადიგმის შეცვლაზე. დეტერმინიზმის წინა გაგებისა და აღიარებისაგან

1 Duroselle U.b. Raut empire perira. Une vision theoriyne des relations internationales. Paris. 1982. p. 117.

2 Ibid. pp. 234. 278.

უარის თქმაზე, ხოლო სამამულო მეცნიერებაში მატერიალისტური დიალექტიკის, როგორც სინამდვილის მეცნიერული შემეცნების ძირითადი მეთოდის, ახლებურად გააზრების შესახებ.

როგორც ჩანს, სოციალურ მეცნიერებათა მეთოდოლოგიაში ახალი პარადიგმა ან დიალექტიკის, როგორც სინერგეტიკის კერძო მეთოდის, შემცველი იქნება, ისიც მხოლოდ ზოგიერთი დარგისათვის ან საერთოდ შეცვლის მას სინამდვილისადმი პრინციპულად ახლებური მიდგომით.

ვფიქრობთ, რომ თანამედროვე საქართველოს სახელმწიფოში შეიქმნა ხელსაყრელი გარემო სინერგეტიკის შემეცნებითი შესაძლებლობების საილუსტრაციოდ. მრავალრიცხოვანი პოლიტიკურ, სოციალური და ეკონომიკური ხდომილებებისა და პროცესების კვლევა, ანალიზი, მართვა და მათზე ზემოქმედება სწორედ ამ მეთოდის პოზიციიდან არის შესაძლებელი. არასტაბილურობა, არათანაბარზომიერება, არაწრფივობა, მცირე ზემოქმედებანი - ასეთია ვითარება, რომელიც დამახასიათებელია ქვეყნის პოლიტიკური ცხოვრებისათვის. მათი გაგება დიალექტიკის პოზიციიდან მისი საყოველთაო ურთიერთკავშირით და ურთიერთგანპირობებულობით პრაქტიკულად შეუძლებელია. საქართველოს გადასვლა საბაზრო ეკონომიკაზე ფართოდ უღებს კარს თვითორგანიზებად და თვითრეგულირებად პროცესებს. გარდა ამისა, რაც ესოდენ მწვავე პრობლემას წარმოადგენს ქვეყნისათვის, ეროვნულ ურთიერთობებში თვითორგანიზაციის როლის გათვალისწინებით, ცხადია, რომ ერთ-ერთ ყველაზე მართლზომიერ და, ამდენად, გონივრულ პოლიტიკურ სტრატეგიას ამ სფეროში უნდა წარმოადგენდეს ეთნიკური თვითრეგულირება, მინიმუმამდე უნდა იქნეს დაყვანილი მცდელობა, რათა მესამე მხარის შეხედულებები და ღირებულებები თავს არ მოახვიონ ეთნიკური კონფლიქტების უშუალო მონაწილეებს. ამდაგვარ მიდგომას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს საქართველოში დასახლებული ეთნიკური ერთობებისათვის. მათი მრავალრიცხოვანი კულტურული, ეროვნულ-ფსიქოლოგიური და სხვ. ურთიერთ-კონტაქტები ყოველთვის გარკვეული რეალობებით განისაზღვრებოდა. ამიტომ, სრულიად გამართლებულია მისწრაფება, პირველ რიგში ამ რეგიონში ამოქმედდეს კვლავ ეთნიკური თვითრეგულირების მექანიზმები, აცილებულ იქნეს ამ პროცესების მონაწილეებისათვის, სხვა მხარეთა, სხვა ცენტრების ნების თავზე მოხვევა.

საკმაო დროა, რაც პოლიტოლოგიაში მკაფიოდ გამოიკვეთა ორი ძირითადი მიმართულება: ბიჰევიორისტული და ნორმატიული. ბიჰევიორისტული მიმართულების ადეპტები მიზნად ისახავენ პოლიტიკური სისტემის, პოლიტიკური პროცესებისა და მათთან დაკავშირებულ სოციალურ-პოლიტიკური ფენომენების შესწავლასა და კვლევა-ძიებას იმდაგვარად, როგორსაც ისინი წარმოადგენენ. ისინი პოლიტიკურ ფენომენებს (მათ შორის პოლიტიკურ ელიტებს) განიხილავენ, როგორც განსაზღვრულ პოლიტიკურ ორგანიზმს, რომელიც ფუნქციონირებს საკუთარი შინაგანი ლოგიკით, რომლის გამოვლენაც არის მეცნიერული კვლევისა და შესწავლის მიზანი. ნორმატიული მიმართულების ადეპტებს მიანნიათ, რომ მარტივი შედარება და დესკრიფციაც კი თავისი ხასიათით გარკვეულად შეზღუდულია. მათი თვალთახედვით, კაცობრიობამ უკვე წარმატებით შექმნა საზოგადოების პოლიტიკური ორგანიზაციის ოპტიმალური სისტემა, სადაც ნათლად იკვეთება პოლიტიკური ელიტის პოზიტიური როლი და საზოგადოებისათვის მისი მეტად სასარგებლო ფუნქციონირება. ეს არის ამერიკული ტიპის დემოკრატია ხელისუფლების დაყოფით და, ამის შესაბამისად, მსოფლიოს პოლიტიკური განვითარება განიხილება, როგორც მოძრაობა ამ იდეალისაკენ.

უნდა აღინიშნოს, რომ გარდამავალ ეტაპზე მყოფ პოსტტოტალიტარულ საზოგადოებათა სხვადასხვა სოციალური ჯგუფებისა და სტრატების მართლზომიერი დახასიათებისათვის აუცილებელი კონცეფციები ჯერჯერობით არ არსებობს. სამეცნიერო ლიტერატურაში ვხვდებით ზოგად სოციოლოგიურ და პოლიტოლოგიურ კონსტრუქციებს, რომელთა ძირითადი ღირებულებები უშუალოდ გადაიტანება პოსტკომუნისტური ქვეყნების მმართველი პოლიტიკური ელიტების მახასიათებლებზე. კონცეპტუალური თვალსაზრისები პოსტკომუნისტური ქვეყნების მმართველი სოციალური ერთობების შესახებ, როგორიცაა: ელიტის, ბიუროკრატიის, ახალი საშუალო ფენების, ლიდერობის კონცეფციები' - არც ერთი მათგანი არ შეიძლება ჩაითვალოს მაღალი დონის აბსტრაქციებად, ისინი დესკრიფციის დონეზე რჩებიან.

იმ მიზნის მისაღწევად, რომელსაც გარდამავალი ეტაპი აყენებს პოსტტოტალიტარულ საზოგადოებათა წინაშე, აუცილებელია უნივერსალურ ღირებულებათა დასავლური სისტემის შეთვისება. ამ ღირებულებითი ორიენტაციებით მასების მოცვა და, ამრიგად, მისი საკუთარ სისტემად გადაქცევა. ამ შემთხვევაში ელიტარული კონცეფციები უნდა მიესადაგოს გარდაქმნის სოცი-

ალურ-პოლიტიკურ ამოცანებს, რომელთა ინტერპრეტაცია მოხდება ღირებულებათა კონფიგურაციით და მათი დიფუზიით. აქედან ლოგიკურად გამომდინარეობს, რომ სოციალური ერთობა, რომელიც გარდაქმნა-განახლების ფუნქციათა რეალიზატორად მოგვევლინა, აუცილებლად უნდა ასრულებდეს შუამავლის როლს გარე სამყაროსა და საკუთარ საზოგადოებას შორის. თუ საზოგადოების გარდაქმნის უმნიშვნელოვანეს ასპექტად მივიჩნევთ ღირებულებათა დიფუზიას, ბუნებრივია, ეს პროცესი ევოლუციური ხასიათის მატარებელი უნდა იყოს და , პირველ რიგში, მიზნად ისახავდეს ძველი სოციალური სტრუქტურების ტრანსფორმაციას.

ბოლო წლების გამოცდილება ცხადყოფს, რომ საზოგადოების ტრადიციული ზედა ფენები წარუმატებლობას განიცდიან გარდაქმნის მექანიზმების შედეგიანი ფუნქციონირების საქმეში. არსებულ ვითარებაში სრულიად კანონზომიერად მიგვანნია, ყოფილი ტოტალიტარული სოციალიზმის ქვეყნების სოციალური სტრუქტურების ფუნქციონირების ანალიზისას მათ მიმართ აპრობირებულ იქნეს რაციონალურ ადმინისტრატორის კონცეფცია, რომელიც მთლიანად ეფუძნება ხელისუფლების თანამედროვე რაციონალურ-ლეგალური ტიპის მაქს ვებერისეულ იდეას. ამ იდეის შესატყვისი მოხელის ტიპი დაკავშირებულია ადმინისტრაციულ და არა პერსონიფიცირებულ ურთიერთობათა იერარქიულ სისტემასთან, სადაც ამოცანები მკაფიოდაა განსაზღვრული და ფორმულირებული, ხოლო ფუნქციები სპეციალიზებული. მოხელენი ინიშნებიან სათანადო თანამდებობებზე ცოდნისა და კომპეტენციის მიხედვით. სხვა რაიმე ფაქტორის მოქმედება მათი შერჩევისა და დანიშვნის პროცესში გამორიცხულია. ისინი დაქირავებული მოხელენი და პოლიტიკურ გადწყვეტილებათა შემსრულებელნი არიან. ასეთი ადმინისტრატორი მცოდნე, კომპეტენტური, პოლიტიკურად ნეიტრალურია და, ამ თვისებათა გამო, მისი მოღვაწეობა მეტად ეფექტურია.

ფაქტები დამაჯერებლად ცხადყოფს, რომ ჯერჯერობით პოსტტოტალიტარულ საზოგადოებებში ვებერისეულ თეორიულ სქემას უპირისპირდება სრულიად განსხვავებული მოხელის ტიპი. იგი გამოირჩევა არაკომპეტენტურობით, ძალზე ადვილად ექცევა კორუფციის ტყვეობაში და სრულიად არ ჰგავს ეფექტურ და პოლიტიკურად ნეიტრალურ ადმინისტრატორს, იგი განუხრელად, საკმაოდ თანმიმდევრულად და მტკიცედ ისწრაფვის ხელისუფლებისაკენ; ყოფილი ტოტალიტარული სოციალიზმის ქვეყნების მოხელენი ფლობენ მონოპოლიას სიმდიდრეზე, ხელისუფლებაზე, განათლებაზე და უფრო შუასაუკუნებრივ მოხელეებს მოგვაგონებენ.

თავი პირველი

პოლიტიკური ელიტის ფენომენის კვლევის თეორიული და მეთოდოლოგიური კონტექსტი

სოციალური და პოლიტიკური ანალიზის ერთ-ერთ საკვანძო თემას წარმოადგენს თანამედროვე ყველა ტიპის საზოგადოებაში ელიტების ფუნქციონირების, მნიშვნელობის, სოციალური საზღვრების გარკვევა-დადგენის პრობლემა. "ელიტიზმი" ანუ "ელიტური პარადიგმა" კვლავინდებურად დღის წესრიგში დგას და პოლიტოლოგთა და სოციოლოგთა მიერ აღნიშნული პრობლემის კვლევის განსაკუთრებულ ინტენსივობას განსაზღვრავს, რასაც დასაბამი მიეცა ჩვენი საუკუნის 60-იანი წლების დამდეგიდან.[1]

წინა წლებში მკვლევართა ყურადღება შედარებით ნაკლებად იყო აქცენტირებული ელიტიზმის პრობლემების მეცნიერულ კვლევა-ძიებაზე, რის შედეგად ცოდნის მოცემული დარგი არგუმენტაციული და ტერმინოლოგიური ბაზისის და სათანადო მეცნიერული ჰიპოთეზების უკმარისობას განიცდიდა. სიროულეს წარმოადგენდა აგრეთვე ნორმატიული და ემპირიული" თეორიის ერთიმეორისაგან გამოცალკევების ცდები.

თანამედროვე პოლიტიკური მეცნიერების სტანდარტების მიხედვით ელიტების თეორიული და დეფინიციური კვლევის ში-

---

1 Daronovich, D., The Ruling Class, L., 1961; Banfield, E.C., Political influence, NY, 1961; Guttsman, W, The British Political Elite, L, 1963; Prestus, R., Men at the Top, NY, 1964; Bottomore, T., Elites and Society, NY, 1965; Porter, L., The Vertical Mosaic, Toronto, 1965; Rose, A.M., The Power Structure, NY, 1967; Thoenes, P., The Elite in the Welfare State, L., 1966; Parry G, Political Elites L., 1969; Fuhman, F., Die Elite,. Zurich, 1970; Prewitt, K., The Ruling Elites: elite theory, power and american Democracy, NY, 1973; Helberstam, D., Die Elite, Hmb., 1974; Higley, I., Elite Structure and Ideology, Oslo, 1976; Bachrach, P., Political Elites in a Democracy, NY, 1971; Harding; R., Anatomy of a Power Elite, New Hawen, 1978; Field, G., Eliten und liberalismus, Opladen, 1983; Stone, L., An Open Elite?, Oxford, 1984; Klitgaard, R., Choosing Elites, NY, 1985; Simon, D., Elite defiance, Boston, 1986; Derlien, H., Comparative Elite Study, Bamnberg, 1987; Moring, T., Political Elite Action: Strategy and Autcome, Helsinky, 1989; Schneider, E., Die Politische Elite, Koln, 1991; Hoppe, H., Der Profil der neuen Politischen Elite Albanien, Köln, 1993; Hoppe, H., Der neue Politische Elite Kroatiens, Koln, 1997;Burkein, W., Eliten in Deutschland, Opladen, 1997, et cetera.

ნაარსი არ არის ბოლომდე ცხადი. ა. ცუკერმანმა კარგად აღწერა არსებული ვითარება: "პოლიტიკური ელიტის" კონცეფცია პარადოქსულია. მისი თეორიული კონსტრუქციების მხოლოდ მცირე ნაწილია ინტუიციურად შემეცნებადი. მიუხედავად იმისა, რომ საყოველთაოდ აღიარებულია საზოგადოებაში პოლიტიკური ძალაუფლების განაწილების ასიმეტრიული ხასიათი, მაინც პოლიტიკური ელიტიზმის კონცეფცია სპეციფიკურ სირთულეებს აწყდება პრობლემის დედაარსის დესკრიფციის საქმეში. ემპირიული კვლევის სუბიექტების ლოკალიზების ანუ, პოლიტიკური ელიტის წევრთა სოციალური შემოსაზღვრის - დემარკაციის ცდები იწვევს ურთიერთ საწინააღმდეგო განსაზღვრებებს.[1] ავტორი მიუთითებს, რომ საერთოდ ელიტის და კერძოდ პოლიტიკური ელიტის იდეა განსაკუთრებით ბოლო ათწლეულებში მოსახერხებელ კონცეპტუალურ ინსტრუმენტარიუმს წარმოადგენს თანამედროვე საზოგადოებათა სოციალურ-პოლიტიკური ტენდენციების კვლევის სფეროში.[2] თანამედროვე საზოგადოება რთული სოციალური წარმონაქმნია, რომელიც ბიუროკრატიზაციის, სპეციალიზაციის და დიფერენციაციის მაღალი ხარისხით ხასიათდება.[3] სწორედ ამ ასპექტში ხდებოდა ელიტების ლოკალიზება და სოციალური დემარკაცია.

ინსტიტუციონალიზებული პოლიტიკურ ძალაუფლების პოზიციებზე მყოფ ინდივიდთა როლის გარკვევისათვის საჭიროა საზოგადოების ფუნქციონირების შესწავლის მეთოდით საკმაოდ კვალიფიციურად ოპერირება. მაგრამ როდესაც ტერმინის დაზუსტებისა და შესაბამისი პროცედურების (ანალიზის მეთოდიკის) ფორმულირების ამოცანის წინაშე აღმოვჩნდებით, რომელთა მეშვეობითაც შესაძლებელია კონკრეტული ღირებულების მქონე დასკვნების მიღება "ძალზე რთულია ელიტის ცნებისათვის იმანენტურად დამახასიათებელი გაურკვევლობის დაძლევა".[4]

პოლიტოლოგიურ და სოციოლოგიურ ლიტერატურაში ელიტის საერთოდ, და პოლიტიკური ელიტის კერძოდ, მრავალ გან-

---

1 Zuckerman, A, The concept "Political Elite": lessons from Mosca and Pareto. NY., 1977, p. 324-325

2 Ibid, p. 344

3 Stone, C.N., New class or convergence? Power and Elites. NY, 1984, vol I, p. 1.

4 Marcus, G.E., "Elite" as a concept; theory and research tradition, in G.E.Marcus (ed), Elites: Ethnographic Issues, New Mexico, 1983, p.7

საზღვრებას ვხვდებით. მათი ერთი ნაწილი "მკაცრი და ვიწროა"[1]. ამის გამო ელიტის სოციალური დემარკაცია და ლოკალიზაცია პრაქტიკულად თითქმის შეუძლებელია. განსაზღვრებათა მეორე ნაწილი კი ზოგადი და ყოვლისმომცველია ელიტის სტრუქტურისა და ნიშნების თვალსაზრისით, ამიტომ დეფინირებადი კატეგორია სიზუსტეს და ანალიტიკურ ღირებულებებს კარგავს.[2] ვილფრედო პარეტოს მიხედვით ელიტა არის "კლასი ადამიანების, ეისაც აქვს უმაღლესი ინდექსი (ნიჭიერების ან ქედებისა).... ადამიანის საქმიანობის (თითოეულ) დარგში"[3] გაეტანო მოსკას მოძღვრებაში ელიტად ("პოლიტიკური კლასი") მიჩნეულია ძალაუფლებაზე ორიენტირებული პოლიტიკურად აქტიური ადამიანები - საზოგადოების ორგანიზებული უმცირესობა.[4] ხოსე ორტეგა ი. გარეტი ელიტად მიიჩნევს საზოგადოებაში პრესტიჟით, სოციალური სტატუსით, სიმდიდრით გამორჩეულ პიროვნებებს, რომლებსაც გააჩნიათ პასუხისმგებლობის უმაღლესი გრძნობა და მასებთან შედარებით მორალური და ინტელექტუალური უპირატესობით გამოირჩევიან[5] ამერიკელი სოციოლოგი ამიტაი ეერნერი ეტციონი, რომლის ძირითადი შრომები პოლიტიკური სოციოლოგიის პრობლემებს ეძღვნება ელიტად (პოლიტიკურ ელიტად) მიიჩნევს, ადამიანთა ჯგუფს, რომელიც ხელისუფლებრივ პოზიციებს ფლობს.[6] ცნობილი ფრანგი ფილოსოფოსი და სოციოლოგი ჟულიენ ფროინდი ელიტად აცხადებს ქარიზმით მირონცხებულ "ღვთითშთაგონებულ პიროვნებებს"[7] ხოლო გამოჩენილი ინგლისელი ისტორიკოსი არნოლდ ტოინბი - საზოგადოების შემოქმედებით უმცირესობას.[8]

ტ.რ. დაის ელიტად მიაჩნია მაღალი რანგის ჩინოვნიკები, რომლებიც ორგანიზაციებსა და ინსტიტუტებში ფლობენ ფორმალურ ხელისუფლებას, განსაზღვრავენ საზოგადოებრივ ცხოვრებას; ს. კელლერს უმცირესობა, რომლებსაც გააჩნიათ დიდი

---

1 Moyser, G., Wagstaffe, M., Research Methods for Elite Studies, L., 1987, p.7

2 Ibid, p. 7

3 Pareto, V., Mind and Society, NY., 1935, p. 1422-3

4 Albertony Ettore A., Mosca and the Theory of Elitism, Oxford, 1987, p. 13-16

5 Современная западная социология (словарь), М, 1990, p. 416

6 Freund, J. L'essence du politique, Paris, 1965.

7 Etzioni, A.V., Social Problems, NY., 1976, p. 17

8 Bahro, R., The Alternative in Eastern Europe, L., 1978, p. 141.

ზეგავლენა საზოგადოებაში ან ახორციელებენ მასში მნიშვნელოვან ფუნქციებს ; მ. ბოდენს ლიდერები ან ნებისმიერი სოციალური ჯგუფების გამოსენილი წარმომადგენლები ; ლ. დიუპრეს - ადამიანები, რომლებსაც მაღალი მდგომარეობა უჭირავთ საზოგადოებაში და ამის მეშვეობით ახდენენ ზეგავლენას სოციალურ პროგრესზე ;გ. ლასუელს დიდი მესაკუთრე და პრესტიჟული პიროვნებები ; ვ. გეტსმენს - ვისაც საზოგადოებრივი ცხოვრების პოლიტიკურ, ეკონომიკურ, კულტურულ სფეროში უკავიათ წამყვანი პოზიციები;[1] დრაიტცელს ისინი ვინც გამოირჩევა ფუნქციობის უნარითა და მაღალი კვალიფიციური მონაცემით ; რ. გუნტერს - პირები, რომლებიც თავისი სტრატეგიული პოზიციებით ყოველისშემძლე ორგანიზაციებში, ახდენენ მუდმივ და მნიშვნელოვან გავლენას. სახელმწიფო პოლიტიკაზე[2] პოლიტოლოგთა ერთ ნაწილს შორის არსებობს კონსენსუსი იმის თაობაზე, რომ ელიტად მიჩნეული იქნას "უნიტარული ჯგუფი, რომლის წევრები შეკავშირებულნი არიან ე.წ. 3 ს-ით (ცნობიერება Consciousness, შეთანხმებულობა - Coherence, კონსპირაცია Conspiracy). ამ ჯგუფისათვის დამახასიათებელია ჯგუფური ცნობიერება, იგი კონსპირირებულია და აღჭურვილია საკუთარი ინტერესების დაცვის მექანიზმით. ეს პიროვნებათა მცირე სოციალური წარმონაქმნია, რომელიც ხელისუფლებრივ ფუნქციებს ახორციელებს საზოგადოებაში.[3] რიგი მკვლევარებისა ამჯობინებს ე.წ. "მინიმალურ დეფინიციებს", რომლებიც მოიცავს "ავტორიტეტული" ჯგუფების ფართო სპექტრებს. ამ პოზიციის ერთერთი ტიპიური წარმომადგენელია ფრანგი პოლიტოლოგი ე. სულეიმანი. "ყველა ვინც კი ფლობს ხელისუფლებრივ პოზიციებს, - განმარტავს იგი, - არის პოლიტიკური ელიტის ნაწილი".[4]

შეიძლება ითქვას, რომ სხვადასხვა სიტუაციებში და სხვადასხვა დროს ხელისუფლებრივ პოზიციები მრავალ ადამიანებს უკავიათ, მაგრამ მათი გამოცალკევება როგორც გარკვეული სოციალური თუ კულტურული თვისობრიობის მქონე ჯგუფისა, რომელიც რეალურ ზემოქმედებას ახდენს პოლიტიკურ

---

1 .Политология . Энциклопедический словарь М. 1993 ст. 403;

2 Ривера Ш.В. Тенденции формирования состава посткоммунистической элиты России: репутационный анализ. (в журн. Полис. 1995. /6 (30), стр. 62;

3 Meisel, I., The Myth of the Ruling Class, Ch, 1958, p. 12

4 Suleiman, E. N., Elites in French Society, Princeton, 1978, p. 4

პროცესებზე საკმაოდ არასაიმედოა, ამიტომ, მოცემული განსაზღვრება ანალიტიკური თვალსაზრისით უსარგებლოა. განსაზღვრების სიზუსტის პრობლემა კიდევ უფრო რთულდება, როცა "პოლიტიკურ ელიტას" უკავშირებენ რასაც ძალზე ხშირად ვხვდებით პოლიტოლოგიურ და სოციოლოგიურ გამოკვლევებში - პოლიტიკურ ხელისუფლებას[1] ხელისუფლების ცნება თეორიულად ილუზორულია, იგი "მრავალი სახეობისა და განზომილების" მქონე ტერმინია.[2] პოლიტიკური ხელისუფლება არ ექვემდებარება ზუსტ დემარკაციას. ეს გარემოება მას გარკვეულწილად აბსტრაქტულ ხასიათს ანიჭებს და მისი შემეცნების სირთულეს განაპირობებს. მკვლევართა გარკვეული ნაწილი პესიმისტურად აფასებს ხელისუფლებას როგორც სამეცნიერო კვლევის ობიექტის წვდომის შესაძლებლობას.

პოლიტოლოგი ჯ. პერი მსჯელობს პოლიტიკური ელიტის ფენომენის სამეცნიერო კვლევის სირთულეებზე. მისი თვალსაზრისით პოლიტიკური ელიტის კონცეფციის ადეპტების წარუმატებლობა იმით აიხსნება, რომ ელიტის ზეგავლენის საზღვრების დადგენის მცდელობისას არ ითვალისწინებენ სპეციფიკურ პოლიტიკურ არეალებს, ხელისუფლებრივ ურთიერთობათა ფორმირებაში პერცეპციების - იდეოლოგიების, "იდოლების" როლს, ისეთი კომპლექსური პრობლემა, როგორიცაა: "დიდი გადაწყვეტილებებისა" და "გადაწყვეტილების მიმღებთა" იდენტიფიცირება, სისტემებისა და სუბსისტემების "საზღვრების" დადგენა, რომელშიც ფუნქციონირებს პოლიტიკური ხელისუფლება, ელიტის მმართველობისადმი მიმართული წინააღმდეგობის დაძლევის დანახარჯები.[3]

პოლიტოლოგებისა და სოციოლოგების არც თუ ისე მცირე ნაწილის თვალსაზრისით ელიტა და პოლიტიკური ელიტა არ არის სინონიმები. ვ. პარეტოს შეხედულებით შეიძლება ელიტას მივაკუთვნოთ წარმომადგენლები სოციალურად მნიშვნელოვანი იერარქიების ზედა ეშელონების, როგორიცაა: პოლიტიკა, სპორტი, აკადემიური სფერო, რელიგია და თუნდაც კრიმინალური

---

1 Domhoff, G.W., Who Rules America? NY., 1967; The Higher Circles, NY, 1971 ch. 1; Higley, J, Deacon, D., and Smart, D., Elites in Australia, L., 1979, ch.1.

2 Lukes, S., Power: A Radical View, L., 1974, pp 26-31; Mackenzie, W., I.M., Politics and Social Science, Harmondsworth, 1967, ch 14.

3 Perry, G, Political Elites, L., 1969, p. 138

სამყარო. იდეას, რომ "საუცხოონი" გვხვდებიან საზოგადოების ყველა ფენის ადამიანებში მკვლევართა გარკვეული ნაწილი იზიარებს.[1]

მაგალითად ჯ. დომჰოფი განიხილავს "the jet set" -ს[2] მდიდარ პლეიბოებსა და კინოვარსკვლავებს - როგორც ერთიერთ სპეციალიზებულ ელიტას, და უარყოფს ცნობილი ამერიკელი სოციოლოგის ჩარლზ რაიტ მილსის თეზისს, რომ ისინი არ მიეკუთვნებიან "ხელისუფლებრივ ელიტას".[3] რ. კელსალი, ა. პული და ა. კუნი აკონკრეტებენ ელიტის იდეას როგორც რნეულ პიროვნებათა სოციალურ ჯგუფს და ამ მოსაზრებებს ასაბუთებენ მათ მიერ დიდი ბრიტანეთის უნივერსიტეტების კურსდამთავრებულთა ანუ "სელექციური უმცირესობის" - ელიტის შესწავლის საფუძველზე. ხსენებული პოლიტოლოგები განმარტავენ, რომ უნივერსიტეტების ახალგაზრდა კურსდამთავრებულებს არა მხოლოდ მაღალი სტატუსი და ხელფასი აქვთ, არამედ მათი როგორც ჯგუფების ზეგავლენა ბევრად დიდია, ვიდრე მათი ხვედრითი წილი ბრიტანეთის მოსახლეობაში.[4]

ისინი წარმოადგენენ "რელატიურ ელიტას" ასკვნიან ხსენებული ავტორები.

პოლიტოლოგიური და სოციოლოგიური ლიტერატურის შესწავლისა და ელიტის მრავალ განსაზღვრებათა კომპარატიული ანალიზის საფუძველზე ჩვენ ვიზიარებთ იმ მკვლევართა მოსაზრებებს, იმლებსაც მიანნიათ, რომ ელიტის ფენომენის სამეცნიერო კვლევა ხელისუფლებისა და "ზეგავლენის" კონტექსტში უნდა (წარმოებდეს), ხორციელდებოდეს. ინგლისელი პოლიტოლოგი ი. კრუ შენიშნავს, რომ "ელიტის რამდენადმე დამაკმაყოფილებელი თეორიის შემუშავება არ არის შესაძლებელი სახელმწიფოებრივი ხელისუფლების თეორიის გარეშე"[5] ელიტის ფენომენის სამეცნიერო კვლევა უნდა

---

1 See: Grewe, I, "Introduction: studying elites in Britain in I. Grewe (ed), Britich Political Sociology Yearbook, V. I: Elites in Western Democracy; L, 1974, p.34; Elites: Ethnographic issues. Marcus, G.E, (ed), NM, 1983, p.8

2 "the jet. set" - ამერიკა. სასაუბრო - ელიტა, საზოგადოების ნაღები; "ფულის ქისა".

3 Domhoff, G.W., The Higher Circles, NY, 1971, p. 166

4 Kelsall, R.K., Poole, A. and Kuhn, A., Graduates: The Sociology of an Elite, L., 1972, p. 21.

5 Crewe, I., "Introduction: studuing elites in Britain" in I Crewe (ed), British Political Sociology Yearbook, V I: Elites in Western Democracy, L., 1974, p. 34.

ხორციელდებოდეს იმ ფაქტორების და ტენდენციების შესწავლასთან ერთად, რომლებიც განსაზღვრავს საზოგადოების მოძრაობა-განვითარებას ერთი გარკვეული მიმართულებით. ამ თვალსაზრისით ყურადსაღებია ს. ნეიდელის მიერ შემოთავაზებული ელიტების ტიპოლოგია. იგი გამოყოფს "სოციალურ", "სპეციალიზებულ", და "მმართველ ელიტას". საზოგადოებაზე მათი ზეგავლენა - ს. ნეიდელის მიხედვით, - ვლინდება არა იმდენად აშკარა და პირდაპირი პოლიტიკური საშუალებების გამოყენებით, რამდენადაც უფრო ფაქიზი და არაპირდაპირი გზით, კერძოდ, ელიტების ცხოვრების სტანდარტების ზემოქმედებით მასის მისწრაფებებზე, ღირებულებებსა და ქცევის მოდელზე.[1]

ამდაგვარი ზეგავლენის რეალურობა დამოკიდებულია ბატონობის, სიმდიდრის, სტატუსის სამი ვებერისეული პირამიდის შეერთების ინტენსივობაზე.[2] ზოგიერთ საზოგადოებაში, განსაკუთრებით თანამედროვე სოციუმებში, აღნიშნული სამ პირამიდას შორის, საუკეთესო შემთხვევაში, შეიძლება ადგილი ჰქონდეს არასრულ შესაბამისობას. სიმდიდრე არ შობს აუცილებლად პოლიტიკურ ბატონობას, ან სოციალურ პრესტიჟს.[3] ხელისუფალნი შეიძლება სპეციალურად ეწეოდნენ სიმდიდრის და ტრადიციული სტატუსის მქონე სოციალური ფენის პოზიციების წინააღმდეგ მიმართული ძირგამომოხრელ საქმიანობას (ოქტომბრის გადატრიალება ამის რადიკალურ მაგალითს წარმოადგენს). დასავლეთის საზოგადოებებშიც დროდადრო ტარდებოდა პოლიტიკური კურსი, რომელიც მიზნად ისახავდა სტატუსისა და სიმდიდრის პოლიტიკურ ფაქტორად გადაქცევის შეზღუდვას. მიუხედავად ამისა, ამერიკის შეერთებულ შტატებსა და დასავლეთ ევროპაში ზემოხსენებული სამი ვებერიანული პირამიდის (ხელისუფლება, სიმდიდრე, სტატუსი) ურთიერთკავშირი საკმაოდ თვალში საცემია.[4] ორაზროვნება და გაურკვევლობა, რომლითაც გარემოცულია ტერმინი "ელიტა", დამახასიათებელია როგორც მისი ე.წ. "ჰორიზონტალური წყობისათვის" (ე.ი. იგულისხმება საერთო ინტერესებით გაერთიანებული "მაღალი წრის

1 Moyser, G., Wagstaffe, M., Reserch Methods for Elite Studies, L., 1987. p. 9

2 Ibid.

3 Kovanagh, D.A., Government and Opposition, L., 1971, vol. 6. wa 3 pp. 337

4 Putnam, R., The Comparativ Study of Political Elites, Englewood Cliffs, 1976, ch II,; Moran, M., Politics and Society in Britain, L., 1985, ch. 6

წამყვანი პიროვნებების“ სიახლოვე ხელისუფლების ცენტრთან), ისე გარკვეულწილად “ვერტიკალური წყობისათვის“. აქ იგულისხმება ელიტის სტრატის “სიღრმე“ ანუ ის, სადაც გადის საზღვარი ელიტის უმაღლეს, საშუალო და ქვედა ფენებს შორის. ამ საკითხის გარშემო ელიტისტებს შორის აზრთა სხვადასხვაობას აქვს ადგილი. მაგალითად, ელიტიზმის კლასიკოსებმა სამეცნიერო ხმარებაში შემოიტანეს “მმართველთა და მართულთა“ მარტივი მოდელი, რომლის მიხედვით, რიგ შემთხვევაში, ამ ორი სოციალური სტრატას შორის განლაგებული შუა სტრატა ემატება. იმ დროიდან მოყოლებული იდეა შინაარსობრივად უფრო რთული გახდა მცდელობის გამო, რათა მკვლევარები უფრო ზუსტად ნაწვდომოდნენ ყოველ შესაძლო მინქმალულ ნიუანსს. ასე, მაგალითად, ინგლისელი პოლიტოლოგი რ. პატნამი მსჯელობს ხელისუფლების ექვსმაგ განაწილებაზე და ამავ დროს დასძენს, რომ ელიტასა და საზოგადოების დანარჩენ ნაწილს შორის სადემარკაციო ხაზის გავლება, საბოლოო ანგარიშით, სპეციალური განსჯისა და შეფასების საგანს წარმოადგენს.[1]

ზემოთქმულის გათვალისწინებით შესაძლებელია ვივარაუდოთ, რომ კანონზომიერი იქნებოდა ტერმინ “ელიტის“ სამეცნიერო ხმარებიდან ამოღება, როგორც გაურკვეველისა და პრობლემურისა თანამედროვე პოლიტიკური მეცნიერებისათვის. მაგრამ სიძნელეთა უგულებელყოფა არ არის სასურველი აქტი და არც მათი გაზვიადებით შეიძლება დადებითი შედეგების მიღწევა. პოლიტოლოგთა და სოციოლოგთა დიდ უმრავლესობას მიაჩნია, რომ “ელიტის“ იდეა მეტად სასარგებლო და გამოსადეგია მეცნიერული ანალიზისათვის; ამდენად იგი შენარჩუნებულ უნდა იქნეს, მაგრამ სიცხადის თვალსაზრისით საჭიროა მისი თეორიულად და მეთოდოლოგიურად დახვეწა. მნიშვნელოვანია ის, რომ ბოლო წლებში მკვლევარებს შორის მიღწეული კონსენსუსი ელიტის განსაზღვრებისა და მისი კონტურების გამოკვეთის საკითხზე, აგრეთვე როგორც ამ პროცესის თანმდევ მოვლენას ადგილი აქვს თანხმობას, თუ რომელი სოციალური ჯგუფების შეტანა არის შესაძლებელი ე.წ. “მონაცემთა კონტეინერში“[2] ე.ი. რა უნდა წარმოადგენდეს მეცნიერული კვლევის საგანს.

---

1 Putnam. R., The Comparative Study of Political Elites, Englewood Cliffs, 1976, pp. 8-12.

2 Burton, M.G., "Elites and Collective protest", The Sociological Quarterly, L., 1984, vol. 25 (Winter), pp. 45-46

პოლიტოლოგების გ. ბერტონისა და ჯ. ჰიგლის ნაშრომი, რომელიც გამოცემულია 1984 წელს, დაყოფილია სამ ძირითად ნაწილად. პირველში განხილულია ელიტის როგორც სოციალური ფენომენის გარდუვალობის საკითხები; მეორე ეძღვნება ელიტის ცვალებადობის (მონაცვლეობის) საკითხებს; მესამე ელიტისა და არაელიტის ურთიერთდამოკიდებულების პრობლემას. ავტორები აღნიშნავენ, რომ დაშვება თეზისისა, რომ ელიტები ყოველთვის არსებობდნენ და უნივერსალურნი არიან ბუნდოვან საკითხს წარმოადგენს".[1] მათი აზრით, ამის მიზეზია უპირველეს ყოვლისა ის, რომ ჯერჯერობით არ არის მკაფიოდ განსაზღვრული თუ რას წარმოადგენს ელიტა, რის გარეშეც შეუძლებელია მისი გარდუვალობის საკითხის გადაჭრა. ავტორების შეხედულებით, დადებითი ფაქტია, რომ დღესდღეობით ელიტას სოციალურ წარმონაქმნად მიიჩნევენ, რომელიც არსებითად ბიუროკრატიული ორგანიზაციებისა და ინსტიტუტების სტრუქტურებისა და ფუნქციონერებიდან აღმოცენდება" ამ ვითარებამ შექმნა საფუძველი ჰიპოთეზისა, რომ პრინციპულად შესაძლებელია ემპირიული კვლევა.[2] რაც შეეხება ელიტების ტიპოლოგიის დადგენის პრობლემას, როგორც აღნიშნავენ მ. ბერტონი და ჯ. ჰიგლი, "აქ შედარებით მცირე პროგრესს ჰქონდა ადგილი მოსკასა და პარეტოს შემდეგ".[3] მაგრამ ამ სფეროშიც ბოლო დროისათვის ელიტების კლასიფიკაციის წარმოჩენაა დამახასიათებელი, რის შედეგად შესაძლებელი ხდება ემპირიულად დასაბუთებული თეორიის ჩამოყალიბება. ელიტების ტიპოლოგია არკვევს "ინტრაელიტურ ურთიერთობათა" ხასიათს, ანუ მათ "ინტეგრირებას" ან "ფრაგმენტულობას" და ელიტის წარმომადგენელთა შორის არსებული ნორმატიული კონსენსუსის დონეს.[4] ამდაგვარი სახეობის ტიპოლოგია უპასუხოდ ტოვებს კითხვას წარმოადგენს თუ არა, იდეოლოგიური შეკავშირება-შეთანხმებულობა ანუ ინტეგრაცია ელიტის განსაზღვრების არსებით მხარეს. მ. ბერტონის და ჯ. ჰიგლის მიხედვით ინტეგრირება უნდა განიხილებოდეს როგორც ელიტის ცვალებადი თვისება და არა როგორც წინაპირ-

1 Burton. M.G., Higley, I., "Elite theory: the basic contentions", American Sociological Association Meeting, San Antonio, 1984, p. 1.

2 Ibid., p.5

3 Ibid. p.10

4 Ibid. p. 11.

ობა ელიტის განსაზღვრებისათვის. ცდებიან თუ არა ხსენებული პოლიტოლოგები ამაზე პასუხის გაცემა ძალზედ გაგვიძნელდება, აღნიშნავენ ცნობილი პოლიტოლოგები ჯ. მოიზერი და მ. ვაგსტავი. " ეს უფრო ვარაუდის საკითხია, - განმარტავენ ისინი, ვიდრე ლოგიკის ან განმარტებითი უნარისა, მეორეს მხრივ, ასეთ სიტუაციებში რომელიმე ერთი განსაზღვრება სხვებთან შედარებით უფრო გამოსადეგი და ეფექტური აღმოჩნდება ახალი თეორიის სტიმულირებისათვის და ამით გვეხმარება რეალობის უკეთ გაგებაში".[1]

ამ თვალსაზრისით საყურადღებოა ინგლისელი პოლიტოლოგის ა. გიდენზის ნაშრომი "ელიტები ბრიტანეთის კლასობრივ სტრუქტურაში", რომელშიც ნათლად არის ნაჩვენები, რომ ელიტების როგორც "სოციალური". ისე "მორალური" ინტეგრაცია ცვალებადი ბუნებისაა და მკვლევარს დახმარებას უწევს თეორიულ განსხვავებათა ფორმულირებაში. ელიტების რეკრუტირების განსხვავებული მეთოდების შესაბამისად ა. გიდენზი გამოყოფს ელიტის ოთხ იდეალურ ტიპს: "სოლიდარულს", "უნიფორმულს", "აბსტრაქტულსა" და "დამკვიდრებულს".[2] რაც შეეხება ელიტისა და არაელიტის ურთიერთობას აქ კვლევის პროგრესი დამოკიდებულია შესასწავლი სოციალური სტრატის ადექვატურ დემარკაციაზე. გ. მოსკასა და ვ. პარეტოს თვალსაზრისი, რომ ელიტა და არაელიტა არსებობენ "დინამიურ, ურთიერთდამოკიდებულ მიმართებაში... არ იქნა სათანადოდ გაგებული და განხილული" მომდევნო წლებში მოღვაწე მკვლევარების მიერ. მათ ვერ მოახერხეს დასძენენ მ. ბერტონი და ჯ. ჰიგლი - განვითარებინათ აღნიშნული თვალსაზრისი უფრო ზოგად და "ემპირიულად სოლიდურ თეორიად".[3]

დასკვნის საილუსტრაციოდ შეიძლება მივუთითოთ ამერიკელი პოლიტოლოგების ს. ვერბასა და ნ.ნაის ნაშრომზე, რომელიც ეძღვნება პოლიტიკურ პროცესებში მონაწილეობისას მასისა და ელიტის თანაქმედების კვლევას.[4] ავტორები შეეცადნენ დაედგი-

---

1 Moyser, G., Wagstaffe, M., Research Methods for Elite Studies, L., 1987, p. 11

2 Giddens, A., "Elites in the Britich Class Structure" in P. StanWorth and A. Giddens (eds), Elites and Power in Britich Society, Cambridge, 1974, p. 6.

3 Burton, M.G., and Higley, J., "Elite theory: the basic contentions," American Sociological Assotiation Meeting, San Antonio, 1984, pp. 15-16.

4 Verba, S., Nie, N., Participation in America: Political Demorcacy and Social Equality, NY, 1972.

ნათ ლოკალური სოციალური ჯგუფების ლიდერებსა და სამოქალაქო მოსახლეობას შორის ურთიერთთანხმობისა ანუ "კონგრუენტულობის" დონე და ეხვეენებინათ თუ როგორ ვარირებს იგი განსხვავებული ტიპის ლოკალურ სოციალურ ჯგუფებში.[1] ცდამ საინტერესო შედეგები გამოიღო, მაგრამ მეთოდოლოგიურად არასრულყოფილი აღმოჩნდა, განსაკუთრებით, ელიტის ფენომენის განხილვისას. ძირითად პრობლემას წარმოადგენდა ის, რომ ყოველი ლოკალური ელიტის ფარგლებში განიხილებოდა იდივიდუმთა შედარებით მცირე რიცხვი, რაც სუბელიტების ანალიზს და ინტრაელიტურ კონსენსუსის შესწავლას მეტად ართულებდა. ყურადსაღებია აგრეთვე პოლიტოლოგების ჯ. პერისა და ჯ. მოიზერის ნაშრომი. ავტორების კვლევის ობიექტს წარმოადგენდა ლოკალურ სოციალურ წარმონაქმნთა ელიტების წარმომადგენელთა შედარებით დიდი რიცხვი, რის შედეგად ინტრაელიტური და ელიტასა და არაელიტას შორის ურთიერთობის ანალიზი უფრო ზუსტი აღმოჩნდა.[2]

თანამედროვე სოციალური მეცნიერების სტანდარტების მიხედვით ელიტის პარადიგმა ნაკლოვანია იმ მხრივ, რომ ვერ ახდენს ნორმატიულის ემპირიულისაგან სათანადო სიზუსტით დემარკაციას. ამ თვალსაზრისით იგი გამონაკლისს არ წარმოადგენს.: როგორც ჩანს, მარქსიზმისა და პლურალიზმისათვის დამახასიათებელია დესკრიფციული და პრესკრიფციული მტკიცებათა დებულებების აღრევა. შესაძლებელია იგი გარდუვალი იყოს "პაექრებად ცნებებზე" დაფუძნებულ პოლიტიკურ თეორიაზე.[3] - განმარტავს პოლიტოლოგი უ, გელი.

ელიტიზმის ექსპონენტების თვალსაზრისით "ფიქსირებული უთანასწორობა" დამახასიათებელია არა მხოლოდ ტრადიციული, არამედ თანამედროვე სოციუმისთვისაც. XIX საუკუნის დამლევიდან ევროპასა და ჩრდილოეთ ამერიკაში მისი "მოხსენიება იდეოლოგიურად არაკორექტული გახდა"[4] ეს გასაგებიცაა, ვინაიდან ლიბერალური და დემოკრატიული ტრადიციისათვის "მიუღებე-

---

1 Ibid., pp. 3-4

2 Moyser, G., Wagstaffe, M., Research Methods for Elite Studies, L, 1987, p. 12.

3 Gallie, W.B., "Essentially Contested Concepts", Proceedings of the Aristotelian Society 1956, vol. 5, pp. 167-68

4 Marcus, G.E., "Elite" as a concept, theory and research tradition" in G.E. Marcus (ed), Elites: Ethnographic Issues, New Mexico, 1983, p. 8.

ლია პრივილეგიური ძლევამოსილი ინდივიდუუმების ხანგრძლივად ფუნქციონირებადი ჯგუფის არსებობა“[1] ხოლო ელიტიზმის თეორიის ადეპტებს მიაჩნიათ, რომ მათი შეხედულებები “შეთავსებადია“ ლიბერალურ-დემოკრატიულ ღირებულებებთან. ელიტისტების აზრით ეს “გაუგებრობა“ ანდა მცდარი ინტერპრეტაცია ორი გარემოებით არის გამოწვეული. ჯერ ერთი, უარყოფენ ელიტის თეორიისა და რადიკალური ეგალიტარიანიზმის შეთავსებულობის შესაძლებლობას. ელიტისტების მოძღვრების მიხედვით, არ შეიძლება საზოგადოება “გარდუვლად“ უთანასწორო იყოს და ამასთან ერთად ნერგავდეს რწმენას მისი წევრების აბსოლუტური სოციალურ-პოლიტიკური თანასწორობის შესაძლებლობის შესახებ, ეს კი ელიტისტურ პოზიციისათვის ანტითეზიკურია; მეორე, ელიტიზმის კლასიკოსები რ. მიხელსი და ვ. პარეტო სხვადასხვა გზით იტალიური ფაშიზმის დამცველთა რიგებში აღმოჩნდნენ.[2]

ცხადია, რომ ჩვენ ამოცანას არ წარმოადგენს წამოჭრილი საკითხების გადაჭრა. მაგრამ აქ ერთი მნიშვნელოვანი შენიშვნა გვმართებს იმის თაობაზე, რომ ემპირიული კვლევა და ელიტის თეორიის განვითარება მოხდა დისკუსიურ პრესკრიპციულ კონტექსტში, პოლიტოლოგი ჯ. მარკუსი აღნიშნავს, რომ “ელიტის კვლევის იმანენტურად დამახასიათებელი ნორმატიული განზომილებები ხშირად წვდება მის ზომიერსა და ვიწრო ემპირიულ მიზნებს“ .[3]

თანამედროვე შეფასებითი კრიტერიუმი საზოგადოებრივ მეცნიერებებში თეორიული კვლევის მეთოდს იგივე მნიშვნელობას ანიჭებს, როგორც კვლევის თვისობრიობას. ბიჰევორიული რევოლუციის მემკვიდრეობა, რამდენადაც ადგილი აქვს ხალხთა

---

1 Burton, M.G., Elites and Collective Protest, NY, 1984, p. 49.

2 აღნიშნულმა ვითარებამ ცხარე დისკუსია გამოიწვია იმის თაობაზე, არსებობს თუ არა ელიტის თეორიის აუცილებელი და პრესკრიფციული კავშირი რომელიმე გარკვეულ იდეოლოგიასთან, რასაც მ. ბერტონი დიდის მონდომებით უარყოფს (იხ. Burton, M.G. Elites and Collective Protest, NY, 1984, pp. 45-66). სპირისპირო პოზიცია უკავია დ. ბითემს, რომლის მსჯელობით "ელიტიზმის თეორია ფაშიზმის ნაირსახეობას წარმოადგენს... ელიტისტური არგუმენტების ხასიათი უბიძგებდა ელიტიზმის ადეპტებს მხარი დაეჭირათ ფაშიზმისათვის სპეციფიკურ ისტორიულ კონტექსტში. ხოლო ელიტიზმის თეორიის კატეგორიები ფაშიზმის ლეგიტიმირების ხელსაყრელ წყაროს წარმოადგენდა". (იხ. Beetham, D., "Reply to Bennet", Political Stuclirs, vol. 26, no 4, pp. 489-90).

3 Marcus, G.E., "Elite" as a concept, theory and research tradition", in G.E. Marcus (ed), Elites: Ethnographic Issues, N.M. 1983, p. 9.

მასების ქცევის შესწავლას, წარმოადგენს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ტექნიკურ დახელოვნებულობას (გაწაფულობას, დახვეწილობას). 30-იან წლებში გამოკითხვის მეთოდების განვითარებამ დასაბამი მისცა კვლევის მიზნით მოსახლეობის დიდი წარმომადგენლობითი სეგმენტების სელექციურ შერჩევას.[1] თქმა იმისა, რომ პრობლემები საბოლოოდ გადაიჭრა არ შეიძლება, მაგრამ დახვეწილი და შედარებით ზუსტი სელექციის ტექნიკა და მეთოდები უკვე არსებობს.[2]

ორმოცდაათიანი წლებიდან მოყოლებული კომპიუტერული ტექნიკის განვითარებამ განსაკუთრებით რაოდენობრივი ანალიზის საფუძვლების განმტკიცებას შეუწყო ხელი. ამ გარემოების შედეგია ის, რომ არაელიტების სოციალური კვლევის მეთოდები დიდად არის განვითარებული და შინარსობრივად რთული საკითხების ფორმულირებისა და მათზე პასუხის გაცემის საშუალებას გვაძლევს.[3]

ზემოაღნიშნულის ფონზე ელიტის კვლევის სტანდარტები კი საოცრებისოდ უფრო დაბალ დონეზეა. როდესაც საქმე ეხება საკვლევი ობიექტების სელექციას სიზუსტისა და დახელოვნებულობის ნაცვლად ადგილი აქვს დისკუსიებსა და ad. hoc პროცედურებს.[3] დისკუსიების მასაზრდოებელ წყაროს, ნაწილობრივ, ელიტარობისა და ხელისუფლების ურთიერთკავშირის საკითხი წარმოადგენდა, ხოლო მთავარი მიზეზი იმაში მდგომარეობს, რომ ორმოცდაათიანი წლებიდან დაწყებული მკვლევარები აკითარებენ აგრეთვე ალტერნატიულ მეთოდებს, რომლის მიხედვითაც პიროვნებათა შერჩევა ელიტის სტრატიდან ეუფლებოდა სოციალურ, ეკონომიკურ და პოლიტიკური ზემოქმედების ინდიკატორებს.

პოლიტიკური ელიტის ცნების შინაარსი თანამედროვე მკვლევარების მიერ განიხილება იმის მიხედვით თუ რომელ კონცეპტუალურ მიდგომას იზიარებენ ისინი.[4] მათ შორის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია:

---

1 Miller. W.. The Survey Method in the Social and Political Sciences. L. 1983.

2 Goyder, J.. Leiper, J.M.. "The decline in survey response: a social values interpretation". Sociligy. vol. 19. no. 1. pp. 56-7

3 Moyser G.. Wagstaffe, M.. Research Methods for Elite Studies L.. 1987. p. 14

4 ამ მეთოდების ირგვლივ საფუძვლიანი მსჯელობა გვექნება შემდეგ თავში.

ა) პოზიციური (სტრუქტურული, ორგანიზაციული), რომლის მიხედვითაც ინდივიდის ან ჯგუფის ელიტისადმი მიკუთვნება განისაზღვრება მათი მდგომარეობით საზოგადოების ოფიციალურ სოციალურ-პოლიტიკურ სტრუქტურაში და მათი განსაკუთრებული სოციალური თვისებებით.

ბ) ფუნქციონალური (შედეგიანი, გადაწყვეტილებითი), რომლის მიხედვითაც მითითებულ კატეგორიაში შედის ადამიანები, რომლებიც ღებულობენ პოლიტიკურ გადაწყვეტილებებს ან ახდენენ მნიშვნელოვან ზეგავლენას მათ მიღებაზე. (მოცემული მიდგომა ერთმანეთისაგან გამოყოფს ძალაუფლების "ფორმალური" და "რეალური მატარებლების ცნებებს).

გ) რეცეპტუალური, რომელიც ელიტარულობის მნიშვნელოვან კრიტერიუმად მიიჩნევს პოლიტიკურ გავლენას;

დ) ეკონომიკური, რომლის მომხრეებიც მნიშვნელოვან როლს აკუთვნებენ წარმოების საშუალებების ფლობას და მათზე კონტროლს;

გამოიყენებენ აგრეთვე ბიჰევიორისტულ და ღირებულებით მიდგომებს.[1]

თანამედროვე მეცნიერებაში, როგორც წესი, გამოიყენება ელიტების იდენტიფიკაციის სამი მეთოდიდან ერთ ერთი: პოზიციური ანალიზის (ე.ი. პოზიციის ანალიზი), რეპუტაციური ანალიზი (ე.ი. რეპუტაციის ანალიზი), გადაწყვეტილების მიღების ანალიზი (მეთოდი) მიუთითებს მიჩიგანის უნივერსიტეტის პოლიტოლოგი შერონ ვერნინგ რივერა.[2]

პრობლემისადმი ახლებურად მიდგომის სხვადასხვა მეთოდმა საკმაოდ ერთმანეთისადმდეგობრივი შედეგი უჩვენა. ამ გარემოებამ, ნათელყო თეორიისა და მეთოდის ურთიერთდამოკიდებულების ბუნება. ასევე, უნდა აღინიშნოს მნიშვნელოვანი ფაქტი, რომ უკვე საკმაოდ შესამჩნევია ელიტის დეფინიციის საკითხში კონსენსუსის აუცილებლობა. მაგრამ, მიუხედავად ამისა, მეთოდოლოგიური პროცედურები დიდი რაოდენობით შეიცავენ ad hoc გადაწყვეტილებებს, რომლებიც მიზნად ისახავენ რეალური სინამდვილის მრავალსახეობის "ობიექტურ ასახვას". ამის გამო მკვლევართა

1 Тарусина И.Г. Элитисты и плюралисты в современной политической теории. (Историографический экскурс). в журн - "Полис" 1997 /4, стр. 149-150.

2 Ривера Ш.В. Тенденции формирования состава посткоммунистической элиты России: репутационный анализ в журн. "Полис". 1995. /6 стр. 62.

ძალისხმევა მიმართულია ინდიკატორების განვითარებისათვის ტერმინის "ელიტის" ეფექტიანი "გაქმედებისათვის"[1] ყოველი მეცნიერული კვლევა -ძიება, რომელიც მიზნად ისახავს ელიტის სისტემურ იდენტიფიკაციას ანალოგიურ პრობლემებთანაა დაკავშირებული, რამეთუ პროცედურების შერჩევა მნიშვნელოვანწილად განაპირობებს კვლევის შედეგებს. მაგრამ როგორც შენიშნავენ პოლიტოლოგები ჯ. მოიზერი და მ. უაგსტაფი "ელიტის იდენტიფიკაციის სოლიდური მეთოდის შემუშავება შორეული ამოცანაა".[2] საყოველთაოდ აღიარებული კრიტერიუმიც ვერ ამართლებს თავის სტატუსს, ვინაიდან იგი დროის ფაქტორზეა დამოკიდებული. განმსაზღვრელ ფაქტორს წარმოადგენს ის, თუ დროის რომელ კონკრეტულ მონაკვეთში და რომელ კონკრეტულ ქვეყნის ფარგლებში ხორციელდება მეცნიერული კვლევა. ეს ფენომენი აქტუალურ პრობლემას წარმოადგენს, ვინაიდან ხელისუფლების განაწილება საზოგადოებაში ისტორიულად შეიცვალა და ამჟამადაც ადგილი აქვს მის სწრაფ ცვალებადობას. სახელმწიფო ხელისუფლებისა და ელიტარულობის ინდიკატორებზე მნიშვნელოვანი ეფექტი განსაკუთრებით ინდუსტრიალიზაციამ და სეკულარიზაციამ იქონია. საზოგადოების ტრანსფორმაციის დანქარების საქმეში მკვლევარები მიანიშნებენ ტექნოკრატიული ხელისუფლების ცოდნის კონტროლს და პოსტინდუსტრიული საზოგადოების სხვა მხარეების მზარდ მნიშვნელობაზე.[3] ხოლო თანამედროვე ეკონომიკის ინტერნაციონალიზაცია და ინფორმაციის ეპოქის დადგომა კიდევ უფრო ართულებს ეროვნული ელიტების აქტორების შერჩევას.

ამრიგად, ეროვნული სპეციფიკის გათვალისწინება, - განმარტავს ჯ. გალასკიევიჩი, - მეტად მნიშვნელოვანი და ღირებულია. მაგალითად ზოგიერთ ქვეყანაში სამხედრო ელიტა პოლიტიკური ცხოვრების გადამწყვეტი ფაქტორია, რიგ ქვეყნებში კი მისი როლი ამ ასპექტით აბსოლუტურად უმნიშვნელოა.[4] ამიტომ არ არის მიზანშეწონილი ერთაშორის განსხვავებათა უგულებელყოფა. ყოველი სოციალური, აგრეთვე პოლიტიკური ინსტიტუტი და

---

1 Moyser, G.. Wagstaffe, M., Research Methods for Elite Studies L, 1987. p. 15.

2 Ibid., p. 15.

3 See: Galbraith. J.K., The New Industrial State. Harmondswort, 1969:

4 Galaskiewicz. J. A Study of Business Philanthrophy and Nonprofit Organisations, FL, 1985. p. 132.

მათი ფუნქციების საზღვრებში მოქმედი ლიდერობის სტრუქტურები ვარიაობს ადგილობრივი ეკონომიკური, პოლიტიკური, სოციალური პირობების შესატყვისად. ხსენებული პრობლემების გადაწყვეტის მიზნით სისტემატური ძალისხმევის მიუხედავად, მეტად უმნიშვნელო პროგრესია მიღწეული.[1]

შესაძლოა საჭიროება მოითხოვს კვლავ ხაზგასმით აღინიშნოს, რომ ანალოგიური სირთულეები ასახავს თანამედროვე საზოგადოებათა პოლიტიკური ხელისუფლების საზღვრების ცვალებად და "შეუმჩნეველ" ხასიათს, რამდენადაც იგი არ წარმოადგენს კვლევისა და შესწავლის ძირითად საკითხს, ამდენად მეთოდოლოგიური პრობლემებიც შესაბამისად მარტივდება. ამიტომ, მეცნიერული კვლევისათვის საერთოდ აუცილებლობას არ წარმოადგენს ელიტარულ ინდივიდთა სელექციის მეთოდის ზუსტი ტერმინებით დასაბუთება.

შესაძლებელია, მაგალითად, რომ "სპეციფიკურ კვლევით ვითარებაში" ელიტა წარმოგვიდგეს შედარებით არაორაზროვან ფენომენად, როგორც ამას ხშირად ვხვდებით ტრადიციულ, მარტივ სოციუმებში, სადაც "ხელისუფლების ფლობა" შედარებით (არ არის შენიღბული) შეუნიღბავია. ან შესაძლებელია წავაწყდეთ ისეთ (იმდაგვარ) შემთხვევებს, როდესაც ელიტის კვლევის და შესწავლის მიზნებისათვის უფრო ხელსაყრელი იყოს, რომ ხელისუფლებისა და ელიტობის საკითხები არაძირითადი, თანმდევი იყოს. ამ მიმართებით განასხვავებენ "ელიტებს qua ელიტებს და ელიტებს როგორც ექსპერტებს ან "გუშაგებს"[2] ბოლო ორ შემთხვევაში განმსაზღვრელ ფაქტორს მეცნიერული კვლევა-ძიების პროცესში წარმოადგენს არა ის, პიროვნებები ელიტას მიეკუთვნებიან თუ არა - რაც, ბუნებრივია, მეტად მნიშვნელოვანია, არამედ მათ მიერ მოწოდებული ინფორმაციის, რეკომენდაციების, კონსულტაციების, ან სხვა მონაცემების წვდომის ხარისხი. თუ მკვლევარი მიზნად ისახავს შეისწავლოს ელიტის როლი გადაწყვეტილებათა მიღების (გამოტანის) პროცესში, მისი რეკრუტირების მეთოდები, ღირებულებანი და ა.შ., ამ შემთხვევაში მას საქმე ექნება ინფორმაციის მიღების წყაროებისა და მეთოდების შედარებით ფართო სპექტრთან, აგრეთვე მიღებული ინფორმაციის ანალიზის მეთოდების სიმრავლესთან.

---

1 See: Hoffmann, - Lange, U, Neumann, H, Steinkemper, B, Konsens und konflikt Zwischen Fuhrungsgruppen in der Bundesrepublik Deutschland, Frankfurt, 1980

2 Moyser, G., Wagstaffe, M., research Methods of Elite Studies, L, 1987, p. 16.

დასავლეთის პოლიტიკურ მეცნიერებაში ტრადიციულად ელიტის შესწავლისა და მეცნიერულ კვლევის ძირითად საყრდენ მასალას წარმოადგენს ნაბეჭდი ან ხელნაწერი მასალები - ელიტარული პიროვნებების სტატიები, მათ მიერ წარმოთქმული სიტყვები, მათი დღიურები, წერილები, ავტობიოგრაფიები და ა.შ. აგრეთვე მესამე მხარის მიერ შეგროვებული, სისტემაში მოყვანილი და გამოცემული მათი პირადი და ბიოგრაფიული მონაცემები. ამ ბოლო წლებმა ნათელყო, რომ ელიტის შესახებ სოციოლოგიურ მონაცემებს, განსაკუთრებით მეთოდოლოგიურად, ნაკლოვანებები გააჩნიათ და ამავ დროს გარკვეულწილად ზღუდავენ არსებით ხასიათის საკითხების განხილვის შესაძლებლობას.[1] პრობლემას წარმოადგენს ის, რომ ეს მონაცემები ვერ უზრუნველყოფს მკვლევარებს სისტემატური ინფორმაციით ელიტის ქცევის მოდელის შესახებ, რომლის გულდასმით განხილვა შემდგომ შესაძლებელი იქნებოდა დახვეწილი ანალიტიკური მეთოდების გამოყენებით. აღნიშნული ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად მეცნიერ-მკვლევართა მიერ შემუშავებული იქნა კვლევის მეთოდების საკმაო რაოდენობა. ამდაგვარი მეთოდების ერთი რიგი ეფუძნება გარკვეული ტიპის ელიტების ოფიციალურად აღიარებულ ბიჰევორისტულ მოდელს და გამოიყენება იმის გასარკვევად, თუ როგორ მოქმედებს ელიტარული ჯგუფი ფორმალურ გადაწყვეტილებათა მიღების პროცესში.

სხვა, შედარებით, უახლოეს მეთოდს წარმოადგენს, "ელიტის ინტერვიურება", რომელმაც, მკვლევართა აზრით, არსებითად დაძლია ზემოხსენებული მეთოდების "მოუქნელობა და შეზღუდულობა"[2] მაგრამ არც ეს მეთოდი წარმოადგენს ელიტის მეცნიერული კვლევის უნივერსალურ მეთოდს. ჩვენ ვერ დავეთანხმებით პოლიტოლოგის ი. კრუს თვალსაზრისს, რომ ინტერვიურების მეთოდი "უდავოდ სჯობს ელიტების რწმენისა და ქმედების დესკრიფციის ნებისმიერ ალტერნატიულ წესს"[3] უნდა აღი-

1 See: Edinger, I, Searing, D., Social Background in Elite Analysis: Methodolical Enquiry, NY, 1967, Plummer, K, Documents of life, Contemporary Social Research Series, No 7, L, 1983; Becker, H. S., Sociological Work: Method and Substance, Chicago, 1970; Gittings, R, The nature of Biography, L, 1978; Goffman, E., the presentation of Self in Evryday life, Harmondsworth, 1972.

2 Welsh, W. A., Lieders and Elites, NY, 1979, p. 217

3 Grewe, I. "Intraduction: studying elites in Britain in I. Grewe (ed)., British. Political Socialogy Yearbook, Vol. I; Elites in Western Democracy, L, 1974, p. 43

ნიშნოს, რომ ამ მეთოდს პრაქტიკული, მეთოდოლოგიური და ანალიტიკური სირთულეები ახასიათებს. ელიტარული ჯგუფის წარმომადგენელთა მიმართ ინტერვიურების მეთოდის გამოყენება უნდა მკაცრად მიზნობრივად ხდებოდეს და თუ საჭიროებამ მოითხოვა ეს უნდა განხორციელდეს გამოკითხვის სხვა მეთოდებთან კომბინაციაში. ხსენებული სირთულეთა დაძლევის ამოცანა დასავლეთის ლიბერალური დემოკრატიული ელიტების შესწავლის პროცესში ადვილი გადასაწყვეტია. სრულიად საწინააღმდეგო ვითარებას ჰქონდა ადგილი ტოტალიტარული სოციალიზმის ქვეყნებში, სადაც არსებული პოლიტიკური ატმოსფეროს გამო, ელიტების მიმართ ინტერვიურების მეთოდის გამოყენებისას თავს იჩენდა არაობიექტურობა, ხდებოდა მოვლენებისა და ფაქტების ტენდენციური ინტერპრეტაცია. მაგალითად, პოლიტოლოგი რ. ჰილი, რომელიც 1977 წელს იკვლევდა მოლდავეთის პარტიულ ელიტას, აღნიშნავდა, რომ "ინტერვიუ პარტიულ ფუნქციონერებთან ტირასპოლში აკადემიური თვალსაზრისით "დაბალ ფასეული" იყო. ისინი ცდილობდნენ არ აცდენოდნენ დადგენილ სტანდარტებს და ენთუზიაზმის გარეშე პასუხობდნენ კითხვებს პარტიულ კომიტეტებთან ურთიერთობის შესახებ. საერთო ჯამში შეუძლებელი აღმოჩნდა პროპაგანდისტული ფასადის გარღვევა.[2]

ანალოგიური ვითარებაა პოსტტოტალიტარული სოციალიზმის ქვეყნებში, სადაც სახელმწიფო ხელისუფლების სადავეები ხელთ უპყრიათ ფორმირებად პოლიტიკურ ელიტას, რომელიც ძირითადად დაკომპლექტებულია ყოფილი პარტიულ-კომკავშირული ფუნქციონერებით. მათ არ გაანიათ მნიშვნელოვანი ფსიქო-

---

1 See: Armstong, I.D., The Soviet Bureaucratic Elite: A Case Study of the Ukrainien apparatus, Praeger publications in Russian History and World communism, no, 76, NY, 1959;Beck, C., et al (eds), Comparative Communist Political Leadership, NY, 1973; Gehlen, M.P., The Communist Party of Soviet Union: A Functional Analisis, Indiana: Indiana University Press, 1969; Kanet, R.E., (ed), The Behavioral Revolution and Communist Stadies, NY, 1971; Hill, R., Soviet political Elites:The Case of Tiraspol, L, 1977; Hodnett, G., Leadership in the Soviet National Republics: a Quantative Study of Recrritment Policy, Oakville, 1978; Harasymiw, B., Political Elita Recriuitment in the Soviet Union, L., 1984;Lodge, M.C., Soviet Elite Attitudes Since Stalin, Calumbus, Ohio: Merril, 1969; Voslensky, M., Nomenklatura: An Anatomy of the Soviet Ruling Class, L, 1984 at cetera.

2 Hill, R., Soviet Political Elites: The case of Tiraspol, L, 1977, p. 5.

ლოგიური თვისებები ქვეყნის ახალ ვითარებაში მართვისათვის. სახელმწიფოს მართვა მიმდინარეობს "სახანძრო ჯგუფის" რეჟიმში და ნაკლებად ითვისებენ სტრატეგიულ მიმართულების აუცილებლობას; მთავრობის კაბინეტისა და სახელმწიფო ნინოვნიკების საქმიანობა არ ატარებს კონცეპტუალურ ხასიათს, არ გააჩნიათ კონცეფციები და მოკლებული არიან ინიციატივის უნარს; ხშირად იცვლიან გადაწყვეტილებებს; მოწყვეტილია მათი საქმიანობა რეალურ ვითარებას; მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღებისას ვერ იჩენენ თანმიმდევრობას მისი განხორციელების პროცესში. ჩვენი აზრით, მათ მძიმე ტვირთად აწევთ მხრებზე წარსულის გადმონაშთი პოლიტიკური კურსის შემუშავებისას იმოქმედონ ფარულად საზოგადოების ფართო ფენების ინფორმირების გარეშე; მათი საჯარო გამოსვლები არ გამოირჩევიან ობიექტურობითა და გულწრფელობით, ამიტომ, არ შევცდებით თუ ვივარაუდებთ, რომ ვერც ინტერვიურების დროს იქნებიან გულწრფელნი და ობიექტურნი.

ამრიგად, პოლიტიკური ელიტის და საერთოდ ელიტის ირგვლივ არსებული პოლიტოლოგიური, ისტორიული, ფილოსოფიური, სოციოლოგიური ლიტერატურის თეორიული ანალიზი და მეთოდოლოგიური მიდგომების შესწავლა საშუალებას გვაძლევს ზოგადი სახით ჩამოვაყალიბოთ პოლიტიკური ელიტის მახასიათებელი ნიშნები:

1. პოლიტიკური ელიტის და არაელიტის, ელიტისა და მასების, ლიდერისა და ბრბოს დაპირისპირების, უთიერთმიმართების განმსაზღვრელი მნიშვნელობიდან გამომდინარე, ელიტის (პოლიტიკური ელიტის), როგორც საზოგადოების სოციალური სტრუქტურის აუცილებელი შემადგენელი ნაწილის წარმოჩენა. ე.ი. ელიტის აუცილებლობის გარდუვალობის დასაბუთება საზოგადოებაში.

2. პოლიტიკური ელიტის მთავარი ნიშანი საზოგადოების მართვის ფუნქციაა. იგი (პოლიტიკური ელიტა) საზოგადოებას მართავს სხვადასხვა მმართველი ზემოქმედებების (სახელმწიფო სტრუქტურების, ძალადობის, იდეოლოგიური და სოციალური კონტროლის) საშუალებებით ან ახდენს არაპირდაპირ ზემოქმედებას (პოზიცია და ოპოზიცია და საერთოდ ერის ინტელექტუალური ელიტა) "უნებლიე" გავლენას საზოგადოებრივი

განვითარების პროცესებზე, გადაწყვეტილებების მიღებაზე. ე.ი. პოლიტიკური ელიტის დამახასიათებელი ნიშანია ფუნქციობის უნარი.

3. თანამედროვე ინდუსტრიულ საზოგადოებებში ელიტის ერთ-ერთი ძირითადი დამახასიათებელი ნიშანია პროფესიონალიზმი, მაღალი კვალიფიკაცია, რომელიც მას საშუალებას აძლევს ამაღლდეს სოციალური იერარქიის მაღალ საფეხურზე. ამიტომ, მკვლევართა ნაწილი სავსებით სამართლიანად გამოყოფს კვალიფიკატორულ მომენტს პოლიტიკური ელიტის მახასიათებელ ნიშნად.

4. პოლიტიკური ელიტა - (საერთოდ ელიტა) ფლობს გამორჩეულ "სოციალურ-ფსიქოლოგიურ" თვისებებს, რომლებიც მომდინარეობენ მემკვიდრეობიდან ან შეძენილია აღზრდით, განათლებით, პრაქტიკით. ე.ი. გამორჩეული სოციალურ-ფსიქოლოგიური ნიშნები ელიტარულობის კრიტერიუმია.

5. თანამედროვე პოსტინდუსტრიულ საზოგადოებებში ხელისუფლებრივი შესაძლებლობები, სიმდიდრე, სოციალური მდგომარეობა, განათლება ქმნის ელიტარულობის იმიჯს, რომლებიც გამოხატულებას პოულობენ სტატუსსა და პრესტიჟში.

6. გამოკვეთილი ინდივიდუალობა და დამოუკიდებლობა პოლიტიკური ელიტის წევრს აქცევს სოციალ-პოლიტიკური გარდაქმნების აქტიურ სუბიექტად, რაც თანამედროვე პოლიტიკური ელიტის მახასი ებელი ნიშანია.

7. თანამედროვე ელიტებისათვის დამახასიათებელია რაოდენობრივი და ხარისხობრივი დიფერენციაცია, როგორც ვერტიკალური, ისე ჰორიზონტალური მობილობის თვალსაზრისით. ახალი ელიტური ჯგუფების წარმოშობა და პროფესიონალური გადაადგილებები ჰორიზონტალურად განაპირობებს ელიტის განახლება ცირკულაციის პროცესის ინტენსივობის ზრდას დემოკრატიულ საზოგადოებებში.

8. პოლიტიკური ელიტარულობა თავისთავად ნიშნავს სოციალურ-პოლიტიკური იერარქიის მაღალ საფეხურზე დგომას, რომელიც საშუალებას აძლევს იყოს ქვეყნისათვის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების აქტიური მონაწილე ან მოახდინოს მასზე ზემოქმედება.

9. პოლიტიკური ელიტა არის საზოგადოების სოციალური სტრუქტურის (კლასის, სოციალური ფენის, ჯგუფის) საუკეთესო ნაწილი. რჩეულთა ერთობლიობა, რომელიც შექმნილია "ელიტური ღირებულებების და ფასეულობების" ფლობის საფუძველზე და წარმოადგენს ელიტის "იერსახეს". იგი რეალურ ორიენტირს ნიშნავს "არაელიტების" "ელიტარულობისაკენ" სწრაფვის პროცესში და მეორეს მხრივ, გვიჩვენებს ელიტების სრულყოფა-განვითარების ტენდენციას. ე.ი. ელიტებისათვის, როგორც რჩეულთათვის დამახასიათებელია "საერთო სახე", რომელიც გამოხატულებას პოულობს "განსაკუთრებულ ფასეულობებში", ქცევებში, სტერეოტიპებში და ა.შ.

10. პოლიტიკური ელიტის შინაგანი სტრუქტურა არაერთგვაროვანია, ე.ი. ელიტის შიგნით იერარქიული წყობაა, როგორც ოფიციალური სახელმწიფოებრივი სტრუქტურების დონეზე, ასევე კონტრელიტაში გამოიყოფიან ლიდერები და არალიდერები. ყოველივე ეს პოლიტიკური ელიტის მთავარი მახასიათებელია განვითარებული დემოკრატიის ქვეყნებში.

11. ელიტის სტატუსს, პრესტიჟს განსაზღვრავს არა მარტო დაკავებული თანამდებობები, სიმდიდრე, განათლება, არამედ მისი "გარეკავშირები", რომლებიც შეიძლება მომდინარეობდეს ეროვნულობიდან, რელიგიურობიდან, წარმოშობიდან, ინტერესთა ერთობლიობიდან. ამ მომენტს გარკვეულ ისტორიულ სიტუაციაში შეუძლია მნიშვნელოვანი როლი ითამაშოს პოლიტიკური პროცესების მართვაში.

თავი მეორე.

პოლიტიკური ელიტის კლასიკური თეორიები

1. სოციალური დიქოტომიის საკითხის ისტორიიდან

პოლიტიკური აზროვნების დასაწყისი კაცობრიობის პირველ ცივილიზაციათა წარმოშობას უკავშირდება. საზოგადოებრივი ევოლუციის კვალობაზე თავდაპირველი პოლიტიკური წარმოდგენები სულ უფრო იხვეწებოდა და მოძღვრებათა ხასიათს იძენდა. ეს პროცესი მკვეთრად უკავშირდება ცალკეული ხალხების იმ სოციალ-ეკონომიკურ, ფსიქოლოგიურ და საერთო კულტურულ თავისებურებებს, რომელშიც იგი ყალიბდებოდა და ვითარდებოდა.

ელიტიზმის კონცეფციებს თავისი სათავეები გააჩნია უძველესი ცივილიზაციების სოციალურ-პოლიტიკურ წარმოდგენებში. ჯერ კიდევ, გვაროვნული წყობილების დაშლის პერიოდში თავს ისენს შეხედულებები, რომლებთა მიხედვითაც საზოგადოება იყოფა უმაღლეს და უმდაბლეს სტრატებად, კეთილშობილთა და მდაბიოთა ფენებად, არისტოკრატიულ და მდაბიო ხალხად. ამრიგად, სოციალური დიქოტომიის პრინციპი ობიექტურად უკვე არსებობს და ცივილიზაციის გარიჟრაჟზე იკრეფს სამოქმედო ძალას. ყველაზე უფრო თანმიმდევრული დასაბუთება და გამოხატულება ამ იდეებმა ჰპოვეს კონფუცის, პლატონის, კარლაილის, ფ. ნიცშესა და სხვა სოციალურ მოაზროვნეთა მოძღვრებებში.

ძველი აღმოსავლეთის ცივილიზაციებმა დასაბამი მისცეს პოლიტიკური აზროვნების წარმოშობას. ძველი ინდოეთის პოლიტიკური აზრი ძირითადად კასტური სისტემის დასაბუთებასა და გამართლებას ემსახურებოდა. მისი მიხედვით საზოგადოება იყოფოდა ოთხ ძირითად კასტად (ვარნად). უმაღლეს კასტას წარმოადგენდნენ ბრაჰმანები, რომელთაც ძველი ინდოეთის საზოგადოების სულიერ და სოციალ-პოლიტიკურ ცხოვრებაში საუკუნეების მანძილზე დომინირებული მდგომარეობა ეკავათ. მათ ძველ ინდურ ლიტერატურაში ხშირად ღმერთებსაც უწოდებდნენ. შემდეგ საფეხურზე იდგნენ კშატრიები (მეომარნი და მმართველთა კასტა). მათ, ჩვეულებრივ, "მეფეებს" უწოდებდნენ. თავისუფალი მშრომელი მოსახლეობა მესამე კასტას შეადგენდა. ისინი

ვაიშიებად იწოდებოდნენ, მეოთხე, შუდრების კასტას, დამარცხებულ ტომთა შთამომავალნი და საერთოდ უთვისტომონი ქმნიდნენ. ხსენებული სოციალური განსხვავებანი განმტკიცებულ იყო კანონით, რომლის თანახმად პოლიტიკური ძალაუფლებისა და მმართველობის საჭესთან საზოგადოების უმცირესი ნაწილი-პირველი ორი კასტის წარმომადგენლები იდგნენ. ამ მდგომარეობას იდეოლოგიურ სამსახურს უწევდა უძველესი რელიგიური სისტემა - ბრაჰმანიზმიც.[1]

ბრაჰმანიზმის იდეოლოგიურ ჩანასახებს ვხვდებით მეორე ათასწლეულის ჩვ.წ.აღ-მდე ძველ ინდურ ძეგლებში, რომლებიც მთლიანობაში ვედებად იწოდება. იგი შემდგომ განვითარებასა და კოკნრეტიზაციას ჰპოვებს ძველინდური აზრის სხვა ძეგლებში - ე-წ. უპანიშადებში, რომელთა წარმოშობა თარიღდება IX-VI სს. ჩვ.წ.აღმდე.

ჩინეთის ფილოსოფიური და პოლიტიკური აზრის ისტორიაში არსებითი როლი შეასრულა კონფუცის[2] (551-479 წწ. ჩვ.წ. აღ-მდე) მოძღვრებამ, რომლის თანახმად ყოველ ადამიანს საზოგადოებაში გარკვეული სოციალური მდომარეობა და ადგილი უნდა გაანსდეს. ხოლო სახელმწიფოს მართვა ისე უნდა იყოს ორგანიზებული, რომ მდაბიო ხალხმა ვერ გაბედოს სახელმწიფო საკითხთა განხილვა-გარჩევა. მხოლოდ ამ გზით არის შესაძლებელი გვაროვნული დიდკაცობის შენარჩუნება.

ტრადიციულ თვალსაზრისზე და შეხედულებებზე დაყრდნობით, კონფუცი ავითარებს სახელმწიფოს პატრიარქალურ-პატერნალისტურ კონცეფციას. სახელმწიფო მის მიერ განიხილება როგორც დიდი ოჯახი. იმპერატორის "("ზეცის ძის") ხელისუფლება ოჯახის მამის ძალაუფლების, ხოლო მმართველთა და ქვეშევრდომთა ურთიერთდამოკიდებულება - ოჯახურ ურთიერთობათა იდენტურია, სადაც უმცროსი დამოკიდებულია უფროსზე. კონფუცის მიერ წარმოსახული სოციალურ-პოლიტიკური იერარქია აგებულია ადამიანთა უთანასწორობის პრინციპზე. იგი ადამიანთა "მდაბიოებად" და "წარჩინებულებად" დაყოფისა და ერთის მეორისადმი მორჩილების კანონზომიერებას ასაბუთებდა

1 გ. ასათიანი. საზოგადოების სოციალური სტრუქტურა, თბ., 1969, გვ. 16-16

2 კონფუცის შეხედულებები ყველაზე ზუსტად გადმოცემულია წიგნში - "ლიუნ იუი" (საუბრები და გამონათქვამები"), რომელიც მისმა მოწაფეებმა შეადგინეს კონფუცის სიკვდილის შემდეგ მასწავლებლის მსჯელობებისა და საუბრების ჩანაწერების საფუძველზე.

ღვთაების მიერ წინასწარ განსაზღვრული ბედისწერისადმი ადამიანთა მორჩილების აუცილებლობითა და გარდუვალობით. პოლიტიკური ელიტის (მმართველთა) უმნიშვნელოვანეს ფუნქციად იგი მიიჩნევდა ყოველი ადამიანისათვის წინასწარ განსაზღვრული საკუთარი ადგილის მიკუთვნებას.

კონფუცის მოძღვრებაში არსებითი სოციალურ-პოლიტიკური დატვირთვის მატარებელია ე.წ. "სახელთა შესწორების" ("ჩენ მინ") პრინციპი.[1] "სახელთა შეცვლის" მიზანს შეადგენს "სახელების" რეალიზაციასთან შესატყვისობაში მოყვანა, სოციალურ სისტემაში ყოველი ადამიანისათვის საკუთარი ადგილის მიჩნევა, ყოველი პიროვნებისათვის შესაბამისი სახელის მიკუთვნება. "ხელმწიფე ხელმწიფედ უნდა იყოს, წარჩინებული მოხელე- წარჩინებულ მოხელედ, მამა- მამად, შვილი- შვილად, მდაბიო- მდაბიოდ, ქვეშევრდომი ქვეშევრდომად", აღნიშნავდა კონფუცი.

კონფუცი კატეგორიულად იცავდა მმართველობის არისტოკრატიულ კონცეფციას, მისი მოძღვრების მიხედვით ხალხი მთლიანად ჩამოცილებულია სახელმწიფოს მართვაში მონაწილეობისაგან.

დროის საკმაოდ მოკლე მონაკვეთში კონფუციანელობა გადაიქცა ეთიკური და პოლიტიკური აზრის გავლენიან მიმდინარეობად ჩინეთში, ხოლო მე-II ს-ში ჩვ. წ აღ-მდე იგი აღიარებული იქნა ჩინეთის სახელმწიფოს ოფიციალურ იდეოლოგიად და იწყო სახელმწიფო რელიგიის როლის შესრულება.

როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, პოლიტიკური აზროვნების წარმოშობას,[2] დასაბამი მისცეს ძველი აღმოსავლეთის ცივილიზაციებმა, მან შემდგომი განვითარება და სრულყოფა ძველ საბერძნეთსა და ძველ რომში ჰპოვა.

ანტიკური საბერძნეთის პოლიტიკური აზრი ჩამოყალიბდა და ვითარდებოდა როგორც "თავისუფალთა" იდეოლოგია. იგი აღმოცენდა ადამიანების თავისუფალ პიროვნებებად და მონებად დაყოფის პროცესში. თავისუფლება - ფუნდამენტური ღირებულე-

---

1 კონფუცის მოძღვრებაში "სახელთა შესწორების" პრინციპი ნიშნავს საზოგადოებისა და სახელმწიფოს იერარქიულ სისტემაში სხვადასხვა პიროვნებებისა და მოსახლეობის გარკვეული ჯგუფების სოციალური, პოლიტიკური და სამართლებრივი სტატუსების აღნიშვას.

2 კონფუცის მოძღვრებას ღირსეული მოწინააღმდეგე გაუჩნდა ფაძიას ანუ ლეგისტების (მეკანონეების სახით. ისინი იმ ახალი აღზევებული სოციალური ფენების ინტერესებს გამოხატავდნენ, რომელიც უპირისპირდებოდა ძველ საგვარეულო არისტოკრატიის წარმომადგენლებს. იხ. გიორგი ნადარეიშვილი. სახელმწიფოს და სამართლის ისტორია. თბილისი, 1996, გვ. 31

ბა წარმოადგენდა ძველი საბერძნეთის პოლიტიკური თეორიისა და პრაქტიკის ძალისხმევის მთავარ მიზანს და ზრუნვის ძირითად საგანს. ეს, რასაკვირველია არ იყო ყოვლისმომცველი თავისუფლება, არამედ შებღალული თავისუფლება, რამეთუ მონებზე არ ვრცელდებოდა მისი ქმედება. მონები არ წარმოადგენდნენ იმ პოლიტიკის (პოლისის ცხოვრების) სუბიექტებს, რომელიც მხოლოდ თავისუფალი ადამიანების, პოლისის კოლექტივის სრულუფლებიანი წევრების, პოლისის მოქალაქეთა ცხოვრების ფორმას შეადგენდა.

ანტიკური საბერძნეთის პოლიტიკურ შეხედულებათა აღმოცენებისა და განვითარების ისტორიაში მეტნაკლებად სიმკვეთრით გამოიყოფა სამი პერიოდი: ადრეული პერიოდი IX-VIძვ. წ. აღმდე ორგანულად უკავშირდება ძველ ბერძნული სახელმწიფოებრიობის ჩამოყალიბების პროცესს. ამ პერიოდში შეინიშნება პოლიტიკურ-სამართლებრივი შეხედულებების რაციონალიზაცია (ჰომეროსის, ჰეროდეს და განსაკუთრებით - განთქმული "შვიდი ბრძენის" შემოქმედებაში) და სახელმწიფოს და სამართლის პრობლემისადმი ფილოსოფიური მიდგომა ყალიბდება (პითაგორე და პითაგორელები, ჰერაკლიტე).

ანტიკური აზრის ისტორიაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ჰერაკლიტეს მოძღვრებას, რომლის პოლიტიკური შეხედულებები მჭიდროდ უკავშირდება მის ზოგადფილოსოფიურ დებულებებს. თუმცა აზროვნება, ჰერაკლიტეს მიხედვით, დამახასიათებელია ყველა ადამიანისათვის, მაგრამ მათ უმრავლესობას არ გაეგება საყოველთაო ლოგოსი. აქედან გამომდინარე, ჰერაკლიტე ანსხვავებს ბრძენთ და უგუნურებს, საუკეთესო პიროვნებებსა და მდაბიო ადამიანებს. სოციალურ-პოლიტიკურ უთანაბრობას საზოგადოებაში იგი ამართლებს როგორც საყოველთაო ბრძოლის გარდუვალ, მართლზომიერ და სამართლიან შედეგს. "ომი - ყველაფრის მამა და ყველაფრის მეფეა; ზოგიერთს მან ღმერთად ყოფნა არგუნა, სხვებს - ადამიანებად; ზოგიერთნი მან მონებად აქცია, სხვები - თავისუფალ პიროვნებებად".

აკრიტიკებდა რა დემოკრატიას, სადაც მართავს ბრბო და სამოღვაწეო ასპარეზი არ ეთმობა "საუკეთესოებს", ჰერაკლიტე ბეჯითად იცავს "საუკეთესოთა " მიერ საზოგადოების მმართველობის აუცილებლობის პრინციპს.

პითაგორესა და ჰერაკლიტეს შეხედულებათა ხასიათი არსებითად განსხვავდებოდა ძველი სისხლის არისტოკრატიის

იდეოლოგიისაგან. მათი პოზიციისათვის პრინციპიალურად საერთოს, რამაც შესამჩნევი ზეგავლენა მოახდინა მომდევნო მოაზროვნეებზე - სოკრატესზე, პლატონზე და სხვებზე, წარმოადგენდა მათ მიერ ინტელექტუალური - ლოგიკური ფილოსოფიური, მეცნიერულ-მათემატიკური, ერთი სიტყვით სულიერი და არა (ბუნებრივი) ბუნებითი - კრიტერიუმების შერჩევა იმის განსაზღვრისათვის, თუ რა არის "საუკეთესო", "კეთილშობილი", "კეთილზნეობრივი" და ა.შ. ყოველივე ეს წარმოადგენდა სიტყვა "არისტოკრატიის" იმდროინდელ სინონიმს. ეს კონცეპტუალური გადასვლა ბუნებით წილხვედრილი (დაბადების პრინციპით) სისხლის არისტოკრატიიდან სულის არისტოკრატიაზე (ცოდნა და ზნეობრივი ღირსებები) იყო არსებითი, რამდენადაც ცნების "არისტოკრატიის" ამდაგვარი მოდერნიზაციის ქმედობით (კვალობაზე) არისტოკრატთა ბუნებრივად ნაკეტილი კასტიდან იქცეოდა (ვახსნილ) ღია სტარტად, რომელშიც შესელა დამოკიდებული იყო პიროვნულ ღირსებებსა და ინდივიდუუმის ძალისხმევაზე.

ანტიკური საბერძნეთის პოლიტიკური აზროვნების ისტორიის მეორე პერიოდი - V-IV საუკუნის პირველი ნახევარი ძვ.წ. აღ-ვით წარმოადგენს ძველბერძნული ფილოსოფიისა და პოლიტიკური აზრის აყვავების პერიოდს, რომელმაც თავისი გამოხატულება დემოკრიტეს, სოფისტების, სოკრატეს, პლატონისა და არისტოტელეს მოძღვრებებში ჰპოვა. პოლიტიკური აზრის განვითარებას ამ პერიოდში მნიშვნელოვანწილად შეუწყო ხელი სახოგადოების, სახელმწიფოსა და პოლიტიკის პრობლემების ფილოსოფიური და სოციალური ანალიზის გაღრმავებამ. ანტიკური საბერძნეთის მშვოთვარე საზოგადოებრივი ცხოვრების მოვლენები მოაზროვნეთა ყურადღების არეში მოექცა და მათი ღრმა გაცნობიერების საჭიროება პოლიტიკური აზროვნების განვითარებას განაპირობებდა. სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი ცხოვრების მართვისა და რეგულირების სრულყოფილი ფორმებისა და მეთოდების ძიებამ, ძველი ბერძენი მოაზროვნენი ცოდნის ამ დარგის - პოლიტიკის დასაბუთებამდე მიიყვანა.

დემოკრიტეს (დაახლ. 460-370 წწ. ძვ.წ-ით) მოძღვრებაში დემოკრატიის სასარგებლოდ გამოთქმული მსაჯელობებთან ერთად საკმაოდ მრავლად გვხვდება არისტოკრატიული ხასიათის დებულებები. "ბრიყვთათვის, ამტკიცებს იგი, უმჯობესია მორჩილება, ვიდრე ბრძანებულობა". დემოკრიტე იზიარებს მმართველთა შეფასების ინტელექტუალურ და ზნეობრივ კრიტერი-

უმეტს და განაგრძობს "თვით თავის ბუნებით მმართველობა დამახასიათებელია უმჯობესთათვის"... "უმჯობესი" დემოკრიტეს მიხედვით, არა ძველი დიდგვაროვანნი არიან, არამედ ყველა ის, ვინც მაღალი გონებრივი და ზნეობრივი თვისებებითაა დაჯილდოებული. მიაჩნდა რა ყველა ხელოვნებათაგან უმაღლეს ხელოვნებად სახელმწიფოს მართვა, დემოკრიტე შენიშნავდა, რომ მოქალაქენი არ არიან ღირსნი, ეკავოთ საპატიო თანამდებობანი თავიანთი დაუდეგრობის, სიბრიყვის და კადნიერების გამო. იგი წუხილს გამოთქვამს იმის გამო, რომ "მმართველობის ამჟამად არსებული წესის" ე.ი. დემოკრატიის პირობებში კარგი მმართველებიც კი ძალზე ხშირად ხვდებიან უსამართლობას მართულთა მხრიდან მათ წინაშე პასუხისმგებლობის გამო.

პოლიტიკური-სამართლებრივი თემის ნართვა ფართო განხილვის სფეროში, მისი დამუშავების გაღრმავება დაკავშირებულია სოფისტების სახელთან. ე.წ. უფროსი თაობის სოფისტების უმრავლესობა (პროტაგორა, ჰიპია, გორგია პროდიკტე, და სხვ.) იზიარებდნენ დემოკრატიულ შეხედულებებს. უმცროსი თაობის სოფისტების (ევთიდემე, თრასიმაქე, კრიტონი, კალიკლე) შორის დემოკრატიის მომხრეებთან ერთად გვხვდებიან მმართველობის სხვა ფორმების (არისტოკრატია, ტირანია) მომხრენიც.

პლატონის ცნობით, "უმჯობესთა" პოლიტიკური მმართველობის მომხრე იყო ახალგაზრდა ათენელი არისტოკრატი სოფისტი კალიკლე. მისი მტკიცებით, სამართლიანია ის, რომ უმჯობესი უარესზე მაღლა დგას, ხოლო ძლიერი სუსტზე მაღლა. ცხოველთა, ადამიანთა, სახელმწიფოებსა და ხალხებს შორის ბუნებითი თვისება სამართლიანობისა ასეთია: ძლიერი მბრძანებლობს სუსტზე და ამ უკანასკნელზე მაღლა დგას. ბუნების ამდაგვარი კანონის და ძალის უფლების პოზიციიდან კალიკლე აკრიტიკებს დემოკრატიულ კანონებსა და ნეფულებებს და მათ საფუძველში მდებარე თანასწორობის პრინციპს.

სოფისტების პრინციპული კრიტიკოსის სოკრატეს (ძვ. წ. 470/469-399) დამსახურებაა სოფისტების აგნოსტიციზმის დაძლევა, დასაბუთების ინდუქციური წესის და ცნების ზოგადი განსაზღვრის დადგენა. პოლიტიკურ-სამართლებრივ სფეროში სოკრატეს თეორიული პოზიცია არ არის იგივეობრივი მის დროს პრაქტიკულად არსებული ამა თუ იმ პოლიტიკური წესწყობილებისა. სოკრატეს სოციალურ-პოლიტიკურ სიმპათიებს იმსახურებდა როგორც კარგი კანონებით მართული კეთილმოწყობილი

სახელმწიფოები - არისტოკრატიული სპარტა[1] და კრეტა[2] და იმ პერიოდში ზომიერად ოლიგარქიული თებე და მეგარა. სოკრატე უარყოფითად ეკიდებოდა მშობლიურ პოლისში მმართველობის "უკიდურეს" დემოკრატიულ ფორმას, რომლის ბატონობის დროსაც ათენმა დამარცხება იგება სპარტასაგან და მთელს ელადაში წამყვანი პოზიციები დაკარგა. სახელმწიფოს მმართველობის სათავეში უნდა მცოდნენი იდგნენ - ეს მოთხოვნა, რომელიც აჯამებს სოკრატეს იდეალურ წარმოდგენებს სახელმწიფოსა და სამართლის გონიერ-სამართლიან საწყისებზე, ეხება სახელმწიფოებრივი წყობის ყველა პოლიტიკურ ფორმებს. მცოდნეთა მმართველობის პოლიტიკური იდეალი მკვეთრად სცილდება როგორც დემოკრატიის, ისე გვაროვნული არისტოკრატიის, ოლიგარქიისა და ტირანიის პრინციპებს. განსაკუთრებით მძაფრად აკრიტიკებდა სოკრატე ტირანიას. პრაქტიკული პოლიტიკის თვალსაზრისით, სოკრატისეული იდეალი ნიშნავს მცოდნეთა მმართველობას, ე.ი. სახელმწიფოებრივ მმართველობაში კომპეტენციის პრინციპის დასაბუთებას, ხოლო თეორიული თვალსაზრისით - სახელმწიფოს ზნეობრივ-გონივრულ დასაბუთებისა და არსის ფორმულირების ჩამოყალიბების ცდას.

სოკრატეს მოძღვრებამ უშუალო და მეტად მიშვნელოვანი ზეგავლენა მოახდინა ბერძნული, პოლიტიკური აზრის უმაღლესი მიღწევებზე პლატონის პოლიტიკური ფილოსოფიასა და არისტოტელეს პოლიტიკური მეცნიერებაზე.

ანტიკური საბერძნეთის პოლიტიკური აზროვნების ისტორიაში ელიტარული მსოფლმხედველობა ყველაზე სრულად ჩამოყალიბებული და განვითარებულ იქნა პლატონის მოძღვრებაში.

პლატონი ეკუთვნოდა ათენის არისტოკრატიის მაღალ ფენას. პელოპონესის ომში ათენის დაცემამ და "ბრბოს" სულმბადალი ვნებათა ბატონობამ თავიდავე განსაზღვრა პლატონის არისტოკრატიული თვალსაზრისი, როგორც დემოკრატიისადმი შეურიგებელი. ის მოწმე გახდა 30 ოლიგარქის ბატონობისა, ათენში

---

1 სპარტის უმაღლესი ორგანო იყო აპელა - სამთავრო კრება (ფაქტობრივად მოკლებული საკანონმდებლო უფლებას), კრებიდან კრებამდე კი უმაღლეს ხელისუფლებას განახორციელებდა გერუსია - უხუცესთა საბჭო, მეფეები (სამეფო), აპელასა და გერუსიასაგან ფართოდ შეზღუდულნი, სათავეში ედგნენ აღმასრულებელ ხელისუფლებას, სარდლობდნენ ლაშქარს, განაგებდნენ კულტს.

2 კრეტის პოლისები არისტოკრატული რესპუბლიკები იყო. სათავეში ედგა 9 კაცისაგან შემდგარი კოლეგია (Kosmoi) და უხუცესთა საბჭო. იწვევდნენ სახალხო კრებას. ძვ.წ. აღ-ვით IV ს-იდან მოყოლებული კრეტის პოლისები აქტიურად მონაწილეობდნენ საერთო ელიტურ ცხოვრებაში.

დემოკრატიის აღდგენისა, ათენის კრიზისის მე-4-ე საუკუნის პირველ ნახევარში, როცა დაირღვა ათენის სამეურნეო და პოლიტიკური ძლიერება.

პლატონი ათენის ხსნას არისტოკატიის გაძლიერებასა და მისი ბატონობის უზრუნველყოფაში ხედავდა. ის გადაჭრით წინააღმდეგი იყო სახელმწიფოებრივ მმართველობაში, საზოგადოების პოლიტიკურ ცხოვრებაში დემოსის მონაწილეობისა, რომელსაც უპატივცემულოდ "ბრბოდ" მოიხსენიებდა და რომელიც, მისი აზრით, მტრულადაა განწყობილი სიბრძნისადმი, ხელმძღვანელობს არა ცოდნით, არამედ ჭეშმარიტებისაგან დიდად დაშორებული "შეხედულებებით".

სახელმწიფოებრივი მართვის ფუნქციების წარმატებით შესრულება პლატონის მოძღვრების მიხედვით, ძალუძთ მხოლოდ არისტოკრატიის წარმომადგენლებს, რომელთაც მიღებული აქვთ სპეციალური აღზრდა. ხელოსნები და მიწათმოქმედნი ნამოცილებული უნდა იყვნენ საზოგადოების მართვისა და "კეთილშობილ ადამიანთა" სხვა საქმიანობას. მათი ხვედრია "შავ სამუშაოთა" შესრულება. ხოლო - მონები პლატონმა საერთოდ გამორიცხა.

სახელმწიფოებრივი მმართველობის საკითხში არისტოკრატიული თვალსაზრისის მართლზომიერებას პლატონი ასაბუთებს სულის შესახებ მოძღვრებით; რომლის მიხედვითაც სული შედგება სამი ნაწილისაგან: გონების, ნებისა და სურვილისაგან. პირველი ორი, სულიერი მოღვაწეობის უფრო მაღალი ფორმები, დამახასიათებელია "ცოტაოდენ რჩეულთათვის" - არისტოკრატიისათვის, რაც მას უფლებას ანიჭებს სახელმწიფოს მმართველობის სათავეში იმყოფებოდეს.

ამ სქემის შესაბამისად პლატონი საზოგადოებას ყოფს ფილოსოფოს - მმართველებად, რომელთა მოღვაწეობაში განსახიერებულია სულის გონიერი ნაწილი, მეომრებად, რომლებიც იცავენ სახელმწიფოს როგორც შინაგანი უწესრიგობის, ისე გარეშე მტრებისაგან. მეომარ-მცველთა მოქმედებაში ხორცს ისხამს სულის ნებელობითი ნაწილი. სულის უმდაბლესი ნაწილის - სურვილის გამოვლინება ხდება მდაბიოთა მოქმედებაში ამ უკანასკნელთ მოეთხოვებათ დადგენილი წესრიგის დაცვა, შრომისმოყვარეობა, მმართველობისა და მცველებისადმი უსიტყვო მორჩილება.

არსებულ სახელმწიფოთაგან პლატონს საუკეთესოდ მიაჩნია არისტოკრატიული რესპუბლიკა და არისტოკრატიული მონარქია. მათი თანდათანობითი გადაგვარება ტიმოკრატია, ოლიგარქია,

დემოკრატია, ტირანია. სახელმწიფოს იდეალს - პირადი და საზოგადოებრივი ინტერესების შეთვისებას - ვერცერთი ვერ აკმაყოფილებს.

მოძღვრება იდეალური სახელმწიფოს შესახებ პლატონს მოცემული აქვს ძირითად დიალოგში "სახელმწიფო". მრავალი საკითხი, რომლებიც სხვა დიალოგებში სპეციალურად იყო განხილული, აქ ერთგვარ სისტემაშია მოყვანილი. პლატონს თავისი სისტემა არცერთ დიალოგში არ დაულაგებია. მხოლოდ "სახელმწიფოშია" ეს სისტემა წარმოდგენილი, თუმცა არასრულად.

"სახელმწიფოში" პლატონი ეეერდნობა რა სულის უნარისა თუ ნაწილის შესახებ თავის მოძღვრებას, ცნობს ოთხ სათნოებას: სიბრძნეს, სიმამაცეს, ზომიერებას, სამართლიანობას. პირველი გონების სათნოებაა, მეორე - ნებისა, მესამე სურვილისა, მეოთხე ზოგადი სათნოება წინა სამი სათნოების გონების ხელმისაწვდომი ჰარმონიული გაერთიანების შედეგი - არის სამართლიანობა. სახელმწიფოს თეორიაში პლატონი ამტკიცებს, რომ სახელმწიფო (თუმცა არა ყოველგვარი) ერთადერთი საშუალებაა საზოგადოებაში სამათლიანობის გასაბატონებლად. აღზრდის სახელმწიფოებრივმა სისტემამ უნდა გაარკვიოს ვინ რა საქმე ინობისათვის არის განკუნილი. ობიექტურობის გარანტიაა საზოგადოების მაღალ ფენებში ოჯახის და კერძო საკუთრების არარსებობა, ხოლო მესაკუთრე ფენისათვის (ხელოსნები. მიწათმოქმედნი და სხვ.) პოლიტიკური უუფლებობა. მმართველებად ასარჩევები ბავშვობიდან დაკვირვების ობიექტები უნდა იყვნენ, რათა ცნობილი იყოს მათი ხასიათი, აზრები, ყველა ბავშვს ერთნაირად ასწავლიან 20 წლამდე. ვისაც შემდგომი სწავლის ნიჭი და სურვილი არა აქვს მიწათმოქმედთა ფენებში ხვდება. 10 წლის სწავლის შემდეგ იგივე საზომით გამოიყოფა მეომართა (მხედართა) ფენა. სხვები კიდევ 5 წლის მანძილზე იწაფებიან დიალექტიკაში. 35 წლის რჩეულთ სხვადასხვა სახელმწიფო თანამდებობაზე 15 წლიანი გამოცდა მოელით. მათ 50 წლის ასაკში უნარი აქვთ "თავად სიკეთე ჭვრიტონ". ესენი არიან ფილოსოფოსები, რომლებიც სახელმწიფოს სათავეში ექცევიან. ასე ვარაუდობდა პლატონი გამოერიცხა მემკვიდრეობითი სტრატები სახელმწიფოში, როგორც სოციალური უბედურების მიზეზი. მაგრამ პლატონის შეხედულებით იდეალური სახელმწიფოს იდეა განუხორციელებელია. მშვენიერი იქნება ის სახელმწიფო, რომელიც მას როგორმე დაუახლოვდება. სახელმწიფოსაგან არაფერს კარგს არ უნდა ველოდეთ, თუ ფილ-

ოსოფოსები არ მეფობენ, ან მეფეები არ ფილოსოფოსობენ. თუ ასეთი რამ არ მოხერხდა, მაშინ არც იდეალური სახელმწიფო განხორციელდება. ფილოსოფოსი სიბრძნის მოყვარულია, ის ეძიებს არსებას, იდეას, ნამდვილ სინამდვილეს, ესწრაფვის შეიმეცნოს თვითონ ჭეშმარიტება. მისი სული მუდმივადაა მიმართული მარადიულისა და უძრავისადმი. ფილოსოფოსები მარადიული ჭეშმარიტების, მშვენიერებისა და სიკეთის საფუძველზე უნდა მართავდნენ სახელმწიფოს. მხოლოდ ასეთ შემთხვევაში განხორციელდება სრულყოფილი სახელმწიფო.

სოციალური დიქოტომიის პრინციპს იზიარებენ მრავალი რომაელი მოაზროვნე და შუა საუკუნეების სქოლასტიკოსი, აგრეთვე ადრებურჟუაზიული იდეოლოგიის თვალსაჩინო წარმომადგენლები.

მმართველობისა და ხალხის ურთიერთობის პრობლემებს სხვადასხვა ასპექტით განიხილავენ ფრანგი მატერიალისტები, ამერიკის კონსტიტუციის მამები და სხვა სოციალური მოაზროვნეები. მაგრამ თანამედროვე ელიტიზმის თეორიების ჩამოყალიბებაზე მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა გუსტავ ლებონის (1841-1931), ფრიდრიხ ნიცშეს (1844-1900) და სხვათა შრომებმა.

ფრანგი სოციოლოგის, სოციალური ფსიქოლოგის, ანტროპოლოგის, არქეოლოგის, ბუნებისმეტყველის ლებონის მრავალმხრივმა სამეცნიერო მოღვაწეობამ მნიშვნელოვანი კვალი დაამჩნია სოციალური აზროვნების ისტორიას.

გ. ლებონმა ერთერთმა პირველმა დაამუშავა სოციალური დიქოტომიის პოზიციებიდან საზოგადოების ელიტური სტრუქტურის თეორია, რაც ფრანგი სოციოლოგის გობინოს (1816-1882) მსგავსად იცავს რასობრივი დეტერმინიზმის კონცეფციას და ამდენად ელიტური სტრუქტურის თეორიას ხალხებზეც ავრცელებს. გ. ლებონი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს რა რასებს შორის განსხვავებას იგი უმაღლესი რასის წარმომადგენლებს მიაკუთვნებს განმსაზღვრელ როლს ცივილიზაციის განვითარებაში.

გ. ლებონის მიხედვით ოთხი სახის რასა ჩამოყალიბდა კაცობრიობის განვითარების ისტორიაში: პირველყოფილი, დაბალი, საშუალო და მაღალი რასები; რასები დახურული კასტებია და შეუძლებელია ერთი რასის მეორემდე ამაღლება", ურთიერთში გადასვლა, ვერტიკალური მობილობა. რასობრივი დეტერმინიზმის მიზეზად ლებონი ეროვნულ ხასიათს და გონებრივ განვითარებას ასახელებს.

გ. ლებონს მიაჩნია, რომ დაბალ რასებში ადამიანთა შორის განსხვავება ფიზიკური და გონებრივი მაჩვენებლების მიხედვით უმიშვნელოა; მათი მონაცემები ერთფეროვანი და ერთგვაროვანია და ადგილი არა აქვს დიფერენციაციას; მათთვის მისაღებია სოციალური თანასწორობის სოციალისტური იდეალები და ფაქტიურად აიგივებენ თანასწორობისა და თავისუფლების ცნებებს და ისინი სინონიმებად მიაჩნიათ.

უმაღლეს რასებში, ინდოევროპელებში მაღალია რა სოციალური დიფერენციაციის ხარისხი, გამოიყოფიან შემოქმედი გონების მაღალი ინტელექტუალები (რჩეული ადამიანები, მეცნიერები, მწერლები და სხვები), რომლებიც სოციალური იერარქიის უმაღლეს საფეხურებზე დგანან და განსაზღვრავენ ხალხის პოლიტიკურ, ეროვნულ, კულტურულ სახეს; ისინი ქმნიან ცივილიზაციის უმაღლეს ტიპს. სოციალური იერარქიის პირამიდა ეყრდნობა ბნელ ფენებს, ბრბოს. ლებონის აზრით ინდუსტრიული საზოგადოების განვითარება, შრომის დანაწილება და დიფერენციაცია, ხელს უწყობს განსხვავებათა ზრდას ელიტასა და არაელიტას (ბრბოს , მასებს) შორის. ლებონი იზიარებს სენ სიმონის აზრს და მიუთითებს, რომ ელიტის გაქრობა გამოიწვევს მოცემული ხალხის გაქრობას ისტორიის ასპარეზიდან.[1]

ლებონს რეაქციულ, რასისტულ ნააზრევის გვერდით, საკმაოდ აქვს საინტერესო, პროგრესული შეხედულებები ელიტების ცირკულაციისა და განახლების შესახებ. კერძოდ, მას მიაჩნია, რომ გენიოსის თვისებები ხელახლა მის გვარში არ წარმოიშობა და პირიქით ნიველირდება მომავალ თაობებში. ამიტომ, ელიტები ღია უნდა იყოს ვერტიკალური მობილობისათვის და მისი შევსება უნდა მიმდინარეობდეს ყველა ფენიდან; ელიტა ერის ჩონჩხის, საშუალო ტიპის ირგვლივ უნდა ტრიალებდეს. მხოლოდ ამ შემთხვევაში ხელს უწყობენ იდეათა მონაცვლეობას ისტორიაში და ქმნიან მაღალ ცივილიზაციებს გ. ლებონი ამ პროგრესულ იდეების უდაო პიონერად უნდა ჩაითვალოს.

---

1 დავუშვათ, - წერს სენ სიმონი (1760-1826), - რომ საფრანგეთმა დაკარგა 60 საუკეთესო ფიზიკოსი, 60 საუკეთესო ქიმიკოსი, 60 საუკეთესო ფიზიოლოგი, 60 საუკეთესო მათემატიკოსი, 50 საუკეთესო პოეტი, 50 საუკეთესო მწერალი, 60 საუკეთესო ხელოსანი და ა.შ. მათი დაკარგვით ერი გახდება უსულო სხეული... მაგრამ თუ დაკარგავს მეფის ძმას და სხვა მმართველებს, მინისტრებს, ყველა სახელმწიფო მრჩეველებს, კარდინალებს, არქიეპისკოპოსებს და ა.შ., მაშინ ადამიანებს გაუჩნდებათ შეცოდების, სიბრალულის გრძნობა, მაგრამ საფრანგეთის სახელმწიფო ამით არ განიცდის არავითარ პოლიტიკურ უბედურებას იხ. Сен-Симон Избранные Сочинения. Т1!., Москва - Ленинград, 1948, стр. 428-431.

გ. ლებონის შეხედულებები ელიტის ირგვლივ, ბიოლოგიზმამდე მიდის, როცა განსხვავებულ ანტროპოლოგიურ ტიპს მიაკუთვნებს უმაღლეს რასას და შესაბამისად ელიტებს. განსხვავებული ბიოლოგიური და ფსიქოლოგიური თვისებები იწვევენ უთანასწორობას საზოგადოებაში, რომელიც ბუნებრივი მოვლენაა და ვერსად გავექცევით - დაასკვნის გუსტავ ლებონი.

გ. ლებონი ერთ-ერთი ავტორი მასობრივი საზოგადოების კონცეფციისა, აიგივებს მასას ბრბოსთან და წინასწარმეტყველებს "მასების ერის" დადგომას და აქედან გამომდინარე ცივილიზაციის დაცემას. ბრბო ყოველთვის წარმოადგენს ბრმა, დამანგრეველ ძალას. ბრბოში ინდივიდები კარგავენ პასუხიმგებლობის გრძნობას და ექცევიან ირაციონალური გრძნობების, დოგმატიზმის , მოუთმენლობის გავლენის ქვეშ და იმართებიან "ბრბოს სულიერი ერთიანობის" კანონით. რევოლუციას იგი მასობრივი ისტერიის გამოვლენად მიიჩნევს.[1]

გ. ლებონის აზრით გამომგონებლებს, გენიოსებს ხალხი ვერ უგებს, ამიტომ, არც მისდევს მათ შეხედულებებს, თუმცა ისინი კატალიზატორის როლს თამაშობენ ცივილიზაციის ისტორიაში.

ხოლო ფროიდისეული "ნახევად შეშლილი", "ლიბიდოს" ტკბობისკენ მიმართული ადამიანები, რომლებსაც ესმით მასების, ანგრევენ ან ქმნიან ისტორიას. სწორედ მათ მიჰყვებათ ბრბო და ისინი განასახიერებენ მათ ოცნებებს "ლებონის თეორიის უპირველესი ნაკლია, დაასკვის პროფ. ედუარდ კოდუა, - მისი არისტოკრატიზმი; მისი პოზიცია ემყარება მასებისადმი სიძულვილს, ამის გამოხატულებაა მასების გაიგივება ბრბოსთან, ხოლო მასობრივი მოძრაობისა ირაციონალურ არაცნობიერ მოქმედებასთან.[2]

დიდი გერმანელი ფილოსოფოსი ფრიდრიხ ნიცშე თავის ნაშრომებში "ნორმალურ", "ჯანმრთელ" საზოგადოებაში განსხვავებულ ტიპის ადამიანებს გამოყოფს: მცირერიცხოვანი, გენიალური ადამიანები, კეთილშობილთა კასტა; მათი იდეებისა და შეხედულებების მიმდევრები და გამტარებლები; მდაბიო "დაბალი" ადამიანები. საზოგადოებაში არსებული უთანასწორობა სამართლიანობად არის აღიარებული და უფრო მეტიც, ნიცშე (გ. ლებონის , ნ. ბერდიაევის და სხვათა მსგავსად) მიიჩნევს, რომ მხოლოდ ასეთ პირობებში არის შესაძლებელი საზოგადოების

---

1 Современная западная социология. Словарь, Москва, 1990, стр. 154.

2 ედუარდ კოდუა. სოციოლოგია II ნაკვეთი. თბილისი 1990. გვ. 210.

ფუნქციონირება და განვითარება. აქედან გამომდინარე რჩეულთა, კეთილშობილთა, მაღალ ადამიანთა ბატონობის საკითხს ნიცშეს ფილოსოფიურ მემკვიდრეობაში ცენტრალური ადგილი უჭირავს. "ჩემი სერიოზული პრობლემაა, ახალი, ევროპაზე გაბატონებული კასტის აღზრდა" წერს ნიცშე. ელიტისტური იდეოლოგია ნიცშეს საზოგადოებრივ-მორალური იდეალის ძირითად შინაარსს წარმოადგენს; ზეკაცი პირველ რიგში გარე სამყაროზე გაბატონებული ადამიანია.

პრობლემის შესწავლა იმითაც არის განპირობებული, რომ ხშირად ნიცშეს შეხედულებები გამარტივებულად, პრიმიტიული რასიზმის და ძალადობის კულტის დონეზე აქვთ წარმოდგენილი. ზეკაცის ბატონობის ნიცშესეული კონცეფცია დიდი წარმატებით იქნა გამოყენებული ფაშისტური იდეოლოგიის მიერ. დღესაც ბევრს მიაჩნია ნიცშეს შეხედულებები ძალადობისა და პოლიტიკური ბატონობის იდეოლოგიად. თუმცა აქვე უნდა აღვნიშნოთ ის გარემოება, რომ ყოველივე ეს ნიცშეს შეხედულებების არსისეული დამახინჯებიდან მომდინარეობს, რაშიც დიდი როლი ითამაშა ნიცშეს დამ ელიზაბეტ ფორსტერ ნიცშემ. მან მოახდინა ნიცშეს დაუმთავრებელი შრომების ფალსიფიკაცია და ფაქტიურად გერმანული ნაციზმის იდეოლოგად წარმოადგინა ეს დიდი ფილოსოფოსი.[1]

ელიტიზმის მომხრე ნიცშესათვის ზეკაცის პრობლემა ძირითადი საკითხია. ზეკაცის კონკრეტიზაცია ნიცშეს არ მოუხდენია, ხოლო ზოგადად, იგი არის უმაღლესი არსება, რომელიც იმდენად აღმატებულია თავისი ინტელექტუალური თვისებებით, რომ უნდა ვცნოთ განსაკუთრებულ ანტროპოლოგიურ ტიპად. კაცობრიობის მორალური მიზანი იმაში მდგომარეობს, რომ მოამზადოს პირობები ასეთი ადამიანის გამოჩენისათვის.

ზეკაცის მოცემულები დედამიწაზე ნიცშეს აზრით არიან "მაღალი ადამიანები", კეთილშობილთა კასტა, რჩეულები. მათი ბატონობის აუცილებლობის საკითხი ერთერთი მნიშვნელოვანი დებულებაა ნიცშეს მოძღვრებაში. მაგრამ აქვე უნდა აღვნიშნოთ ის გარემოება, რომ რჩეულთა ბატონობის საკითხი ნიცშეს თავისებურად ესმის და ამ ცნებების განხილვის გარეშე ძნელია გავერკვეთ მის ელიტისტურ მსოფლმხედველობაში.

---

1 Ф. Ницше и др., Сумерки Богов. М. 1989. стр. 396-347.

ბატონობის ცნება ნიცშეს თეორიაში არ შეიძლება გავაიგივოთ პოლიტიკურ, სამართლებრივ, სოციალ-ეკონომიკურ ბატონობასთან. ყოველივე ამის რეალიზაცია სახელმწიფოს პრეროგატივაა. მაგრამ სახელმწიფო ნიცშეს ფილოსოფიაში უდიდეს ბოროტებად არის მიჩნეული. ამაში დაეჯერებით თუ მივმართავთ ნიცშეს მთავარ თხზულებას "ესე იტყოდა ზარატუსტრა". "სახელმწიფო უცივესია ცივთა საშინელებათა შორის"; "ხოლო სახელმწიფო სცრუობს კეთილისა და ბოროტის ყოველი ენით: და რას იტყვის, სიცრუეა და რაც აქვს, მოპარული"[1] "სად სახელმწიფო თავდება, მხოლოდ იქ იწყება ადამიანი"[2] "თვით სახელმწიფო ცბიერების ძაღლია"[3] და სხვა. სავსებით სამართლიანად მიუთითებენ მკვლევარები, რომ ნიცშემდე სახელმწიფოს ასეთი მძაფრი კრიტიკა აზროვნების ისტორიას არ ახსოვს. ნიცშეს მიხედვით, სახელმწიფო არავის წარმომადგენელი არ არის, არც ეგრეთწოდებული გაბატონებული კლასის - არისტოკატიის, ელიტის და არც, მით უფრო, ცხადია, მთელი ხალხის, ერის. მას კარგად აქვს დანახული და გააზრებული ტოტალიტარული სახელმწიფოს ჩამოყალიბების ტენდენცია, რომელიც ფიზიკურად და სულიერად იმონებს მთელ ერს, ხალხს. ნიცშე ჰეგელის სრული ანტიპოდია სახელმწიფოს გაგებაში. ჰეგელთან სახელმწიფო კაცობრიობის მაღალი და კეთილშობილური მიზნების მსახურია, იგი "განხორციელებული ზნეობაა", ნიცშე კი არავითარ მაღალ მიზანსა და დანიშნულებას, არავითარ პოზიტიურ ამოცანას აღარ უტოვებს სახელმწიფოს.[4]

ნიცშე დაიბადა პასტორის ოჯახში. გარკვეული დროის შემდეგ მან უარყო ქრისტიანული მორალი და ღმერთი საერთოდ, მაგრამ იგი კარგად იცნობდა ქრისტიანულ რელიგიას და საეკლესიო იერარქიას. ნიცშე თავის შრომებში უპირატესობას ანიჭებს ეკლესიას სახელმწიფოსთან შედარებით შემდეგი მოსაზრების გამო: ეკლესია სულიერი ბატონობის საზოგადოებრივი ორგანიზაციაა, იგი უზრუნველყოფს სულიერად განვითარებული ადამიანის მაღალ რანგს: და რაც მთავარია - ეკლესია თავისი ამოცანების

---

1 ესე იტყოდა ზარატუსტრა. თბილისი, 1990, გვ. 42

2 იქვე გვ. 43

3 იქვე გვ. 103

4 თამაზ ბუაჩიძე, თანამედროვე ბურჟუაზიული ფილოსოფოს სათაურებთან, თბილისი, 1986, გვ. 220-222. ვალერიან მეტრეველი, გიორგი დავითაშვილი, პოლიტიკურ და სამართლებრივ მოძღვრებათა ისტორია, თბ., 1997, გვ. 288

რეალიზაციის გზაზე ნაკლებად მიმართავს ძალადობის, ბატონობის უხეშ მეთოდებს. ამ ნიშნის მიხედვით ნიცშეს მიაჩნია, რომ ეკლესია სახელმწიფოსთან შედარებით კეთილშობილური ორგანიზაციაა.[1]

ნიცშესათვის მიუღებელია სახელმწიფო იერარქიის მეშვეობით ადამიანის ამაღლება. იგი ამ ნიშნის მიხედვით განასხვავებს ერთიმეორისაგან კეთილშობილთა კასტასა და ბრბოს: "იგინი (პატარა ადამიანები ა.ტ.) ტახტისკენ ესწრაფვიან: ესეა მათი შეშლილობა - თითქოს ბედნიერება ტახტს იჯდეს! ხშირად ტალახი ტახტსა ზის და ხშირად ტახტი ტალახსაზე"[2] "ხელმწიფეების მოყვარეობა: რომლის მზერით ადამიანი ქვეშავლობს, იდრიკება, და მცირდება და უფრო მცირედი იქმნება, ვიდრე გველი და ღორი".[3]

აქედან გამომდინარე, ბუნებრივია, უკიდურესი ინდივიდუალისტი, ნიცშე გამორიცხავს თავისი რჩეული კასტის პოლიტიკურ ბატონობას. თითქმის გამორიცხულია, რომ ბატონობაში მატერიალურ მომენტებს გულისხმობდეს, რადგანაც მისი ვოლუნტარისტულ-ირაციონალისტური მოძღვრება შორს დგას მატერიალური ღირებულებებისაგან.

ნიცშე ერთიმეორისაგან განასხვავებს პატარა ადამიანების ხელისუფლებისაკენ ანგარებიან სწრაფვას, იმ ხელისუფლების მოყვარეობისაგან, რომლებიც ახასიათებს რჩეულ ადამიანებს, ელიტას. ზარა" სტრა ლაპარაკობს მათ ხელისუფლებისაკენ დაშვებაზე: "ხელ.ფიფეების მოყვარეობა: ვინ უწოდებს მას სწრაფვას, ოდეს მაღალი დაბლით ხელმწიფებად ისწრაფვის! ჭეშმარიტად, არაფერი აქვს სნეული. და დავრდომილი ამ სწრაფვას და ძირს დაშვებასა".[4] ხელისუფლება მაღალი ადამიანებისათვის არის უანგარო სწრაფვა სულიერი სფეროს გაფართოებისათვის, ადამიანებზე სულიერი ზეგავლენის მოხდენისათვის. მიმდინარეობს დამორჩილებულების სულიერი გამდიდრების პროცესი და არა მათი პიროვნული თვისებების დათრგუნვა. კეთილშობილთა კასტა გამორჩეული სულიერი თვისებების მეშვეობით ახორციელებს სულიერ ბატონობას, ნიცშე

1 Франк С.Л. Сочинения. М. 1990, стр. 61-62

2 ესე იტყოდა ზარატუსტრა გვ. 43

3 იქვე გვ. 144

4 იქვე გვ. 146

რნეულთა ბატონობაში გამორიცხავს პოლიტიკურ, სოციალურ-ეკონომიკურ მომენტებს და გულისხმობს მხოლოდ სულიერ ზემოქმედებას.

ნიცშეს ელიტიზმის უკეთესი წარმოჩენისათვის საჭიროა უფრო ნათლად გავერკვეთ თუ რას გულისხმობდა იგი რნეულთა კასტაში.

რნეულისა და ბრბოს ცნებები ურთიერთდაპირისპირების გზით არის ახსნილი. ამიტომ ეს ცნებები გარკვეულ სოციალურ-პოლიტიკურ ასპექტებს მოიცავენ.

ნიცშეს აზრით დაუშვებელია ელიტარული და პლებეური მორალის აღრევა. ბრბო "პატარა, კარგმატყლიანი, კეთილისმსურველი, რუხი ხალხია"[1]; იგი მოუწოდებს რნეულ კასტას - "სძლიეთ თქვენ, მაღალნო ადამიანნო, პატარა სათნოებათ, პატარა გონიერებას, სიფრთხილეს, ჭიანჭველათა ფუსფუსს, საცოდავ კმაყოფილებას, "უმრავლესობის ბედნიერებას".[2]

პატარა ადამიანების ხვედრია "მოყვასის სიყვარული ", პატარა ბედნიერება, ხოლო რნეულები მოწოდებულია "შორეული სიყვარულისთვის", მათ უნდა იცხოვრონ შვილების ქვეყანაში, "აღმოუსენელ, შორეულ ზღვებში"[3]; "გიყვარდეთ ქვეყანა თქვენი შვილებისა: ეს სიყვარული იყოს თქვენი ახალი კეთილშობილება"[4], "იქით სურს ჩვენს აფრას, სად ჩვენ შვილთა ქვეყანაა"[5].

ამრიგად, პატარა ადამიანების ხელისუფლებისმოყვარეობის რეალიზაცია ხდება სახელმწიფო იერარქიის საშუალებით; ხოლო რნეული ადამიანები, ელიტა. უნდა გაბატონდეს მაღალი სულიერი მონაცემების წყალობით. უნდა ვიკარაუდოთ, რომ აქ ნიცშე არ გულისხმობს სახელმწიფო ხელისუფლებით მათ პოლიტიკურ ბატონობას (ამ შემთხვევაში თავს იჩენს წინააღმდეგობა ნიცშეს ფილოსოფიაში, რადგანაც სახელმწიფოს გარეშე ნიცშეს რნეული კასტა ვერ შეძლებს ევროპის პოლიტიკურ გაერთიანებას, რომელზეც ნიცშე ოცნებობდა); ნიცშეს მიაჩნია, რომ სახელმწიფოს ძლიერება გამორიცხავს საერთოდ კულტურულ წინსვლას; გერმანული სახელმწიფოს სისუსტის პერიოდში ფილ-

---

1 ესე იტყოდა ზარატუსტრა გვ. 198

2 იქვე გვ. 214

3 იქვე გვ. 96

4 იქვე გვ. 196

5 იქვე გვ. 168

ოსოფიური აზროვნება და კულტურა განვითარების მაღალ დონეზე იდგა. ამიტომ, ნიცშე შიშობს, რომ გერმანიის დიდ სახელმწიფოდ გადაქცევა დააკნინებს აზროვნებას.

დასკვნის სახით, არ შეიძლება არ დავეთანხმოთ რუსი ფილოსოფოსის ს. ფრანკის შეფასებას, რომ ნიცშეს არისტოკრატიზმი არის გამოხატულება მისი იდეალიზმისა, რა თქმა უნდა არა განუსაზღვრელი და ფართო მნიშვნელობით, რომელშიც იდეალიზმი უპირისპირდება ეთიკურ მატერიალიზმს ან უტილიტარიზმს. ამიტომ, უფრო სწორი იქნებოდა ნიცშეს ეთიკური და სოციალ-პოლიტიკური მიმდინარეობისათვის გვეწოდებინა არა "არისტოკრატიული რადიკალიზმი"; არამედ იდეალისტური რადიკალიზმი.[1]

ელიტისტების სოციალურ ნააზრევზე მნიშვნელოვანი ზეგავლენა მოახდინა აგრეთვე ფროიდიზმმა ფსიქოანალიზის თეორიამ და მეთოდმა, რომელსაც სახელწოდება ავსტრიელი ნევროპათოლოგისა და ფსიქიატრის ზიგმუნდ ფროიდის (1856-1939) სახელის მიხედვით დაერქვა. ფროიდისტულმა კონცეფციამ, ახალმა იდეებმა და პრობლემისადმი ახლებურად მიდგომამ დიდი როლი შეასრულა და ახლაც ასრულებს დასავლეთის ინტელექტუალური განვითარების და კულტურის სხვადასხვა სფეროში.

ზ. ფროიდის წარმოდგენები საზოგადოების სტრუქტურასა და მის დინამიკაზე საკმაოდ ბუნდოვანია. სოციალური სტრუქტურის მისეული ხედ პატრიოცენტრისტულია. იგი, არსებითად, მხოლოდ ერთ სტრატიფიკაციულ სქემას: "ბელადი - ელიტა- მასები" განიხილავს "სიცოცხლის ინსტინქტის" - ეროსის და "სიკვდილის ინსტინქტის" - თანატოსის ერთმანეთს შორის და ცივილიზაციასთან ბრძოლა, მათი სუბლიმირებული და არასუბლიმირებული ფორმების, აგრეთვე არაცნობიერისა და ცნობიერის ურთიერთქმედება ზ. ფროიდის აზრით ,,ანსაზღვრავენ საზოგადოების ბუნებას, მის ფუნქციონირებას, განვითარებას კონფლიქტებს.

ინტერესს არ არის მოკლებული ფილოსოფიური ანთროპოლოგიის და სოციოლოგიაში ანთროპოლოგიური ორიენტაციის ფუძემდებლის, ფენომენოლოგიური აქსიოლოგიის (ღირებულებათა ფილოსოფია) და ცოდნის სოციოლოგიის როგორც დამოუკიდებელ დისციპლინათა ერთერთი თეორეტიკოსის გერმანელი

1 Франк С.Л., Сочинения. М., 1990, стр. 62-63

ფილოსოფოსის მაქს შელერის (1874-1928) მოძღვრება მისი მოძღვრების მიხედვით სწორედ საზოგადოების რჩეული ნაწილი ელიტა განსაზღვრავს სოციალურ ერთობათა ღირებულებით ორიენტაციებს. მასა ეზიარება საზოგადოებრივ ცნობიერებას ელიტის მიერ შემუშავებული იდეოლოგიური მიზანდასახულობათა შეთვისებით. ამასთან, ვინაიდან იდეოლოგია, მ. შელერით, სამყაროს დამახინჯებულ აგებას წარმოადგენს, ამიტომ "ადამიანთის ცნობიერების განთავისუფლებას" შეიძლება მოველოდეთ მხოლოდ ახალი ელიტის ძალისხმევით, რომელსაც უნარი შესწევს წინააღმდეგობა გაუწიოს მასების სტიქიურად ჩამოყალიბებად ცრურწმენებს. ამიტომაც, მ. შელერის აზრით პრინციპულად დაუშვებელია უმცირესობის უფლებათა შელახვა, თუკი გვსურს , რომ არსებობდეს ისტორია ანუ "მოძრაობა" კაცობრიობის ერთიან ცხოვრებაში. "მე მიმანნია, - წერს მ. შელერი, - რომ ღვთის წინაშე ადამიანები უსასრულოდ არათანასწორნი და არათანასწორად ღირებულნი ვართ."[1] საზოგადოების რჩეული უმცირესობა ახდენს სოციალური ერთობის დაკრისტალებას. მასის ყველა "იდეა, მიზანი და მოთხოვნილება" ერთ დროს უმცირესობის მიზნებს და იდეებს წარმოადგენდა. რაც ეხება როგორც პროგრესულ, პოზიტიურ ღირებულებებს, ისე რეაქციულს. მ. შელერის მიხედვით, ყოველ საზოგადოებაში ნორმათდამდგენი, მამოძრავებელი და იდეების მიმანიჭებელია საზოგადოების რჩეული უმცირესობა ელიტა.

XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისის ორი დიდი ქართველი მოაზროვნე და საზოგადო მოღვაწე ილია ჭავჭავაძე და ივანე ჯავახიშვილი ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად საზოგადოების ელიტური სტრუქტურის გაგებამდე მივიდნენ. მათ შემოქმედებას წითელი ხაზივით გასდევს "განათლებული წრეების", ინტელექტუალური ელიტის წამყვანი როლის აღიარება სოციალური ცხოვრების სხვადასხვა სფეროში.

ილია ჭავჭავაძემ სტატიაში "აკაკი წერეთელი და ეევხისტყაოსანი" განიხილა ე.წ. "ზოგადი კაცის" ცნება ტარიელის, ავთანდილის და სხვა ლიტერატურული გმირების მაგალითზე და მიუთითა, რომ არ არის სწორი "ზოგადი ადამიანის დახურდავება" და კონკრეტიზაცია. "მაგალითებრ ზოგადი კაცი რომელისმე

---

1 Scheler. M., Nation und Weltanschauning. Leipzig. 1923. s. 70

ერის კაცად, ერის კაცი რომელისამე თემის კაცად, გვარეულობის კაცი ოჯახის კაცად, ოჯახის კაცი ივანედ და სხვა".[1]

აღნიშნული ციტატის ირგვლივ მეტად საგულისხმო მსჯელობას ავითარებენ პროფესორები ომარ გოგიაშვილი და ელბერდ ბატიაშვილი: "ილია, ადამიანთა სოციალური დიფერენციაციის მარქსისტული პრინციპის საპირისპიროდ პიროვნებათა ე.წ. მეტად მრავალისმეტყველ დიფერენციაციას გვაძლევს.

დავით აღმაშენებლისა და გიორგი ათონელის მსგავსი "ზოგად-კაცნი", რომელთა საქმენი და სახელნი ქვეყნის ფარგლებს სცილდებოდა და მაშინდელი მსოფლიოს უმაღლეს ინტელექტუალურ სტანდარტებს უთანაბრდებოდა, "ერის -კაცთა", "თემის-კაცთა", "გვარის-კაცთა", და ბოლოს - "ოჯახის -კაცთა" საშუალებით ახორციელებდნენ თავიანთ იდეალებსა და პრინციპებს. აქ ყველას თავისი დანიშნულება აქვს, თითოეულს თავის სფეროში საჭირო და გადამწყვეტი ფუნქცია აკისრია".[2]

ილია ჭავჭავაძე ელიტის ერთერთი სახეობის, ინტელექტუალური ელიტის იერარქიული საფეხურების დეფინიციას გვაძლევს. ხაზი ესმება რა ინტელექტუალური ელიტის მიერ საზოგადოების მართვის ფუნქციას, ამ აზრით, პოლიტიკური ელიტის როლიცაა გაანალიზებული. ელიტის მმართველობით ფუნქციას უფრო განასახიერებენ ილიასეული ერის, თემის, გვარის კაცის ცნებები, რადგანაც ისინი "ზოგადი კაცის" (შესაძლოა ქვეყნის ხელმძღვანელის) საქმეების კონკრეტული გამტარებლები არიან ადგილებზე.

ილია ჭავჭავაძე შემდგომ კიდევ უფრო აკონკრეტებს საუკეთესოთა გადამწყვეტ როლს ერის ისტორიაში. "უკეთესთა და უდიდესთა მომქმედთა მეოხებით და ღვაწლით, - წერს ილია 1888 წელს გამოქვეყნებულ სტატიაში "დავით აღმაშენებელი", ვცხოვრობთ დღესა და ვსულდგმულობთ"[3] ამრიგად, ილიას მსჯელობაში ხაზი ესმება საზოგადოების საუკეთესო ნაწილისა (ზოგადი, ერის, თემის, გვარის კაცი) და მასის თანაარსებობის აუცილებლობას, რაც გარკვეული აზრით ეხმაურება ელიტური სტრუქტურის თეორიას.

---

1 ილია ჭავჭავაძე. თხზ. თბილისი, 1984, გვ. 600

2 ომარ გოგიაშვილი, ელბერდ ბატიაშვილი. ივანე ჯავახიშვილი და ახალი ქართული სახელმწიფოებრიობა. თბილისი 1998. გვ. 88

3 ილია ჭავჭავაძე. თხზ. თბილისი. 1984 გვ. 606

ასევე სპეციალიზებული ელიტის გაგებამდე ამაღლდა ჩვენი დიდი ისტორიკოსი ივანე ჯავახიშვილი 1906 წელს "ევერიაში" გამოქვეყნებულ შრომაში "ზნეობრივი მოძღვრების ისტორია საქართველოში". ამ მომენტს პირველმა მიაქცია ყურადღება ცნობილმა ისტორიკოსმა და ფილოსოფოსმა გურამ ყორანაშვილმა და გამოაქვეყნა ორიგინალური სტატია "ელიტა და ხალხის მასა ივანე ჯავახიშვილის ნააზრევში".

ივანე ჯავახიშვილი წერს: "ხალხს ხომ თავისთავად გზის გაგნება არ შეუძლიან. იგი გრძნობს მხოლოდ, რომ წინანდელი ეხლა გამოუსადეგარია, მაგრამ რა ცვლილება უნდა მოხდეს და როგორი, - ამისი გამორკვევის ძალღონე მას არა აქვს". ასე რომ, წერს გ. ყორანაშვილი, აქ; თავს ინენს ("განათლებული წრეების") როლი და ამის თაობაზე ჩვენი დიდი ისტორიკოსი და მამულიშვილი ასე წერდა: "სწორედ ბედნიერია ის განათლებული წრეები ხალხისა, რომელთაც შეუძლიათ ამ დიდ მოძრაობას სათავეში ჩაუდგნენ (!) და სწორედ, გონიერ და ნაყოფიერ გზაზე დააყენონ". ივანე ჯავახიშვილი ამ მხრივ ამდაგვარ განზოგადოებას ახდენდა: "წინადაც ყოველთვის და ყოველგან ასე ყოფილა, რომ ერის მოძრაობისათვის გარკვეული მიმართულება განათლებულ წრეებს მიუნიჭებიათ; ასევე უნდა იყოს ჩვენშიც".[2]

ივანე ჯავახიშვილის ზემოაღნიშნული თვალსაზრისი "განათლებული წრეების" და ხალხის ფართო მასების შესახებ თავს ინენს მთელი ჩვენი ისტორიის მიმართაც - დაასკვნის პროფ. გ. ყორანაშვილი და აღნიშნულ ასპექტში განიხილავს მნიშვნელოვან ისტორიულ მომენტებს; ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ ივანე ჯავახიშვილის აზრით უნივერსიტეტს უნდა მოემზადებინა ინტელექტუალური ელიტის კადრები, რომლებიც ყოველმხრივ შეუწყობდა ხელს ერის სამეურნეო-ეკონომიკურ და სულიერ აღორძინებას.

როგორც ვხედავთ, ივანე ჯავახიშვილი მიუთითებს ინტელექტუალური ელიტის ხელმძღვანელ როლზე ერის ისტორიაში; ასევე, განხილულია, მასისა და ელიტის ურთიერთმიმართება იმ ასპექტით, რომ ხალხს დამოუკიდებლად არ ძალუძს გაერკვეს

---

1 მიეძღვნა ალექსანდრე ორბელიანის ხსოვნას (პირველი სამეცნიერო კონფერენცია) თბილისი, 1997, გვ. 128-136.

2 ცხადია, ელიტა ანუ "განათლებული წრეები" სულაც არ ემთხვეოდა მხოლოდ მესაკუთრე კლასს - წერს გ. ყორანაშვილი.

საზოგადოებრივი ცხოვრების რთულ სფეროებში; ფაქტობრივად, ელიტისა და მასის ურთიერთდამოკიდებულების ჯავახიშვილისეული გაგება ეხმაურება ელიტიზმის პატრიარქების ნააზრევს, რომელთა შეხედულებები დიდი ისტორიკოსის მოღვაწეობის თანადროულად ყალიბდებოდა.

2. გაეტანო მოსკა (1858-1941) და რობერტ მიხელსი(1876-1936).

ცნობილმა იტალიელმა მკვლევარმა, პოლიტოლოგიის ერთერთმა ფუძემდებელმა გაეტანო მოსკამ "პოლიტიკური კლასის" ("classe politica") იდეა წამოაყენა თავის პირველ მნიშვნელოვან ნაშრომში "Sulla teorica dei governi e sul governo parlamentare. Studie storici e sociale" ("მმართველობის თეორია და პარლამენტური მმართველობა") - 1884 წელს. მისი ძირითადი ფუნდამენტური გამოკვლევა - "Elementi di scienza politica" (პოლიტიკური მეცნიერების საფუძვლები") 1896 წელს გამოქვეყნდა, ხოლო მნიშვნელოვანი დამატებითი განყოფილებით ხელმეორედ იქნა გამოცემული 1923 წელს.[1] რომელშიც სცადა თეორიულად და მეთოდოლოგიურად დაესაბუთებინა "მმართველი კლასის" ("classe dirigente") თეორია. ტერმინების დიფერენცირების საფუძველი იყო არა ლექსიკური ვარიაციები, არამედ მათი ახლებურად გააზრება.

ელიტიზმის თეორიის ქვაკუთხედია პრეზუმფცია, რომელსაც მკაფიოდ გადმოსცემს გ. მოსკა: "... ყველა პოლიტიკურ ორგანიზმში... ყოველ საზოგადოებაში აღმოჩნდება ადამიანთა ორი კლასი კლასი, რომელიც მართავს და კლასი, რომელსაც მართავენ. ყოველთვის მცირერიცხოვანი პირველი კლასი ასრულებს ყველა პოლიტიკურ ფუნქციას, ახდენს ხელისუფლების მონოპოლიზებას და სარგებლობს უპირატესობებით, რაც ხელისუფლებას მოაქვს, მაშინ როცა მეორე უფრო მრავალრიცხოვანი კლასი მართულია და კონტროლირებადია პირველის მიერ, ზოგჯერ მეტ-ნაკლები

1 Mosca, G., Elementi di scienza politica. Socond edizione con una seconda parte inedita, Bocca, Turin, 1923. ამ გამოკვლევის ინგლისური ვერსია - "მმართველი კლასის" სახელწოდებით 1939 წელს გამოქვეყნდა აშშ-ში - Moscca, G., The Ruling Class (ed. Authur Livingston). NY, 1939

კანონიერი სახით, ზოგჯერ მეტად თუ ნაკლებად თვითნებურად და ძალადობით, და ამარაგებს პირველს... არსებობის მატერიალური საშუალებებით... რაც არსებითია პოლიტიკური ორგანიზმის სიცოცხლისუნარიანობისათვის.[1]

ამრიგად, ელიტისტების ღრმა რწმენით ნებისმიერ პოლიტიკურ სისტემაში არსებობს უმცირესობა, რომელსაც ხელეწიფება საზოგადოებისათვის უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილებების მიღება და ვინაიდან მათი ზეგავლენა სოციალურ პროცესებზე მეტად მნიშვნელოვანია, ამ უკანასკნელთ პოლიტიკურ გადაწყვეტილებებს უწოდებენ. მიუხედავად იმისა, რომ პიროვნებანი, რომლებიც გადაწყვეტილებათა მიღებაში მონაწილეობენ , არ არის აუცილებელი რომ ყველა ვითარებაში მასობრივი ცნობიერების გაგებით პოლიტიკოსები, ანუ საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლები იყვნენ. ამიტომ გ. მოსკას "მმართველ კლასში" - განმარტავს ცნობილი პოლიტოლოგი, კოლუმბიის უნივერსიტეტის პროფესორი ჯიოვანი სარტორი, იგულისხმება მმართველ უმცირესობათა უფრო ფართო სპექტრი: პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური, რელიგიური, ინტელექტუალური, ტექნოლოგიური, სამხედრო, ბიუროკრატიული, რომლებიც არა მხოლოდ ზეგავლენას ახდენენ გადაწყვეტილებათა მიღებაზე, არამედ იღებენ კიდეც გადაწყვეტილებებს. "პოლიტიკური კლასიᲜ" წარმოადგენს "მმართველი კლასის" ქვესახეობას (sub-species), მის სექციას, რომლის ამოცანაა ხელისუფლებრივი ფუნქციების განხორციელება.[2]

გ. მოსკას მიხედვით, საზოგადოების მასშტაბით ვერცერთი პიროვნება და ვერც ხალხთა მასები (არისტოტელეს "ერთი" და "მრავალი") შესძლებენ ძალაუფლების აღსრულებას. ერთი მხრივ, ერთპიროვნული მმართველს ესაჭიროება მრჩეველთა, ადმინისტრატორთა, პროპაგანდისტთა თუ პოლიციის მხარდაჭერა. მეორე მხრივ, "ხალხს" შეუძლია კოორდინირებულად, პოლიტიკურად იმოქმედოს მხოლოდ აქ ნათლად ჩანს, რომ ცნება "მმართველი კლასი" გაცილებით ფართოა ცნებაზე "პოლიტიკური კლასი", მაგრამ პოსტსაბჭოურ სოციოლოგიურ და პოლიტიკურ ლიტერატურაში არცთუ იშვიათად ვხვდებით

---

1 Mosca. G., The Ruling Class, NY, 1939, p. 50

2 Sartori, G., Dove va il Parlamento? in "IL parlamento italiano (1946-1963), S. Somegyi, L. Lotti, A. Predieri and G. Sartori (eds), Naples, 1963, p. 281.

ავტორებს, რომლებიც ამ ცნებების იდენტიფიკაციას ახდენენ ლიდერთა მცირერიცხოვანი ჯგუფის წარმართვით, ხელმძღვანელობით.

გ. მოსკას მიაჩნდა, რომ XIX საუკუნეში და XX საუკუნის დამდეგს დემოკრატიის განვითარების მიუხედავად, ადამიანთა სოციალური ბუნების ძირეული ნიშანთვისებები უცვლელი დარჩა. ე.წ. "მაკიაველისეულ" პოზიციის სხვა მიმდევრების მსგავსად იგი უგულებელყოფს ისტორიული განვითარების ფაქტს არა მხოლოდ მატერიალური ასპექტით, არამედ ადამიანთა გამოცდილებისა და განსჯის კონტექსტში. XVIII საუკუნის შუა პერიოდიდან მოყოლებული, ისტორიკოსების უმრავლესობის შეხედულებით წარსულში ადამიანთა მოქმედება არ იყო აზროვნების ადექვატური; მათ არ ძალუძთ წარსულის მაგალითებიდან დასკვნების გამოტანა როგორც პრაქტიკული ქცევის, ისე სოციალური ანალიზის სფეროში გ. მოსკა თავის მეთოდს "ისტორიულ მეთოდს" უწოდებს, რომლის გამოყენებით იგი აანალიზებს ჩინეთის, რომის, იტალიის, რუსეთის, ბრიტანეთის ისტორიიდან ხაგრძლივი პერიოდის მანძილზე ძვ.წ. V საუკუნიდან დაწყებული XIX საუკუნის ჩათვლით.

აო შევცდებით, თუ გ. მოსკას ადრეულ ნარკვევებს[1] კომპარატიულ პოლიტიკური სოციოლოგიის პირველ ნიმუშებად მივინნევთ, სადაც იგი იძლევა პოლიტიკური რეჟიმების ზოგად დახასიათებას და ადგენს მმართველობის ტიპოლოგიას. ეს ოპერაცია განზოგადების მაღალი ხარისხით გამოირჩევა, მაგრამ სათანადოდ არ არის გათვალისწინებული კონკრეტული ისტორიული ვითარება. მისი მოღვაწეობის პერიოდში სოციალური და პოლიტიკური ტენდენციების კანონზომიერების დასაბუთების მიზნით გ. მოსკა მრავლად იყენებს მაგალითებს ჩინეთისა და ანტიკური რომის იმპერიიდან.

გ. მოსკას თვალსაზრისით ელიტის ანუ საზოგადოების უმცირესობის მიერ საზოგადოების უმრავლესობის მართვა და კონტროლი უწინარეს ყოვლისა აისახება მისი წევრების მიერ ფაქტობრივ ანდა სხვათა შეხედულებით საზოგადოებისათვის

---

1 იხ. Mosca. G., Del Parlamento e il potere qiudiziario, Palermo, 1885;
Sulla liberta di stampa. Appunti, Turin, 1885;
Studi ausiliari del doritto constituzionale, Palermo, 1886;
Le constituzioni moderne, Paltrmo, 1887.

ღირებული და ზოგადი მნიშვნელობის "ატრიბუტების" ფლობა. ეს ატრიბუტები შეიძლება იყოს სიმდიდრე, ზრუნვა საზოგადოების კეთილდღეობაზე, მხედრული სიმამაცე, ან სტატუსი რელიგიურ იერარქიაში. ელიტის მიერ საზოგადოების კონტროლი დამოკიდებულია უმცირესობის უნარ-თვისებებზე გაერთიანდეს ერთიან ფრონტად სხვა ძალების წინააღმდეგ საზოგადოებაში. უმცირესობას - გ. მოსკას რწმენით, - გააჩნია უპირატესობანი უბრალოდ იმის გამო, რომ იგი უმცირესობაა".[1]

მცირერიცხოვანი სოციალური ერთობის ორგანიზება უფრო ადვილად ხორციელდება, ვიდრე მრავალრიცხოვანი დიდი სოციალური ჯგუფისა. კომუნიკაციისა და ინფორმაციის მცირერიცხოვანი ჯგუფის შიდა არხები საკმაოდ მარტივია; კონტაქტების დამყარება მის წევრებს შორის სწრაფად ხდება. ამის შედეგად, უმცირესობა დროულად ახორციელებს პოლიტიკური კურსის შემუშავებასა და ჩამოყალიბებას, ქმნის სრული სოლიდარობის შთაბეჭდილებას საჯარო გამოსვლებსა და აქციებში.[2]

კარგად ორგანიზებული უმცირესობა მეესეულად და ადექვატურად რეაგირებს შეცვლილ პირობებზე, რის უნარიც არ შესწევს მის ნაკლებად ორგანიზებულ მეტოქესთან არაორგანიზებულ ხალხთა მასებს, რომელთაც ხელვეხი ებორკებათ შესატყვისი რეაქციის გამოძებნაში. როგორც კი არაორგანიზებული უმრავლესობა მისთვის არა ჩვეულ ვითარებაში აღმოჩნდება იგი მოქმედების აღმძვრელ სტიმულს გარედან ელის. ამ მისიას, ჩვეულებრივ, საზოგადოების ორგანიზებული უმცირესობა - ელიტა ასრულებს. უმცირესობასთან შედარებით აშკარა რიცხობრივი უპირატესობის მიუხედავად, ნებისმიერ კონკრეტულ სიტუაციაში უმრავლესობასთან შედარებით უმცირესობა უფრო ძლიერ მხარეს წარმოადგენს. საზოგადოების არაორგანიზებული უმრავლესობა - მასა, მხოლოდ ინდივიდუმთა კონგლომერატია , რომელსაც არ გააჩნია საერთო მიზნები ან საერთოდ აღიარებული ინფორმაციული კომუნიკაციის სისტემა და ერთობლივი კორდინირებული პოლიტიკური ხაზი. გ. მოსკას მიხედვით, "ნებისმიერი უმცირესობის ძალაუფლება უცილობლად უპირისპირდება უმრავლესობის

1 Mosca. G., The Ruling Class, NY., 1939, Ch II 3, p. 53

2 Ibid.

ყოველ ცალკეულ პიროვნებას, რომელიც ეულად დგას ორგანიზებული უმცირესობის ტოტალობის წინაშე".[1]

გ. მოსკას სამეცნიერო-საზოგადოებრივი (პროფესორი, დეპუტატი, სენატორი) მოღვაწეობის პერიოდში საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაზე პარტიული მანქანის ძალაუფლების მზარდი ზეგავლენა მას მიაჩნდა პოლიტიკური ელიტის ფარულ ბიროვად, რომელიც მოიცავს პარტიულ "ბოსებს". ისინი წარმართავენ პარტიათა საარჩევნო კომპანიებს და ამრიგად აკონტროლებენ პარლამენტს. ეს "გრანდი ამომრჩევლები", როგორც გ. მოსკა უწოდებს მათ, სარგებლობენ რა საამოქალაქო უფლებებით ხმას აძლევენ საარჩევნო ოლქებში, სადაც მათი ზეგავლენა ბატონობს და, რაც უფრო მნიშვნელოვანია, ახდენენ სასურველი კანდიდატების შერჩევას. ისინი განსაზღვრავენ მიმართულებას, რომლის მიხედვით ელექტორატმა უნდა გააკეთოს საერთო აზრით "თავისუფალი არჩევანი". კანდიდატის არჩევა, - განმარტავს გ. მოსკა, - არ ხდება ამომრჩევლების მიერ "მას მისი მეგობრები ირჩევენ".[2]

გ. მოსკას მტკიცებით "კანდიდატურის წამოყენება ყოველთვის საერთო მოქმედების შედეგია, რომელიც საკუთარ ნებას თავს ახვევს დეზორგანიზებულ უმრავლესობას"[3] მიუხედავად იმისა, რომ პარტიულ გაერთიანებათა ხელმძღვანელებს არა აქვთ არავითარი კონსტიტუციური ან სამართლებრივი საფუძველი საარჩევნო პროცედურების ფალსიფიცირებისათვის, ისინი წარმატებით ართმევენ თავს შინაპარტიული არჩევნების მანიპულირებას, რის შედეგად არჩეული დეპუტატები მათ მორჩილ იარაღს წარმოადგენენ. ერთ-ერთ ადრინდელ ნაშრომში[4] გ. მოსკა საკმაოდ კატეგორიულ დასკვნას აკეთებს იმის თაობაზე, რომ არცერთი მაღალი პრინციპების მქონე ღირსეული პიროვნება არ დათანხმდება არჩევებში მისი კანდიდატურის წამოყენებას. ჩვეულებრივ საარჩევნო სიებით წარმოდგენილი კანდიდატები პიროვნული თვისებებით საშუალო დონის ადამიანები არიან. რაც, ბუნებრივია, შენიშნავს გ. მოსკა, იწვევს წარმომადგენლობითი ორგანოს ხარისხის დადაბლებას. ამის გამო მას აღარ ძალუძს

1 Mosca, G., The Ruling Class, NY, 1939, Ch II, 3, p. 53

2 Ibid, ch VI, 1, p. 154

3 Meisel, J., The Myth of the Ruling class, Ann Arbor, 1958, p. 106.

4 Mosca, G., Teorica dei governi e governo Parlamentare, Palermo, 1884. p. 120

მმართველი კლასის ინტერესების მთლიანი სპექტრის რეპრეზენტირება. ამ თვალსაზრისმა, როგორც აღნიშნავს პოლიტოლოგი ჯ. მეიზელი, გ. მოსკა დილემის წინაშე დააყენა: როგორ მოეყვანა ზემოხსენებული ტენდენცია შესატყვისობაში მის ურყევ რწმენასთან, რომ საშუალო კლასი (ბურჟუაზია) პოლიტიკური რეგენერაციის წყაროს წარმოადგენდეს[1] ეს პრობლემა თავის სამეცნიერო მოღვაწეობის პირველ პერიოდში ვერ გადაჭრა და ამიტომ ადრინდელ ნაშრომებში თავი აარიდა პოლიტიკური ლიდერობის დაქვეითების საკითხის კომპარატიულ ანალიზს. სამეცნიერო მოღვაწეობის მეორე პერიოდში[2] გ. მოსკამ ფუნდამენტურ ნაშრომში "პოლიტიკური მეცნიერების საფუძვლები" - გადასინჯა საკუთარი შეხედულებები წარმომადგენელობითი დემოკრატიის ღირებულების შესახებ, რომელსაც მნიშვნელოვნად მაღალი სტატუსი მიანიჭა, ვიდრე ადრინდელ ნაშრომებში.

პოზიციის რევიზიამ თავი იჩინა პრაქტიკულ საქმიანობაშიც. გ. მოსკა დათანხმდა მისი კანდიდატურის წამოყენებას საარჩევნო კამპანიაში და აირჩიეს კიდეც იტალიის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს - პარლამენტის დეპუტატად.

მიუხედავად გ. მოსკას აღიარებისა, რომ ნებისმიერ საზოგადოებაში დაწყებული ნაკლებად ცივილიზებულით და ნაკლებად განვითარებულით დამთავრებული ყველაზე ძლიერით და განვითარებულით დომინირებს მმართველი კლასი, ეს მისი შეხედულება სრულიადაც არ ნიშნავს, რომ არ არსებობს არსებითი განსხვავება პოლიტიკურ სისტემებს შორის. ისინი განსხვავდებიან ორი ძირითადი ასპექტით - ერთია - "ძალაუფლების დინების მიმართულება" და მეორე - "მმართველი კლასის რეკრუტირების წყარო". გ. მოსკა გამოყოფს ორ "პრინციპს" , რომელთა მიხედვით განისაზღვრება ძალაუფლების დინების მიმართულება, და ელიტის რეკრუტირების ორი "ტენდენცია". ნებისმიერ პოლიტიკურ ორგანიზაციაში, განმარტავს გ. მოსკა, ძალაუფლება მიედინება ზემოდან ქვემოთ "ავტოკრატიული პრინციპით" - ან ქვევიდან ზევით - "ლიბერალური პრინციპით". ავტოკრატიულ პოლიტიკურ სისტემაში სახელმწიფო მოსამსახურენი ინიშნებიან და აღიჭურვებიან გარკვეული ძალაუფლებით ზემდგომთა მიერ. ლიბ-

1 Meisel. J. H., Pareto and Mosca, New Jersey, 1965, p. 118

2 Albertini Ettore A., Mosca and The Theory of Elitism, Oxford, 1987, p. 12

3 Meisel. J., The Myth of the ruling class, Ann Arbor, 1958, p. 106

ერალურ პოლიტიკურ სისტემაში მმართველთა აღჭურვა უფლებამოსილებით ხდება მართულთა მიერ ნებაყლობრივ არჩევნების გზით. ავტოკრატიული და ლიბერალური პოლიტიკური სისტემები მმართველობის სისტემის იდეალურ ტიპებს წარმოადგენს. რომელთა მისადაგება შესაძლებელია ნებისმიერი საზოგადოებისადმი ამა თუ იმ ხარისხით. საზოგადოებათა უმრავლესობა ორივე პრინციპის შენაერთს წარმოადგენს. გ. მოსკას მოყავს ამერიკის შეერთებული შტატების მაგალითი, სადაც ამერიკის პრეზიდენტი ხელისუფლების სათავეში ექცევა ლიბერალური პრინციპით არჩევნების გზით, მაგრამ სახელმწიფო ადმინისტრაციის ფედერალური დანიშვნისას ხელმძღვანელობს ავტოკრატიული პრინციპით.[1]

გ. მოსკას მიხედვით მმართველი კლასის რეკრუტირება "არისტოკრატიულ" და "დემოკრატიულ" ტენდენციებს ავლენს. ტენდენცია არისტოკრატიულია, იმ შემთხვევაში, თუ მმართველი კლასის ახალი წევრებით შევსება -განახლება არსებული მმართველი კლასის შთამომავალთა მიერ ხდება. როგორც გ. მოსკა შენიშნავს, მიდრეკილება რეკრუტირების ამ ტენდენციისადმი ყველა მმართველ კლასს ახასიათებს. რეკრუტირების ტენდენცია დემოკრატიულია თუ მმართველი კლასის შევსება-განახლება ქვედა კლასების წარმომადგენლებით ხდება. ორივე ტენდენცია თავს იჩენს ნებისმიერ პოლიტიკურ სისტემაში, მაგრამ მათი გამოვლენის ინტენსივობა ცვალებადობს დროისა და ადგილის მიხედვით. ხან არისტოკრატიული ტენდენცია დომინირებს, ხან - დემოკრატიული. აღნიშნული ტენდენციების ექსტრემალური ფორმით გამოვლენა საზოგადოებისათვის საშიშროებას წარმოადგენს. იმ შემთხვევაში, როდესაც საზოგადოებაში დომინირებს რეკრუტირების არისტოკრატიული ტენდენცია, მაშინ მმართველი კლასი კარგავს კონტაქტებს საზოგადოების "მოთხოვნილებებსა და ინტერესებთან". საპირისპირო ექსტრემალურ ვითარებაში, სადაც მმართველი კლასის რეკრუტირების დემოკრატიული ტენდენცია აბსოლუტურად დომინირებს ლოგიკურად რევოლუციურ სიტუაციაზე მიანიშნებს, ვინაიდან მმართველი კლასი ქვეყიდან განუწყვეტელი და ინტენსიური მონაცვლეობის მდგომარეობაში იმყოფება; ხდება არსებული ელიტის ყოვლისმომცველი შეცვლა-განახლება. გ. მოსკას ანალი-

1 Mosca, G., The Ruling class, NY., 1939, ch VI, I, p. 159

ზით, არსებული მდგომარეობის სტაბილიზაციის პროცესი სწრაფად მიმდინარეობს რევოლუციური ქვედა კლასების ყველაზე აქტიური ორგანიზებული უმცირესობის ლიდერობით. რომელიც პერსპექტივაში ახალ მმართველ კლასად იქცევა.[1]

. ჩვეულებრივ, როგორც წესი, მმართველი კლასის რეკრუტირების დემოკრატიული ტენდენცია შედარებით უფრო ზომიერია. იგი ქვედა კლასების წარმომადგენლობით მმართველი კლასის თანდათანობითი გრადუალური ინფილტრაციის პროცესს წარმოადგენს. ამდაგვარი ზომიერი ტენდენცია, გარკვეული აზრით "კონსერვატიული ძალა"[2] შესაძლებლობას უქმნის მმართველ კლასს განახლებისა და გაახალგაზრდავების მართულთა ინტერესებისა და მისწრაფებებთან კონტაქტში შესვლის გზით. ასე ხდება მმართველი კლასის შევსება მართულთა ყველაზე უნარიანი პიროვნებებით, რაც უზრუნველყოფს ელიტის ლიდერობის ხარისხის დაქვეითების თავიდან აცილებას.

გ. მოსკას ძალაუფლების ორი პრინციპი და ელიტის რეკრუტირების ორი ტენდენცია ოთხ კომბინაციას გვაძლევს: არისტოკრატიულ-ავტოკრატიულს, არისტოკრატიულ-ლიბერალურს, დემოკრატიულ-ავტოკრატიულს და დემოკრატიულ-ლიბერალურს. რაც ქმნის საფუძველს კომპარატიული პოლიტიკური ანალიზისათვის.[3]

პოლიტიკური ხელისუფლების ავტოკრატიული სისტემა ძალზე ხშირად მმართველი კლასის რეკრუტირების არისტოკრატიულ მეთოდთან კომბინირებული არის. მემკვიდრეობით მონარქიაში ოფიციალური თანამდებობის პირების დანიშვნა არისტოკრატიულ წრეებიდან ხდება. მაგრამ მხედველობაში მისაღებია ის გარემოება, რომ ზოგიერთი ავტოკრატიული პოლიტიკური სისტემა მმართველი კლასის რეკრუტირების დემოკრატიულ ტენდენციას ავლენს, სადაც პიროვნებათა სახელისუფლო დაწინაურება ხდება მათი დამსახურების და არა სოციალური სტატუსისა და ეკონომიური მდგომარეობის მიხედვით. ამის საილუსტრაციოდ გ. მოსკას მოჰყავს მაგალითები ჩინეთში "მანდარანატის" სისტემისა და რომის კათოლიკური ეკლესიის ისტორიიდან.

---

1 Mosca, G., The Ruling class, NY., 1939, ch VI. p. 160

2 Rojers, R., The Classical Elitist Thesis, Oxford, 1989, p. 39

3 Ibid.

პოლიტიკურ სისტემებში, სადაც ძალაუფლება "ქვევიდან მიედინება", ანუ მოქმედებს ლიბერალური პრინციპით, მმართველი კლასის რეკრუტირება შესაძლებელია ხორციელდებოდეს როგორც დემოკრატიული, ისე არისტოკრატიული ტენდენციის მიხედვით. ასე, მაგალითად, "ლიბერალურ" საზოგადოებებში ფუნქციონირებადი საარჩევნო სისტემით შეიძლება ადგილი ქონდეს შთამომავლობითი არისტოკრატიის წარმომადგენელთა - ე.წ. "პოლიტიკური კლასების" წევრების არაერთგზის არჩევას სახელისუფლო პოზიციებზე. საბოლოო ანგარიშით, ლიბერალური პრინციპი, - განმარტავს გ. მოსკა, - შეთავსებულია დემოკრატიულ ტენდენციასთან იქ, სადაც სახელისუფლო პოზიციებზე ყველა კლასის წარმომადგენლებს ირჩევენ, როგორც ეს ხდება მის თანამედროვე ბრიტანეთის წარმომადგენლობით დემოკრატიაში.[1] მაგრამ ეს ბოლო კომბინაცია გ. მოსკას მიხედვით ნაწილობრივ ილუზორულია. მართალია "ლიბერალურ დემოკრატიულ" სისტემაში სახელისუფლო პოზიციებზე ნებისმიერ სოციალურ-ეკონომიკური კლასის წარმომადგენლებს ირჩევენ, მაგრამ, შენიშნავს იგი, თვით არჩევნები არ ატარებს თავისუფალი არჩევნების ხასიათს, რადგანაც პოლიტიკური ელიტის მანიპულირების ობიექტს წარმოადგენენ. ამ პოლიტიკური ელიტისათვის დამახასიათებელია ტენდენცია, მიუხედავად სოციალური წარმოშობისა, იქცეს მემკვიდრეობით მმართველ კლასად. გ. მოსკას არგუმენტი გულისხმობს, რომ ნებისმიერი პოლიტიკური სისტემაში დომინირებს არისტოკრატიული ან არისტოკრატიულ-ლიბერალური ტიპის სისტემისაკენ გადახრის ტენდენცია.[2]

გვიანდელ ფუნდამენტურ გამოკვლევაში "პოლიტიკური მეცნიერების საფუძვლები" - გ. მოსკა აშკარად აცხადებს, რომ მისი შეხედულებით იდეალური სიტუაციაა უარი თქვა მეცნიერულ ნეიტრალობაზე, რომლის დემონსტრირებას იგი სისტემატურად ახდენდა ადრინდელ შრომებში. გ. მოსკა დადგა ლიბერალურ-კონსერვატიულ პოზიციაზე, რომელსაც დასაბამი, როგორც მიუთითებს ცნობილი მკვლევარი ჯ. მეიზელი, არისტოტელემ მისცა და რომლის პოლიტიკური მეცნიერების უარყოფა გ. მოსკას ადრინდელი სამეცნიერო მოღვაწეობის მი-

---

1 Mosca, G., The Ruling class. NY., 1939, ch XV. 7, p. 421

2 Ibid. p. 423

ზანს შეადგენდა.[1] ბუნებრივია, რომ ბალანსის არსებობა პრინციპებსა და ტენდენციებს შორის სასურველი ფენომენია. იგი საჭიროებს საკმაო დემოკრატიულ "გახსნილობას" მმართველი კლასის განახლებისათვის და საკმაო არისტოკრატიულ შემოსაზღვრულობას სტაბილურობის უზრუნველსაყოფად.[2]

პირველი მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში გ. მოსკა შედარებით უფრო დადებითად განეწყო წარმომადგენლობითი მმართველობისადმი, რაც აისახა მოცემული სისტემის მმართველი კლასის სოციოლოგიურ ანალიზში. მმართველი კლასი, მისი მტკიცებით, მოიცავს ინტერესთა ჯგუფების ან "სოციალური ძალების" ერთობლიობათა ხელმძღვანელობებს, რაც ზეგავლენას ახდენს საზოგადოებაში მნიშვნელოვანი "გადაწყვეტილებების მიღებაზე". ასეთი ძალები შეიძლება განსხვავებულ, კონკრეტულ მიზნებს ესწრაფვოდნენ, იმისდა მიხედვით თუ როგორია საერთო სოციალური და ეკონომიკური ვითარება და მათი ლიდერობის ქმედითუნარიანობისა და ოსტატობის ხარისხი. წარმომადგენლობით დემოკრატიულ პოლიტიკურ სისტემაში შეიძლება განაწილდეს კიდეც ორ ან მეტ მეტოქე პარტიებს შორის, რომლებიც იბრძვიან ელექტორატის მხარდაჭერის მოსაპოვებლად.

ელიტის თეორიის ამ გვიანდელი და "უსუსტებული" ვერსიით თითქმის უარია ნათქვამი სამ ს-ზე (3 C)[3] და გ. მოსკას მმართველი კლასი ამის შედეგად გვევლინება როგორც, "top people"[4] -ის კატეგორია. მმართველი კლასი ახლა დეფინირებულია პიროვნებათა და სოციალური ჯგუფების პოლიტიკური ზეგავლენის ინტენსიურობით, ვიდრე მათი ერთიანობისა და განსაკუთრებულობის მიხედვით. კლასის წევრობის მიღწევა და ამ სტატუსის შენარჩუნება მმართველი ჯგუფებისა და ელექტორატის მისწრაფებათა შორის ბალანსის მანიპულირების უნარით ხდება. ელექტორატს, რომელიც შედგება მოსახლეობის შედარებით ღარიბი და ნაკლებად განათლებული ფართე ფენებისაგან, მმართველი კლასი "საბრძოლო ინსტრუმენტად" იყენებს ხელისუფლებისათვის ბრძოლაში.

---

1 Meisel, J.. The Myth of the Ruling class, Ann Arbor, 1958, p. 47

2 Mosca. G.. The Ruling class. NY., 1939, ch XV, 7. p. 429

3 3 C - Consciouness. Cohesiveness. Conspiracy (ფულისხმება ჯგუფური ცნობიერება -; დარაზმულობა, კონსპირაცია)

4 ადამიანები, რომელთაც უკავიათ უმაღლესი მდგომარეობა საზოგადოებაში.

გ. მოსკას სამეცნიერო მოღვაწეობის ამ პერიოდის შეხედულებები ლიბერალურია. ახლა იგი წარმომადგენლობითი მმართველობის ფორმას იცავს. როგორც საზოგადოებაში ინტერესთა მკაფიოდ გამოხატვის, ქვეყნის ინტელექტუალური ძალების უტილიზაციისა და მართული კლასის ყველაზე უნარიანი ელემენტებით მმართველი კლასის შეესება-განახლების დიდად ეფექტურ საშუალებას.[1] წარმომადგენლობითი მმართველობის ფორმა ელექტორატს შესაძლებლობას უქმნის მოახდინოს პარლამენტის ლიბერალური ძალაუფლების დაბალანსება ბიუროკრატიის ავტოკრატიულ ძალაუფლებასთან. გ. მოსკას მიხედვით, მმართველ კლასს ევალება საზოგადოებისათვის შეიმუშაოს სულიერ- მორალური ორიენტირები და პასუხისმგებლობის გრძნობით განიმსჭვალოს მის წინაშე. "მან უნდა გააცნობიეროს, რომ იგი მმართველი კლასია და ნათლად შეიცნოს თავისი უფლებები და მოვალეობები.[2]

გ. მოსკა მხარს უჭერდა რეფორმებს, რომლებიც XIX საუკუნის ლიბერალური აზრის ქვაკუთხედს წარმოადგენდა. იგულისხმება მმართველობის დეცენტრალიზაცია, რომელიც საშუალო კლასის (გ. მოსკას მიხედვით ელიტის ქვესტრატა) განათლებული ელემენტების დიდ რიცხვს საზოგადოების პოლიტიკურ ცხოვრებაში აქტიური მონაწილეობის შესაძლებლობას შეუქმნიდა. გ. მოსკას არ მიაჩნდა მართებულად და კანონზომიერ მოვლენად საყოველთაო საარჩევნო უფლების შემოღება. მისი აზრით, უფრო გონივრული და პოლიტიკურად გამართლებული იქნებოდა არჩევნების პროცედურის შემოსაზღვრა პოლიტიკური ელიტის "უმაღლესი და ქვედა სტრატებით" გ. მოსკას ელიტიზმი როგორც შენიშნავს პოლიტოლოგი ჯ. პერი, საბოლოო ანგარიშით კარგავს მეცნიერულ ხასიათს და გვევლინება როგორც იდეოლოგია ანუ საშუალო კლასის - ბურჟუაზიის პოლიტიკური თეორია.[4]

გაეტანო მოსკას ადეპტის რობერტ მიხელსის ძირითად ნაშრომში "პოლიტიკური პარტიები" იდეოლოგიური ელემენტი უფრო შენიღბული ფორმით ვლინდება. გ. მოსკას მიერ ბოლომდე დაუმუშავებელ თეორიას იგი მეთოდოლოგიურად უფრო თანმიმ-

---

1 Mosca, G., The Ruling Class, NY., 1939, ch XIV, 8, p. 389

2 Ibid ch XVII, 6, p. 493

3 Ibid ch XV, 4, p. 413

4 Parry, G., Political Elites, L, 1969, p. 42

დევრულად უდგება. რ. მიხელსის შრომის ცენტრალური თემა შემდეგია: ელიტის მიერ საზოგადოების კონტროლი დამოკიდებულია ორგანიზაციაზე ამ დებულებით არ იგულისხმება, რომ ორგანიზაციული უნარი თავის თავად წარმოშობს ძალაუფლებას, არამედ ნებისმიერი ორგანიზებული საზოგადოების თვით სტრუქტურა გარდუვლად წარმოშობს ელიტას. რ. მიხელსის ცნობილი გამოთქმაა: "ვინც ამბობს ორგანიზაცია, ამბობს ოლიგარქია".[1]

ელიტიზმის კლასიკოსთა შორის რ. მიხელსის კვლევის მეთოდი შედარებით მკაცრად "მეცნიერულია". მან სამეცნიერო ხმარებაში შემოიტანა ნებისმიერი სოციალური ორგანიზაციისადმი მისასადაგებელი ჰიპოთეტური კანონი "ოლიგარქიის რკინის კანონი" და სცადა მოეხდინა ჰიპოთეზის ტესტირება იმ ორგანიზაციების მაგალითზე, რომლებიც prima facie (ერთი შეხედვით) ამ კანონის კონტრმაგალითებს წარმოადგენს. რ. მიხელსმა შეისწავლა მსოფლიო ომის წინა პერიოდის ევროპის სოციალისტური პარტიები, განსაკუთრებით გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტია. ამ პარტიების შიდაორგანიზაციულ კრედოს წარმოადგენდა თანასწორობისა და დემოკრატიის დაცვა, ხოლო პარტიის ლიდერები მხოლოდ მასობრივი პარტიის ნდობითა და რწმენებულებით აღჭურვილ პიროვნებებად ითვლებოდნენ. პარტიის უმაღლეს ორგანოს წარმოადგენდა პარტიის ყრილობა. პარტიები ხშირად ატარებდნენ არჩევნებს, რათა განხორციელებულიყო პრინციპი "პარტია უძღვება, ლიდერები მიჰყვებიან მას". ხდებოდა პარტიის ლიდერების ხშირი გადარჩევა ანუ ძირითადად პროლეტარული პარტიების სათავეში მდგომი ინტელექტუალური ხელმძღვანელობის საშუალო კლასის წარმომადგენლების შეცვლა მონაცვლეობა. რ. მიხელსის თვალსაზრისით, ორგანიზაციებშიც, რომლებიც ნორმალურად მაინც ებრძვიან თავიანთ სტრუქტურებში ელიტის ჩამოყალიბებას, იქაც მოქმედებს "ოლიგარქიის რკინის კანონი".

რ. მიხელსს არასდროს არ უცდია მოეცა ოლიგარქიის კანონის ზუსტი ფორმულირება, მაგრამ მისი მნიშვნელობა ცხადია.[2] ნებისმიერ ორგანიზაციას ესაჭიროება ხელმძღვანელობა არსებობისათვის და წარმატებების ფუნქციონირებისათვის. საერთოდ ორგანიზაციის ბუნებაში ძევს კანონზომიერება,

---

1 Michels, R., Political Parties. Grencoe, 1958. p. 418

2 Moring., J., Political Elite Action: Strategy and Autcome. Helsinki. 1989, p. 207

რომლის მიხედვით არსებულ ლიდერთა მცირე ჯგუფისათვის გადაცემული პრივილეგიები და ძალაუფლება არ ექვემდებარება ორგანიზაციის რიგითი წევრების კონტროლს.

ეს მოსაზრება ვრცელდება ორგანიზაციებზეც, სადაც არსებული ხელმძღვანელობა, საერთო შეხედულებით, ამომრჩეველთა ნდობით აღჭურვილ აგრეგატად გვევლინება. ამ ვითარებას განაპირობებს ფაქტორთა ორი ჯგუფი - ორგანიზაციული და ფსიქოლოგიური. უმნიშვნელოვანესი და განმსაზღვრელია ორგანიზაციული ფაქტორები.[1]

რ. მიხელსის მიხედვით, როგორც კი ადამიანთა ერთობლივი მოღვაწეობა და პოლიტიკური აქტივობა "ორგანიზაციის" თვისობრიობას მიაღწევს, საჭირო ხდება ტექნიკური კომპეტენციის მქონე პიროვნებათა ფუნქციონირება ორგანიზაციის ნორმალური მოქმედებისათვის. მაქს ვებერის კვალდაკვალ რ. მიხელსი დაჟინებით ამტკიცებს, რომ მასის ან მისი დილეტანტი, არაპროფესიონალი წევრების მიერ ორგანიზაციის კონტროლის ყოველი მცდელობა უცილობლად დამღუპველად ზემოქმედებს მსხვილი მასშტაბის მასობრივ ორგანიზაციაზეც კი. პოლიტიკური პარტია რომელიც იღწვის სახელმწიფოებრივი ძალაუფლების მოპოვებისათვის საჭიროებს დარაზმულობას, ამომრჩეველთა ორგანიზების ახალი სოციალური ძალების მოზიდვას, პარტიის ორატორების სათანადო ინფორმაციით უზრუნველყოფას, ზრუნვას პარტიის ფინანსურ სტრუქტურაზე, ხელმძღვანელობს შემოწირულობათა კანონიერად გამაწილებას, პროლიტიკური პლატფორმის შემუშავებას, მასმედიასთან ურთიერთქმედებას და სხვ. თითოეული ეს დიდმასშტაბიანი მოღვაწეობა მოითხოვს სათანადო კვალიფიკაციას და სპეციალიზაციას, რასაც პარტიის რიგითი წევრები ვერ გასწვდებიან თავისუფალი დროისა და განვითარებისადმი მიდრეკილების უქონლობის გამო.[2] კონტროლი მასის მხრიდან მკვეთრად ეწინააღმდეგება პარტიის აქციონერების ეფექტურობას, რის გამოც მას ცვლის პროფესიული ხელმძღვანელობა როგორც სტრატეგიულ, ისე ყოველდღიურ საქმიანობაში. "ლიდერობის ტექნიკური გარდუვალობის" შედეგად პარტია ექვემდებარება მისი წამყვანი პოლიტიკოსების და ბიუროკრატიული აპარატის კონტროლს.

---

1 Michels , R., Political Parties, Glencoe, 1958, p. 420

2 Ibid., p. 423

რ. მიხელსი დაბეჯითებით იზიარებს "ელიტიზმის" ცენტრალურ დოგმატს, რომ ძალაუფლება წარმოშობს ძალაუფლებას. პარტიის ხელმძღვანელობა აკონტროლებს პარტიის ფინანსებსა და საინფორმაციო არხებს - განსაკუთრებით ბეჭდვით ორგანოებს

ახდენს საპარლამენტო კანდიდატების სელექციას, საკადრო პოლიტიკაში ეწევა პატრონაჟს. პარტიის საქმიანობა ფართოდ განიხილება საზოგადოებაში, პრესაში, მათ შორის, ოპოზიციურშიც. საზოგადოების დაინტერესებულობა პარტიის როლით და მოღვაწეობით თავის მხრივ დიდ ზეგავლენას ახდენს შიდაპარტიულ ძალაუფლებრივ სტრუქტურებზე. ძალაუფლების მოსაპოვებლად პარტიას ესაჭიროება ელექტორატის მიზნობრივი მხარდაჭერა. იგი არა მხოლოდ თავისი წევრების მხარდაჭერას ეყრდნობა, არამედ ცდილობს მოიზიდოს ამომრჩეველთა ფართო ფენები, რომლებიც პარტიის წევრები არ არიან (საზოგადოების მარგინალურ ფრთას წარმოადგენენ). ელექტორატის ხმების მოსაპოვებლად პარტიამ თავისი დოგმები ამომრჩეველთა ინტერესებთან შესატყვისობაში უნდა მოიყვანოს და, რაც მთავარია სტაბილურობის ილუზიის შესაქმნელად საჭიროა პარტიის ხელმძღვანელობის მუდმივობის უზრუნველყოფა.

რ. მიხელსის მსჯელობით, აღნიშნული ფაქტორები განამტკიცებს პარტიის ორი ჯგუფის პოზიციებს. პირველი ეს არის პარტიული ბიუროკრატია ანუ თავისი საქმის ექსპერტები, რომელთა ძირითად ინტერესს წარმოადგენს ძალაუფლების შენარჩუნება, უგულებელყოფილია რა პარტიული პრინციპულობა; მეორე ჯგუფს წარმოადგენს პარლამენტში, და საერთოდ წარმომადგენლობათა ინსტიტუტებში , არჩეული პარტიის წარმომადგენლები, რომლებიც ამ ფაქტით დამატებით წონას იძენენ პარტიულ წრეებში. უნდა შევნიშნოთ, რომ პარტიის ლიდერთა ქარიზმულ ლიდერებს ცვლიან ბიუროკრატები, რევოლუციონერებსა და ენთუზიასტებს - კონსერვატორები, დემოკრატები, კონფორმისტები, რომლებიც ზრუნავენ მხოლოდ თავიანთ და არა მასების ინტერესებზე. მასებს ეპირფერებიან და ამავ დროს ახალისებენ მის პოლიტიკურ და სოციალურ პასიურობას და საქმეში ჩაუხედაობას (არაინფორმირებულობას), იმ შემთხვევების გარდა, როდესაც ლიდერების სოციალური სტატუსის მოქიშპე ჯგუფი ემუქრება. პარტიის ხელმძღვანელობა ფორმალურად კვლავ დოგმების ერთგული რჩება, სინამდვილეში კი კლასის და მასის მიზნებს და ინტერესებს სცილდება. ამ უკანასკნელთ ცვ-

ლის ბიუროკრატიის ინტერესები, რომლებიც გაიგივებულია პარტიისა და ხალხის ინტერესებთან. პარტიის ხელმძღვანელი ჯგუფი სულ მეტად იზოლირებული და ნაკეტილი ხდება, იგი სპეციალურ ორგანოებს ქმნის პრივილეგიების დასაცავად და პერსპექტივაში მმართველი ელიტის ნაწილად გადაქცევის ტენდენცია ახასიათებს. ახალი ელიტა ეჭვის თვალით უყურებს პარტიის წევრებს, რომლებიც საწყისი იდეების ერთგულნი რჩებიან. ისინი მისი აზრით საშიშროებას წარმოადგენენ ხელმძღვანელობის უსაფრთხოების, სიმშვიდისა და მდგომარეობისათვის. ორგანიზაციის სათავეში მდგომნი გრძნობენ რა პოტენციურ საფრთხეს რიგითი წევრების მხრიდან, უკუაგდებენ შიდაპარტიულ დემოკრატიას, თავიანთ ქმედებას ნიღბავენ სიძნელეთა გადალახვისა, მტრებთან ბრძოლის აუცილებლობით და ა.შ. ამრიგად, ორგანიზაციის განვითარებასთან ერთად დემოკრატია დაცემის გზას ადგება.

პარტიული პოზიცია გარკვეულწილად პარტიის გარე ელემენტების მხარდაჭერაზეა დამყარებული (მაგალითად, ქარიზმული ლიდერებისა). პარტიის ხელმძღვანელობის ძალისხმევით პარტიის რიგებში მუსირებს შეხედულება, რომ თითქოს მათი გადაყენება შეუძლებელია პარტიის წევრების მიერ პარტიის რეპუტაციის შელახვისა და საარჩევნო შანსების შემცირების გარეშე. ბოლოს და ბოლოს პარტია იძულებული ხდება თავის რიგებში ძალაუფლებრივი იერარქიული სტრუქტურის არსებობას შეეგუოს. პარტიის ხელმძღვანელობა "სტაბილური და უცვლელია", რის შედეგად ადგილი აქვს ოლიგარქიის ტრიუმფს. ზემოაღნიშნულ ტენდენციებთან ბრძოლა რ. მიხელსის მიხედვით, პროლეტარულ პარტიებშიც არ იძლევა დადებით შედეგს. წარმოიქმნება "პროლეტარული ელიტა", რომელიც განძარცულია პროლეტარული ბუნებისაგან (წარმომავლობის გარდა), დაზგას ცვლის საწერი მაგიდა. ლიდერების გაბურჟუება, პარტიის მასობრივი ბაზისაგან გაუცხოება, პარტიული იერარქიის განმტკიცება გარდუვალია. ოლიგარქიის წარმომშობი ორგანიზაციული და სტრუქტურული ძალების მოქმედება აძლიერებს ფსიქოლოგიური ფაქტორების უარყოფით ხასიათს. სოციალისტ-თეორეტიკოსთაგან განსხვავებით, რომლებსაც მიაჩნიათ, რომ მოსახლეობის უმრავლესობას მაღალი პოლიტიკური აქტივობა და სპონტანურობა

1 Michells, R., Political Parties, Glencol, 1958, pp. 288-9

ახასიათებს, რ. მიხელსი ამტკიცებს, რომ უმრავლესობა აპათიურია სოციალურად და პოლიტიკურად. რიგითი მოქალაქის დაინტერესება პოლიტიკით იმ შემთხვევაში ხდება, თუ იგი მის ინტერესებს შეეხება. რიგითი ადამიანები ვერ სწვდებიან პოლიტიკური სისტემის ფუნქციონირების სიღრმეს და ხასიათს. იგივე ითქმის პარტიის რიგით წევრებზეც. მხოლოდ "პარტიული აქტივი" აცნობიერებს "თამაშის წესებს" და რეალურად მონაწილეობს გადაწყვეტილებათა მიღებაში.

ინტერესებისა და ძალაუფლების განაწილება პარტიაში შეიძლება იქნას პირამიდის ფორმით წარმოდგენილი. აქტივის ქვედა რგოლს წარმოადგენენ ნებაყოფლობით ანაზღაურების გარეშე მომუშავე პარტიის ფუნქციონერები, ხოლო ამ ფენის ქვევით იმყოფება პარტიის აქტიური წევრების შედარებით ფართო ფენა, რომლებიც რეგულარულად ესწრებიან კრებებს. შემდეგია პარტიის რიგითი არააქტიური წევრების უფართოესი ფენა. პარტიული პირამიდის საფუძველს შეადგენს იმორჩული ფენა, რომლის მხარდაჭერით სარგებლობს პარტია არჩევნებში.

რ. მიხელსის მიხედვით სოციალურ და პოლიტიკურ აპათიას წარმოშობს მასისათვის დამახასიათებელი არაკომპეტენტურობა. პოლიტიკური ცოდნის ასათვისებლად საჭიროა თვითორგანიზებულობა. რ. მიხელსს მიაჩნია, რომ უმრავლესობა მოკლებულია ამ თვისებებს, და არ ძალუძს თვითორგანიზება. უმრავლესობისათვის იმანენტურად დამახასიათებელია ფსიქოლოგიური მოთხოვნილება იყოს მართული.[1]

რევოლუციური აგიტაციაც, რომელიც უმრავლესობის ინტერესებს გამოხატავს, ორგანიზებული უმცირესობის ხვედრია. მასის პოლიტიკური აპათია და მორჩილება იდეალურ პირობებს ქმნის აქტიური, ორგანიზებული უნარით დაჯილდოებული უმცირესობის მიერ მართვის სადავეების ხელში ჩასაგდებად.

მიუხედავად იმისა, რომ რ. მიხელსს დასკვნები გამოაქვს პოლიტიკური პარტიების ფუნქციონირების მაგალითზე, იგი ასკვნის, რომ ოლიგარქიის კანონის მოქმედება ნებისმიერ ორგანიზაციაზე, მათ შორის სახელმწიფო ორგანიზაციებზეც ვრცელდება. რ. მიხელსის მიხედვით ოლიგარქია დიდი საზოგადოებრივი აგრეგატების ცხოვრების "წინასწარდადგენილი ფორმაა" და დემოკრატია ყოველთვის იძენს ოლიგარქიულ

1 Michells, G., Political Parties, Glencol, 1958, p. 295

ფორმას, რომლის წინააღმდეგაც მიმართულია მისი ძალისხმევა. ეს პროცესი უხსნის გზას რჩეულთ, მმართველობისაკენ. უმრავლესობა ვერასდროს ვერ გახდება მმართველი, მიუხედავად საყოველთაო საარჩევნო უფლების ფორმალური აპარატის არსებობისა. დემოკრატია, როგორც მთელი ხალხის ან მისი უმრავლესობის

თვითმმართველობა შეუძლებელია. ნებისმიერ დემოკრატიულ პოლიტიკურ სისტემაში მთავარ გადაწყვეტილებას "ძლევამოსილი" ოლიგარქია იღებს.

3. ვილფრედო პარეტო (1848-1923)

სოციოლოგიის კლასიკოსი ვილფრედო პარეტო ერთ რიგში დგას ისეთ გამოჩენილ მეცნიერთა შორის, როგორებიც არიან კ. მარქსი, მაქს ვებერი, ემილ დიურკჰაიმი.[1] მან მნიშვნელოვანი როლი შეასრულა სოციოლოგიაში მათემატიკური და სტატისტიკური მეთოდების დანერგვის საქმეში. ვ. პარეტომ მიზნად დაისახა შეექმნა აპრიორული, მეტაფიზიკური მსჯელობებისა და ცნებებისაგან თავისუფალი "ექსპერიმენტული სოციოლოგია". მის ნააზრევსა და შემოქმედებაზე მეცნიერული ზეგავლენა მოახდინა, ერთი მხრივ, ოგიუსტ კონტმა, ჯონ სტიუარტ მილმა, მეორე მხრივ - ფრიდრიხ ნიცშეს ინდივიდუალიზმმა.

ვ. პარეტოს მოძღვრება ყველაზე სრულად გადმოცემულია მის ფუნდამენტურ გამოკვლევაში - "ტრაქტატი ზოგად სოციოლოგიაში" (Trattato di sociologia generale, vol I-IV, Firenze, 1916-1919),[2] რომელიც სოციოლოგის ს. ფაინერის სიტყვით კ. მარქსისადმი "გიგანტურ შეპასუხებას" ("Gorgantuan retort") წარმოადგენს.[3]

აღნიშნული გამოკვლევა კლასიკური ელიტიზმის დოქტრინების საფუძველია. ელიტა როგორც სოციალური და პოლიტიკური ფენომენი აქ უფრო ფართოდაა განხილული, ვიდრე სხვა ელიტისტების შრომებში. გ. მოსკასა და რ. მიხელსის "პოლიტიკურ

---

1 Зотов А.А., Путь В. Парето к социологии, журн. "Социологические исследования. - Социс", М., 1995. /10, с. 133

2 ეს ნაშრომი ინგლისურენოვან ქვეყნებში გაცნეს 1935 წელს "ბონება და საზოგადოების" სახელწოდებით - The Mind and Society, NY, 1935

3 Finer, S.E., Vilfredo Pareto: Sociologial Writings, L-NY, 1966, p. 77

ბოსებთან“ შედარებით ელიტის ცნების პარეტოსეული შინაარსი უფრო ფართო და ოპერაციონაბელურია. ზოგჯერ კი მარქსისეულ მმართველი კლასის ცნების შინაარსზეც ფართოა. ვ. პარეტოს ელიტიზმის თეორია ზოგადი სოციოლოგიის შემადგენელი ნაწილია, რომელშიც სოციალური ქმედება-მოღვაწეობა ფუნდამენტური ფსიქოლოგიური ფაქტორებითაა ინტერპრეტირებული.

ვ. პარეტოს მიხედვით ელიტის არსებობა აიხსნება არა ეკონომიკური ძალების მოქმედებით ან ელიტის ორგანიზაციული უნარით დომინირებდეს საზოგადოებაში, არამედ კაცობრიობის ისტორიის მანძილზე გამოკვეთილი ადამიანებისათვის დამახასიათებელი ბიოფსიქიკური წყობის გამოვლინებებით.

ვ. პარეტოს მეცნიერული ინტერესების სფეროში უმთავრესი ადგილი პოლიტიკის საკითხებს ეთმობა. მისი კვლევის მეთოდიკისათვის დამახასიათებელია სისტემური მიდგომა საზოგადოებისადმი, რომელსაც იგი განიხილავს როგორც მთლიანობას, ხოლო მის შემადგენელ ნაწილებს - როგორც მთლიანის ფუნქციონალურ ელემენტებს. ვ. პარეტოს მოძღვრების მიხედვით, საზოგადებაში არსებული სოციალური და პოლიტიკური სისტემის რეალურ იერსახეს წარმოადგენს წონასწორობის მოდელი, რომელშიც ყველა ნაწილი მტკიცედაა დაკავშირებული ერთიმეორესთან და მექანიკურ ზეგავლენას ახდენენ ერთმანეთზე. სისტემა ისწრაფის წონასწორობისაკენ, ეს წონასწორობა არა სტატიკური, არამედ დინამიურია. ცვლილებები სისტემის ერთ ნაწილში მეესეულად გადაეცემა მის სხვა ნაწილებს და ამის შედეგად მთელი სისტემა მოძრაობაში მოდის, სანამ არ აღდგება დინამიური წონასწორობა. სოციალური და პოლიტიკური სტრუქტურების დეტერმინირება ხდება ელიტის საზოგადოების მმართველი უმცირესობის მეშვეობით.

ვ. პარეტოს მოძღვრების მიხედვით ელიტა წარმოიქმნება “სოციალური პროცესის“ სამ უმთავრეს სფეროში - პოლიტიკურში, ეკონომიკურსა და ინტელექტუალურში ინდივიდუმების გამოყოფით, რომლებმაც თავიანთი მოღვაწეობის სარბიელზე მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიეს.

ვ. პარეტომ შეიმუშავა ყურადსაღები კონცეფცია - ელიტისადმი კუთვნილების კრიტერიუმები, რისთვისაც ადამიანის მოღვაწეობა საქმიანობის თითოეული სფეროსათვის ინდექსთა (ქულების) სისტემა შემოიღო. მას მიაჩნია, რომ ყოველი დარგი ან სფერო, როგორიცაა მაგალითად, მეცნიერება პოეზია და თუნდაც, “ქურდობა“ შეიძლება თეორიულად მაინც გაიზომოს და

წარმატების მიხედვით მის ყოველ აქტორს ქულების გარკვეული რაოდენობა მიეკუთვნოს.[1] "მატარებლის დიდი მძარცველი", რომელიც თავს აღწევს შეპყრობას , იმსახურებს ათ ქულას, ხოლო ქურდბაცაცა, რომელსაც ქურდობის პირველ მცდელობისთანავე აპატიმრებენ, არცერთ ქულას არ იმსახურებს. ვ. პარეტო ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მოცემული შეფასება არ არის მორალურ-ეთიკური ბუნების, იგი მხოლოდ საქმიანობის გარკვეულ სფეროში მიღწეული წარმატების საზომს წარმოადგენს.

"დავუშვათ, რომ ადამიანური მოღვაწეობის ყოველ სფეროში, წერს ვ. პარეტო, - ყოველ ინდივიდს ეძლევა ინდექსი, რომელიც მისი ნიჭიერების შეფასებას წარმოადგენს. იმდაგვარად როგორც გამოცდებზე აფორმებენ ნიშნებს... მაგალითად, ადამიანს, რომელმაც შეიძინა მილიონიანი ქონება (პატიოსანი თუ უპატიოსნო გზით , ამას არა აქვს მნიშვნელობა) ჩვენ ვაფასებთ ათი ქულით; ადამიანს, რომლის ქონება ათასობით იანგარიშება ექვსი ქულით; მათ ვინც დიდის ძალისხმევით შეძლო თავის არიდება ღატაკთა თავშესაფარისაგან - ერთი ქულით, ვიტოვებთ ნულს მათთვის, ვინც იქ აღმოჩნდა... ადამიანთა ერთობლიობას, რომელთაგან ყოველნი თავის მოღვაწეობა-მოქმედების სფეროში მიიღო ყველაზე მაღალი შეფასება, ვუწოდოთ ელიტა"[2] პიროვნებებს, რომლებიც შეადგენენ ელიტას, ვ. პარეტომ "რჩეულთა კლასიც" უწოდა.

იგი თავის მხრივ ორ სოციალურ ერთობად მმართველ და არამმართველ ელიტად იყოფა.

ვ. პარეტოს შეხედულებით სოციალური კლასიფიკაცია შესაძლებელია სხვა პარამეტრების მეშვეობითაც - მოღვაწეობა მოქმედების ამა თუ იმ სფეროში გამოვლენილი ნიჭიერების მიხედვით. მაგალითად, გამოჩენილი იურისტი უეჭველად მიეკუთვნება ელიტას, მაგრამ მისი ღირსებები, როგორც იურისტისა, რომელიც ათი ქულით იქნა შეფასებული, მას გზას არ უხსნის საზოგადოების მმართველობაში მონაწილეობისათვის; თუ კი მას არ გააჩნია რაიმე სხვა თვისებები იგი არ შედის მმართველ პოლიტიკურ ელიტაში. პოლიტიკურ ელიტას შეადგენენ პიროვნებები, რომლებიც უშუალოდ ან არაპირდაპირ ასრულებენ მნიშვნელოვან როლს საზოგადოების მართვის სტრუქტურებში.

---

1 Pareto, V.. Sociological Writings. L, - NY, 1966, p. 248

2 Ibid.

პოლიტიკური ელიტის წარმოშობას და არსებობას, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, ვ. პარეტო ძირითადად ადამიანთა ფსიქოლოგიური თვისებებით ხსნის. მისი აზრით, სოციალური და პოლიტიკური სისტემის ხასიათისა და განვითარების უმნიშვნელოვანეს განმსაზღვრელ ფაქტორს ადამიანის გრძნობები წარმოადგენს, რომლებიც ძირითადად ალოგიკურ მოქმედებათა ფორმით გამოვლინდება. ალოგიკურ, ირაციონალურ ქცევას საფუძვლად უდევს აღმძვრელი ინსტინქტების, სურვილების, ინტერესების კომპლექსი, რომელიც ნებისმიერი ალოგიკური, ირაციონალური ქცევის მდგრად ფსიქოლოგიურ კონსტანტას შეადგენს. ამ კომპლექსს ვ. პარეტომ "ნაშთი" "რეზიდუე" (residue) უწოდა. იგი გამოყოფს "რეზიდუეს" ექვს სახეობას. პირველია "თანაზიარობის" ინსტინქტი" (პოლიტიკოსისათვის ეს უწინარესყოვლისა არის მის დაქვემდებარებაში მყოფი ორგანიზაციების, პარტიებისა და სახელმწიფოს მხრიდან მისი სტატუსის აღიარების მიღწევის მოთხოვნილება); მეორე ეს "კომბინაციების ინსტინქტია". (იგი მკაფიოდ გამოხატულია გამონენილ მოღვაწეებში, შეადგენს მათ მთავარ პროფესიულ ღირსებას); მესამეს წარმოადგენს - "საკუთარი გრძნობების დემონსტრირების მოთხოვნილება" (პოლიტიკაში ამ "რეზიდუეზეა" დაფუძნებული იერარქიული სისტემებში თაყვანისცემის ფორმები, რიტუალები და კულტები, ბელადისადმი "რწმენის" და ა.შ.); მეოთხეა - "აგრეგატების მუდმივობისაკენ" სწრაფვა (ამით არის გაპირობებული ნამოყალიბებული პოლიტიკური სისტემების, , "კანონიერი" დინასტიების, კონკრეტული პოლიტიკური შეხედულებების, ტრადიციების, სტერეოტიპების და სხვ. ხანგრძლივი არსებობა); რეზიდუეს მეხუთე სახეობაა "ინდივიდუუმის მთლიანობის ინსტინქტი" (პოლიტიკურ-სამართლებრივ სფეროში ეს არის მისწრაფება უზრუნველყოფილ იქნეს პიროვნების უსაფრთხოება და საკუთრების ხელშეუხებლობა); "რეზიდუეს" მეექვსე სახეობაა "სექსუალობის ინსტინქტი" . იგი ყველაზე ღრმა და მდგრადია ყველა სხვა "რეზიდუესთან" შედარებით. მის შეხღუდვასა და შეკავებას ენერგიულად ცდილობენ სხვადასხვა მორალურ-ეთიკური, რელიგიური და სამართლებრივი აკრძალვებით.[1]

---

1 ზიგმუნდ ფროიდისაგან დამოუკიდებლად, რომლის შრომებსაც ვ. პარეტო არ იცნობდა, ჩამოაყალიბა არაცნობიერის ფსიქოლოგიის ზოგიერთი ღირსშესანიშნავი იდეა.

"რეზიდუეს" ინტერპრეტირებისას ვ. პარეტოს მხედველობაში ჰქონდა ის, რაც დარჩება, თუ კი სოციალური და პოლიტიკური მოქმედებისა და აზრების მთლიან ერთობლიობიდან ყოველივე არაარსებითს და ზედაპირულს გამოვრიცხავთ. ყოველი ალოგიკური ქცევა აუცილებლად შეიცავს "რეზიდუეს" ყალბ ინტერპრეტაციებს, რომლებიც განმარტავენ და ამავე დროს, ნიღბავენ კიდეც მათ. ამ ელემენტებს ვ. პარეტომ "წარმოებულები" "დერივაციები" (derivation) უწოდა. ამრიგად "რეზიდუე" ეს არის რეალური, მნიშვნელოვანწილად ირაციონალური მამოძრავებელი ძალები, ხოლო "დერივაციები" წარმოადგენს მათ შემნიღბავ იდეოლოგიებს. მოიცავენ რა მასებს, "დერივაციები" იქცევა იდეოლოგიურ და რელიგიურ დოქტრინებად. ვ. პარეტო ხაზგასმით აღნიშნავს საზოგადოებაში იდეოლოგიის როლს და მნიშვნელობას და ააშკარავებს მასობრივი ცნობიერების მანიპულირების მექანიზმს.

ვ. პარეტომ ყოველი სოციალური და პოლიტიკური პროცესისა და ფენომენის ინტერპრეტირებას საფუძვლად დაუდო "რეზიდუეს" და "დერივაციების" კლასიფიკაცია, მიანდა რა, რომ მათი კომბინაციებით კონკრეტულად განისაზღვრება ესა თუ ის პროცესი ან ფენომენი. ამ სქემაზე დაყრდნობით იგი განმარტავდა საზოგადოებრივი ცხოვრების მექანიზმს.

ვ. პარეტომ უმნიშვნელოვანესი რეზიდუების უმრავლესობა დაყო ორ კლასად, რაც მისი აზრით, სოციალური პროცესების, კერძოდ, ელიტის ბატონობის და მონაცვლეობის ინტერპრეტირების შესაძლებლობას იძლევა. "კლასი I რეზიდუები" ასახავს "კომბინაციების ინსტინქტს" წარმოსახვის უნარის გამოყენებით იდეების შეპირისპირებისა და ფორმულირების იმპულსს. ხელოვნება, იდეოლოგიები, პოლიტიკური კოალიციები და მანევრები ამ აქტიური შემოქმედებითი ინსტინქტის ნაყოფს წარმოადგენს. "კლასი II რეზიდუები" ასახავს "აგრეგატების სიცოცხლისუნარიანობის" ინსტინქტს - მიღწეული პოზიციების კოორდინაციის ტენდენციას. კლასი II რეზიდუები სტაბილურობის, სოციალ-პოლიტიკური წესრიგის და პერმანენტობის ინსტინქტების მანიფესტაციას წარმოადგენს. პოლიტიკაში ისინი გამოვლინდებიან სოლიდარობის, დისციპლინის, სოციალური წესრიგის და სხვა ტრადიციული ღირსებების (ქონება, ოჯახი და ა.შ.) მოთხოვნის ფორმით.[1] მაგ-

1 Meisel, J.H., Pareto and Mosca: New Jersey, 1965, p. 71.

რამ ტრადიციონალიზმთან მათი გაიგივება უმართებულოა. სტაბილურობის ატრიბუტებს შესაძლებელია წარმოადგენს ახალი ან რევოლუციურ მოძრაობათა ელემენტებიც კი.

ვ. პარეტოს მოძღვრების მიხედვით გადამწყვეტი მნიშვნელობისაა სწორედ რეზიდუების ან მათი შესაბამისი ინსტინქტების განაწილება საზოგადოებაში. აქ დომინირებენ ან "კლასი I რეზიდუები" ინტელექტუალური და მოქნილი პიროვნებები, რომელსაც იგი აღნიშნავს ცნებით "შელა სპეკულანტი". ისინი ცბიერი, მოქნილი მმართველები არიან, რომლებიც წარმატებით იყენებენ კომპრომისების, დარწმუნების, მოლაპარაკების და ა.შ. მეთოდებს; ან საზოგადოებაში დომინირებენ "კლასი II რეზიდუები" - ძლიერი, სტაბილური, მტკიცე ხასიათის პიროვნებები - ვ. პარეტო მათ აღნიშნავს ცნებით - "ლომი- რანტიე".[1] მათი დამახასიათებელი ნიშანთვისებაა უკიდურესი კონსერვატიზმი, აგრესიულობა, მართვის უხეში, ძალადობრივი მეთოდები, სიმკაცრე, სიმტკიცე, შეუპოვრობა, მაგრამ, როგორც შენიშნავს ვ. პარეტო, დინამიურ პოლიტიკურ კურსის წარმატებით განხორციელება საჭიროებს "ლომებსაც" და "შელიებსაც". ვინაიდან მართულ უმრავლესობაში კონსენსუსი და სოციალური სტაბილურობა მიიღწევა როგორც ძალადობრივი მეთოდებით, ისე კომპრომისით, დარწმუნებით, პროპაგანდით. მმართველობის ფორმა და სტილი დამოკიდებულია იმაზე , მმართველ ელიტაში დომინირებს კლასი I რეზიდუები, თუ კლასი II რეზიდუები, პოლიტიკური სისტემა, რომლის გაბატონებულ პოლიტიკურ სტრატაში ჭარბობს "ლომების" ელიტა სტაგნაციაში მყოფი და კონსერვატიულია, "შელიების" ელიტის (რომელსაც ვ. პარეტომ "დემაგოგიური პლუტოკრატია" უწოდა) სიჭარბისას კი - დინამიური.

სოციალური და პოლიტიკური პროცესების დინამიკის ანალიზისა და ინტერპრეტაციისათვის ვ. პარეტოს მოძღვრებაში ფორმულირებულია "ელიტების ცირკულაციის" ცნობილი თეორია. ვ. პარეტოს დასკვნით "ელიტების ცირკულაცია" სოციალური და პოლიტიკური ცხოვრების ურყევი და შეუვალი კანონია და დეტერმინირებულია სახელმწიფოს მართვის საჭესთან მდგარ

---

1 "კლასი I რეზიდუებს" ვ. პარეტო აკუთვნებს ათენის დემაგოგების მთავრობებს, რომის არისტოკრატიის მთავრობებს - რესპუბლიკის სხვადასხვა ეპოქებში. შუა საუკუნეების რესპუბლიკების უმრავლესობას; "კლასი II რეზიდუებს" - ბერძნულ ქალაქებს ტირანიის პერიოდში, სპარტას, ავგუსტუსისა და ტიბერიუსის პერიოდის რომს, ბოლო პერიოდის ვენეციის რესპუბლიკას, XVIII საუკუნის მრავალ ევროპულ სახელმწიფოს.

ელიტაში "რეზიდუეს" კომბინაციებით. "დერივაციები" კი სოციალურ-პოლიტიკური და ისტორიულ-ფილოსოფიური მოძღვრებების სახით - მხოლოდ საშუალებას წარმოადგენს პოლიტიკურ ელიტების ბრძოლაში და ხელს უწყობს მასების მორჩილებაში ყოლას.[1]

ზემოთ აღვნიშნეთ, რომ ვ. პარეტო საზოგადოებას განიხილავდა, როგორც სისტემას, რომელიც დინამიური წონასწორობის მდგომარეობაში იმყოფება. ამ სისტემის ნაწილებს წარმოადგენს "რეზიდუები", "დერივაციები" და სოციალური ჰეტეროგენულობა. დინამიური წონასწორობის მდგომარეობიდან სისტემის გამოყვანის შემთხვევაში, დროთა განმავლობაში , ის კვლავ უბრუნდება საწყის მდგომარეობას. სისტემის ცვალებადობის პროცესი წონასწორობის "ნორმალურ" მდგომარეობაში მოყვანამდე - წარმოქმნის სოციალურ ციკლს, რომლის მიმდინარეობა დამოკიდებულია ელიტების ცირკულაციის ხასიათზე. ვ. პარეტოს მიხედვით, სოციალურ-პოლიტიკური სისტემის წონასწორობის შენარჩუნება გარდუვლად საჭიროებს ელიტების მუდმივ ცვლა-მონაცვლეობას. ეს პროცესი ხელს უწყობს სოციალური და პოლიტიკური სისტემების წონასწორობას იმ ზომით, რა ზომითაც ის უზრუნველყოფს იმ პიროვნებათა ვერტიკალურ მობილობას, რომლებსაც უფრო მეტი პიროვნული ღირსებები გააჩნიათ. თავისუფალი ვერტიკალური ცირკულაცია სოციალური ჰიგიენის, ელიტების განახლების გზას წარმოადგენს. სოციალურ-პოლიტიკური წონასწორობის მექანიზმი ნორმალურად ფუნქციონირებს, როდესაც უზრუნველყოფილია ელიტის პროპორციული შევსება პიროვნებებით, რომელთაც საზოგადოების მართვის უნარი გააჩნიათ. ვ. პარეტო არაერთგზის შენიშნავდა, რომ ყველაზე ნიჭიერი ინდივიდუუმების უმაღლეს სტრატაში რეკრუტირება ხდება ქვედა სტრატებიდან. "მმართველი კლასის შევსება ხორციელდება, - განმარტავს იგი, - ქვედა კლასებიდან წარმოშობილი ოჯახებით"[2] მათ მოაქვთ ენერგია და "რეზიდუეს" პროპორციები საკმარისი იმისათვის, რათა შენარჩუნებულ იქნას სახელმწიფო ხელისუფლება.

ელიტების ცვლის პროცესის შეწყვეტის შემთხვევაში მმართველ ელიტაში თანდათანობით გროვდება ისეთი ელემენტები, რომელთაც არ გააჩნიათ საზოგადოების მართვისა და კონტროლისათვის

---

1 Meisel. J.H., Pareto and Mosca. New Jersey, 1965, p. 71

2 Pareto, V.. Mind and Society, NY., 1935, vol 3. p. 1430

აუცილებელი თვისებები და ამიტომ სახელმწიფო ხელისუფლების შენარჩუნების მიზნით მიმართავენ მმართველობის ძალადობრივ მეთოდებსა და ტერორს. საზოგადოებას ემუქრება ან რევოლუციური გადატრიალება ან გარეშე ძალებით დანგრევა. რევოლუცია, ვ. პარეტოს მიხედვით, ელიტების ბრძოლა და ცვლაა. ერთიმეორეს ებრძვის პოლიტიკური ელიტა, de facto და კონტრელიტა, რომელიც თეორიული ფორმით ჩამოყალიბებულ გარკვეულ იდეოლოგიურ მიმდინარეობას იყენებს, რათა შენიღბოს პოლიტიკური აქციების ჭეშმარიტი მამოძრავებელი მოტივები.[1]

ვ. პარეტოს მოძღვრების მიხედვით, სოციალური ისტორია პოლიტიკურ ელიტებს შორის პერმანენტული პაექრობისა და ბრძოლის ასპარეზს წარმოადგენს. პოლიტიკური ელიტის ორი ძირითადი ტიპი (კლასი I და კლასი II რეზიდუები) თანმიმდევრულად , ბრძოლის სხვადასხვა მეთოდების გამოყენებით ცვლის ერომანეთს. მაგრამ დროთა განმავლობაში ყოველი პოლიტიკური ელიტა კმაყოფილდება მიღწეული ვითარებით, კარგავს პირვანდელ ნიშან-თვისებებს, შემოქმედებით ენერგიას და იწყებს გადაგვარებას. "არისტოკრატია განიცდის არა მხოლოდ რაოდენობრივ , არამედ თვისობრივ დაკნინებასაც".. პოლიტიკური ელიტების აღმავლობის ან დეგრადირების შედეგად მაოი დაცემის მიზეზები, ვ. პარეტოს აზრით, მდგომარეობს პოლიტიკური ელიტის ამ ორი ძირითადი ტიპის ურთიერთგამომრიცხავ ხასიათში. თითოეულ ტიპს მხოლოდ შეზღუდული უპირატესობანი გააჩნია და ვერ აკმაყოფილებს საზოგადოების კონტროლისა და მართვის ყველა მოთხოვნას.[2]

იმისდა მიუხედავად, რომ პოლიტიკური კონტინუუმი, ვ. პარეტოს შეხედულებით, წარმოადგენს ერთერთ გარდუვალ სოციალურ კანონს. ეს სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ მოცემული ელიტა უძლურია დააბრკოლოს ან შეაჩეროს მისი მოქმედება. კლასი I ელიტები, ჩვეულებრივ, ნაკლებ სტაბილურნი არიან, მაგრამ სწორედ მათ ძალუძთ, იმდაგვარი პოლიტიკური მანევრირება, რომელიც მათ ხელისუფლებას უნარჩუნებს ან იდეოლოგიის გულმოდგინედ შემუშავება, რომელიც არწმუნებს მასას status quo-ს შენარჩუნების აუცილებლობაში. კლასი II

1 Harding, L.R, Anatomy of a Power Elite, New Hawen, 1978, p. 69

2 Pareto. V., Mind and Society. NY., 1935, vol 3, p. 1423

ელიტები შინაგანად უფრო სტაბილურნი არიან. მათი პოლიტიკური რეჟიმი ემყარება სამხედრო ან საპოლიციო ძალებს. მათ უნარი შესწევთ მნიშვნელოვანი პერიოდით საუკუნეებითაც კი აიცილონ ან გადაავადონ სოციალური კატაკლიზმები. სპარტა ამის კლასიკური მაგალითია. შუალედურ სტადიაზე მყოფ პოლიტიკურ სისტემებს, რომელთა ხელისუფლებრივი სადავეები ხელთ უპყრიათ კლასი I და კლასი II ტიპების შერეულ ელიტას, შეუძლიათ დიდი პერიოდის მანძილზე ავლენდნენ სიცოცხლისუნარიანობას ერთი ელიტის ან მეორე ელიტის წმინდა ტიპად ტრანსფორმაციამდე. "ცირკულაციის სისწრაფე იძლევა საზომს თუ რამდენად მეყსეულად ახდენს რეაგირებას ელიტა ვითარების ცვლილებებზე. ელიტის სწორედ ეს უნარი - რევოლუციური სიტუაციის წარმოქმნის გადავადებისა - ცხადყოფს მის სიცოცხლისუნარიანობაზე.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, "მელიების" მმართველობის პრინციპი კონსენსუსის გამოძებნას ეფუძნება. მასების მოზიდვის მიზნით ისინი შეიმუშავებენ იდეოლოგიებს ძალზე ხშირად წარმატებით ახორციელებენ ღონისძიებათა სერიებს სოციალური და პოლიტიკური კრიზისების დაძლევისა და მიმდინარე მომენტის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისათვის. "მელიებისათვის" მატერიალური ინტერესი "იდეალებზე" უფრო მნიშვნელოვანია. მათ აქციებში პოლიტიკური მანევრები დომინირებს. და სოციალურ-პოლიტიკური პრობლემების გადასაჭრელად ძალადობრივი მეთოდების გამოყენებისაგან თავს იკავებენ. მათი შეხედულებით, იდეალური პოლიტიკოსს წარმოადგენს პოლიტიკური მაქინატორი ("wheller dealer"). ვ. პარეტოს მიაჩნდა, რომ "მელიების" უადგილო ჰუმანიზმი, კომპრომისი, პაციფიზმი ფატალურად ასუსტებს რეჟიმს და ელიტის "უხეში" ოპონენტის პროვოცირებას იწვევს. გადამწყვეტი პოლიტიკური ქმედებისაკენ. კონტრელიტა, არაელიტა უმეტეს შემთხვევაში კლასი II რეზიდუეს ხასიათისა ანუ ფლეგმატური, წარმოსახვას უნარმოკლებულია და ძლიერი მიდრეკილება ახასიათებს იმ პოლიტიკური, "იდეალებისადმი", რომლებიც მის წარმოდგენას აკმაყოფილებს სოციალურ სტაბილურობაზე.

" ლომების" მმართველობის ფორმა "მელიების" პოლიტიკური სტილის საპირისპირო პოლუსს წარმოადგენს. კონსენსუსის გამოძებნასთან შედარებით - განმარტავს ვ. პარეტო, - უპირატესობა ენიჭება ძალადობრივ მეთოდებს. ოპოზიციის ჩამოყალიბე-

ბის შემთხვევაში ხშირად ადგილი აქვს მის დაუნდობელ დევნას. როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, "ლომების" პოლიტიკური კურსის უპირველესი მიზანია საზოგადოებრივი წესრიგი და არა მოქალაქეთა ინდივიდუალურ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება.

მაგრამ ვ. პარეტოს აზრით, "ლომების" ელიტა არ არის მთლიანად განძარცული "იდეალებისაგან". ძალდატანებას საერთოდ, მათ შორის კლასი I რეზიდუეს ელიტის ძალადობრივი მეთოდების გამოყენებით დამხობას, ძალზე ხშირად თან ახლავს განხორციელებული აქციის იდეოლოგიური გამართლება - რელიგიისა და მორალურ-ეთიკური სტანდარტების დაცვა მატერიალიზმის, ათეიზმისა და კორუფციისაგან. მრავალი რევოლუციური სამხედრო რეჟიმის მესვეურები ამდაგვარი ლოზუნგებით ექცევიან ხელისუფლების სათავეში.

ვ. პარეტო პიროვნული ზიზღით და სიძულვილით ეპყრობოდა კორუფციას, უშინაარსო პოლიტიკურ მანევრებს, პოლიტიკურ სილაჩრეს, რაც მისი შეხედულებით ახასიათებდა მისი მოღვაწეობის პერიოდის დასავლეთის დემოკრატიებს. ვ. პარეტოს დიდ აღტაცებას იწვევდა იულიოს კეისრისა და ბენიტო მუსოლინის გაბედული მოქმედებები.[1] მაკიაველის კვალდაკვალ იგი ამტკიცებდა, რომ იდეალური მმართველი უნდა აერთიანებდეს როგორც "ლომის", ისე "მელიის" ნიშან-თვისებებს. მაგრამ ასეთი რამ, - შენიშნავს ვ. პარეტო, - ისტორიაში მეტად იშვიათი მოვლენაა.[2] სოციალური ისტორიისათვის ტიპიური ელიტის ორი ძირითადი ტიპის (კლასი I რეზიდუე და კლასი II რეზიდუე) ურთიერთმონაცვლეობაა.

ელიტაზე მსჯელობისას ვ. პარეტო უფრო იმ პიროვნებებს გულისხმობს, რომლებსაც უმაღლესი მდგომარეობა უკავიათ, ვიდრე მჭიდროდ დარაზმულ ჯგუფს. იგი საერთოდ უარყოფს "კონსპირაციის თეორიას".[3] ამის გამო ელიტის პარეტოსეული თეორიისათვის ნაკლებად მისასადაგებელია მეიზელის "3 C"-ის კონცეფცია. თანამედროვე დემოკრატიებში, შენიშნავს ვ. პარეტო, - კლასი I ელიტის ქმედება-მოღვაწეობა წარმოადგენს მისი თითოეული წევრის ინდივიდუალურ გადაწყვეტილებათა ან მოქმედებათა

---

1 Pareto, V., The Mind and Society, NY., 1935, 6, 1858, 2191, 2480

2 გამონაკლისს, უნდა ვივარაუდოთ, შეიძლება წარმოადგენდეს საქართველოს პრეზიდენტი ე. შევარდნაძე

3 Pareto, V., Sociological Writings, L., - NY, 1966, pp. 268-9

ჯამს. ხშირად ინდივიდუალური აქციების ჯამი ვერ ასახავს ელიტის გრძელვადიან ინტერესებს. გარკვეულ პოლიტიკურ სისტემაში ელიტის ორი ძირითადი ტიპის საკმაოდ ხშირი ურთიერთმონაცვლეობა კონსპირაციისა და დარაზმულობის უკმარისობის მაჩვენებელია. ელიტის წევრთა არაკორდინირებული მოქმედება, რომელიც მათი ინდივიდუალურ მიზანსწრაფვის ამსახველია, ძირს უთხრის ხელისუფლების სათავეში მყოფი პოლიტიკური ელიტის პოზიციებს. საეროოდ, შენიშნავს ვ. პარეტო, - "მელიებსა" და "ლომებს" არ ძალუძთ იმ ფაქტის აღიარება, რომ მათთვის იმანენტურად დამახასიათებელი ნიშანთვისებები დესტრუქციულ ზემოქმედებას ახდენს სახელმწიფო ხელისუფლების შენარჩუნების პერსპექტივაზე. მიუხედავად იმისა, რომ დემოკრატიული პოლიტიკური მმართველობის პირობებში ელიტა, ვ. პარეტოს მიხედვით პოლიტიკური პარტიების მოპაექრე ხელმძღვანელობებს მოიცავს, მაგრამ რეჟიმისადმი ტოტალურ ოპოზიციაში მყოფ სოციალურ ძალებს იგი ელიტის მიღმა არსებულად მიიჩნევს.

ე.წ. "კონსტიტუციური ოპოზიციები" მათი აქციების, პოლიტიკური პოზიციებისა და იდეოლოგიის შესატყვისად კლასი I იდენტური რეზიდუების მატარებელნი არიან და პოლიტიკურ დემოკრატიულ "თამაშში" დათმობებით, მოქნილობით, პოლიტიკური მანევრებით და ცბიერებით მონაწილეობენ. ინტერესთა ჯგუფები, როგორიცაა: პროფკავშირების ლიდერები ან სამუშაოს მიმცემთა კავშირები და სხვ. დემოკრატიული სტილით იღწვიან რა თავისი წილ. ათვის ეროვნულ პროდუქტში და დემოკრატიულ პოლიტიკურ "თამაშში" მონაწილეობენ, წარმოადგენენ ერთი ელიტის ნაწილს. ამიტომ, ვ. პარეტოს მიხედვით, დემოკრატიულ პოლიტიკური სისტემის პირობებში ელიტას არ წარმოადგენს პოლიტიკოსთა, ბიზნესმენთა და ბიუროკრატების შეთანხმებული დარაზმული ჯგუფი. მაგრამ კონსპირაციულობის ელემენტი მთლიანად არ გამოირიცხება.

კლასი I ელიტა შესაძლებელია შეიცავდეს მოპაექრე-მეტოქე ჯგუფებს, მაგრამ ვ. პარეტო გამოყოფს ელიტის შიდა ბირთვებს, რომლებიც აკონტროლებენ თავიანთ რიგებს და ელიტის სხვა ჯგუფებთან კონსენსუსის მიღწევის საქმეში კომპრომისის მეტ უნარს ავლენენ.

პოლიტიკური სისტემის პარეტოსეული ტიპოლოგიის მიხედვით ყოველი პოლიტიკური სისტემა ოლიგარქიას წარმოადგენს. ზოგიერთ მათგანში კლასი I რეზიდუები, სხვებში კი - კლასი II

რეზიდუები პრევალირებს. ვ. პარეტო ცნობს აგრეთვე ელიტის შერეული ტიპების არსებობას, სადაც კლასი II ელიტაში ინფილტრირებულია კლასი I რეზიდუეს პიროვნებები ანდა არსებითად კლასი I ელიტას მხარს უჭერს კლასი II რეზიდუების ელიტის გარკვეული ნაწილი. ელიტის შერეულ ტიპებში ბატონობს უცხო ელემენტებისაგან განწმენდის და "სუფთა" ტიპად გადაქცევის ტენდენცია. რის გამოც შეიძლება განხილულ იქნენ როგორც ქვეტიპები. ვ. პარეტოს მრავალი მაგალითი მოყავს სოციალური ისტორიიდან მოცემული სქემის ნათელსაყოფად და დასასაბუთებლად. მაგრამ ეს სქემა გარკვეულწილად ადეკვატურად არ ასახავს ისტორიულ რეალობას. ერთის მხრივ იგი გულისხმობს ამ მიმართებით განსხვავებულ რეჟიმებს შორის გვარებით მსგავსებას, მაგრამ ვერ განმარტავს მათ შორის არსებულ ძირეულ განსხვავებას. იმის გამო, რომ ვ. პარეტოს მტკიცედ სწამდა ადამიანის ბუნების უცვლელობა იგი ახდენდა ძველი ათენის დემოკრატიისა და მისი თანადროული "მასობრივი" დემოკრატიების კლასიფიცირებასა და დეტერმინირებას, როგორც კლასი I რეზიდუეს ელიტისა. პოლიტიკური ინსტიტუტების, ბიუროკრატიზაციის დონის და ეკონომიკური სტრუქტურების მიხედვით მის მიერ დაშვებული ერთი მსგავსების გამო ამ ორ სისტემას შორის არსებული დიდი კონტრასტი იგნორირებულია.

ვ. პარეტო ვერ გვთავაზობს დამაკმაყოფილებელ არგუმენტებს მისი თვალსაზრისის გასაზიარებლად, რომ "რეზიდუები" როგორც კონტრასტები მინნეული უნდა იქნეს ისტორიულად უფრო მნიშვნელოვნად, ვიდრე ის იდეოლოგიები, რომელთაც ისინი წარმოშობენ. იგი უარყოფს აგრეთვე, რომ განსხვავებულ პოლიტიკურ და ინტელექტუალურ სიტუაციებში "რეზიდუები" სხვადასხვა მნიშვნელობას იძენენ. იმის მტკიცება, რომ ანტიკური ათენისა და თანამედროვე დემოკრატიების ხელმძღვანელობას მმართველობის მოქნილობა და მანევრირების უნარი ახასიათებს, ბევრის მთქმელი არ არის.

ვ. პარეტო უგულებელყოფს ისტორიკოსთა, სოციოლოგთა და ანტროპოლოგების აღმოჩენებს, რომლებმაც განსაკუთრებით XVIII საუკუნის შუა პერიოდიდან მოყოლებული საფუძვლიანად შეისწავლეს სოციალური დიფერენციაციის პროცესი და გარემოს ცვლილებების ზემოქმედება ადამიანთა საზოგადოებრივი ქცევის მოდელზე. ვ. პარეტომ არ განახორციელა ცნება "რეზიდუეს" მკაცრი ანალიზი. იგი დამაჯერებლად ანსხვავებდა სხვადასხვა პოლიტიკური ქმედება-მოღვაწეობის გარკვეულ მოდელებს, მაგ-

რამ კონკრეტული მოვლენის ან სიტუაციის ისტორიულ უნიკალობას სათანადო მნიშვნელობას არ ანიჭებს. პოლიტიკურ მოქმედებათა დიდი ნაწილი ორაზროვანი ბუნებისაა, თუ მათ პარეტოსეული ორი კლასის რეზიდუების დოქტრინის შუქზე განვიხილავთ. ვ. პარეტოს მოძღვრებაში რეზიდუების არსებობის პრობლემა რთულად დგას. იგი მათ არსებობას ასკვნის ისტორიულ მოქმედებათა პოლიტიკური მოდელების მაგალითზე, რომლებიც თითქოს ელიტის ორი ფსიქოლოგიური ტიპის ფუნქციონირების შედეგია. გამოდის ისე, რომ ანტიკური ათენის ელიტის მოქნილობა კლასი I რეზიდუების არსებობის დემონსტრაციას წარმოადგენს და, ამავე დროს, ათენის ელიტის პოლიტიკური მანევრები აიხსნება რეზიდუების არსებობით, ე.ი. ვ. პარეტო ახდენს რეზიდუების არსებობის დემონსტრირებას ისტორიული ფაქტების, მოვლენების საშუალებით და ამავე დროს ისტორიულ ფაქტებს და მოვლენებს რეზიდუების არსებობით ხსნის.[1]

ვ. პარეტოს მრავალი იდეა ისესხა სტრუქტურულმა ფუნქციონალიზმმა - წონასწორობის თეორია, საზოგადოებისადმი სისტემური მიდგომა, საზოგადოების ნაწილების ფუნქციონალური ურთიერთქმედების იდეა. პოლიტოლოგებს შორის პოპულარობით სარგებლობს იდეოლოგიის მისეული კონცეფცია. მკვლევართა დიდი ყურადღება მიიპყრო, აგრეთვე, ელიტების თეორიამ, რომელიც განსხვავებულ თეორიულ-მეთოდოლოგიური პოზიციებიდან სახელმწიფო ხელისუფლების მექანიზმის მრავალრიცხოვან გამოკვლევა ამოსავალ წერტილად იქცა.

4. ჯეიმს ბერნემი და ჩარლზ რაიტ მილსი (1916-1962)

დასავლეთის პოლიტოლოგიურ ლიტერატურაში ელიტიზმის თეორიის კლასიკურ ნაშრომებად, გ. [illegible]სკას, ვ. პარეტოსა და რ. მიხელსის შრომების გარდა, მიჩნეულია ცნობილი ამერიკელი სოციოლოგების ჯეიმს ბერნემის ნაწარმოები "მენეჯერული რევოლუცია"[2] (იგი წარმოადგენს უმნიშვნელოვანეს სისტემურ

1 Finer, S.E., Vilfredo Pareto: Sociological Writings, L-NY., 1966, pp. 72-77

2 Burnham, J., The Manogerial Revolution, NY., 1941, ჯ. ბერნემმა ორიოდე წლის შემდეგ გამოსცა ნაშრომი - The Machiavellians Defenders of Freedom, NY., 1943, რომელიც ელიტისტური ნაზრევის ერთერთ ყველაზე პოპულარულ ექსპოზიციას წარმოადგენს.

საწარმოებს ელიტისტურ ტრადიციაში). და ჩარლზ რაიტ მილსის გამოკვლევა - "გაბატონებული ელიტა".[1]

ჯ. ბერნემის აღნიშნული შრომის ძირითადი იდეა ისაა რომ კაპიტალისტური სისტემა შემდგომ დაქვეითებას განიცდის და შეიცვლება საზოგადოებით, რომელშიც მენეჯერების ელიტა პოლიტიკურად და ეკონომიკურად გაბატონებულ მდგომარეობას დაიკავებს. "ჩვენ ვიმყოფებით გარდამავალ პერიოდში, - წერს ჯ. ბერნემი, - რომელშიც განსაკუთრებული სისწრაფით იცვლება საზოგადოების ეკონომიკური და კულტურული ინსტიტუტები. ეს არის საზოგადოების ბურჟუაზიული ან კაპიტალისტური ტიპის გადასვლა მენეჯერთა საზოგადოების ტიპზე. ფეოდალური საზოგადოებიდან კაპიტალისტურზე გადასვლასთან შედარებით ეს პერიოდი მოკლეა.... ეს მოძრაობა აღწევს მიზანს და გარდამავალი პერიოდის დასასრულს მენეჯერები შეადგენენ გაბატონებულ კლასს".[2]

ჯ. ბერნემის ნააზრევის მნიშვნელობა, წერდა საფრანგეთის სოციალისტების ერთერთი ლიდერი ლეონ ბლიუმი, იმაში მდგომარეობს, რომ "იგი უარყოფს აზრს, რომ კაპიტალიზმის შემდეგ აუცილებლად უნდა სოციალისტური წყობილება დამყარდეს. "კაპიტალიზმიდან ორგანიზატორთა (მენეჯერების) რეჟიმზე გადასვლა იქნება მსოფლიოსადმი განახლებული ორგანიზატორების რევოლუცია სოციალისტების ნაცვლად" წერდა ჯ. ბლუმი.[3]

ჯ. ბერნემის კონცეფციის მიხედვით, ეკონომიკური ბაზა, რომელსაც დაემყარება მენეჯერთა ბატონობა, წარმოების ძირითად საშუალებებზე სახელმწიფო საკუთრებას ეფუძნება. ამ საზღვრებში ინდივიდთა მხრიდან ადგილი აღარ ექნება კერძო საკუთრების პირდაპირ უფლებებს წარმოების ძირითად საშუალებებზე. მენეჯერები კონტროლს განახორციელებენ წარმოების საშუალებებზე და ეროვნული პროდუქტის განაწილებაში უპირატესობას მიიღებენ. არა უშუალოდ, მათზე, როგორც ინდივიდუმებზე, მიმაგრებული კერძო საკუთრების ძალით, არამედ გაშუალებულად, სახელმწიფოზე მათი კონტროლის წყალობით, რომელიც, თავის მხრივ, გააკონტროლებს და დაეუფლება წარმოების საშუალებებს. "სახელმწიფო, ე.ი. ინსტიტუტები

---

1 Mills. Ch. W., The Power Elite, NY., 1957

2 Burnham, J., The Managerial Revolution, NY., 1941, p. 79

3. Burnham, J., L'ere des organisatiures. Paris, 1947. Preface par Leon Blum, p. 11

რომლებიც შეადგენს სახელმწიფოს, თუ შეიძლება ასე გამოითქვას, იქნება მენეჯერთა "საკუთრება". და ეს საკუთრებით საკმარისია, რათა ისინი მმართველის კლასის მდგომარეობაში აღმოჩნდნენ.[1]

ამრიგად, რამდენადაც მენეჯერები წარმოების წამყვან ძალას წარმოადგენენ, ხოლო წარმოება სახელმწიფოს ხელში გადადის, ამდენად, შენიშნავს ჯ. ბერნემი, მენეჯერები ავტომატურად ხდებიან სახელმწიფოს ხელმძღვანელ ძალად. სახელმწიფოზე მენეჯერთა კონტროლი უზრუნველყოფილი იქნება შესაბამისი პოლიტიკური ინსტიტუტებით.[2] "მენეჯერთა სახელმწიფოს" დამახასიათებელ ნიშანთვისებად ჯ. ბერნემს მოგების მოტივის არარსებობა მიაჩნია. რამდენადაც სახელმწიფოებრივი მეურნეობა მენეჯერთა ბატონობის საფუძველია, ამდენად, - წერს ჯ. ბერნემი, - მოგების მოტივი სულ უფრო და უფრო აღმოიფხვრება, რადგან სახელმწიფოს არ ესაჭიროება მოგება. "ახალი საზოგადოების" მიზანია შრომის ნაყოფიერების ზრდა და არაფერი აქვს საერთო, მოგების მიღების მოტივთან.[3]

დამყარდეს სოციალისტური წყობილება.

კომპარატიული ანალიზისათვის მოცემული დასკვნის სიზუსტე ნაკლებად სადავოა , ვიდრე ჯ. ბერნემის მეცნიერული პოზიციის დადგენის მეთოდი. მისი ვარაუდი გამომდინარეობს ელიტიზმის დებულებიდან, რომლის მიხედვით პოლიტიკა ყოველთვის წარმოადგენდა და წარმოადგენს მეტოქე სოციალური ჯგუფების ბრძოლის სარბიელს სახელმწიფოებრივი ძალაუფლებისა და სოციალური სტატუსისათვის და ნებისმიერ საზოგადოებაში აქტიურ პიროვნებათა მცირე რიცხვი ყოველთვის აკონტროლებდა და აკონტროლებს საბოლოო გადაწყვეტილებათა მიღების პროცესს. სოციალურ-პოლიტიკური ტრანსფორმაციები ელიტის შემადგენლობის ცვლის შედეგია, როდესაც ძველი პოლიტიკური ელიტა იცვლება ახლით, ეგალიტარული, უკლასო საზოგადოება, შენიშნავს ჯ. ბერნემი, წარმოუდგენელია განვითარებული ინდუსტრიული, პოსტინდუსტრიული ან ინფორმატიული სოციუმების პირობებში, რომლებიც უმაღლესი კვალიფიკაციის პროფესიონალებსა და ექსპერტებს საჭიროებენ.

---

1 Burnham, J., The Managerial Revolution NY, 1941, p. 72

2 Ibid, p. 72

3 Ibid, p. 103

ბოლშევიკური რევოლუციის წარუმატებლობა უკლასო საზოგადოების შექმნის საქმეში, ჯ. ბერნემისათვის იმის დასაბუთებას წარმოადგენს, რომ მმართველთა ახალი კლასის წარმოქმნის სოციალური განვითარების უცილობელი ატრიბუტია.

მეთოდოლოგიის ძირითადი პრინციპები, რომლებსაც ეყრდნობა ჯ. ბერნემი სოციალური პროცესების ანალიზისას, დაიყვანება ფაქტების, ხდომილებების დესკრიფციაზე, ისტორიულ პარალელებსა და ანალოგიებზე. იგი მსჯელობს პოლიტიკისა და საზოგადოების შესახებ ობიექტური მეცნიერების შესაძლებლობის თაობაზე. "ასეთი მეცნიერება, - წერს ჯ. ბერნემი , - აღწერს სოციალურ ფაქტებს... დაადგენს მათ შორის კავშირს და, წარსულის ფაქტების ბაზაზე, შექმნის მეტად თუ ნაკლებად საალბათო ჰიპოთეზებს მომავლის მიმართ".[1]

თავის პრინციპებსა და დასკვნებს ჯ. ბერნემი პრაქტიკისა და მეცნიერების დამოწმებით ასაბუთებს, ნემი პრინციპები, - აღნიშნავს იგი, წარმოადგენს .... განზოგადებულ დასკვნას... იმაზე დაყრდნობით, თუ რას მოიმოქმედებენ და მოიმოქმედებდნენ პრაქტიკის ადამიანები, იმ დროს როდესაც სოციალურ ბრძოლაში უშუალო მონაწილეობას შედარებით მოწყვეტილ თეორეტიკოსებს შეეძლოთ წარმოიდგინონ საზოგადოება და მისი კანონები ისეთად, როგორიც სურდათ ეხილათ ისინი".[2]

დასავლეთის საზოგადოებრივი და პოლიტიკური აზრი ჯ. ბერნემს მარქსისტად (ტროცკისტად) მიიჩნევს. ინგლისელი პოლიტოლოგი ჯ. პერი წერს, რომ ჯ. ბერნემი მარქსისტული ხედვით განსაზღვრავს ელიტის ძალაუფლების საფუძველს. ეს არის წარმოების ძირითად საშუალებებზე მისი კონტროლის განხორციელება, რაც მოცემულ სოციალურ ჯგუფს - პოლიტიკურ ელიტის დომინანტურ პოზიციას ანიჭებს ნებისმიერ საზოგადოებაში. კონტროლს ორი ასპექტი გააჩნია. მაკონტროლებელი ჯგუფი ყოველ ღონეს ხმარობს, რათა არ დაუშვას წარმოების საშუალებებისადმი სხვა სოციალური ჯგუფები და ამიტომ, იგი პრივილეგირებულ მდგომარეობაშია, ეროვნული პროდუქტის განაწილებისას. როგორც წესი, ნორმალურად კონტროლის ორივე ფორმა პარალელურად ფუნქციონირებს. თუ წარმოების საშუალებებზე კონტროლს მაკონტროლირებელი ჯგუფისათვის

1 Burnham. J., The Machiavellians. Defenders of Freedom. NY, 1943. p. 223

2 Ibid. p. 227

უპირატესობანი არ მოაქვს განაწილებაში და სტატუსში, მაშინ ჯ. ბერნემის მტკიცებით, ეს საზოგადოების სტრესის მაჩვენებელია ნორმალურ პირობებში "... საზოგადოებაში მმართველი ჯგუფის დასადგენად ყველაზე მარტივ გზას ჩვეულებრივ წარმოადგენს იმის გარკვევა, თუ რომელი ჯგუფი იღებს უდიდეს შემოსავალს".[1]

ძალაუფლება ჯ. ბერნემისათვის, როგორც მარქსისტებისა და ელიტისტებისათვის კუმელატიური ბუნებისაა. კონტროლი წარმოების საშუალებებზე წარმოშობს პოლიტიკურ ძალაუფლებას, სოციალურ პრესტიჟს და ასევე სიმდიდრეს. ხდება სახელმწიფო ინსტიტუტების თანდათანობითი ინტეგრირება ეკონომიკური კონტროლის არსებულ სისტემაში. სახელმწიფოს კანონები უზრუნველყოფს წარმოების საშუალებების მაკონტროლებელი ჯგუფების დომინანტურ მდგომარეობას და ახდენს არსებული საკუთრებრივი ურთიერთობის პერპეტუაციას. ჯ. ბერნემის მიხედვით, კაპიტალიზმის პირობებში ადგილი აქვს სახელმწიფოსა და ეკონომიკის სეპარაციას. სახელმწიფო არ ერევა მეწარმეობაში, იგი ქმნის მხოლოდ სათანადო საკანონმდებლო ვითარებას ეკონომიკური სისტემის ოპტიმალურად ფუნქციონირებისათვის. ელიტის წარმატება-წარუმატებლობა ძალაუფლების გახანგრძლივების საქმეში დამოკიდებულია მის მიერ წარმოების საშუალებების მონოპოლიზაციის ხარისხზე. იქ, სადაც, ელიტა დაუშვებს სხვა ჯგუფს არსებული მწარმოებლური ძალების სადავეებთან ან საშუალებას მისცემს მას შეიმუშაოს ახალი ტექნოლოგიები, ხდება ელიტის პოზიციების შესუსტება-შერყევა. ჯ. ბერნემი კლასების შეცვლას მარქსისტულად განმარტავს, მაგრამ მისი მტკიცება, რომ ყველა ვითარებაში შედეგი ერთიდაიგივე იქნება , კერძოდ გარდუვლად, დამყარდება ახალი მმართველი კლასის ბატონობა - ელიტისტურია.

ჯ. ბერნემის მიხედვით კაპიტალიზმის კრიზისი გამოიწვია იმ მდგომარეობამ, რომ წარმოების საშუალებათა ფორმალური "მესაკუთრენი" სულ უფრო და უფრო ჩამოცილდნენ საწარმოო პროცესს. მეწარმეობის დასაწყისში კაპიტალისტები თავად წარმოადგენდნენ საკუთარი საწარმოების მმართველებს. შემდგომში საწარმოო პროცესების გართულება-განვითარების კვალობაზე კაპიტალისტები მმათველობით ფუნქციებს თანდათან-

1 Burnham, J., The Managerial Revolution. NY, 1941, p. 57

ობით პროფესიონალ მენეჯერებს გადასცემდნენ, და ახალი საქმიანობის სფეროდ გაიხდიდნენ ფინანსურ საკითხებზე საკუთარი აქტივობის კონცენტრირებას. ამ სტადიაზე კაპიტალისტების საქმიანობა ჩამოცილდა წარმოებით პროცესს. კაპიტალისტური კლასის დაკნინების ფინალურ სტადიას ახასიათებს აღნიშნული კლასის გრადუალური ჩამოშორება ფინანსირების სფეროსაგან და "უქმ კლასად" ("leisured class") გადაიქცევა, რომელიც ახლა თავისი ფირმების შემოსავალს საკუთარი სიამოვნებისთვის (დროს ატარებს რივიერაზე, გართულია საიალქნო სპორტით, ეძლევა გართობებსა და სხვადასხვა თამაშებს, მოგზაურობას და ა.შ.)[1] ხარჯავს და არავითარი წვლილი არ შეაქვს აღწარმოების პროცესში. ამასობაში საწარმოო პროცესების მართვა მთლიანად მენეჯეროა კლასის - დიდად განსწავლული ტექნიკური ელიტის და სახელმწიფო ბიუროკრატიაში მისი ორეულის - ხელში გადადის, რომლის პოზიცია დამოკიდებულია არა კაპიტალისტურ ფინანსურ სტრუქტურაზე, არამედ თანამედროვე წარმოების მაღალტექნოლოგიურ ხასიათზე. ჯ. ბერნემის თვალსაზრისით, მენეჯეროა ელიტა აკონტროლებს წარმოების საშუალებებს, მაგრამ ვიდრე კაპიტალისტური სისტემა აგრძელებს არსებობას, რესურსების განაწილებაში უპირატესობა არაპროდუქტიულ კაპიტალისტების კლასს გააჩნია.

მარქსისტული ტერმინოლოგიით ამგვარი ხასიათის "წინააღმდეგობა" არ შეიძლება უსასრულოდ გრძელდებოდეს. ჯ. ბერნემის მტკიცებით, როგორც ეს უკვე აღინიშნა, კაპიტალისტთა გაბატონებულ კლასის დამხობა ეგალიტარული, უკლასო საზოგადოების შექმნის მიზნით არ მოხდება, მას მხოლოდ ტექნიკურად შეუცვლელი მენეჯერული ელიტა შეცვლის. ეკონომიკური კონტროლი წარმოშობს პოლიტიკურ კონტროლს. ამის შედეგად ჯ. ბერნემი ასკვნის, რომ საზოგადოების მართვა მომავალში უფრო აღმასრულებელი ხელისუფლების ფუნქცია იქნება, ვიდრე საკანონმდებლო ხელისუფლებისა. მაგალითისათვის იგი ასახელებს ბრიტანეთის სახელმწიფო სამსახურის, საბჭოთა კავშირის საგეგმო კომიტეტების ბიუროკრატებს , ამერიკის შეერთებული შტატების აღმასრულებელ დეპარტამენტების ხელმძღვანელებს და ევროპის საერთო - ბაზრის ადმინისტრატორებს, რომლებიც უკეთ "გაწვრთნილნი" და ბევრად

1 Burbham, J., The Managerial Revolution. NY. 1941, p. 92-93

შორსმჭვრეტელნი არიან, ვიდრე კაპიტალისტური ერის "პოლიტიკოსები". კაპიტალისტური დიქოტომია სახელმწიფოსა და ეკონომიკას შორის თანდათანობით გაქრება სწრაფი ინდუსტრიული აღმავლობის შედეგად და წარმოება სულ მეტად და მეტად დაექვემდებარება სახელმწიფოს მართვას, მენეჯერების პერსონალი და სახელმწიფო ბიუროკრატია გახდება ურთიერთშენაცვლებადი ფუნქციებისა და მეთოდების მზარდი მსგავსების გამო. სახელმწიფოზე მენეჯერული კონტროლი და ეკონომიკის სახელმწიფო კონტროლი, საბოლოო ანგარიშით, განამტკიცებს ახალი ელიტის ბატონობას. როგორც შენიშნავს სოციოლოგი ჯ. პერი ეს არის მარქსისტული შეფერილობის ელიტიზმი.

ცნობილი ამერიკელი სოციოლოგი ჩარლზ რაიტ მილსი იზიარებს ჯ. ბერნემის რწმენას, რომ ელიტის შემადენლობისა და სტატუსის გარკვევა უნდა ხდებოდეს არა მისი ინდივიდუალური წევრების ნიჭიერებისა და ფსიქოლოგიური ნიშან-თვისებების მიხედვით, არამედ კონკრეტული საზოგადოების ეკონომიკური და სოციალური სტრუქტურების კონტექსტში. საზოგადოებაში ძალაუფლებრივი პოზიციები არ წარმოადგენს "დიდ აღმოჩენათა" ქმნილებას, არამედ გარკვეული სოციალურ-პოლიტიკური ფუნქციების ატრიბუტებია. თუ ჯ. ბერნემს მიაჩნია, რომ საზოგადოებაში ძალაუფლება წარმოების საშუალებებზე კონტროლის შედეგია, ჩ.რ. მილსის მიხედვით იგი სოციალური და პოლიტიკური ინსტიტუტების ატრიბუტია. ასე მაგალითად, ამერიკის შეერთებული შტატებში, რომელსაც თავის ანალიზში ჩ.რ. მილსი ძირითად ყურადღებას უთმობს, მისი განმარტებით ეს არის სამხედრო სფერო, დიდი კორპორაციები და ხელისუფლების აღმასრულებელი შტო. ჩ.რ. მილსის სიტყვებით, ელიტა არის საზოგადოების "ინსტიტუციონალური ლანდშაფტის" პროდუქტი. თანამედროვე საზოგადოებაში ძალაუფლება ინსტიტუციონალიზებულია. განსაზღვრული ხელისუფლებრივი ინსტიტუტები ეუფლებიან "კარდინალურ პოზიციებს" და მათი იერარქიების უმაღლესი ეშელონები აფუძნებენ "სოციალური სტრუქტურის სტრატეგიულ საკომანდო პოსტებს".[2] ამრიგად, დასძენს ჩ.რ. მილსი, - ელიტას შეადგენს ის პიროვნებები, რომლებსაც წამყვანი (ხელმძღვანელი) პოზიციები უკავიათ სტრატეგიულ იერარქიებში, ელიტის

1 Parry. G.. Political Elite, L.. 1969, p. 52

2 Mills Ch. W.. The power Elite NY.. 1959, p. 19

დარაზმულობა მნიშვნელოვანწილად დეტერმინირებულია ინსტიტუციონალიზებულ იერარქიათა შორის კავშირების ინტენსივობით. "თუ ეს იერარქიები გაფანტულნი და განცალკევებულნი არიან, მაშინ მათ შესაბამის ელიტებსაც ახასიათებთ გაფანტულობისა და განცალკევების ტენდენცია; თუ მათ გააჩნიათ ... ურთიერთკავშირები და ინტერესთა თანმოხვევის წერტილები, მაშინ მათი ელიტისათვის დარაზმული ჯგუფის... ჩამოყალიბების ტენდენციაა დამახასიათებელი".[1]

ეროვნული "გაბატონებული ელიტისათვის" , ჩ.რ. მილსის შეხედულებით იერარქიების ლიდერებს შორის უნდა არსებობდეს კონტრაქტების გარკვეული ინტენსივობა. ასეთი კონტრაქტების ლიდერებს შორის შეიძლება ვარირებდეს გაცნობიერებული კონსპირაციიდან აშკარა კონსენსუსამდე - პოლიტიკისა და ღირებულებათა სფეროში. ეს "ინსტიტუციონალიზებული სიახლოვე" უმტკიცესია იმ პოლიტიკურ სისტემებში, სადაც "სტრატეგიული იერარქიების საკომანდო პოზიციებს რიგრიგობით იკავებენ პიროვნებების ერთი ჯგუფი[2] და მაგალითად ჩ.რ. მილსს მოყავს ამერიკის შეერთებულ შტატებში უდიდესი კორპორაციების პრეზიდენტები და დირექტორები, რომლებიც იკავებენ უმაღლეს თანამდებობებს მთავრობაში, და შემდეგ უბრუნდებიან ბიზნესს ან დიდი ორგანიზაციების ხელმძღვანელობას. როლების ურთიერთმონაცვლეობის ეს ავტომატიზმი ჩ.რ. მილსისათვის ელიტა შემჭიდროებულობის , დარაზმულობის ხარისხის მაჩვენებელის. ურთიერთმონაცვლეობის მაღალი დონე და ინსტიტუციონალური "სიახლოვე" კიდევ უფრო აერთიანებს ელიტას.[1] ელიტის ერთობა, - წერს იგი, - უწინარეს ყოვლისა ინსტიტუციონალური სტრუქტურებისა და ძალაუფლების კომულატიური ბუნების პროდუქტია. ელიტებს შორის ურთიეროკავშირი ცხოვრების სტილის იდენტურობას და ერთიანობის შეგრძნებას იწვევს ჯგუფური "თვითშეგნება" ამტკიცებს და ამდიდრებს "კავშირებს".[2] ყოველივე ამის შედეგად ხდება ცხოვრების მოდელის "უკუდაყოფა". მიუხედავად ამისა, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებში არ დომინირებს "გრანდი ოჯახების" მცირე რიცხვი, მაგრამ

1 Parry, G., Political Elite, L., 1969, p. 19

2 Ibid, p. 288

1 Mills, G.W.. The Power Elite. NY. 1959

2 Ibid. pp. 15.19

ელიტის რეკრუტირება ძირითადად უმდიდრესი კლასების რიგებიდან წარმოებს.[1] თანამედროვე ამერიკის შეერთებული შტატების საზოგადოებაში ჩ.რ. მილსის მიხედვით, ძალაუფლება არის არა კლასების ან პიროვნებათა, არამედ ინსტიტუტების ატრიბუტია. გაბატონებული ელიტა შედგება იმ პიროვნებებისაგან, ვისაც ძალუძს მიიღოს მნიშვნელოვანი შედეგების მქონე გადაწყვეტილებანი... იმყოფება თანამედროვე საზოგადოების უმნიშვნელოვანესი იერარქიული ინსტიტუტებისა და ორგანიზაციების სათავეში".[2] ჩ.რ. მილსის მიხედვით, ელიტა დეფინირებულია ძალაუფლების პოტენციურ და არა აქტუალურ განხორციელების ასპექტში.

ჩ.რ. მილსის ანალიზის, აგრეთვე, მისი პოლიტიკური რადიკალიზმის არსს წარმოადგენს რწმენა, რომ თანამედროვე ამერიკის შეერთებული შტატების საზოგადოებაში დომინანტური სახელმწიფოებრივი ინსტიტუტების ძალაუფლების განხორციელების საშუალებები ქვეყნის ისტორიის წინა პერიოდთან შედარებით პიროვნებათა უაღრესად მცირე რიცხვის ხელშია კონცენტრირებული. ძალაუფლება განიხილება როგორც ისტორიის შემოქმედების უნარი,[3] ანუ ერთი პიროვნების ან ჯგუფის უნარი მნიშვნელოვნად შეცვალონ საზოგადოების დიდი უმრავლესობის სოციალური და პოლიტიკური აქტივობის ფორმა.

ჩ.რ. მილსის მიხედვით, ისტორიის შემოქმედებითი ძალა, რომელიც ელიტისათვის არის დამახასიათებელი, საკმარისია სტატუს- ქვოს შესაცვლელად და ახალი სტრუქტურების ჩამოყალიბებისათვის. ელიტის უმაღლეს სტრატას პოტენციურად ძალუძს საზოგადოებაში საკუთარი და სხვისი ფუნქციების დეტერმინირება. ჩ.რ. მილსს მოყავს ხიროსიმას დაბომბვისა და კორეის ომის დაწყების მაგალითები, რომლებიც ადასტურებს, "გადაწყვეტილებათა მიღების" ცენტრალიზაციას ინსტიტუციონალურ მოხელეთა მეტად ვიწრო წრის ხელში. ამერიკის შეერთებულ შტატებში გიგანტური ურთიერთდაკავშირებული კორპორაციები მრავალრიცხოვანი მცირე საწარმოების ადგილს იკავებენ, ფედერალური მთავრობა დომინირებს შტატების უმრავლესობაში. ახდენს ადრე დაქსაქსული ძალების ცენტრალიზაციას, რის შედეგად სხვადასხვა შტატში ძლიერი სამხედრო

1 Mills, G.W., The Power Elite, NY, 1959, pp. 278-280

2 Ibid, p. 4

3 Ibid, p. 20-5

იერარქია ადგილობრივ მილიციას ცვლის.[1] ყოველი იერარქიის ელიტების ურთიერთშენაცვლება და ინტეგრაცია, განმარტავს ჩ.რ. მილსი, გულისხმობს "ძალაუფლებისა და გადაწყვეტილებათა მიღების საშუალებათა დიდ ცენტრალიზაციას"... ანუ "ისტორიის შექმნის" ყველა საშუალებათა ცენტრალიზაციას". ჩ.რ. მილსის შეხედულებით ლიბერალურ მითოსს წარმოადგენს ამერიკელი (და არა მხოლოდ ამერიკელი) პოლიტოლოგების თეზისი თითქოს ამერიკის შეერთებულ შტატებში თავისუფლება და დემოკრატიული ღირებულებები ელექტორატის მხარდაჭერისათვის მებრძოლ მეტოქე ელიტების სიმრავლით არის უზრუნველყოფილი. შტატებში არსებული სოციალურ-პოლიტიკური ვითარების გასაგებად ძირითად გასაღებს ჩ.რ. მილსისათვის წარმოადგენს ელიტების ძალაუფლების კონცენტრაცია და არა მისი დიფუზია.

ჩ.რ. მილსის "გაბატონებული ელიტის" კონცეფცია გარკვეულად მიმართულია კლასობრივი ბრძოლის მარქსისტული თეორიის წინააღმდეგ, ისტორიულ მატერიალიზმის ერთერთი ძირითადი დებულების - პოლიტიკური ზედნაშენის მიმართ ეკონომიკური ბაზისის განმსაზღვრელი როლის შესახებ. მოცემულ ანალიზისადმი მარქსისტულ მიდგომას იგი "გამარტივებულად" აცხადებს.

5. პოლიტიკური ელიტების პერპეტუაცია და ალტერნაცია

მატერიალურ ფასეულობათა, საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების, კომუნიკაციის საშუალებებზე კონტროლის ანუ პოლიტიკური ელიტის განკარგულებაში სახელმწიფო ძალაუფლების აკუმულირების შედეგად, ერთის შეხედვით, ჩვენს გაკვირვებას გამოიწვევდა რომელიმე კლიტისტის მსჯელობა ელიტების მიერ საზოგადოებაში დომინანტური პოზიციის დაკარგვის თაობაზე, მაგრამ თუ კ.მარქსი ლაპარაკობს ისტორიის შესახებ, როგორც კლასთა ბრძოლის ისტორიაზე, ასევე, ვ. პარეტო მსჯელობს ისტორიაზე, როგორც "არისტოკრატიის სასაფლაოზე"[2], ელიტების დაცემა-დამხობისა და შენაცვლების ინტერპრეტაციის მიზნით ელიტისტებმა სამეცნიერო ხმარებაში შემოიტანეს ფაქტორთა ორი ფართო ნუსხა - "სტრუქ-

1 Mills, G.W., The Power Elite, NY, 1959, p. 7

2 Pareto, V., Sociological Writings, L.- NY, 1966, p. 105

ტურული“ და “სოციო-ფსიქოლოგიური“ ფაქტორები. სოციუმში მიმდინარე სტრუქტურულ ცვლილებათა პროცესი, უპირველეს ყოვლისა, საზოგადოების დომინანტურ უმცირესობაში იწვევს ცვლილებებს. ზოგიერთ შემთხვევაში პოლიტიკური ელიტის დამხობა, მისი სოციალურ-პოლიტიკური ბუნებისა და მოტივაციისაგან დამოუკიდებლად ხდება. სხვა შემთხვევებში ანალოგიური პროცესი პოლიტიკური ელიტის დამხობა- მის პოზიციასა და შესაძლებლობებში გარკვეული ცვლილებების შედეგს წარმოადგენს. გ. მოსკა და ვ. პარეტო თითოეულისათვის დამახასიათებელი განსხვავებული ხელწერით აყალიბებენ ამ მიდგომის მოთხოვნას.

ელიტის დომინანტურ პოზიციებში არსებულ ცვლილებებს გ. მოსკა უკავშირებს საზოგადოებაში ახალი სოციალური, პროლიტიკური, ეკონომიკური ინტერესების ან “სოციალური ძალების“ გამოჩენას. გ. მოსკას მიაჩნია, რომ პოლიტიკური ელიტის სტრუქტურული წყობა ადექვატურად ასახავს სოციუმში საზოგადოებრივი ძალების ბალანსს. “მმართველი კლასი“ ვერ შეძლებს დიდი ხნის მანძილზე მართვას, თუ იგი დაუპირისპირდება საზოგადოებასა და ეკონომიკაში მიმდინარე განვითარებად პროცესებს. გ. მოსკას მიხედვით “მმართველი კლასი“ არ წარმოადგენს ამკრძალავ ჯგუფს, რომელსაც ყველა ვითარებაში ხელეწიფება იმ პოლიტიკური კურსის განხორციელება, რომელსაც კატეგორიულად მოითხოვს საზოგადოების ყველა სხვა სოციალური ერთობა.[1] პოლიტიკური ელიტის სიცოცხლისუნარიანობა დამოკიდებულია მის ძალისხმევაზე, მიუსადაგოს თავისი პოლიტიკური კურსი სხვადასხვა ინტერესთა ჯგუფების მოთხოვნებს. პოლიტიკური ელიტა მიზნად ისახავს მიაღწიოს კომპრომისს, რაც დააკმაყოფილებს სოციალურ ერთობათა ან, საერთოდ, საზოგადოების ინტერესებს და, ამასთან ერთად, შეინარჩუნოს ძალაუფლებრივი პოზიციები (თუ რამდენად ძალუძს პოლიტიკურ ელიტას წავიდეს დათმობაზე არაელიტასთან ურთიერთობაში და, ამავე დროს, ხელიდან არ გაუშვას მართვის სადავეები. გ. მოსკა ამ საკითხზე ვერ იძლევა პასუხს.)

გ. მოსკას პოზიცია, როგორც აღნიშნავს პოლიტოლოგი გ. პერი, ფუნდამენტურად განსხვავდება კ. მარქსის პოზიციისაგან ორი ასპექტით. ჯერ ერთი, სოციალური ძალები, რომლებიც

1 Mosca, G., The Ruling Class, II 8, pp. 65-69

ზემოქმედებენ პოლიტიკური ელიტის ცვლაზე, საგრძნობლად უფრო ფართოა "ვიდრე კ. მარქსის ანალიზის მიხედვით ეკონომიკური ფაქტორები, მეორე, მმართველი კლასი არ არის უნარმოკლებული და უსუსური "მის ნებისგან დამოუკიდებელი", ე.ი. ობიექტური ვითარების წინაშე.2 ხელოვნებისა და მოქნილობის წყალობით პოლიტიკურ ელიტებს ძალუძთ თავიდან აიცილოს "პოლიტიკური ქარიშხალი" და წარმატებით შეინარჩუნონ ძალაუფლებრივი პოზიციები, პოლიტიკურ ელიტას შეუძლია თავისი პოლიტიკის ადაპტირება ახალი პირობებისადმი და ამასთან ერთად, არ განიცადოს ძირეული ტრანსფორმირება შეინარჩუნოს ადრინდელი სტრუქტურა. გ. მოსკას მიხედვით, "მმართველი კლასი" ხშირად ქმნის პირობებს მის ქვედა სტრატის ახალი სოციალური და პოლიტიკური ძალების ვერტიკალური რეკრუტირებისათვის და ამ აქციით ახორციელებს პოლიტიკური ელიტის და მისი წევრების ინტერესების მოდიფიცირებას. მაგრამ ეს მოვლენა არ არის ტოტალური კლასობრივი რევოლუციის ექვივალენტური. ადგილი აქვს ძველ მმართველ კლასთან ახალი სოციალურ-პოლიტიკური ელემენტების ასიმილირების პროცესს. ხორცს ისხამს უკვე ჩამოყალიბებული და ფესვგამდგარი ელიტის განახლება და განმტკიცება ახალ საზოგადოებაში ახალი სოციალური ძალების უნიჭიერესი, დიდი უნარის მქონე წარმომადგენლებით. ამის პარალელურად ელიტაში შემავალი ახალი ელემენტები ითვისებენ მის გარკვეულ ფასეულობებს. ეს პროცესი, გ. მოსკას აზრით, უნდა განხილულ იქნას უფრო მეტად, როგორც ელემენტების შერევა, ვიდრე ტოტალური რევოლუცია. არ არის აუცილებელი, რომ ამ პროცესს კატაკლიზმის ხასიათი ჰქონდეს. ეს სოციალური მობილობის ჩვეულებრივი მოდელია, როდესაც ადგილი აქვს პოლიტიკური კლასის ქვედა სტრატის განახლებას ახალი სოციალური და პოლიტიკური ძალებით.

პოლიტიკური ელიტის შენაცვლება სოციალური გადატრიალებით იმ შემთხვევაში ხდება, თუ "დემოკრატიული ტენდენციების" უარყოფის შედეგად იგი კარდახშულია ვერტიკალური რეკრუტირებისათვის. ასეთი დახურული ელიტა ქმნის "მმართველი კლასის იზოლაციის" ვითარებას. როცა პოლიტიკურ ელიტას არ ძალუძს გააცნობიეროს საზოგადოებაში მიმდინარე ფუნდამენტური ცვლილებები. ეს ფენომენი კი იწვევს ელიტის

2 Parry G., Political Elites, L., 1969, p. 59

მოქნილობის და პოლიტიკური ხელოვნების უკმარისობას ახალი სოციალური ძალების ინტერესებთან საკუთარი პოლიტიკური კურსის მისადაგების საქმეში.

"ძლიერი და გონიერი მმართველი კლასი, წერს გაეტანო მოსკა, თავს არომეგს ცვლილებებს სიმდიდრის, სისხლისა და ადამიანის ღირსების მინიმალური დანაკარგების ფასად. ხოლო ამ თვისებებს მოკლებული მმართველი კლასი უუნარო ქმედებით იწვევს სოციალურ კატაკლიზმს".[1]

სოციალური გადატრიალება, როგორც გ. მოსკას მიაჩნია, არ არის გარდაუვალი; იგი გამოწვეულია ელიტის მიერ დაშვებული პოლიტიკური შეცდომებით, რომელთა თავიდან აცილება შესაძლებელი იქნებოდა.

სოციალურ-პოლიტიკური მოვლენების პარეტოსეული ინტერპრეტირება და დახასიათება ნეულებრივ არ არის მარტივი. ერთი მხრივ, ვ. პარეტოს მოძღვრების მიხედვით, ერთი პოლიტიკური ელიტის მეორით შეცვლა გარდაუვალია, როგორც ეს წარმოდგენილია მარქსისეული სქემით; მეორე მხრივ, პოლიტიკური ელიტების ცვლას იგი განმარტავს ელიტის და არაელიტის ფსიქოლოგიური სტრუქტურებით, რაც ფუნდამენტურად განასხვავებს პრობლემისადმი ვ.პარეტოს მიდგომას კ. მარქსის მიდგომისაგან. კ. მარქსი ამ ცვლილებებს ადამიანის ნებისაგან დამოუკიდებელი ობიექტური ფაქტორების მოქმედებით ხსნის.

ვ. პარეტოს მოძღვრების მიხედვით, პოლიტიკური ელიტის შენაცვლების პროცესი ორი ფორმით ხორციელდება. პირველი, ეს არის ელიტის რიგების ინფილტრაციის მუდმივი გრადუალური პროცესი, რომელიც აღწერა გ. მოსკამ და ე. პარეტომ და "ელიტების ცირკულაცია" უწოდა. მეორე ფორმას წარმოადგენს "ძალდატანებითი რევოლუციური" გზა, როდესაც ერთი პოლიტიკური ელიტა მთლიანად იცვლება მეორე პოლიტიკური ელიტით.

ვ. პარეტომ სოციალური ისტორიის მაგალითებზე დაყრდნობით ჩამოაყალიბა პოლიტიკურ ელიტებს შორის მუდმივი ალტერნაციის პროცესის მოდელი, რომლის მიხედვით კლასი Iრეზიდუეს სიჭარბის მქონე ელიტას ("მელიების") ელიტა ცვლის კლასი II რეზიდუების სიჭარბით გამორჩეული ("ლომების" ელიტა) და პირუკუ. ელიტის ორივე ძირითადი ტიპის დეგრადაცია-გადაგვარების ასახსნელად ვ.პარეტო იშველიებს ფსიქოლო-

1 Mosca, G., The Ruling Class, V. 6, p. 119

გიურ ფაქტორებს, რომლებიც საბოლოოდ მათ უნარმოკლებულს ხდის განაგრძონ საზოგადოების მართვა მათთვის დამახასიათებელი მეთოდებით და ფორმით (სტილით).

როგორც წინა პარაგრაფში იყო აღნიშნული, "მელიების" ელიტისათვის არსებით ნიშან-თვისებას წარმოადგენს პოლიტიკური მოქნილობა. იგი გამოირჩევა იმპროვიზაციის უნარით. დიდად დახელოვნებულია პოლიტიკური მანევრირებაში ქმნის კოალიციებს, იწვევს პარტიულ განხეთქილებებს. მისი ძალისხმევა მიმართულია მოკლევადიანი მიზნების მიღწევასა და უახლოეს დროში მოსალოდნელი კრიზისების თავიდან აცილებისაკენ. ძალადობრივი მეთოდებით ოპერირება, ისევე როგორც პოლიტიკური მოქნილობა, - განმარტავს ვ. პარეტო, - პოლიტიკის ინტეგრალური ნაწილია. "მელიების" ელიტაში დომინირებს არა ძალადობრივი, არამედ "ჰუმანური" ინსტინქტები. იმ შემთხვევაში, როდესაც წარმოქმნილი ვითარება მოითხოვს პოლიტიკური ელიტის სწრაფ რეაგირებას და იძულების მეთოდების გამოყენებას, "მელიების" ელიტის ინსტინქტი მას შემდგომი პოლიტიკური მანევრებისაკენ უბიძგებს. ეს პროცესი ენდემური ხასიათისაა, რადგან "მელიების" ელიტა თავისი რიგების შევსებას (რეკრუტირებას) "მელიებით" ახდენს. მას შემდეგ, როდესაც "მელიების" ელიტა თავის დროს მოჭამს, მასების მიერ, რომელსაც სათავეში "ლომების" ელიტა უდგას, ხდება მისი დამსობა, რათა აღდგეს "წესრიგი და ძლიერი ხელისუფლება". მაგრამ "ლომების" მმართველობის დასასრულიც დაპროგრამებულია საზოგადოების ისტორიის მიერ., რადგან მხოლოდ ძალისმიერი მეთოდით საზოგადოების მართვა და "წესრიგისადმი" ოდიოზური სწრაფვა გამორიცხავს პოლიტიკურ მოქნილობასა და "ფაქიზ" ინსტინქტებს. "ლომებს" აკლიათ "მელიებისათვის" დამახასიათებელი პოლიტიკური და სოციალური იმპროვიზაციის უნარი. მათი რიგების შევსება, ბუნებრივია, ხდება შესაბამისი ფსიქოლოგიური თვისებებისა და ტემპერამენტის მქონე პიროვნებებით. მათი პოლიტიკური მოუქნელობის შედეგად საზოგადოება სტაგნაციას განიცდის და ეკონომიკური და სოციალური პროგრესის მიღმა რჩება. გარდაუვალი ხდება საზოგადოების სოციალურ-პოლიტიკური განახლება. ეს პროცესი საჭიროებს "ლომთა" ელიტის თანდათანობით გრადუალურ ინფილტრაციას "მელიებით", რასაც გ. მოსკა "მოლეკულარულ გაახალგაზრდავების პროცესს" უწოდებს. ე.ი. ადგილი აქვს "ლომების" ელიტის

გრადუალურ შეცვლას "მელიებით", იმ დროს როდესაც "ლომები" სწრაფი რევოლუციური გზით ეუფლებიან ხელისუფლების სადავეებს.

ამ პროცესის ილუსტრირება შესაძლებელია დიაგრამით.



დიაგრამის ყოველი პიკი წარმოადგენს წერტილს, რომელშიც კლასი II-ის ელიტამ, ანუ "ლომების" ელიტამ, ხელთ იგდო სახელმწიფო ძ ალუფლება და მისი მმართველობა ხორციელდება "ლომების" ელიტისეული წმინდა ფორმით. შემდეგ ხდება ხსენებული ელიტის ინფილტრაცია "მელიებით" (a-b), ვიდრე არ იქნება მიღწეული ის პუნქტი, როდესაც შესაძლებელი იქნება ითქვას, რომ დამთავრდა კლასი I რეზიდუეში პოლიტიკური ელიტის ტრანსფორმირების პროცესი (b-c).

ბუნებრივია, რომ საზოგადოებაში ელიტა რიცხობრივად ბევრად მცირეა, ვიდრე არაელიტა. საერთოდ, ყველა საზოგადოებისათვის, და მით უფრო თანამედროვე სოციუმებისათვის, იმანენტურ მახასიათებელს წარმოადგენს სტრატული განშრევება ბუნებით "შადლცხებული" ნიშან-თვისებებისა და უნარების მიხედვით, რომლებიც საყოველთაოდ აღიარებულნი არიან, როგორც ფასეულნი. ეს ვითარება გარდაუვლად იწვევს მათში ელიტების - საზოგადოების "უმჯობესი" , უმცირესი ნაწილის - არსებობას, რასაც შეიძლება ვივარაუდოთ, ერთი მხრივ, გარდუ-

ვალს გახდის და კიდეე უფრო გააააქტიურებს ენდოგამიის არსებობა. არაელიტა - მასა ძირითადად სტაბილური რჩება, მიუხედავად ელიტებში მიმდინარე ტრანსფორმაციის პროცესებისა, ამდენად დიაგრამა წარმოგვიდგენს ელიტების ალტერნაციას სტატიკურ საზოგადოებაში.

ვ. პარეტო ეკონომიკურ ციკლს უკავშირებს პოლიტიკურ ციკლს, მაგრამ არ ახდენს მათ იდენტიფიკაციას. იგი ანსხვავებს პიროვნებებს - ("რანტიე"), რომლებიც რენტისაგან, სახელმწიფო ობლიგაციებისაგან და ა.შ. ფიქსირებული შემოსავლით ცხოვრობენ, იმ პიროვნებებისაგან ("ბირჟის საქმოსნები"), რომელთა შემოსავალი ცვალებადია და დამოკიდებულია მათ უნარსა და ნიჭიერებაზე. "რანტიე" და "ბირჟის საქმოსნები" არ არიან პოლიტიკოსები, მაგრამ წარმოადგენენ ეკონომიკურ ელემენტს მმართველ კლასში. მათი გაიგივება "ლომებთან" და "მელიებთან" არ არის მართლზომიერი, თუმცა "რანტიებში" "ლომების" მსგავსად დომინირებს კლასი II რეზიდუები, ხოლო "ბირჟის საქმოსნებისათვის" "მელიების" მსგავსად დამახასიათებელია კლასი I რეზიდუები. რანტიები და ბირჟის საქმოსნები ერთიმეორეს უპირისპირდებიან ტემპერამენტითა და ინტერესებით. ბირჟის საქმოსნებისათვის ინფლაციური ვითარება ქვეყანაში დიდად მომგებიანია, რაც საშიშროებას წარმოადგენს ფიქსირებულ შემოსავალზე მყოფთათვის. მით უმეტეს, რომ საბირჟო მანიპულაციები და სპეკულაცია რანტიეს დანაზოგებით ხდება. უნდა ხაზი გაესვას "მელიებისა" და ბირჟის საქმოსნების "გვარეობით მსგავსებას", რაც იმაში გამოიხატება, რომ ანალოგიურ ვითარებაში ორივენი წარმატებებს აღწევენ "პლუტოდემოკრატიებში" (პლუტოკრატიული დემოკრატია).

ვ. პარეტოს მოძღვრების მიხედვით, პოლიტიკური კონტინუუმი ერთ-ერთი გარდაუვალი სოციალური კანონია, მაგრამ ეს ნიშნავს, რომ მოცემული ელიტა უნარმოკლებულია დააყოვნოს ან შეაფერხოს ამ კანონის მოქმედება. როგორც უკვე აღნიშნული იყო, კლასი I ელიტები არასტაბილურნი არიან, მაგრამ მათაც კი ძალუძთ სათანადო ოსტატობით განახორციელონ პოლიტიკური მანევრები, რაც მათი ძალაუფლებრივი პოზიციების შენარჩუნებას უზრუნველყოფს. ან "გულდასმით" შეიმუშაონ იდეოლოგია (დერივაცია), რომელიც არწმუნებს მასას მხარდაჭერის აუცილებლობაში. კლასი II ელიტები შედარებით უფრო სტაბილურნი

არიან და მათი პოლიტიკური რეჟიმი, დამყარებული სამხედრო და პოლიტიკურ ძალებზე, ახანგრძლივებს არსებობას დიდი დროით, საუკუნეების მანძილზეც კი. სპარტა ამის კლასიკურ მაგალითს წარმოადგენს. შუალედურ სტადიაზე მყოფი პოლიტიკური რეჟიმები, სადაც შერეულნი არიან კლასი I და კლასი II რეზიდუეს ელიტები, ფუნქციონირებს ხანგრძლივი პერიოდით, ვიდრე ერთი ან მეორე არ გადაიქცევა ელიტის "სუფთა" ტიპად. "ცირკულაციის სინქარე" წარმოადგენს კრიტერიუმს იმ ფაქტის დასადგენად, თუ როგორი სისწრაფით რეაგირებს პოლიტიკური ელიტა შეცვლილ სოციალურ-პოლიტიკურ ვითარებაზე.

სოციალურ ცვლილებათა ისტორიული გარდაუვლობის პარეტოსეული დებულების ფალსიფიცირება პრინციპულად შეუძლებელია. ამ პოლიტიკური სისტემების კომპარატიული ანალიზის საფუძველზე, სადაც ელიტები საუკუნეების მანძილზე ფუნქციონირებდნენ, ვ. პარეტო მივიდა დასკვნამდე მათი არსებობის დროში განსაზღვრულობის შესახებ, ვინაიდან ელიტებისათვის იმანენტურად დამახასიათებელია გადაგვარება შორეულ პერსპექტივაში მაინც. საერთოდ, როგორც შენიშნავს ვ. პარეტო, ელიტების მხოლოდ მცირე რიცხვი ინარჩუნებს ხელისუფლების სადავეებს ხანგრძლივი დროით. იმის გამო, რომ ელიტების უმრავლესობა ვერ აცნობიერებს კონკრეტულ ვითარებაში საკუთარი ინტერესების მაქსიმალურად, დარაზმულად და გაბედულად დაც ის საჭიროებას, ისინი ვერ ინარჩუნებენ ძალაუფლებრივ პოზიციებს დიდი დროით. ეს ყოველივე, უფრო ლიდერების კოალიციის ამორფულობის შედეგია, ვიდრე დარაზმული ფარული ჯგუფის (ორგანიზაციის) ძირგამომთხრელი საქმიანობისა.

კლასიკური ელიტისტების შეხედულებები ელიტის გაახლების, ცირკულაციის ან მონაცვლეობის შესახებ, გამიზნულია იმ მნიშვნელოვანი და ძირითადი დებულების ნათელსაყოფად, რომ ნებისმიერ სოციალურ სიტუაციაში არსებობს მმართველი უმცირესობა და მართული უმრავლესობა. ელიტისტები თავიანთ დებულებებს სოციალური ცვლილებების შესახებ მიიჩნევენ საკუთარი თეორიის ჭეშმარიტ დასაბუთებად.

თავი მესამე

ელიტების ტიპოლოგია

საერთოდ უნდა ვიკარაუდოთ, რომ შესაძლებელია იმდენი ელიტა არსებობდეს, რამდენი სახეობის საქმიანობას და მოღვაწეობას ეწევა კაცობრიობა. მაგრამ ბუნებრივია, რომ საზოგადოებრივი ასპექტით რიგი ელიტებისა მარგინალური სასიათისაა და საგრძნობ ზეგავლენას ვერ ახდენს სოციალურ-პოლიტიკურ პროცესებზე. ამიტომ, შეიძლება ვიმსჯელოთ პოლიტიკურ და არაპოლიტიკურ ელიტებზე.

ნაშრომის წინამდებარე თავში განხილულია ელიტების როგორც სოციალური ჯგუფობრიობის ფორმის არა ყველა ფუნქცია, არამედ მხოლოდ ზოგი, სახელდობრ ის ფუნქციები, რომლებიც ეხება ელიტებს შორის მიმართება-დამოკიდებულებას და ერთმანეთს შორის განმასხვავებელი დიფერენციული ნიშანთვისებების გამოყოფას და სრულებით არ ეხება ელიტების უმთავრეს ფუნქციას ელიტად არსებობის ფუნქციას, მის ონტოლოგიურ და აქსეოლოგიურ საფუძვლებს. მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში განსჯის საგანს წარმოადგენს ის ელიტები, რომელთათვის ხსენებული ფუნქცია არ არის აქტუალური, რამდენადაც მათი არსებობა - არარსებობა და სხვა ელიტებთან რეალური მიმაროების, სტატუსის და პრესტიჟის კონკრეტული მომენტები არ არის პრობლემატური. მაგრამ ეჭვს არ უნდა იწვევდეს ფაქტი, რომ არსებობენ სხვა ელიტებიც და არსებობს ელიტების სხვა მიმართებებიც, რომელთათვისაც პრობლემები ხდება თვით ელიტის როგორც სოციალური ჯგუფობრიობის ფორმის არსებობა - არარსებობის მართებულების დასაბუთების საკითხები. ვითარების შესაბამისად შესაძლებელია ელიტების დიფერენცირება და მათი მოქმედება მოღვაწეობის ინვარიანტული ფორმალურ-დინამიური პარამეტრების გამოყოფა. ფიქსირებად მომენტებში ამ პრობლემის თანმიმდევრული აგრეგაცია მართებულად მიგვაჩნია მოვლენათა დისკურსიულ-ანალიტიკური რეკონსტრუქციის თვალსაზრისით (ასპექტით). ამიტომ, ნაშრომში ყურადღება გამახვილებულია იმ ელიტებზე (ბიუროკრატიულ ელიტას, ეკონომიკურ ელიტას, სამხედრო ელი-

ტას), როგორც ტაქსონომიურ კატეგორიებზე, რომლებიც გარკვეულწილად უშუალოდ ზემოქმედებენ პოლიტიკური ელიტის მიერ გადაწყვეტილებათა მიღების და პოლიტიკური კურსის შემუშავებასა და რეალიზაციის პროცესზე.

უნდა შევნიშნოთ, რომ სოციოლოგებმა და პოლიტოლოგებმა ელიტების კლასიფიკაცია მრავალჯერ მოახდინეს. კლასიფიკაციის ყველაზე მიღებულ ფორმად პოლიტიკურ მეცნიერებაში მიჩნეულია ელიტების სახელმწიფოებრივი ხელისუფლების, ქონებრივი მდგომარეობისა და სოციალური სტატუსის მიხედვით იერარქიული დაყოფა. ეს განზომილებანი ერთიმეორისაგან განსხვავდებიან და ამიტომ ემპირიული დაკვირვებისათვის გარკვეულ სიძნელეს წარმოადგენენ. სახელმწიფოებრივი ხელისუფლების აღსრულება გულისხმობს ელიტარულ პიროვნებათა შესაძლებლობებს ეფექტიანად მონაწილეობდეს გადაწყვეტილებათა მიღების პროცესში. ხელისუფლების ცნება მეტად რთული ფენომენია და მკვლევართა შეხედულებით საჭიროებს შემდგომ რიგ "ქვეკლასებად დაყოფას", რომელთაგან ერთერთს აქ შევეხებით. ეს არის ლეგალური ხელისუფლება - უფრო ზუსტად ლეგალური "ბატონობა" - და ხელის უფლება დე-ფაქტო. მაგალითად, სამხრეთ ამერიკის სახელმწიფოებში სოციალური კატაკლიზმების რევოლუციურ ვითარებაში, როდესაც ლეგალური ხელისუფლება მოკლებულია ქმედითობას და იგი ემყარება დეფაქტო ხელისუფლებას, რომელსაც სამხედრო ხუნტა წარმოადგენს.

ქონებრივი იერარქიის მიხედვით ინდივიდუუმების სოციალური მდგომარეობის განსაზღვრა ბევრად იოლია. ძალზე მაღალი შემოსავლისა და უდიდესი აკუმულირებული კაპიტალის მქონე პიროვნებები შეადგენენ ქონებრივ ელიტას. ზემოხსენებულ სამ განზომილებათა შორის შემდეგია სოციალური სტატუსი, რომელიც დამოკიდებულია საზოგადოებრივ აზრზე. პიროვნება მაღალი სტატუსით გამოირჩევა, თუ მას და იმ ჯგუფის სოციალურ-პოლიტიკურ აქტივობას, რომელთანაც იგი ურთიერთმოქმედებს, საზოგადოება განიხილავს დიდი ღირებულების მოვლენად. სტატუსის განმსაზღვრელი ნიშნები განსხვავებულია საზოგადოების ტიპის მიხედვით. თუ თანამედროვე ცივილიზებულ საზოგადოებებში ინჟინრის, მეცნიერის და ექიმის პროფესია ითვლება მაღალი სტატუსის მატარებელ საქმიანობად იმ წვლილის გამო, რომელიც შეაქვთ აღნიშნული პროფესიის პირ-

ოვნებებს საზოგადოების კეთილდღეობის ამაღლებაში. ზოგიერთ საზოგადოებაში გარკვეული რასისა ან რელიგიისადმი კუთვნილება მაღალი პრესტიჟის მანვენებელია, ზოგიერთში კი - გამორჩეული ოჯახის წევრობა პიროვნებას მაღალ სოციალურ სტატუსს ანიჭებს.

სტატუსის თანამედროვე სოციოლოგიური ანალიზისას ავტორის მაქს ვებერის მიხედვით, მაღალი სოციალური სტატუსის მატარებელი ყოველი ჯგუფი გამოირჩევა მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი "ცხოვრების სტილით", რაც განასხვავებს მას სხვა სოციალური ერთობებისაგან. "ცხოვრების სტილი" თავის გამოხატულებას ჰპოვებს ჯგუფის წევრთა ნაცმულობაში, დასვენებასა და სპეციალური პრესტიჟული კლუბების წევრობაში. მ. ვებერის მიხედვით საზოგადოების კლასებად განშრევება ხდება საზოგადოებრივი სიმდიდრის წარმოებისა და მოპოვების პროცესისადმი მათი დამოკიდებულებით, ხოლო "სტატუსის ჯგუფებად" კი შექმნილი დოვლათის მოხმარების ფორმის მიხედვით ("ცხოვრების სტილი").[1]

ელიტიზმის თეორიის ექსპონენტებისათვის სახელმწიფო ხელისუფლება კუმულატიურ განზომილებას წარმოადგენს. მათი შეხედულებით ხელისუფლება, სიმდიდრე და სტატუსი გაერთიანებულნი არიან. მათი მტკიცებით სიმდიდრე და სტატუსი ფაქტობრივად ხელისუფლების ფორმებია. ელიტისტების მსჯელობათა საპირისპიროდ პლურალისტების აზრით ეს საში განზომილება არ ემთხვევა ერთიმეორეს და ხშირად მათი დაფუძნება-გამოვლინება ცალცალკე მიმდინარეობს.[2] ამ მოვლენის დასტურად მათ მოყავთ ის ფაქტი, რომ ახლად მოპოვებული სიმდიდრის მფლობელები (ნუვორიშები) საზოგადოების მიერ ავტომატურად არ აღიქმება ელიტად სტატუსის განზომილების მიხედვით. ასევე, არ შეიძლება ითქვას, რომ თანამედროვე დასავლეთის პოლიტიკურ სისტემებში, სადაც აქტიურად მოღვაწეობენ ძლიერი მუშათა პარტიები და პროფესიული კავშირები, პოლიტიკური ხელისუფლება ყოველთვის დიდი სიმდიდრისა და მაღალი სოციალური სტატუსის ჯგუფების ხელში იმყოფება. პლურალისტების მსჯელობათა მიხედვით, მაღალი სოციალური სტატუსის ელიტარული ჯგუფების ინტერესები ხშირად წინააღმდეგობაშია

1 Weber, M. From Max Weber (ed Gerth H.H. and C. Wright Mills) L, 1957, p. 193

2 See: Runciman, W. G., Relative Deprivation and Social Justice, L, 1966, ch III.

ქონებრივი ელიტის ინტერესებთან. თანამედროვე პირობებში პოლიტიკური ხელისუფლების ფუნქციათაგან ერთ ერთ უმნიშვნელოვანესს წარმოადგენს სოციალურ-პოლიტიკურ პროცესებზე ქონებრივი ელიტარული ჯგუფების ზეგავლენის შეზღუდვა, ისეთი ზომებით, როგორიცაა: საზოგადოებრივი სიმდიდრის გადანაწილება დაბეგვრის, მრეწველობის ნაციონალიზაციისა და საკანონმდებლო ორგანოების მიერ ანტიმონოპოლიური კანონების მიღების გზით.

ელიტისტების მტკიცებით, თანამედროვე პოლიტიკური სისტემებისათვის დამახასიათებელია ძალაუფლების კონცეფცია, ვინაიდან პოლიტიკური ხელისუფლება, სიმდიდრე და სტატუსი თავმოყრილია ერთი ელიტის ხელში. პლურალისტები კატეგორიულად უარყოფენ ელიტისტების თეზისს და ახდენენ ელიტების რანჟირებას ზემოხსენებული სამი განზომილების მიხედვით.

ჩვენი აზრით, ორივე მიდგომის შემთხვევაში არ არის შესაძლებელი საზოგადოებრივი და პოლიტიკური პროცესების შედარებით სრულყოფილი ანალიზი, ვინაიდან მეცნიერული კვლევა საჭიროებს კონკრეტული ობიექტის კონკრეტულ ანალიზს და არსებული ვითარების რეალურ სურათს ვერ წარმოგვიდგენს მხოლოდ აბსტრაქტული განზომილებები.

ს. ნეიდელმა პოლიტიკურ მეცნიერებაში შემოიტანა ელიტების განსხვავებული დაყოფა, რომელმაც რიგი პოლიტოლოგების მოწონება დაიმსახურა, ვინაიდან იგი ამარტივებს უზარმაზარი ემპირიული მასალის ანალიზს და შესწავლას. ს, ნეიდელი განასხვავებს ელიტის სამ ტიპს:

1) "სოციალურ ელიტას";
2) "სპეციალიზებულ ელიტას";
3) "მმართველ ელიტას".

ავტორის შეხედულებით, "სოციალური ელიტა" და "სპეციალიზებული ელიტა" ორივე სტატუსის ჯგუფის ფორმას წარმოადგენს. ს. ნეიდელი აღნიშნავს, რომ სოციალური ელიტის ზეგავლენა საზოგადოებრივ და პოლიტიკურ პროცესებზე არაპირდაპირი ხასიათისაა. სოციალური ელიტა არ ცდილობს გამოიწვიოს უთანხმოება სოციალურ ერთობათა შორის იძულების მეთოდებით ან "გადაწყვეტილებათა მიღების მონოპოლიზაციით". მის მაღალ სტატუსს ცნობს საზოგადოება და სხვა სოციალური ჯგუფებიც ბაძავენ მას.

ს. ნეიდელის "მმართველი ელიტა" საზოგადოების პოლიტიკური ლიდერებისაგან შედგება. იგი დომინირებს სხვა ელიტებზე,

ვინაიდან განაგებს საკანონმდებლო და აღმასრულებელ ხელისუფლებას. თუმცა თავად პოლიტიკოსები, როგორც ეს ცხადყო რობერტ სკოტმა ლათინური ამერიკის რიგი პოლიტიკური სისტემების მაგალითზე, შეიძლება წარმოადგენდნენ დაინტერესებულ ჯგუფთა მარიონეტებს.[1] საზოგადოებაზე პოლიტიკური ლიდერობის ზეგავლენის შეფასებისას აუცილებლად მისაღებია მხედველობაში პოლიტიკური ინსტიტუტების სოციალურ-პოლიტიკურ პროცესებზე ზემოქმედების მასშტაბები და ინტენსივობა.

ცნობილი ფრანგი სოციოლოგის რაიმონ არონის[2] და ინგლისელი პოლიტოლოგის რობერტ დეილის[3] შეხედულებით სახელმწიფო ხელისუფლების სტრუქტურის ბუნების ახსნის საქმეში ძირითად განმსაზღვრელ ფაქტორს წარმოადგენს ელიტის ავტონომიის დონე. ხსენებული მკვლევარები და მათ კვალდაკვალ მრავალი პოლიტოლოგი საზოგადოების დემოკრატიულობის ხარისხს განსაზღვრავენ ელიტის ავტონომიურობის დონის მიხედვით.

პოლიტოლოგიურ და სოციოლოგიურ ლიტერატურაში ვხვდებით დებულებას, რომ მმართველი ელიტა შესაძლებელია იყოს სოციალური ელიტაც, როგორც ეს გამოვლინდა არისტოკრატიულ რეჟიმებში, სადაც მმართველები სოციალური ქცევის მოდელს წარმოადგენენ. იტალიელი მწერლის ბალდასარე კასტილიონეს (1478-1529) დიალოგის სახით დაწერილი თხზულება (წიგნი 1-4, 1528) აღორძინების ხანის მმართველი ჯგუფების ჩინებულ სამაგიდო წიგნს წარმოადგენდა. ეს თავისებური სარაინდო კოდექსი მმართველ წრეებს შეახსენებდა, მათ როგორც სოციალური ელიტის როლს.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ მმართველ ელიტას შეუძლია გამოიყენოს "სოციალური ელიტის" პრესტიჟი საკუთარი პოლიტიკური კურსის გასაადვილებლად და ამ მიზნით დაეყრდნოს ინტელექტუალებს, მასობრივი კულტურის კერპების ან "პოპ მუსიკის ვარსკვლავების" დახმარებას, მაგრამ შეიძლება ადგილი ქონდეს საპირისპირო ვითარებასაც, თუ მმართველი ელიტა მტრულად ეკიდება სოციალური ელიტის იდეალებს. მაგალითად, როდესაც მმართველი ელიტის ღირებულებითი ორიენტაციები პურიტანული და არაინტელექტუალურია.[4]

---

1 Lipset. S, M., and Sofaria (eds). Elites in Latin America. NY, 1967. p. 120

2 Aron. R., Social Structure and the Ruling Class, L., 1967, p. 143

3 Dahle, R., Modern political Analysis, New Jersey, 1983, pp. 35-38.

4 Grick, B., Political Theory and Practice, L, 1972, p. 93

თანამედროვე პოლიტიკური სისტემების ერთ-ერთი ყველაზე პოტენციურად გავლენიანი ელიტების ბუნების გაგებისათვის ნაყოფიერ მეთოდოლოგიურ საფუძვლებს გვთავაზობენ მ. ვებერისა და ჯ. ბერნემის განზოგადოებანი. ბიუროკრატიული ელიტის ფენომენის ახსნისა და დახასიათების მიზნით თეორიული ფორმების გამოყენებასთან ერთად მეტად მნიშვნელოვანია კონკრეტული მაგალითების განხილვა, რათა მაქსიმალურად ავიცილოთ მცდარობა დასავლეთისა და პოსტკომუნისტური ქვეყნების ბიუროკრატიული ელიტების საკმაოდ ჰეტეროგენული პოლიტიკური ლანდშაფტების განხილვისას.

ვებერისეული ანალიზის მიხედვით, ბიუროკრატიულ ელიტას უნარი შესწევს მიაღწიოს დომინანტურ პოზიციას მის ხელში სტრატეგიული ინფორმაციის კონცენტრირებისა და საკუთარი იერარქიული სტრუქტურების ეფექტიანი ფუნქციონირების შედეგად. ამგვარი დისბალანსის თავიდან აცილებისათვის, მ. ვებერის აზრით, საზოგადოების მმართველ სტრუქტურებში იგი გაწონასწორებული უნა იქნას პასუხისმგებლობის გრძნობით გამსჭვალული არნეული პოლიტიკოსების მოღვაწეობით.

მ ვებერის მიხედვით იდეალური პოლიტიკოსი პრინციპული და სოციალურად აქტიური პიროვნებაა, ხოლო იდეალური სახელმწიფო მოსამსახურე ანუ ბიუროკრატი მუდამ მზადყოფნაშია, რათა პირნათლად შეასრულოს დემოკრატიული წესით არნეული სახელმწიფო სტრუქტურების ხელმძღვანელთა მიზანდასახულობანი. ამგვარ ვითარებაში პიროვნული მომენტი ან ფაქტორი არ უნდა ასრულებდეს და არც ასრულებს რაიმე როლს პოლიტიკური კურსის განხორციელების პროცესში. მაგრამ იმ პოსტტოტალიტარულ ქვეყნებში, სადაც არ არსებობს მკაფიოდ გამოხატული პოლიტიკური ნება და პოლიტიკური ხელმძღვანელობა, ბიუროკრატიულ-ადმინისტრაციული ელიტა აჭარბებს სეციალიზებული ელიტის უფლებამოსილებას და ფაქტობრივად მმართველი სოციალური ჯგუფი ხდება. ამას ცხადყოფს საფრანგეთის მაგალითი, რომლისთვისაც დამახასიათებელია ტრადიციულად მკაცრად ცენტრალიზებული ბიუროკრატიული აპარატი. მეოთხე რესპუბლიკის სუსტ მთავრობათა ხშირმა ცვლამ ხელსაყრელი პირობები შექმნა ბიუროკრატიისათვის, რათა მას ხელთ ეგდო ინიციატივა, რაც განსაკუთრებით მეორე მსოფლიო ომის შემდგომი პერიოდის ეკონომიკის აღდგენის საქმეში გამოიხატა. მაგალითად, საფრანგეთის საგეგმო აპარატი ეკონომიკის დეტალურ რევკამენტირებას

ახდენდა, მიუხედავად იმისა, რომ ეს ვითარება ასეთი ზომით არ იყო ლეგიტიმირებული საფრანგეთის პოლიტიკური ელიტის მიერ. სუსტი მთავრობების ფუნქციონირების შედეგად წარმოქმნილი ვაკუუმი სპონტანურად ბიუროკრატიამ შეავსო.

საფრანგეთის ბიუროკრატიულ-ადმინისტრაციული ელიტა შეესაბამება ჯეიმს ბერნემისეულ ანალიზს, ეს ელიტა მაღალკვალიფიციურია, იგი კომპლექტდება ე.წ. ადმინისტრაციის ეროვნული სკოლისა (Ecole nationale . Administration) და პოლიტექნიკური სკოლის (Ecole Polytechnigue) საუკეთესო კურსდამთავრებულთაგან. ამავე აკადემიურ დაწესებულებებში ყალიბდება მრეწველობის კერძო სექტორის მმართველი აპარატის ზედა ეშელონები. ტრადიციად იქცა კერძო და სახელმწიფო სექტორების ხელმძღვანელი კადრების ხშირი ურთიერთგაცვლა. ეს მოვლენა ადასტურებს ჯ. ბერნემის მოსაზრებას, რომ იდენტური ხდება კერძო და სახელმწიფო სექტორის, ანუ, "საქმიანი" და ბიუროკრატიულ-ადმინისტრაციული ელიტის ფუნქციები. საფრანგეთის ბიუროკრატიული ელიტა მცირერიცხოვანია. მაგალითად, პოლიტექნიკურ სასწავლებელში ყოველწლიურად ირიცხება მხოლოდ 200 მსმენელი. ორივე ზემოთდასახელებული უმაღლესი სასწავლებელი ღრმა კვალს ტოვებს კურსდამთავრებულთა ცნობიერებაში. აქვე ყალიბდება "საქმიანი" და ადმინისტრაციული ელიტების მომავალი კადრთაშორისო კონტაქტები, ისინი გამოირჩევიან ჩაცმულობით, მანერებით, ფლობენ საერთო ჟარგონს და უზრუნველყოფენ საფრანგეთის სახელმწიფო მმართველობის დემოკრატიული სტილის პერპეტუაციას. საერთოდ, უაღრესად გადაფილებულია კომუნიკაციები და კონსენსუსები ელიტის ორ ძირითად ტიპს შორის.

ეჭვს არ უნდა იწვევდეს ის ფაქტი, რომ არსებობს მჭიდრო კავშირი ელიტებსა და ქვეყნის საგანმანათლებლო სისტემას შორის. განათლების სისტემა არ წარმოადგენს აპოლიტიკურ სოციალურ ფენომენს. მისი ერთერთი უმნიშვნელოვანესი და ძირითადი ფუნქციაა აღზარდოს როგორც მმართველი ელიტის მომავალი წარმომადგენელი, ისე კანონის მორჩილი და არსებული სოციალურ-პოლიტიკური სისტემისადმი კონფორმისტულად განწყობილი მოქალაქე. განათლების სისტემაში გამოირჩევა ორი ტიპი: ერთის მიზანია ემსახუროს ელიტის აღწარმოებას, ელიტარული ცნობიერების პერპეტუაციით (მაგ., დიდი ბრიტანეთი, სადაც განათლების სისტემა ელიტარისტულად არის ორიენტირებული

ოქსფორდი, კემბრიჯი); მეორე, ტიპი უფრო ეგალიტარული ხასიათისაა და მიზნად ისახავს მაღალი დონის განათლებას ეგალიტარულ ტრადიციების მატარებელი მოქალაქეებისათვის. (მაგ., შვედეთი და ყველა სოციალისტური ქვეყანა, სადაც განათლების სისტემას ეს მიზანდასახულობა აქვნდა).

განათლების სისტემის ორივე ფორმას - ელიტარულს და ეგალიტარულს თავიანთი დამცველები გაჩნიათ, განსაკუთრებით ეს ითქმის დიდ ბრიტანეთში მიმდინარე პროცესებზე, სადაც განათლების სისტემის გადაფასება ხდება. გადაფასების პროცესი ბუნებრივია ემყარება სხვა ქვეყნების საგანმანათლებლო სისტემის შედარებით ანალიზს, აღზრდა-განათლების სახოგადოებრივი (სახელმწიფო) სექტორი ამერიკის შეერთებულ შტატებში მკვეთრად განსხვავდება ინგლისში ბოლო დრომდე მოქმედი სისტემისაგან. ამ პრობლემებზე არსებული მრავალმხრივი გამოკვლევებიდან შეეხერდებით რალფ ტერნერის სტატიაზე.[1] ავტორი გამოყოფს განათლების სისტემის ორ "იდეალურ ტიპს": პირველი ტიპი "მეტოქეობის მობილობა" ყველა წარმატებული პიროვნებისათვის ელიტის რიგებში შეღწევის პირობებს უზრუნველყოფს. ამ ტიპის პირობებში არ ხდება ადრეულ ასაკში განსაკუთრებით ნიჭიერ მოსწავლეთა სეგრეგაცია. ისინი განაგრძობენ სწავლას იმავე სასწავლო პროგრამით როგორც სხვა მოსწავლეები. გაუქმებულია ყოველგვარი ხელოვნური დაბრკოლებანი, მოსწავლეებს ეძლევათ მაქსიმალურად თანაბარი შესაძლებლობანი მიაღწიონ წარმატებას სწავლაში და მიიღონ უფლება უმაღლეს აკადემიურ დაწესებულებებში შესასვლელად. ხდება მოსწავლეთა მიზანსწრაფვისა და ძალისხმევის მორალური და მატერიალური წახალისება. ელიტის რიგების შევსება წარმოებს იმ პიროვნებებით, რომელთაც შესატყვისი ღირსებები გაჩნიათ.

განათლების სისტემის ალტერნატიული ტიპის - "სპონსორული მობილობის" შემთხვევაში ელიტის წევრობის კრიტერიუმი დეფინირებულია ელიტის მიერ და ნიჭიერების მიხედვით მოსწავლეთა სეგრეგაცია ადრეულ ასაკში ხდება. ეს პროცესი სამართლიანობის პრინციპს ეფუძნება და მკაცრად გამორიცხავს კლასობრივი კუთვნილების ნიშნის მიხედვით მის განხორციელებას.

---

1 Sponsored and Contest Mobility and the School System." American Sociological Revue, Dec, 1960, pp. 85-87

შემდგომ ელიტარული სკოლების მაღალ კლასებსა და უმაღლეს სასწავლებლებში მსმენელთა მიღება წარმოებს ელიტის მიერ ფორმულირებული საგანმანათლებლო სტანდარტის მიხედვით, რომელიც გულისხმობს კლასიკური ენების (ძველი ბერძნული და ლათინური ენების), ლიტერატურის, ისტორიის შესაბამის ცოდნას, რაც ბუნებრივია ძირითადად ხელმისაწვდომია ელიტარული ოჯახების ნაშიერთათვის და არა საბაზრო ეკონომიკის პირობებში "პრაქტიკულად" ორიენტირებული საშუალო და ქვედა სოციალური სტრატების ოჯახებისათვის. მაგალითად, ინგლისში ელიტარული სასწავლებლების კურსდამთავრებულები შეადგენენ კორპორაციების დირექტორთა 60 პროცენტს, პარლამენტის კონსერვატორ წევრთა - 70 პროცენტს, სხვადასხვა სამეფო კომისიების წევრთა 50 პროცენტს, ხოლო პარლამენტის მესამედი და სახელმწიფო სამსახურის ხელმძღვანელი კადრების 80 პროცენტი დაკომპლექტებულია ოქსფორდისა და კემბრიჯის დიპლომანტებით.

საერთოდ რ. ტერნერი ზედმეტ მნიშვნელობას ანიჭებს განათლების ფაქტორს, როგორც ელიტის რეკრუტირების წინაპირობას. მაგრამ თუ ავიღებთ ერთერთ სპეციალიზებულ ელიტას როგორიცაა პროფესიული კავშირების ხელმძღვანელობა, იგი არ მოითხოვს ელიტარულ განათლებას საკუთარი რიგების შესავსებად. ასევე ნიშანდობლივია ის, რომ უაღრესად განათლებული პიროვნებებისათვის შესაძლებელია დახშული იყოს ელიტის კარები მათი კლასობრივი და რასობრივი კუთვნილების გამო.

სამართლიანი იქნება შევნიშნოთ, რომ განათლება ერთერთი და არა ყოვლისმომცველი ფაქტორია.

ელიტის რეკრუტირების საქმეში და მისი განხილვა საზოგადოების სტრატული განშრევებისაგან იზოლირებულად არ შეიძლება ობიექტურ და კანონზომიერ მოვლენად მივიჩნიოთ. განათლების სისტემის ზემოაღნიშნული ორივე "იდეალეური ტიპისათვის" დამახასიათებელია ის უცილობელი ფაქტი, რომ განათლების მაღალი სტანდარტი ძირითადად საზოგადოების ელიტარული ფენებისათვის არის მისაწვდომი. "ამითაა განპირობებული ის გარემოება, რომ, როგორც ემპირიულმა გამოკვლევებმა ცხადყო, დასავლეთგერმანელი მუშების შვილთა 86 პროცენტი ისევ მუშა ხდება, მაშინ როცა მაღალი თანამდებობის მქონეთა ან პროფესორთა შვილების 80 პროცენტი ისევ მაღალ კვალიფიკაციას იძენს".[1]

---

1 ედუარდ კოდუა. სოციოლოგია II ნაკვეთი, თბილისი, 1995, გვ. 97

დიდ ბრიტანეთში სახელმწიფო აპარატი საკმაოდ ძლიერია და უფლებამოსილების დიდ რეზერვებს ფლობს, მაგრამ მას არ უკავია ის დომინანტური პოზიცია, რომელსაც მიაღწია ბიუროკრატიულ-ადმინისტრაციულმა ელიტამ საფრანგეთში მეოთხე რესპუბლიკის დროს. პასუხისმგებლობა საბოლოოდ მაინც მთავრობას ეკისრება და შეიძლება ითქვას, რომ გადაწყვეტილებათა მიღების შემდეგ აღმასრულებელი ადმინისტრატორი უფრო ემსგავსება მ. ვებერისეულ ბიუროკრატის ტიპს, მიუხედავად იმისა, რომ იგი უშუალოდ მონაწილეობს პოლიტიკურ რგოლთან ერთად გადაწყვეტილებათა მიღებაში. მაგრამ გადაწყვეტილებათა მიღების შემდეგ იგი ნაკლები ინიციატივის მქონე უსახო რგოლად იქცევა.

ამერიკის შეერთებული შტატების ბიუროკრატიის მოდელი აშკარად განსხვავდება ფრანგული მოდელისაგან. აქ დეპარტამენტებში (სამინისტროებში) ბიუროკრატიული აპარატის ზედა ეშელონების დაკომპლექტება უფრო ფართო მასშტაბით ხორციელდება სახელმწიფო ხელისუფლების საოთავეში მოსული პოლიტიკური პარტიის მიერ.

ახლად არჩეულ პრეზიდენტს შეუძლია დანიშნოს აღმასრულებელი ხელისუფლების მუშაკთა ერთ პროცენტზე ნაკლები, მაგრამ ასეთების აბსოლუტური რაოდენობა, უმაღლეს სამთავრობო ეშელონებში მაინც ძალიან დიდია.[1]

იმ დროს, როდესაც საფრანგეთსა და ინგლისში იცვლება მხოლოდ მინისტრი. პროფესიონალი ადმინისტრატორ-ბიუროკრატის როლი აშშ პოლიტიკური ტრადიციების მიხედვით ნაკლებად გამოკვეთილია. ადმინისტრაციული აპარატის ზედა ეშელონები აქ კომპლექტდება არა პროფესიონალი სახელმწიფო მოსამსახურეებით, არამედ აკადემიური და "საქმიანი" წრეების წარმომადგენლებით.

ამერიკელი პოლიტოლოგები ტ. დაი და ჰარმონ ზიგლერი ცნობილ ნაშრომში "დემოკრატია ელიტისათვის" (შესავალი ამერიკის პოლიტიკაში) შენიშნავენ,- რომ ბიუროკრატია ღებულობს ძირითად გადაწყვეტილებებს სახელმწიფო პოლიტიკის სფეროში. ბიუროკრატიის მოქმედება-მოღვაწეობის არე უფრო ფართოა, ვიდრე კონგრესის პოლიტიკის უბრალოდ დეტალური დამუშავება. თუმცა, რასაკვირველია, სწორედ ეს წარმოადგენს ბიუროკრატიული ძალაუფლების ერთ-ერთ წყაროს. ბიუროკრატი-

1 იხ. ამერიკული დემოკრატია. თბილისი, 1996. გვ. 338.

ული ელიტა ახორციელებს საკუთარ პოლიტიკურ კურსს. სთავაზობს კონგრესს კანონპროექტებს დასამტკიცებლად; ადგენს წესებს და მითითებებს კონგრესის მიერ მიღებული კანონების განსახორციელებლად (ნორმათშემოქმედებითი ფუნქცია); წყვეტს კონკრეტულ ამოცანებს კანონებისა და წესების მიყენებისათვის (არბიტრაჟული ფუნქცია); ბიუროკრატია ღებულობს გადაწყვეტილებებს სხვადასხვა მნიშვნელოვან საკითხებზე - ენერგეტიკული ბიროვული დანადგარების უსაფრთხოების უზრუნველყოფით დაწყებული , დამოავრებული ალიმენტის არგადამხდელ პიროვნებათა დადგენით.[1]

ბიუროკრატიის თეორიაში ერთერთი უმნიშვნელოვანესი საკითხია ბიუროკრატიული ძალაუფლების ლეგიტიმაციის საკითხი. ბიუროკრატული ძალაუფლების ერთმანეთისაგან განსხვავებულ სახეობათა წარმოქმნის პირობების საკითხის გადაწყვეტისას თ. გოულდენი მივიდა დასკვნამდე, რომ არსებობს ბიუროკრატიის ორი ტიპი: 1) წარმომადგენლობითი, რომლისთვისაც კერძოდ, დამახასიათებელია ცოდნასა და უნარზე დამყარებული ძალაუფლება; 2) ავტორიტარული, რომელიც საკუთარი ძალაუფლების განმტკიცებისათვის იყენებს სხვადასხვა სანქციებს. ბიუროკრატიის მეორე ტიპი წარმოიშვება ბიუროკრატიულ ორგანიზაციაში არსებულ დისფუნქციებთან დაკავშირებით, როდესაც ფუნქციონერების მორჩილება თვითმიზნად იქცევა, ხოლო ძალაუფლების ლეგიტიმაცია ხდება თანამდებობაზე ყოფნის ფაქტით.

მაქს ვებერის მიერ სამეცნიერო ხმარებაში შემოღებულმა ლეგიტიმურობის ტიპოლოგიამ ფართო აღიარება ჰპოვა სოციოლოგთა და პოლიტოლოგთა შორის. იგი არაერთგზის იქნა გამოყენებული სხვადასხვა სოციოლოგიურ თუ პოლიტოლოგიურ გამოკვლევებში. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ მ. ვებერი იძლევა არა ისტორიულ აღწერას, არამედ ტიპოლოგიური ხასიათის კონცეპტუალურ კონსტრუქციას.

აქ საუბარია იდეალურ ტიპებზე ანუ აბსტრაქციებზე, რომლებიც "სუფთა სახით" არ არსებობენ პოლიტიკურ სინამდვილეში.

მ. ვებერის შემდომ პერიოდში პოლიტოლოგები და სოციოლოგები თანდათან ცილდებიან მ. ვებერის "რაციონალურ" მოდელს და ახდენენ უფრო რეალისტური მოდელის კონსტრუირებას, რომლის მიხედვით ბიუროკრატია წარმოდგენილია, როგორც

---

1 Томас Р, Дай Л, Харман Зиглер, Демократия для Элиты. М, 1984 стр. 227-228

"ბუნებრივი სისტემა", რომელიც რაციონალურ მომენტებთან ერთად ირაციონალურ მომენტებსაც შეიცავს, ფორმალურ მომენტებთან არაფორმალურებს, ემოციურად ნეიტრალურებთან ერთად - პიროვნულსაც და ა.შ. ე.წ. ალტერნატიული სოციოლოგიის უთვალსაჩინოესი წარმომადგენელი ამერიკელი მკვლევარი ა. გოულდნერი ამ მიდგომას უკავშირებს ო. კონელიდან მომდინარე ტრადიციას, რომელიც მიანიშნებდა სოციალური ორგანიზაციების ჩამოყალიბებაზე "სტიქიური", "ბუნებრივი", ორგანული" ტენდენციების როლზე. აღნიშნულ მიდგომას თანამედროვე წარმომადგენელთა შორის უნდა აღვნიშნოთ ცნობილი სოციოლოგები ტ. პარსონსი - მოქმედების თეორიისა და სოციოლოგიაში სისტემურ-ფუნქციონალური სკოლის დამაარსებელი, აშშ სოციოლოგიური ასოციაციის პრეზიდენტი (1949 წ.); რობერტ მერტონი - აშშ სოციოლოგიური ასოციაციის პრეზიდენტი (1957წ.); ს. ლიპსეტი აშშ პოლიტიკურ მეცნიერებათა ასოციაციის პრეზიდენტი, მ. კროზი, ერ. მაიკელსონი.

რ. მერტონმა ბიუროკრატიის ანალიზის მიმართ გამოიყენა დისფუნქციის ცნება. რ. მერტონის მიხედვით ბიუროკრატიული ორგანიზაციის ყველაზე გავრცელებულ დისფუნქციას წარმოადგენს ორგანიზაციის ფუნქციონერთა მიერ აქცენტის გადატანა ამ ორგანიზაციის ამოცანებიდან მათი განხორციელების საშუალებებზე,

დასავლეთის სოციოლოგებისა და პოლიტოლოგების სამეცნიერო გამოკვლევებში, რომლებიც მრეწველობისა და ბიზნესის ელიტების ფუნქციონირებას ეძღვნება, მკაფიოდ იკვეთება პრობლემისადმი ჯ. ბერნემის ახლებური მიდგომის ინტენსიური ზეგავლენა. ცნობილია, რომ ჯ.ბერნემის მოძღვრების მიხედვით მენეჯერული რევოლუციის შედეგად ეკონომიკურ გადაწყვეტილებათა მიღება, რაც ელიტის განუყოფელ თვისებას - ატრიბუტს წარმოადენს, უკვე არა კაპიტალისტთა კლასის, არამედ მენეჯერთა ელიტის ფუნქციას შეადგენს. ამ თეზისის დასასაბუთებლად ყურადსაღებია პოლიტოლოგთა არგუმენტები, რომლებიც შემდეგში მდგომარეობს: ვინაიდან აქციები ძალზე გაფანტულია, ანუ მრავალ მესაკუთრეთა შორის არის განაწილებული,[1] ამიტომ, კორპორაციების, კომპანიების ყოველდღიურ საქმიანობაზე გავლენის მოხდენას მოკლებულია რიგითი აქციონერი ინვესტორი

1 მაგალითად, ისეთი გიგანტის, როგორიცაა აშშ კომპანია "Shell" აქციების ერთი პროცენტის საკუთრებაში ქონა მხოლოდ ძალზე შეძლებულ ოჯახებს შეუძლიათ

გადაწყვეტილების ოპერატიულად და დროულად მიღების საჭირ-
ების გამო აქციონერთა ყოველწლიური კრებები ხშირად ფორმა-
ლური ხასიათისაა. ამიტომ, გადაწყვეტილებათა მიღების ფუნქცია
ყოველდღიურ ანუ ოპერატიულ დონეზე მმართველთა საბჭოს
მენეჯერების ხელშია აქციონერთა ძირითადი ინტერესია მი-
იღონ მაქსიმალური დივიდენდები დროის მინიმალურ მონაკვეთ-
ში, ხოლო მენეჯერთა ინტერესები მდგომარეობს იმაში, რომ
კონკურენციის პირობებში კომპანიის ქმედითუნარიანობა უზრუ-
ნველყონ ანუ მათი ძირითადი ინტერესი გრძელვადიანი ხასიათი-
საა. ბიზნეს ელიტა დაინტერესებულია აგრეთვე კაპიტალის
რეინვესტირება დივიდენდების გაცემის შემცირების გზით
მოახდინოს. ამ ფენომენს უწოდებენ "განქორწინებას"
მფლობელობასა და კონტროლს შორის.

ამ მოსაზრებათა წინააღმდეგ ოპონენტთა ძირითადი არგუმე-
ნტი იმაში მდგომარეობს, რომ მსხვილ მფლობელთა და მენეჯერ-
თა ელიტის მიზნები, ინტერესები, ქონების დონე, სოციალური
წარმოშობის იდენტურია. ადგილი არა აქვს მათ შორის ინტერე-
სების ფუნდამენტურ კონფლიქტს, ვინაიდან მფლობელნი
მენეჯერების მსგავსად დაინტერესებულნი არიან კომპანიის
გრძელვადიან და პერსპექტიულ რენტაბელობაში. მათი დამოკიდ-
ებულება კომპანიის მიმართ უფრო პერსონალური-მესაკუთრული
ხასიათისაა განსხვავებით წვრილი აქციონერების ეთოსისაგან,
რომელთა დამოკიდებულება "მათი" კომპანიისადმი დივიდენდე-
ბის აქტუალური სიდიდითაა გაპირობებული.

სოციოლოგთა და პოლიტოლოგთა დიდი ნაწილი ეთანხმება
ცნობილი ამერიკელი ეკონომისტის დ. ფლორენის მოსაზრებას,
რომ მსოფლიოში არ განხორციელებულა "მენეჯერული რევო-
ლუცია", არამედ მიმდინარეობს "მენეჯერული ევოლუციის"
პროცესი. მაგრამ როგორც შენიშნავენ ავტორი და მისი ექსპონ-
ენტებიც ამ მნიშვნელოვან სოციალურ მოვნლეას მაინც არ შეუც-
ვლია კაპიტალიზმის ძირეული ხასიათი. ბიზნეს ელიტის კვლევა
შუქს ფენს კიდევ ერთ ფაქტს, კერძოდ, რომ თითქმის ყველა
სპეციალიზებული ელიტა არ წარმოადგენს მონოლითურ სოცია-
ლურ ჯგუფს და მათ შეიძლება გაანდეთ საკმაოდ განსხვავებუ-
ლი ინტერესებისა და მიზნების მქონე ქვეჯგუფები (ელიტები)
ამ დებულების ნათელსაყოფად შეიძლება დავეყრდნოთ დიდ ბრი-
ტანეთში არსებულ ვითარებას. აქ, ერთის მხრივ, მენეჯერული
სტრუქტურების უმაღლესი რგოლები კანონზომიერად მიიჩნევს

თავისუფალ კონკურენციას და მოითხოვენ, რომ მთავრობის მხრიდან მინიმუმამდე იქნეს დაყვანილი სახელმწიფო რეგულირება. მენეჯერთა ელიტის საშუალო რგოლები უფრო დაინტერესებულნი არიან ე.წ. "დირიგიზმ"-ში, ვინაიდან სახელმწიფოს გარანტიები, მაო შორის სოციალურის მათ იცავს საბაზრო ეკონომიკისათვის დამახასიათებელი მოვლენებისაგან, როგორიცაა, მაგალითად კვალიფიკაციაზე მოთხოვნის ფლუქტუაცია და სხვა.

პოლიტოლოგთა და საზოგადოებრივ მეცნიერებათა სხვა დარგების წარმომადგენელთა მეცნიერული კვლევისა და შესწავლის ობიექტი ყოველთვის იყო და არის სამხედრო ელიტები საზოგადოების სოციალურ-პოლიტიკურ ცხოვრებაზე გარკვეულწილად ინტენსიური გავლენის გამო. უნდა შევნიშნოთ, რომ აღნიშნული პრობლემის შესწავლა ხდებოდა და ხდება ისტორიულ პლანში. ამ თვალსაზრისით საყურადღებოა ცნობილი მკვლევარის გორდონ ა კრეიგის ნაშრომი - "პრუსიული არმიის პოლიტიკა", რომელშიც გაანალიზებულია პრუსიის არმიის ზემოქმედება პრუსიის სამეფოსა და სრულიად გერმანიის საშინაო და საგარეო პოლიტიკაზე XVII ს. მოყოლებული XX საუკუნის პირველი ნახევრის ჩათვლით. ავტორი მსჯელობს არმიის როლზე, რომელიც მან შეასრულა გერმანიის სახელმწიფოებრიობის შექმნის საქმეში და დამაჯერებლად აღწერს არმიის პოზიციის ძლიერებასა და ნაკლოვანებას ფრიდრიჰ II პრუსიის მილიტარისტულ ფორმირებულ სახელმწიფო სტრუქტურებში, არმიის რევორმიზებულ ფუნქციას და მის როლს როგორც გერმანელი ერის ეროვნული თვითშეგნების კატალიზატორს (schoef of nation) ნაპოლეონის დაპყრობითი ომების შემდომ პერიოდში; აგრეთვე , დიდი ფაქტობრივი მასალის საფუძველზე გვიჩვენებს, არმიის შემობრუნებას კონსერვატიულ ანტიდემოკრატიული პოზიციებისაკენ და საზოგადოდ ჰიტლერის ნაცისტური რეჟიმის თვითგამანადგურებელ მხარდაჭერას.[1]

გ. კრეიგის ნაშრომებში გაანალიზებულია ელიტიზმის თეორიისათვის მეტად მნიშვნელოვანი ფაქტორები, როგორიცაა: სამხედრო ელიტის კლასობრივი კუთვნილება, ელიტის მიერ განვლილი სოციალიზაციის პროცესი, ღირებულებითი ორიენტაციები. ავტორი გვიჩვენებს თუ რა ზომით წარმოადგენს ეს ფაქტორები წინაპირობას დარაზმული, რიგებშემჭიდროებული,

---

1 Craig G Á., The politics of the Prussian Army. 4. 1964.

"კონსპირაციული" ხელმძღვანელი ჯგუფის - სამხედრო წრეების ზედა სტრატის წარმოსაქმნელად და იკვლევს სამხედრო ელიტის შემაკავშირებელი ელემენტების ურთიერთმოქმედებას. გ. კრეიგი ნათელყოფს სამხედრო ელიტის პოტენციურ გავლენას იმ სოციალურ სფეროებზე, სადაც საზოგადოების პოლიტიკური ტრადიციებით ჯერ კიდევ არ მომხდარა სამოქალაქო და სამხედრო სფეროთა მკაცრი გამიჯვნა. გამოკვლევაში დამაჯერებლადაა ნაჩვენები სამხედრო ელიტის პოტენციური ძალაუფლების დეფაქტო ხელისუფლებად გადაქცევის პროცესები, როდესაც სამხედრო ელიტა ავსებს სახელისუფლებო ვაკუუმს იმ ქვეყნებში, სადაც ხელისუფლების სათავეში სამოქალაქო პირები მრავალ მიზეზთა გამო მხოლოდ ნომინალურად იმყოფებიან. ამრიგად, სამხედრო ელიტების ქვეყნის მმართველობის სათავეში ყოფნა ასიმეტრიული. ამასთან არმია არის არა მხოლოდ სახელმწიფოს დაცვის იარაღი, რომელიც მის უსაფრთხოებას უზრუნველყოფს, არამედ ძალაც, რომელიც უშუალოდ ზემოქმედებს სოციალურ-პოლიტიკურ პროცესებზე, სოციალური სტრუქტურების გარდაქმნაზე, სახელმწიფოს საშინაო და საგარეო პოლიტიკის ძირითად მიმართულებათა შემუშავებაზე. უნდა შევნიშნოთ, რომ სამხედრო ელიტის ზეგავლენა არ შემოიფარგლება წმინდა პოლიტიკური სფეროთი, არამედ, როგორც წესი, ვრცელდება ეკონომიკაზე, კულტურაზე, იდეოლოგიასა და რელიგიაზე.

როგორც ვნახეთ გორდონ კრეიგის ნაშრომი ემყარება გერმანიის სახელმწიფოს ისტორიულ გამოცდილებას. ხოლო ს. ფაინერის გამოკვლევა "მხედარი. მხედრიონის როლი პოლიტიკაში",[1] აანალიზებს სამხედრო ელიტის ფორმირებას არა ვიწრო ეროვნული ასპექტით ერთი ქვეყნის მაგალითზე, არამედ მიზნად ისახავს განახორციელოს სამხედრო ელიტების ტიპოლოგიისა და მათი პოლიტიკური შესაძლებლობების კომპარატიული ანალიზი. გამოკვლევაში განხილულია სამხედრო ელიტის წარმომადგენელთა სოციალური წარმოშობა, მათი აკადემიური განათლება, მათი რწმენის ხარისხი არსებული პოლიტიკური რეჟიმის ლეგიტიმურობაში და და სამხედრო და სამოქალაქო სფეროებს შორის მიმართებათა ხასიათი.

ამავე პრობლემის ანალიზს ეძღვნება პოლიტოლოგის მორის იანოვიჩის ნაშრომი "პროფესიული ჯარისკაცი", რომელშიც გად-

1 Finer, S.E., The Man on Horseback. The Role of the Military in politics L, 1962.

მოცემულია ტიპიური სამხედრო პირის "სოციალური და პოლიტიკური პორტრეტი".[1] ავტორი იკვლევს საზოგადოების პოლიტიკურ კულტურასა და პროფესიულ ღირებულებათა ზემოქმედებას სამხედრო სამსახურის სტრუქტურებსა და სამხედრო ელიტის ცნობიერების ფორმირებაზე. ამახვილებს რა ყურადღებას ჩვენი საუკუნის აშშ სამხედრო ელიტის განვითარებაზე, მ. იანოვიცი მსჯელობს ელიტისტების მრავალ მნიშვნელოვან სადისკუსიო თემაზე.

როდესაც ვლაპარაკობთ ელიტის ტიპოლოგიაზე, მის ხარისხობრივ და რაოდენობრივ ცვალებადობაზე, აუცილებელია გავიაზროთ ის გარემოება, რომ მეცნიერულმა და ტექნიკურმა პროგრესმა ადამიანთა მოღვაწეობის მრავალი ახალი დარგი და სფერო წარმოშვა. შესაბამისად იზრდება საზოგადოების კეთილდღეობა, მატულობს სულიერი და მატერიალური ღირებულებები, იზრდება მომავლის რწმენა ყოველივე ეს მოითხოვს ახალი სფეროების მართვის, დაფინანსების, კონტროლის აუცილებლობას, რათა სწორად წარიმართოს მეცნიერების, კულტურის, ჯანრმთელობის და სოციალური დაცვის და საზოგადოებისათვის სხვა მეტად საჭირო დარგების განვითარება. ყოველივე ეს ბუნებრივად ზრდის ბიუროკრატიულ აპარატს და ქვეყნის კანონები და პოლიტიკური კურსი ხორციელდება მრავალრიცხოვანი სამინისტროების, დეპარტამენტების, სააგენტოების, სამმართველოების, ბიუროების და სხვა სამთავრობო ერთეულების საშუალებით. ამდენად, აღმასრ ულებელი ხელისუფლება თავისი გადაწყვეტილების ფართო სპექტრს ბიუროკრატიულ იერარქიული სისტემის საშუალებით ახორციელებს. ამიტომ, ძალიან მნიშვნელოვანია თუ როგორ არის ორგანიზებული და რაოდენ ეფექტურად მუშაობს სახელმწიფოს ბიუროკრატიული აპარატი და შესაბამისად ადმინისტრაციული ელიტა. ახორციელებს იგი ქვეყნის პრეზიდენტის და საკანონმდებლო ხელისუფლ ის დირექტივებს თუ საკუთარ თავში ნაკეტილ "აპარატული ვიწრო ინტერესებით კმაყოფილდება.

საზოგადოების ნაწილს მიაჩნია, რომ ბიუროკრატია არ ექვემდებარება დემოკრატიული კონტროლის მექანიზმს. განსაკუთრებით ეროვნული უშიშროებისა და ძალოვანი სტრუქტურების საქმიანობა, რადგანაც მათი მუშაობა საიდუმლო მომენტებთან არის დაკავშირებული.

---

1 Ianowitz, M. The Professional Soldier. NY, 1960

პლურალისტების ნაწილი თვლის, რომ საჭიროა მათზე შესუსტდეს კონტროლის მექანიზმი, ფართო გასაქანი მიეცეს მათ საქმიანობას, რაც მეტ სიკეთეს მოუტანს დემოკრატიული პრინციპების გატარებას.

ასევე, პოლიტიკური პარტიები და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციები მოითხოვენ სამთავრობო სტრუქტურების შემცირებას, რაღაანაც ისინი მძიმე ტვირთად აწევს მთელი რიგი ქვეყნების მწირ ბიუჯეტს.

ყოველივე ზემოთქმული მიუთითებს, რომ "ეფექტიანი ორგანიზაციის ნამოყალიბებისათვის ერთი გზა არ არსებობს"

ასევე გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ საზოგადოებრივი განვითარების სხვადასხვა საფეხურზე განსხვავებულ როლს ასრულებენ პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღებაში ადმინისტრაციული, სამხედრო, ეკონომიკური ელიტები. აქედან გამომდინარე, შესაბამისად ინტენსიურ ხასიათს ღებულობს მათი იერარქიული სტრუქტურის შევსების და გაფართოების პროცესი და მათი დარეგულირება ძნელდება. მაგრამ თუ ქვეყანაში მოსახლეობის პარტიციპაციის დონე და პოლიტიკური კულტურა მაღალია, მაშინ საზოგადოება ახერხებს ქვეყისათვის ოპტიმალური "ზომის" ბიუროკრატიული აპარატის შენარჩუნებას.

თავი მეოთხე

ელიტიზმი, დემოკრატია, იდეოლოგია

1. ელიტიზმი და დემოკრატია

ელიტისტების მეცნიერული ნააზრევის გაცნობისას მკითხველის წინაშე წამოიჭრება კითხვა-შეთავსებადია თუ არა ელიტებისა და დემოკრატიის თანაარსებობა.

ელიტიზმის კლასიკოსების გ. მოსკასა და ვ. პარეტოს განცხადებით, მათი შრომების უპირველეს ამოცანას წარმოადგენდა დემოკრატიის მითოსის უარყოფა. ისინი შეეცადნენ (და არც უნაყოფოდ) ენვენებინათ, რომ შეხედულება-თითქოს ხალხი ან ხალხის უმრავლესობა მართავს საზოგადოებას ქიმერას წარმოადგენს.

მაჟორიტარული დემოკრატია ამ ტერმინის მკაცრი გაგებით - ამტკიცებენ გ. მოსკა და ვ. პარეტო არ არის შესაძლებელი, რასაც ნათელყოფს ისტორიული გამოცდილება. მმართველობის ფორმის მიუხედავად საზოგადოების ეფექტური მართვა ხორციელდება მცირერიცხოვანი ჯგუფის - პოლიტიკური ელიტის მიერ.

ელიტიზმის კონცეფციის საპირისპირო პლურალისტური თეორიის მიხედვით, საზოგადოებას სოციალური ჯგუფები შეადგენენ და ყოველ მათგანს სათავეში უდგას ლიდერების "შიდა" მცირერიცხოვანი ჯგუფი. ამ თეორიის ადეპტები იშველიებენ არგუმენტებს თავიანთი მოსაზრების დასასაბუთებლად, რომ დემოკრატია შეთავსებადია ელიტების სიმრავლის არსებობასთან.

პოლიტიკური პლურალიზმის თეორეტიკოსები- ჰ. ლასუელი, რ. ა. დალი, ი. შუმპეტერი, პ. ბახრახი - გამოვიდნენ ზედაპირული სოციალური დიქოტომიის ("ელიტა " - "მასა") წინააღმდეგ , ზოგიერთი პლურალისტი იზიარებდა ელიტისტების' დასკვნებს თანამედროვე საზოგადოების იერარქიული სტრუქტურის შესახებ, მაგრამ იგი სოციუმის საბედისწერო ნაკლად მიაჩნიათ, რომელიც არა ლეგიტიმაციის, არამედ 'თანდათანობით შესწორებას საჭიროებდა. მაგალითად, ჩ.რ. მილსი აღიარებდა დემოკრატიული საზოგადოების დაყოფას ელიტებად და მასად, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ასეთი დაყოფის მოწინააღმდეგედ

რნებოდა. და ამიტომ, ეყრდნობოდა რა პრინციპულ ანტიელიტარულ საზოგადოებრივ იდეალს, ასაბუთებდა ამერიკული და დასავლეთ ევროპული დემოკრატიის შეზღუდულობას. ჩ.რ. მილსის მიხედვით, ცალკეულ ელიტარულ ჯგუფებს შორის არსებული განსხვავება წმინდა ფუნქციონალური ხასიათისაა, არსებითად კი, ისინი ქმნიან სახელმწიფო ხელისუფლებასთან და ხელისუფლებრივ ურთიერთობებთან თანამონაწილე (თანაზიარ) განცალკევებულ გაერთიანებას. ამ ელიტაში უდიდესი მნიშვნელობა აქვს ეკონომიკურ, სამხედრო და პოლიტიკურ დაჯგუფებებს, რომლებიც აერთიანებენ თავიანთ ძალისხმევას მასების სამართავად.

ელიტების და დემოკრატიის თანაარსებობის შესაძლებლობის დადგენის ცდამ სათავე დაუდო სამეცნიერო პაექრობას. ელიტისტებისა და პლურალისტების თეორიული პოზიციების დაახლოების მიზნით აუცილებელი გახდა ტერმინების "დემოკრატიის" და "დემოკრატიულის" რედეფინირება და აქტუალიზაცია, ვინაიდან ეს ტერმინები ზუსტად ვერ ახდენენ მმართველობის ფორმების დიფერენცირებას. ამ თვალსაზრისის მოწინააღმდეგენი აღნიშნავენ, რომ დემოკრატიის ცნების რევიზიით იკარგება მისი პირველადი მნიშვნელობა და იგი გამოიყენება ვითარების დესკრიფციისათვის, როდესაც მხოლოდ საზოგადოების მცირე ნაწილი არის უშუალოდ ჩართული მმართველობისა და საზოგადოებისათვის უმნიშვნელოვანეს სოციალურ-პოლიტიკურ გადაწყვეტილებათა მიღების პროცესში.

პოლიტოლოგიური და სოციოლოგიური ლიტერატურის შესწავლამ და საათანადო ანალიზმმა ცხადყო, რომ პოლიტოლოგ-ელიტისტებსა და პოლიტოლოგ-პლურალისტებს შორის წამოჭრილ დისკუსიას უნდა გაერკვია, ჯერ ერთი, რა ზომის ინტენსივობით უნდა მონაწილეობდეს ხალხის მასები პოლიტიკურ პროცესში, რათა საზოგადოება დემოკრატიულად იქნეს მიჩნეული. მეორე, გასაანალიზებელია რა ფუნქციებს ითვალისწინებს საზოგადოება თავისი ყოველი წევრისათვის. პოლიტიკურ სისტემებში, სადაც მასის მიერ ელიტა აღიარებულია, როგორც ლეგიტიმური; მესამე, წარმოადგენს თუ არა საზოგადოების ყოველი წევრი მხოლოდ ფორმალურ ამომრჩეველს, თუ მას შესწევს უნარი მმართველ ელიტას მიანიშნოს და მოითხოვოს საკუთარი სოციალური, პოლიტიკური და ეკონომიკური ინტერესების განხორციელება. აგრეთვე უნდა გარკვეულიყო ძევს თუ არა "დემოკრატიის" ცნების შინაარსში,

რომ ყოველი მოქალაქე იყოს პოლიტიკურად აქტიური, მოქმედებდეს მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის შეგნებით, აცნობიერებდეს თავის როლს საზოგადოების მასშტაბით და აქტიურად მონაწილეობდეს საზოგადოების პოლიტიკურ პროცესებში.

დისკუსია შეეხო, აგრეთვე ტერმინის "პოლიტიკურის" ბუნებას. დაისვა საკითხი ამ ტერმინის შინაარსობრივი გაფართოების თაობაზე, რომელსაც უნდა მოეცვა ადამიანის მოღვაწეობა-საქმიანობის პოლიტიკური ხასიათის დარგები; ეკონომიკური ცხოვრების "პოლიტიზაცია", როგორც მიაჩნია მოპაექრე პოლიტოლოგთა და სოციოლოგთა ნაწილს, შესაძლებელია ინდუსტრიული კორპორაციებისა და ბიზნესის გარკვეული ფორმის სახალხო კონტროლისადმი მუშათა საბჭოების, აქციონერთა, მომხმარებელთა, დაქირავებულ მუშაკთა არსებული ორგანოების კონტროლისადმი დაქვემდებარებით, რაც მათი შეხედულებით გამოიწვევდა შრომითი "ვითარების" დემოკრატიზაციას, მონაწილეობას, წახალისებას, ელიტის კონტროლის შეზღუდვას. აღნიშნული თვალსაზრისის ოპონენტები თავიანთ მოსაზრებებს ასაბუთებენ არგუმენტებით: ამ სახის პირდაპირი მონაწილეობა არ არის მიზანშეწონილი და აუცილებელი, ვინაიდან საზოგადოების მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება დემოკრატიული წესით უფრო მეტად პოლიტიკის როლის შეუზღუდავად არის შესაძლებელი. დემოკრატიული პრინციპების თაობაზე დისკუსიის მონაწილე პოლიტოლოგები სოციოლოგები არ ოპერირებდნენ აბსტრაქტული თეორიის ტერმინებით. ემპირიული კვლევის შედეგების გასხვავებულმა ინტერპრეტაციამ ფართო სპექტრი გამოავლინა.

ა) "პლურალიზმი" თუ "დემოკრატიული ელიტიზმი"

თეორიულ პოზიციას, რომელიც დემოკრატიასთან ელიტების შეთავსებას შესაძლებლად მიიჩნევს (ამ თვალსაზრისის წარმომადგენლებმა ემპირიკოსმა მკვლევარებმა, ჰოლსბიმ და რ.ა. დალმა, აგრეთვე პოლიტიკურმა ფილოსოფოსმა უ. კორნჰაუზერმა), "პლურალისტული" უწოდეს ამ კონცეპტუალური მიმარ-

1 Kornhauser W. The Politics of Mass Society. L, 1960

თულების ოპონენტებმა მას "დემოკრატიული ელიტიზმ" ან "დემოკრატიის ელიტისტური თეორია" უწოდეს.[1]

როგორც ზემოთ იყო თქმული, გ. მოსკამ ერთ-ერთმა პირველმა სცადა ელიტების და დემოკრატიის შეთავსება. სამეცნიერო მოღვაწეობის მომდევნო პერიოდში მან აღიარა მეცხრამეტე საუკუნის ლიბერალური პოლიტიკური სისტემის ღირებულებები, რომელსაც აკრიტიკებდა როგორც დამწყები მეცნიერი: მისი ფუნდამენტური ნაშრომი "მმართველი კლასი" ასახავს ამ პოზიციის შეცვლას. ნაშრომში საზოგადოება განიხილება სოციალური ძალების და ინტერესების თანაარსებობის კონტექსტში, უნდა განხოროციელდეს აღნიშნული სოციალური ძალების ლიდერებისა და გამონენილი ინდივიდუმების ასიმილირება მმართველი კლასის მიერ საკუთარი არსებობის გახანგრძლივებისა და აღწარმოებისათვის. გ. მოსკას ეჭვს არ იწვევდა ლიბერალური დემოკრატიის უპირატესობა მმართველობის სხვა ფორმებთან შედარებით სოციალური ძალების მიერ საკუთარი ინტერესების ნამოყალიბებისა და განხორციელების საქმეში, მაგრამ მას დაუშვებლად მიაჩნდა, მისი მონიზმი გადაეძლია პლურალისტულ მომენტს: საზოგადოებაში სოციალური ძალების სიმრავლის მიუხედავად, გ. მოსკას მიხედვით ნებისმიერ პოლიტიკურ სისტემაში არსებობს და ფუნქციობს ერთი გაბატონებული მმართველი კლასი, რომელიც ახდენს სოციალური ძალების ხელმძღვანელობის ასიმილირებას საკუთარ რიგებში.

დემოკრატიის ფენომენის გააზრების პროცესზე ზეგავლენა იქონია იოზეფ შუმპეტერის ნაშრომმა "კაპიტალიზმი, სოციალიზმი და დემოკრატია", რომელიც პირველად 1942 წელს გამოქვეყნდა. დასავლეთის პოლიტიკურ და სოციოლოგიურ ლიტერატურაში ნაშრომი მინნეულია ძირითად შენაძენად დემოკრატიის რედეფინირებისა და მისი ელიტისტური სიტუაციისადმი მისადაგების საქმეში.[2] ი. შუმპეტერის განმარტებით, დემოკრატია წარმოადგენს "ინსტიტუციონალურ პროცედურას (მექანიზმს), რომელიც უზრუნველყოფს ინდივიდუმთა მიერ მიღებულ პოლიტიკურ გადაწყვეტილებათა, მიღწევას, ელექტორა-

---

1 Bachrach, P, The Theory of Democratic Elitism, Boston, 1967

2 Schumpeter, I, Kapitalism, socialism and Democracy, N, 1956, p. 296

ტის ხმების მოსაპოვებლად კონკურენციული ბრძოლის გზით"[1] აღნიშნული დეფინიციის მიმზიდველობა, - შენიშნავს პოლიტოლოგი ჯ. გეიტელი, მდგომარეობს მის ცხად "რეალიზმში".[2] იგი შეესატყვისება პოლიტიკურ სისტემებს, სადაც პოლიტიკური პარტიები ელექტორატის ხმების მიზიდვით იბრძვიან არჩევნებში გამარჯვებისათვის. ამგვარ პოლიტიკურ სისტემებს მასობრივი ცნობიერება, დემოკრატიულად მიიჩნევს. აღნიშნული განსაზღვრება არ გულისხმობს "პირდაპირ დემოკრატიას", ხალხის უშუალო მონაწილეობას სახელმწიფოს მმართველობაში კონცეფციას, რომელიც საკმაოდ "იდეალისტური" ან მოძველებულია, მეოცე საუკუნისათვის. შუმპეტერისეული დეფინიცია, არხებით როლს ანიჭებს ლიდერობას (ხელმძღვანელობას), რომელსაც იგი ასრულებს თანამედროვე დემოკრატიაში, ადრეული თეორიებისაგან განსხვავებით, რომლებიც ელექტორატის ინიციატივას არარეალისტურად დიდ მნიშვნელობას მიაწერდნენ. მართვა ხელეწიფება მხოლოდ არჩევნების პროცესში ელექტორატის მხარდაჭერისათვის კონკურენტულ ბრძოლაში გამარჯვებული ლიდერების ჯგუფს.[3]

ა. ბახრახის თვალსაზრისით ი. შუმპეტერის მნიშვნელოვან მიღწევას წარმოადგენს ის, რომ დემოკრატიას განსაზღვრავს, როგორც ძლიერი, ავტორიტეტული მმართველობის დამკვიდრების ეფექტურ მეთოდს. თავისთავად ეს განსაზღვრება არ გულისხმობს სამოქალაქო პასუხისმგებლობის ან ფართო პოლიტიკური მონაწილეობის იდეებს. სინამდვილეში, როგორც ი. შუმპეტერი აღიარებს, დემოკრატიული მეთოდი შეიძლება წარმოადგენდეს არჩეული მმართველობის აქციის შედეგს, რომელიც დემოკრატიულად უარს ამბობს ადამიანთა ფუნდამენტურ უფლებებზე, თავისუფლება და თანასწორობა, რომლებიც დემოკრატიის ადრეული განსაზღვრების განუყოფელი ნაწილი იყო, ი. შუმპეტერის მიხედვით, აღარ წარმოადგენს ამგვარი დეფინიციის ინტეგრალურ ნაწილს, მაგრამ თავისუფლება და თანასწორობა კაცობრიობის იდეალებად უნდა დარჩეს.

---

1 Bachrach, p., The Theory of Democratic Elitism, Boston, 1967, pp. 18-25.

2 Gately, G, Class Inequelity and Political Order, N, Y, 1977, p. 265

3 Schumpeter, I, Capitalism, Socialism and Democracy, NY, 1956, pp. 296-298

მთავარ როლს, რომელსაც შუმპეტერისეული დემოკრატიის მოქალაქენი ასრულებენ, წარმოადგენს პოლიტიკური ლიდერობის ცნობა-ლეგიტიმაცია და მხარდაჭერა ან უარყოფა. ი. შუმპეტერის განმარტებით დემოკრატია "პოლიტიკოსთა მმართველობაა". სინამდვილეში მისი არგუმენტების ქვეტექსტი იმაში მდგომარეობს, რომ ერთხელ არსებულ პოლიტიკურ ხელმძღვანელობას ეძლევა შესაძლებლობა მართოს საზოგადოება მოქალაქეთა ძალზე მცირე მონაწილეობით. ამომრჩევლებმა , - დასძენს ი. შუმპეტერი, - უნდა "პატივი მიაგონ "შრომის დანაწილების" მითს მათ მიერ არჩეულ პოლიტიკოსებს შორის"[1] რასაკვირველია, მოქალაქეებს აქვთ უფლება მიიღონ მონაწილეობა პოლიტიკურ ცხოვრებაში პოლიტიკური პარტიების წევრობებით და მხარდაჭერით, ან გაწყვიტონ ყოველგვარი დამოკიდებულება პარტიასთან, მიუხედავად ამისა, ისეთი აქციები, როგორიცაა პარლამენტის წევრებზე წერილობითი მიმართვებით გამუდმებული პეტიციებით დაწოლა, "ბომბარდირება" ზღუდავს პოლიტიკოსთა თავისუფლებას და ისინი მართავენ შრომის დანაწილების უგულებელყოფით. ყოველივე ს, ი. შუმპეტერის აზრით, თავგზას უბნევს პოლიტიკოსებს.

უნდა შევნიშნოთ, რომ პოლიტიკური ლიდერის შუმპეტერისეული კონცეფცია თითქმის მაქს ვებერისეულის მსგავსია. ამ კონცეფციის მიხედვით ლიდერი ძალაუფლებით აღჭურვილი პიროვნებაა, რომელსაც ხელეწიფება გადაწყვეტილებათა მიღება, მან არ უნდა შეზღუდოს მოქალაქეთა თავისუფლება. თუ იგი წინდახედული პოლიტიკოსია და მოქმედებს სოციალური პასუხისმგებლობის შეგნებით. მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ პოლიტიკური ხელმძღვანელობა (ლიდერობა) აბსოლუტურ ძალაუფლებას ფლობს, იგი შემოსაზღვრულია დემოკრატიის კონკურენტული ბუნებით. აუცილებელია პოლიტიკური კურსის ისე წარმართვა და განხორციელება, რომ მოპოვებულ იქნეს ელექტორატის უფრო აქტიური მხარდაჭერა. ვიდრე, ამას მისი ოპონენტები შეძლებენ.[2] პოლიარქიის დალისეული დესკრიფცია ჩამოყალიბებულია ანალოგიური ტერმინებით, დემოკრატიის პირობებში კონკურენციის ელემენტებზე მსჯელობისას ი. შუმპეტერი ხაზგასმით აღნიშნავს პოლიტიკური ელიტის წევრებს შორის არსებულ კონკურენციას.

---

1 Schumpeter, I., Capitalism, Socialism and Democracy, N.Y, 1956, pp. 295

2 Sartori, G, Democratic Theory, Detroit, 1962, p.77

მოთავარ საშიშროებას პოლიტიკური ლიდერობის არსებობისათვის წარმოადგენენ სხვა ამბიციური პოლიტიკოსები, რომლებიც იმედს ამყარებენ ელექტორატის რიგებში სოციალური მოძრაობის განვითარებაზე, ამგვარი მოძრაობა ეფექტურია, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი "გადაჯაჭვულია" ერთ-ერთ ლიდერთან ან მისი პარტიის მიზნებთან.

ი. შუმპეტერის მსჯელობაში არ ექცევა ყურადღება ე.წ. "შუალედურ" ჯგუფებს, რომლებიც ფუნქციონირებენ პოლიტიკურ ლიდერობასა და ინდივიდუალურ მოქალაქეთა შორის. ნაშრომში იგი არ მოიხსენიებს პოლიტიკური პროცესის "ჯგუფის თეორიებს". დემოკრატიის უფრო თანამედროვე თეორიები ემყარება ამ ორგანიზებული ჯგუფების ეკლესიების, პროფესიული კავშირების, ბიზნესთა ასოციაციების, მომხმარებელთა ჯგუფების და ა.შ. შუმპეტერისეულ ანალიზს, ყოველი ჯგუფი გამოხატავს საკუთარი წევრების ინტერესებს, ცდილობს რა მოახდინოს ზემოქმედება პოლიტიკურ ლიდერობაზე (ხელმძღვანელობაზე), რათა უზრუნველყოს მისთვის ღირებული პოლიტიკური კურსის მიღება და ცხოვრებაში გატარება, ყოველი ჯგუფი კონკურენციას უწევს სხვა ჯგუფებს და რესურსების შეზღუდულობის პირობებში არ არის შესაძლებელი ყველა ინტერესის დაკმაყოფილება, მაგრამ, როგორც ამტკიცებენ პოლიტოლოგები ხდება ყველა მოთხოვნის გათვალისწინება.

შუალედური ჯგუფების სათავეში იმყოფება ლიდერების მცირე რიცხვი. ეს ელიტარული ერთობა, ახდენს ჯგუფის წევრების მოთხოვნილების გაფილტვრასა და მოწესრიგებას. წარმატების იმედების მომცემი მნიშვნელოვანი მოთხოვნები გადაეცემა საჯარო განხილვისათვის. პლურალისტების რ. დალის[1], ე. ბენფელდის[2], რ. პრესტუსის[3] ემპირიულ გამოკვლევებში შუალედური ჯგუფების არსებობა თავისთავად ცხადად არის აღიარებული ელიტისტების საპირისპიროდ ხსენებული მკვლევარების შრომებში. თანამედროვე დემოკრატიული სოციუმების პოლიტიკური სისტემა განიხილება საზოგადოებაში ხელისუფლების "განფანტვისა" და პოლიცენტრიზმის ასპექტში.

---

1 Dahl. R. A. Who Governs New Haven, 1961

2 Banfield. E. C. Political Influence, NY, 1961

3 Prestrus. R. Man at the Top, NY, 1964

ცნობილი ნაშრომის - "მასობრივი საზოგადების პოლიტიკა" - ავტორის უილიამ კორნჰაუზერის მტკიცებით, პლურალისტური ლიბერალური დემოკრატიის პირობებში შუალედური ჯგუფები იცავენ საზოგადოებას, ერთი მხრივ, ტოტალიტარიზმისაგან და, მეორე მხრივ, "მასობრივი საზოგადოების" საშიშროებისაგან. უ. კორნჰაუზერის თვალსაზრისით. იქ, სადაც არ არსებობს შუალედური ურთიერთობები, პიროვნებები იმყოფებიან "ატომიზირებულ" (დანაწევრებულ) მდგომარეობაში, ისინი მოკლებულნი არიან ინფორმაციას, კონტაქტებსა და დარაზმულობას, რაც ესოდენ საჭიროა პოლიტიკური ინიციატივის გამოსავლენად. "ატომიზირებული" ინდივიდები პოლიტიკისადმი აპათიურნი არიან, აპათია ნიღბავს ფუნდამენტურ უკმაყოფილებას, რომლითაც მანიპულაციას აკეთებს და რომლის მობილიზაციას ახორციელებს ეროვნული პოლიტიკური ელიტა. უ. კორნჰაუზერის მიხედვით, მასა საერთოდ სამობილიზაციოდ ადვილად მისაწვდომია ელიტისათვის. მასის წარმართვა შესაძლებელია იმ მიმართულებით, რომლის ხორცშესხმის შედეგად ხდება არსებული რეჟიმის დამხობა და პოლიტიკური ახალი მმართველი ელიტის შეცვლა. ამ პოლიტიკურ სისტემებში, სადაც პოლიტიკური ელიტა ავლენს ტოტალიტარიზმის ტენდენციებს, მასობრივი საზოგადოება შეიძლება ელიტის კონტროლით სოციალური ქმედების ყველა სფეროში შეიცვალოს. ხდება, ახალ შუალედურ ჯგუფებში მონაწილეობის წახალისება, რომლებიც არ არიან ავტონომიურნი, როგორც პლურალისტურ საზოგადოებაში და ექვემდებარებიან ელიტის კონტროლს.

უ. კორნჰაუზერის შეხედულებით, პლურალისტური დემოკრატიის ჯგუფები უზრუნველყოფენ პირობებს სოციალურ პოლიტიკურ პროცესებში მოქალაქეთა რეალური მონაწილეობისათვის. ქმნიან სტრუქტურებს, რომელთა მეშვეობით მოქალაქეებს ხელეწიფებათ სრულყონ და მიაღწიონ კიდეც მათი ინტერესების სფეროში არსებული საკითხების განხილვას[1]. ისინი აგრეთვე აკმაყოფილებენ. თავიანთ მრავალ მოთხოვნას შუალედურ დონეზე. ამ გზით იცავენ ეროვნულ პოლიტიკურ ელიტას ხალხის ზასებისაგან მომდინარე პირდაპირი დაწოლისაგან, უ. კორნჰაუზერის მიხედვით, ამგვარი დაწოლა, ადვილად შესაძლებელია საშიში აღმოჩნდეს მასის ნაკლებად ინფორმირებულობისა და

1 Cornhauser, W, The Political Mass Society, NY, 1960, p. 77

პოტენციური ექსცენტრიზმის გამო, თუ არ მოხდა შუალედური ჯგუფების ღირებულებითი და კომპრომისული საშუამდგომლო საშუალებებით მასაზე ზემოქმედება ექსტრემიზმის შეხლუდვის მიზნით.

შუალედური ჯგუფების ელიტების მეტოქეობა-კონკურენცია, ამ თვალსაზრისით, წარმოადგენს თავისუფლების ბასტიონს, რასაც თვალნათლივ ცხადყოფს ფაქტი, რომ პიროვნებები , როგორც წესი, ერთდროულად შეიძლება რამდენიმე ჯგუფს ეკუთვნოდნენ. ამგვარი მრავალრიცხოვანი "გაწევრიანება", განმარტავს უ. კორნჰაუზერი, თავიდან იცილებს ერთი ჯგუფის მიერ ყველა სხვა ჯგუფის რღვევის ტენდენციას. ი. შუმპეტერის მტკიცებით, ელიტებს ეროვნულ და შუალედურ დონეზე უნდა მიენიჭოთ მოქმედების საგრძნობი თავისუფლება და ხელისუფლებრივი პოზიციების დაუფლების შემდეგ ელიტასა და არაელიტას შორის უნდა შენარჩუნდეს შრომის დანაწილება, არაელიტას უნდა გაანდეს ხელსაყრელი შესაძლებლობა ელიტებს შორის უმჯობესისა და სასურველის შერჩევის, მაგრამ მისი მონაწილეობა ამ აქციებში საარჩევნო პერიოდით არიან შემოფარგლული.

უნდა შევნიშნოთ, რომ დემოკრატიის სარტორისეული კონცეფცია ყველა არსებითი ნიშნით ი. შუმპეტერისა და უ. კორნჰაუზერის კონცეფციების მსგავსად , ჯ. სარტორი დემოკრატიას განიხილავს, როგორც პროცედურას, რომელშიც მეტოქეობენ ლიდერები სახელმწიფო-ძალაუფლების მოპოვებისათვის. არჩევნების მეშვეობით, უ. კრნჰაუზერის მსგავსად, იგი მსჯელობს, რომ დემოკრატებმაც უნდა ცნონ ლიდერობის არსებითი როლი.[1] ელიტები არ წარმოადგენენ დემოკრატიისათვის უცხო სხეულს, არამედ იმ პოლიტიკურ სისტემებში, სადაც ისინი თავად დემოკრატიულნი არიან, სისტემის გარანტებად წარმოგვიდგებიან, დემოკრატია , (ჯ. სარტორის მიხედვით, ისევე დიდადაა დამოკიდებული მისი ლიდერების ღირსებებზე, როგორც სხვა ნებისმიერი რეჟიმი. იგი ანაქრონიზმად მიიჩნევს დემოკრატიის დაცვას არისტოკრატიის მმართველი კლასისაგან, როდესაც პირიქით, დემოკრატიული ლიდერობის არარსებობა შექმნიდა არადემოკრატიული კონტრელიტების მიერ მასების ექსპლოატაციის რეალურ საშიშროებას.[2]

---

1 Sartory. G. Democratic Theory. Detroit. 1962. p. 77

2 Ibid. pp. 118-119.

ჯ. სარტორის მიხედვით, დემოკრატიის უმნიშვნელოვანესი შემადგენელი ელემენტებია პოლიტიკური ლიდერობის განმტკიცების მექანიზმი. ნებისმიერი შეხედულება თვითმმართველი ხალხის არსებობის შესახებ ილუზიაა, დემოკრატიის თეორიის დრომოჭმული მითოსის ნაწილია, სარტორისეული დემოკრატიის თეორიის მიხედვით , ხალხი მმართველის როლში მხოლოდ არჩევნებისას გვევლენება. არჩევნების მიზანს არ წარმოადგენს ხალხის მონაწილეობის სტიმულირება, იგი მხოლოდ პრაგმატულ მიზანს ლიდერების შერჩევას ემსახურება. არჩევნების საუკეთესო ფორმა უნდა იყოს ის, რომელიც ირჩევს უმაღლესი კვალიფიკაციის კომპეტენტურ ლიდერებს, ჯ. სარტორის მაგალითის სახით მოაქვს მრავალ საარჩევნო ოლქში უკეთ განათლებულ პიროვნებათა ხმის მიცემის ჯ.ს. მილსის სქემა. ამგვარ ენერგიული ლიდერების ძლიერ ჯგუფს ძალუძს ელიტად ნამოყალიბება და საზოგადოებრივ პროცესებზე და აზრზე ზემოქმედება. ელექტორატის ქცევის შესწავლის საფუძველზე ასკვნის, რომ ამომრჩეველი არის საშუალო, ნაკლებინფორმირებული გონებამძიმე და ხშირად ინტერესმოკლებული ჩვეულებრივი ადამიანი. მას არ გააჩნია საკუთარი შეხედულებები სოციალურ და პოლიტიკურ მოვლენებზე , ეს შეხედულებები ფორმირებულია. კლასის , ჯგუფისა და ოჯახის მიერ. საზოგადოებრივი აზრი ვერასდროს ვერ წარმოქმნის იდეებს, იგი ყოველთვის მათზე ზემოქმედების შედეგია.[1] ამდენად ელიტისათვის არსებობს სათანადო საფუძველი საზოგადოებრივი აზრის ფორმირებისა და მასობრივი ცნობიერების "აღზრდისათვის" , განსაკუთრებით სადაც ელიტას კონკურენციას უწევენ სხვა ელიტები. ზემოქმედების შედეგად საზოგადოებრივ აზრს, არ ძალუძს ალტერნატიული ინფორმაციებისა და მოსაზრებების ობიექტური შეფასება. გამოწვევას თავის თავზე იღებს შედარებით ვიწრო წრეც. ე.წ. "შეხედულებათა ლიდერებისა" , რომლებიც ზემოქმედებენ და გარკვეული მიმართულებით წარმართავენ საზოგადოებრივი აზრის ფორმირების პროცესს.

ელიტისტური და პლურალისტური თეორიების მიხედვით, საზოგადოებრივ საქმიანობაში ყოველი მოქალაქის მონაწილეობა თავისთავად არ წარმოადგენს მნიშვნელოვან იდეალს, რეალური

1 Sartory, G, Democratic Theory, Detroit, 1962, pp. 75-77

მონაწილენი არიან პოლიტიკური პარტიებისა და სახელმწიფო სტრუქტურების დიდი ფუნქციონერები - პოლიტიკური ელიტის წარმომადგენლები, აგრეთვე, მრავალი მეტოქე და შუალედური ჯგუფის ელიტების წევრები ამგვარი "დემოკრატიის" დამცველნი, არგუმენტად იყენებენ მოსაზრებას, რომ მასის ფართომასშტაბიანი მონაწილეობა არასასურველია და ეროვნული საქმეებისადმი მცირე აპათია, არავითარ პრობლემას არ წარმოადგენს. დასკვნები, რომლებიც ზოგჯერ გამოაქვთ ზემოთქმულის საფუძველზე, შემდეგში მდგომარეობს: ხალხთა მასების (ამომრჩეველთა) მონაწილეობა საზოგადოებრივ-პოლიტიკურ აქციებში არ წარმოადგენს დემოკრატიის აუცილებელ ნიშან-თვისებას და ადამიანი თავისი ბუნებით არ არის პოლიტიკური ცხოველი.

ელიტისტები და პლურალისტები ერთი აზრის არიან იმ ფაქტზე, რომ უმნიშვნელოვანეს პოლიტიკურ გადაწყვეტილებებს ღებულობს შემადგენლობით საკმაოდ სტაბილური მცირერიცხოვანი ჯგუფი, რომელსაც ჩვეულებრივ დიდი მატერიალური რესურსები გააჩნია. მაგრამ პლურალისტები ცდილობენ და ამტკიცებენ, რომ პოლიტიკას ყოველთვის არ "კარნახობენ" ელიტის წარმომადგენლები, არსებობს საზოგადოებრივი ძალები, რომელთაც ძალუძთ დაუპირისპირდნენ მათ ასე, მაგალითად, გარემოს დაბინძურების , საკითხების გადაწყვეტისას გიგანტური ნავთობგადამამუშავებელი, ქიმიური და მეტალურგიული საწარმოები იძულებულნი არიან ანგარიში გაუწიონ დამოუკიდებელ ეკოლოგიურ ჯგუფებს, იმ დროს, როდესაც დემოკრატიის ტრადიციული მაჟორიტარული მოდელის შესაბამისად, დემოკრატია, ემყარება მოქალაქეთა საყოველთაო მონაწილეობას სახელმწიფოს მართვაში, პლურალისტების მსჯელობით კი ამა თუ იმ საზოგადების დემოკრატიულობა დაკავშირებულია პოლიტიკის სფეროში ინფორმირებულ უმცირესობათა კონკურენციის შესაძლებლობასთან ნაშრომში "სამოქალაქო კუტურა და დემოკრატიის სტაბილობა" გ. ალმონდი და ს. ვერბა ამტკიცებდნენ, რომ ელიტების ძალაუფლება "დემოკრატიის შემადგენელია", მაგრამ "თუ არ არის რაიმე ფორმა სამთავრობო ელიტების კონტროლის, არაელიტების მხრიდან, მაშინ საეჭვოა, პოლიტიკურ სისტემას ეწოდოს დემოკრატიული". მეორე მხრივ, "არა-ელიტებს არ ძალუძთ თავად მართონ"[1] ელიტიზმის

1 Алмонд. Г., Верба С. "Гражданская культура" и стабильность демократии - "Полис" 1992 /4 с. 123

თეორიას პლურალისტი დ. ბომნემი აუასებს როგორც მაკიაველიზმს, რომელიც ცდილობს ყველა სოციალური პროცესი ახსნას ელიტასა და "არაელიტას" შორის არსებული განსხვავებით, დაყავს რა ელიტის მახასიათებლები ორ თვისებაზე - ძალასა და მოხერხებულობაზე, ხოლო ბიზნესი - ერთადერთ მისწრაფებაზე - შეინარჩუნოს სახელმწიფო ძალაუფლება , პლურალისტური მიმართულების სხვა თეორეტიკოსები ამტკიცებენ, რომ თუ თანამედროვე საზოგადოება, ბოლოს და ბოლოს წარმოადგენს დემოკრატიის იდეალს, ყოველ შემთხვევაში არ შეიძლება იმის თქმაც, რომ იგი მთლიანად ექვემდებარება, რომელიმე ერთ სოციალურ ჯგუფს, პლურალისტური დოქტრინისათვის ფუძემდებლური ჰიპოთეზა, რომ საზოგადოება წარმოადგენს საკუთარი ელიტების მქონე მრავალი გაბატონებული სტრუქტურის სისტემას, პირველად წამოაყენა ამერიკელმა პოლიტოლოგმა ა.მ. როუზმა.[1]

ერთ-ერთი თანამედროვე გამოჩენილი პოლიტოლოგი, პლურალისტური მიმართულების წარმომადგენელი, რ.ა. დალი ნაშრომში "მმართველი ელიტის მოდელის კრიტიკა" მიუთითებდა, რომ პოლიტიკური თანასწორუფლებიანობის არარსებობა ჯერ კიდევ მოწმობს საზოგადოებაში მმართველი კლასის არსებობას, პლურალიზმი რ.ა. დალის თვალსაზრისით, ასევე გულისხმობს არა წმინდა სახის დემოკრატიას, როცა ყველა მოქალაქე უშუალოდ მონაწილეობს გადაწყვეტილებათა მიღების პროცესში, არამედ უფრო მეტად ორგანიზებული ჯგუფების მუშაობაში "ინდივიდუალური მონაწილეობის" შესაძლებლობას, ასეთი ჯგუფების ზეგავლენა მის მიერ შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით განიხილება: მოცემული ორგანიზაციის არსებობის ხანგრძლივობა, მისი წევრების რაოდენობა, მათ შორის თანხმობის დონე ამგვარ ჯგუფებში გაერთიანებით მოქალაქეებს შესაძლებლობა ეძლევათ ზემოქმედებდნენ პოლიტიკურ სისტემაზე. ამავე დროს, შედარებით ნაკლებად გავლენიანი, მაგრამ უფრო უკეთ დარაზმული გაერთიანებანი ხშირად ბევრად მეტად შედეგიანი არიან თავიანთ სოციალურ-პოლიტიკურ მოღვაწეობაში, ვიდრე, ძლიერი, მაგრამ სხვადასხვაგვარი შემადგენლობის ელიტები. ამ ასპექტით, ჯგუფის ინტერესების ერთიანობა მისი სოციალური და პოლიტიკური წარმატების უმნიშვნელოვნესი ფაქტორია.

---

1 Rose, A.M. The Power Structure: Political Process in American Society, NY, 1967.

ელიტისტური დემოკრატიის თეორიის მოწინააღმდეგენი (კრიტიკოსები) "კლასიკური" დემოკრატიის სიცოცხლისუნარიანი იდეალების უარსაყოფად თანამედროვე დემოკრატიული პოლიტიკური სისტემების ემპირიული მონაცემების გამოყენების მცდარობაზე მიუთითებენ პოლიტოლოგები გრიმ დუნკანი და სტივენ ლუკისი ე.წ. "მცდარობის კატეგორიის" ძალზე გონივრულ და პრაქტიკულ კრიტიკას გვთავაზობენ, რომელიც ემპირიული რეალიზმის "დამოწმებით" შეიცავს დემოკრატიის ძველი თეორიების უარყოფას.[1]

დემოკრატიის თეორეტიკოსებმა - როგორებიცაა ჟან ჟაკ რუსო ან ჯონ სტიუარტ მილი - შეიმუშავეს დემოკრატიის "ნორმატიული" თეორიები, მიმართული იმ სოციალურ-პოლიტიკური რეალიზმის წინააღმდეგ, რომლის შეცვლისაკენ ისინი ისწრაფოდნენ, ორივე მოაზროვნეს გაცნობიერებული ჰქონდა არსებული ვითარების სირთულე, გ. დუნკანი და ს. ლუკისი ხაზგასმით აღნიშნავენ მათი მიზნების ცხოვრებაში რეალურად განხორციელების სიძნელეებს. ჟ. ჟ. რუსოს ამოსავალი დებულებაა "ადამიანები, როგორიც ისინი არიან, და კანონები, როგორიც უნდა იყვნენ" , ე.ი. ადამიანთა პოტენციური შესაძლებლობებით და კანონებით, რომლებიც ადამიანის შესაძლებლობათა და ბუნების შესატყვისია, პოლიტიკური აქციების განხორციელებით უფრო თავისუფალი, უფრო მორალური საზოგადოებრივი წყობილების შექმნა, ვ ?ე აქამდე არსებობდა.

თანამედროვე საზოგადოებათა წარუმატებლობა ამგვარი ამოცანების გადაჭრისა და მიზნების მიღწევის საქმეში სრულიად არ ადასტურებს ფაქტს, რომ მათთვის დამახასიათებელია, აღნიშნულ პრობლემათა გადაწყვეტის იმანენტური უუნარობა. ემპირიული მასალის შესწავლით დემოკრატიის მიზნების უარყოფა შეიძლება. მხოლოდ ერთადერთი ?ემენტით - რომ მათი მიღწევა ადამიანებისათვის შეუძლებელია. კვლევის შედეგებით შეიძლება დასკვნის გამოტანა, რომ ზემოხსენებული მიზნების მიღწევა საზოგადოების რადიკალური შეცვლით იქნება შესაძლებელი, რაც გამოიწვევს დიდ წინააღმდეგობას და იდეა "მოინათლება", როგორც უტოპიური ფენომენი, ან მოქალაქეთა უმოავლესობა მოცემულ ღირებულებათა განხორციელებას არასასურველად მიიჩნევს. თუ კლასიკური დემოკრატია ან რუსოსეული

1 Duncan, G. Lukes, S. The New Democracy. NY, 1963, pp. 153-157.

იდეალური საზოგადოება არ არსებობს ეს საეროოდ არ ნიშნავს, რომ იგი შეუძლებელია. "კლასიკური დემოკრატიის" დამცველთ ყოველთვის ხელეწიფებათ არგუმენტების მოშველიება, რომ პრაქტიკაში "ჭეშმარიტი დემოკრატიის" შექმნის რეალურ მცდელობას ადგილი არ ჰქონია.

დემოკრატიის თეორიისა და ელიტის თეორიის თანდათანობით ასიმილაციაზე რეაქციამ დემოკრატიის დამცველების დიდი რაოდენობა გამოავლინა, რომლებიც ემყარებიან დემოკრატიის ძველსა და უფრო ნაყოფიერ კონცეფციას. ამ მიმართებით თანამედროვე ცნობილ ავტორთა შორის მაროებული იქნება პირველ რიგში გამოვყოთ ჰენრი კარიელი ("ამერიკული პლურალიზმის დაქვეითება"[1], "პოლიტიკის პერსპექტივა"[2]); თ. ბოტომორი ("ელიტები და საზოგადოება"[3]); პიტერ ბახრახი ("დემოკრატიული ელიტიზმის თეორია"[4]); მიუხედავად იმისა, რომ გ. დუნკანისა და ს. ლუკისის ზემოხსენებული ნაშრომი მეთოდოლოგიური ხასიათისაა, იგი მკაფიოდ გამოხატავს მეცნიერთა სიმპატიას დემოკრატიის კლასიკური თეორიისადმი[5]. ანალოგიური დამოკიდებულება ვლინდება რ. პრესტუსის ნაშრომში[6] რომელშიც გაშიშველავნებულია წინააღმდეგობა დემოკრატიული პლურალიზმის ძველსა და ახალ თეორიებს შორის და ხაზგასმითაა აღნიშნული მათი გარკვეული არაადექვატურობა უახლეს თეორიასთან.

დემოკრატიის კლასიკური თეორიის მიმზიდველობა ხსენებულ მკვლევართათვის იმაში მდგომარეობს, რომ იგი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს მოქალაქეთა ფართომასშტაბიან პოლიტიკურ მონაწილეობას დემოკრატიულ სისტემაში. საზოგადოების წევრების მონაწილეობას პოლიტიკურ ცხოვრებაში პოლიტოლოგები ხშირად განიხილავენ არა მხოლოდ, როგორც მოქალაქეთა უფლებას, არამედ, როგორც მათ მოქალაქეობრივ მოვალეობას. ანტიკური საბერძნეთის ქალაქ-სახელმწიფოებში ხალხის მმართველობას რეალური მნიშვნელობა გააჩნდა. მოქალაქენი

---

1 Kariel, H.S. The Decline of American Pluralism, Stanford, 1961

2 Kariel, H.S. The Promise of Politics, NJ, 1966

3 Bottomore, T., Elites and Society, L. 1964

4 Bachrach, P. The Theory of Democratic Elitism. Boston, 1963

5 Duncan, G. Lukes, S. The New Democracy, NY, 1963

6 Presthus, R. Men at the Top, NY, 1964

აღჭურვილნი იყვნენ როგორც სახელმწიფო სამსახურის, ისე სახელმწიფო საბჭოს საქმიანობაში მონაწილეობის თანაბარი უფლებებით. დემოკრატიის ძველბერძნული იდეალით და ანტიკური რომის კლასიკური რესპუბლიკების რეჟიმის მაგალითით შთაგონებულმა ჟ.ჟ.რუსომ განავითარა წარმომადგენლობითი დემოკრატიის იდეა. ხალხის მმართველობას კვლავ მიენიჭა უზენაესი მიზნის სტატუსი, თუმცა ამ მიზნის მიღწევა მცირე ქალაქ-სახელმწიფოში იყო შესაძლებელი. სუვერენულ მოქალაქეთა კრებას უნდა განეხორციელებინა პირდაპირი საკანონმდებლო ხელისუფლება. რუსოს მიხედვით, ცალკეულ მოქალაქეს ჰქონდა უფლება მონაწილეობა მიეღო საკუთარი საზოგადოებრივი ერთობის კანონების შემუშავებაში. ამის შემდეგ, კი, როგორც სუბიექტი, უნდა დამორჩილებოდა მის მიერ შემუშავებულ კანონებს, პიროვნება, როგორც მორალური არსება, საკუთარი სოციალური ერთობის გადაწყვეტილებათა მიღების პროცესში მონაწილეობით ავლენს თავის შესაძლებლობებს, რაც უფრო მის მოვალეობას წარმოადგენს, ვიდრე უფლებას. კლასიკური ბერძნული ტერმინოლოგით, ადამიანი პოლიტიკური ცხოველია და პოლიტიკური აქტიურობით ახდენს საკუთარი შესაძლებლობების რეალიზებას. იდეალური კონსტიტუცია უნდა ქმნიდეს ხელსაყრელ შესაძლებლობებს არა მხოლოდ მოქალაქეთა მონაწილეობისათვის პოლიტიკურ საქმიანობაში, არამედ ახალისებდეს მ.) პოლიტიკური აქციების გასატარებლად. ანტიკური დემოკრატიის მიზანს წარმოადგენდა დადებითი თვისებების მქონე საზოგადოების წევრის კარგ მოქალაქედ აღზრდა.

ჯონ სტიუარტ მილის ლიბერალურ-დემოკრატიულ ნააზრევში პოლიტიკური პარტიციპაციის იდეას ცენტრალური ადგილი უკავია. ჟ.ჟ. რუსოს მსგავსად, იგი პოლიტიკაში და კოლექტიური საქმიანობის სხვა ნებისმიერ სფეროში მონაწილეობას განიხილავს, როგორც პიროვნებათა მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის შეგრძნებით აღზრდას. ჯ.ს.მილის მიხედვით, პარტიციპაცია წარმოადგენს მოქალაქის "ხასიათის" გამოსწორების პროცესის მნიშვნელოვან მხარეს. თანამედროვე, საზოგადებაში აპათია ან მონაწილეობის შესაძლებლობის უქონლობა (არარსებობა) მხოლოდ უპასუხისმგებლობას წარმოქმნის. "თვითდახმარება" იდეალს წარმოადგენს, მაგრამ ჯ.ს.მილი არჩეული მმართველობის მაჟორიტარულ სისტემას არ აიგივებს ინდივიდუალურ თვით-

მმართველობასთან. მიზანს კვლავ უნდა წარმოადგენდეს პოლიტიკურ საზოგადოებათა რეფორმირება იმ მიმართულებით, რომ ისინი ხელს უწყობდნენ "თვითდახმარების" ფენომენს. პარტიციპაციისათვის ხელსაყრელი შესაძლებლობების გაფართოების გზით.

"დემოკრატიული ელიტიზმის" კრიტიკოსებიც აღნიშნულ მიზნის მიღწევას უმაღლეს (უპირველეს) პრიორიტეტად მიიჩნევენ და პარტიციპაციას განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებენ, როგორც დემოკრატიის იდეალის ინტეგრალურ კომპონენტს, "ხალხის მიერ მმართველობის" პრინციპის ძველ დეფინიციას ახალი მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს, დემოკრატიული ელიტიზმის მოწინააღმდეგეების აზრით, ელიტისტმა დემოკრატებმა ემპირიული, აშკარად ნორმატიული ხასიათის შრომებით დაამახინჯეს პარტიციპაციის საწყისი მნიშვნელობა, დემოკრატია - გააიგივეს პროცედურებთან.

პ. ბახრახი, ჯ. უოლკერი და სხვა ცნობილი პოლიტოლოგები ამტკიცებენ, რომ დღევანდელი "დემოკრატები" საგრძნობლად დაშორდნენ დემოკრატიის კლასიკურ გაგებას.

თქმა იმისა, რომ დემოკრატიის კლასიკური თეორია ყოველთვის მინიატურულ პოზიციებზე იდგა, როგორც ამას მისი ადეპტები ამტკიცებენ, რ. დალის მეტად საეჭვოდ მიაჩნია. მართალია ჟ.ჟ.რუსოს ნაშრომი "საზოგადებრივი ხელშეკრულება" - საფუძვლიანად ანტიელიტისტური ხასიათისაა, მაგრამ იგივეს ვერ ვიტყვით ჯ.ს.მილზე, მას მიაჩნდა, რომ პასუხსაგები პოლიტიკური პარტიციპაცია განათლებასა და სათანადო გამოცდილებას საჭიროებს. ამის გამო, ჯ.ს.მილი საარჩევნო პროცედურების მსვლელობაში საზოგადოების უკეთ განათლებული პიროვნებებისათვის დამატებითი ხმების ფლობის უფლებას მოითხოვდა. არჩევნებში მონაწილეობის წინაპირობად იგი ელექტორატის წევრებისათვის წერა-კითხვის ცოდნას მიიჩნევდა, რაც მიზნად ისახავდა პარლამენტში "ქვეყნის ჭეშმარიტი ელიტის" თავმოყრას, ჯ.ს.მილის თვალსაზრისით, ზემოხსენებულ ღონისძიებათა განხორციელებით შესაძლებელი გახდებოდა პარლამენტსა და მთლიანად, სახელმწიფოში პოლიტიკური კულტურის ამაღლება. მხოლოდ ამ გზით, აცხადებს ჯ.ს.მილი, შეიქმნება პირობები დემოკრატიაში "პერიკლებისა და გამორჩეული გონებრივი თვისებების მქონე ხელმძღვანელ პიროვნებათა წარმოჩენისათვის".[1]

---

1 Mill, J.S., Representative Gouernment, Oxford, 1964, p. 202

საყოველთაო აღიარებით ჯ.ს.მილი არ წარმოადგენს ელიტისტს, ვინაიდან იგი არ ცნობს ელიტებისათვის იმანენტურად დამახასიათებელ ე.წ. სამი -ს არსებობას (ჯგუფური ცნობიერება, დარაზმულობა, კონსპირაცია), პოლიტიკურ სარბიელზე გამოსული საუკეთესო პიროვნებათა ხმები პარლამენტში ვერ შეძლებენ ნაკლებად განათლებულ პარლამენტართა ხმების გადაწონას, ამიტომ, საუკეთესო მოქალაქეთა წარმონენა საზოგადოების მასშტაბით რადიკალური ღონისძიებების განხორციელებას საჭიროებს განათლების დონის ასამაღლებლად. პოლიტიკური მმართველობის სტაბილურობის შენარჩუნების მიზნით, ჯ.ს.მილს მიზანშეწონილად მიაჩნდა ინდივიდუალურ თავისუფლებათა არსებობის შედეგად წარმოქმნილი საშიშროების რადიკალური შეზღუდვა. რაც შეიძლება გამოეწვია მასების პოლიტიკური უფლებების გაფართოებას. მისი შეხედულებით, ამ მიმართულებით მოვლენების განვითარება, წარმომადგენლობითი პროცედურების სპეციფიკა მასობრივი ცნობიერების ნაკლებად ინფორმირებულ და ნაკლებად გონივრულ თვალსაზრისს თავს მოახვევდა კანონმდებლებს".[1]

ბ) რადიკალური ალტერნატივა

ცნობილი პოლიტოლოგების ჰ.კარიელის,[2] პ.ბახრახის[3] და თ.ბოტომირის[4] მიერ შემოთავაზებულ დემოკრატიის ალტერნატიულ თეორიას ჯორჯ პერიმ "რადიკალური დემოკრატია" უწოდა. ამ მოსაზრებას მრავალი პოლიტოლოგი იზიარებს. უნდა შევნიშნოთ, რომ "რადიკალური დემოკრატიის" თეორია, უწინარეს ყოვლისა, კონცენტრირებულია საზოგადოებაში სამოქალაქო ხელისუფლების აღორძინების საჭიროებაზე, რადიკალური დემოკრატები მიზნად ისახავენ მეოცე საუკუნის დემოკრატიული პოლიტიკური სისტემების სტრუქტურებისა და ინსტიტუტების ისეთი მიმართულებით რეფორმირებას, რომ რიგითი მოქალაქეების მონაწილეობა გადაწყვეტილებათა მიღების პროცესში ნორმატი-

1 Mill, J.S., Representative Government. Oxford, 1964, p. 189

2 Kariell, H.S. The Decline of American Pluralism, Stanford, 1961

3 Bachrach, P. The Theory of Democratic Elitism, Boston, 1967

4 Bottomore, T. B., Elitism and Society, L. 1964, pp. 105-121

ულ ლეგიტიმურ და სასურველ მოვლენად იყოს მიჩნეული; რადიკალური დემოკრატები იმაში დებენ დემოკრატიულ ელიტისტებს ბრალს, რომ ისინი პოლიტიკური სისტემის სტაბილურობას მსხვერპლად სწირავენ დემოკრატიის იდეებს. დემოკრატიული ელიტისტები პარტიციპაციას ხშირად განიხილავენ, როგორც ძირგამომთხრელ მოვლენას დემოკრატიისათვის. ამომრჩეველთა აპათია, რომელსაც ემპირიული სოციალური და პოლიტიკური მეცნიერებანი ადგენენ და დემოკრატიული ელიტიზმის არგუმენტს წარმოადგენს , "რადიკალური დემოკრატების" თვალსაზრისით, არ ძევს ადამიანის ბუნებაში, არამედ განპირობებულია საზოგადოების მიერ ადამიანს მხოლოდ იმ საზოგადოებაში შეუძლია იყოს "პოლიტიკური ცხოველი", სადაც ხდება მისი პოლიტიკური სტიმულირება (წახალისება). აპათიის ფაქტი არა დემოკრატიის იდეალების განხორციელების შეუძლებლობის შედეგია, არამედ ამ იდეალებისაგან საზოგადოების გაუცხოების მაჩვენებელი.

მიუხედავად იმისა, რომ "რადიკალური დემოკრატები" შეუძლებლად მიიჩნევენ თანამედროვე სახელმწიფო წყობილების გარდაქმნის ანტიკური ქალაქ-სახელმწიფოების ან რუსოსეული დემოკრატიის გვარად, მაინც "კლასიკური დემოკრატიის" იდეალებს მეტად აქტუალურად აცხადებენ, საზოგადოებანი ძალისხმევას არ უნდა იშურებდნენ თავიანთი წევრების სავარაუდო შესაძლებლობათა უზრუნველყოფისა და გადაწყვეტილებათა მიღების პროცესში პარტიციპაციისათვის. საზოგადოება უნდა ახდენდეს მოქალაქეთა მონაწილეობის სტაბილურობას ყველა დონის ლოკალურ და ეროვნულ არჩევნებში.

რადიკალური დემოკრატების" შეხედულებით ეს ნაბიჯები შედეგს ვერ გამოიღებს, თუ არ მოხდა საზოგადოების სტრუქტურული რეორმირება (აქ მოყვანილია ცობილი ფრაზის - "თუ მუჰამედი არ მიდის მთასთან, მაშინ მთა მიდის მუჰამედთან" პერიფრაზირება), "თუ მოქალაქე არ მიდის სახელმწიფოსთან, მაშინ სახელმწიფო უნდა მივიდეს მოქალაქესთან" აცხადებს ცნობილი ამერიკელი პოლიტოლოგი ჯორჯ გელმანი.[1] თ. ბოტომორი და პ, ბახრახი იმ თვალსაზრისს ადგანან, რომ საჭიროა გაქრეს ტრადიციული განსხვავება, პოლიტიკურ და არაპოლიტიკურ მოვლენებს, ხდომილებებსა და პროცესებს შორის, ანუ უნდა

1 Gelman, G.S. Participation, Political Structure and Concunrence NY, 1978, p. 61

განხორციელდეს ადამიანური მოღვაწეობა -საქმიანობის არაპოლიტიკური სფეროს. პოლიტიზება. საზოგადოების რიგითი წარმომადგენლისათვის ეროვნული პოლიტიკა შორეული მოვლენაა, ხოლო მისი ყოველდღიური საქმიანობა მისთვის მეტად აქტუალურია. საქმიანობის სფერო და შრომის პირობები მეტად მნიშვნელოვან ზემოქმედ ფაქტორებს წარმოადგენს ადამიანის ცხოვრებაზე. თანამედროვე საზოგადოებაშ ი შრომის პირობების განმსაზღვრელი გადაწყვეტილებების მიღება ინდუსტრიული მენეჯერების მიერ, არცთუ იშვიათად, პროფკავშირებთან კონსულტაციის გარეშე ხდება. პარტიციპაცია შეზღუდულია, "რადიკალურ დემოკრატებს" მიაჩნიათ, რომ ამგვარი სიტუაციის არსებობის გამო ნიადაგი პოლიტიზირებისათვის მომზადებულია. ამ მიმართებით თანამედროვე საზოგადოებისათვის დამახასიათებელ დიდ ორგანიზაციებს თავიანთი წვლილი შეაქვთ სოციალური ღირებულებების ჩამოყალიბებაში. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ მათი ანგარიშვალდებულება შეზღუდულია. მათ კი აკისრიათ მოვალეობანი აქციონერთა წინაშე და , თუმცა, პერიოდულად წარმოებს მათი შემოწმება სახელმწიფო სტრუქტურების მიერ, მაგრამ "რადიკალური დემოკრატების" თვალსაზრისით ელიტისტური დემოკრატია არ ითვალისწინებს სათანადო სანქციებს ძლევამოსილი სპეციალიზებული ელიტების (მაგალითად ბიზნესის ელიტების) წინააღმდეგ, რომლებიც დიდ ორგანიზაციებს განასახიერებენ. ამ ტენდენციების გადასახალისებლად თ. ბოტომორი და პ. ბახრახი მოითხოვენ ინდუსტრიის დემოკრატიზაციას, რომელიც გულისხმობს შრომის პროცესში დასაქმებულდ პიროვნებათა პირდაპირ მონაწილეობას წარმოების დარგში გადაწყვეტილებათა მიღებაში, და არა კონსულტაციებს მრეწველობისა და ტრედუნიონებს შორის. თ. ბოტომორი მუშათა საბჭოების ინსტიტუტის დამცველია და მოითხოვს მსხვილ ინდუსტრიულ გაერთიანებათა სახალხო საკუთრებაში გადაცემას.[1]

პ.ბახრახის არგუმენტები უფრო ფართო მონაწილეობას ითვალისწინებს. ამ ფენომენს, იგი "კორპორაციულ კლიენტურას" უწოდებს. ამ სოციალურ ერთობაში გაერთიანებული უნდა იყვნენ დაქირავებული მუშაკები, აქციონერები (საჯარო საკუთრება არ

1 Bottomore, T.B. Elites and Society, L, 1964. CKS, VI and VII p. 150

არის მნიშვნელოვანი ბახრახის არგუმენტის მიხედვით), მომმარაგებლები და მომხმარებელნი ("კორპორაციულ კლიენტურას" მხარს უნდა უჭერდეს. მომხმარებელთა სამთავრობო დეპარტამენტი სათანადო შეღავათებით). პ.ბახრახის მიხედვით, ტრედ-უნიონების გაწევრიანება მენეჯერთა ორგანიზაციებში მიზანშეწონილი არ არის. ეს აქცია მათ უფრო კომპრომისულ ხასიათს მიანიჭებდა. ტრედ-უნიონები უნდა წარმოადგენდნენ ოპოზიციურ მხარეს, რომელიც მხოლოდ მუშათა სამუშაო პირობების გაუმჯობესებისა და თავიანთი წევრების ინტერესების დაცვით უნდა იყვნენ დასაქმებული. ამასთან ერთად უნდა ვივარაუდოთ, რომ მუშების, როგორც მწარმოებლების, ინტერესები აუცილებლად დაემთხვევა მათ ინტერესებს. წინააღმდეგ შემთხვევაში პ.ბახრახის აზრით, ტრედ-უნიონების არსებობა აზრს დაკარგავდა.[1]

პოლიტიკური ინსტიტუტების მიმართ რადიკალური დემოკრატების მიდგომა ანალოგიურია. ისინი მოითხოვენ პოლიტიკური ხელისუფლების დეცენტრალიზაციას (ამ მხრივ გამონაკლისს წარმოადგენს პ. კარიელი, რადგან, მისი შეხედულებით, ცენტრში უფრო ძლიერ ხელისუფლებას და ფართო მონაწილეობას ძალუძს საზოგადოებასა და ეკონომიკაში კვაზი მონოპოლიების წარმოქმნის ნეიტრალიზება),[2] ლოკალური და რეგიონული მმართველობის სტრუქტურები ნაკლებად არიან გაუცხოებული მოსახლეობისა და "რეალური" პოლიტიკური კურსისაგან. იმ შემთხვევაში, თუ ცენტრალური მმართველობის ფუნქციების ნაწილი ხსენებულ სტრუქტურებზე გადანაწილდება, ეს ვითარება, რადიკალური დემოკრატების მეშვეობით, პოლიტიკური რეალიზმისა და მოსახლეობის ფართო მასებთან სიახლოვის გაღრმავებას მოახდენდა. მათი აზრით, რეგიონული მმართველობები ცენტრალურ მმართველობაზე ფინანსურად და დირექტიურად დამოკიდებულნი არ უნდა იყვნენ.

ჟ.ჟ.რუსოსეული ადგილობრივი მმართველობის, მცირე ერთეულები ელიტისტების მძაფრი კრიტიკის საგანს წარმოადგენს არა მხოლოდ როგორც უტოპიები, არამედ, აგრეთვე, როგორც რეგრესიული ფენომენი. მათი მტკიცე რწმენით, ინტენსიური

1 Bachrach, P. The Theory of Democratic Elitism. Boston, 1967, p. 96

2 Kariel, H.S. The Decline of American Pluralism. Stanford. 1961 pp. 269-277.

საწარმოო პროცესებისა და ცხოვრების მაღალი დონის შენარ-ჩუნება შეუძლებელია დიდი ორგანიზაციებისა და ცენტრალური კონტროლის გარეშე. კლასიკური ელიტისტების, კერძოდ, რ. მიხელსის მიხედვით, ეფექტური მმართველობის იმპერატივი გამ-ორიცხავს თანასწორობას გადაწყვეტილებათა მიღების პროცესში.[1] ჩვენი აზრით, გადაწყვეიტილებათა მიღების პროცესში აბსოლუტური თანასწორობა შეუძლებელია, მაგრამ პარტიციპაც-იის შესაძლებლობანი შეიძლება საგრძნობლად გაფართოვდეს და გადაწყვეტილების მიმღების ეიწრო წრე საზოგადოების ფართო და ეფექტურ კონტროლს დაუქვემდებარდეს. შეიძლება თამამად ითქვას, რომ პ.ბახრახის, ჰ. კარიელისა და ჯ.უილკერისათვის , აბსოლუტური თანასწორობა გადაწყვეტილებათა მიღების პროცესში ნაკლებად მნიშვნელოვანია ვიდრე თავისუფლება, ანუ პიროვნებების შესაძლებლობათა თვითრეალიზაციისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნა.

"რადიკალური დემოკრატიის" ერთ-ერთ სუსტ მხარეს წარ-მოადგენს ე.წ. "ექსპერტ ლიდერობის" - მმართველობის სპეცია-ლიზაციის რამდენადმე უგულებელყოფა. ეს თეორია გადამწყვეტ მნიშვნელობას ანიჭებს კოლექტიურ აქციებს და კონსულტაციებს, მაგრამ მათ სასარგებლოდ არ მეტყველებს უცდომელი ფაქტი, რომ მაღალკვალიფიციური და კომპეტენტური ლიდერების გარეშე დემოკრატია ვერ შეძლებს სხვა რეჟიმებთან კონკურენციას.[2]

ამ ტიპის მმართველთა რეკრუტირება შეიძლება განხორციელ-დეს დემოკრატიისათვის მისაღები ფორმით, ანუ საზოგადოების თითოეული წევრისათვის ზრდის და წინსვლის თანაბარი შესაძლებლობების მინიჭებით. ათვლის ყოველი წერტილი, საი-დანაც საზოგადოების წევრი სოციალურ-პოლიტიკურ მოღვაწეო-ბას იწყებს, უნდა იყოს ეგალიტარული, მაგრამ ნათელია, რომ საზოგადოების წევრების ძალისხმევის შედეგი ეგალიტარული ვერ იქნება. ეს ვითარება შობს მერიტოკრატიის სოციალურ კატ-ეგორიას და, რა თქმა უნდა, თანამედროვე საზოგადოებრივი გა-ნვითარების ფონზე ტექნოკატიული ელიტის წარმოქმნის ტენენციებიც ძლიერი იქნება.

---

1 Darendorf. R, On the Origin of Social Inequaliti, Oxford, 1961, pp. 88-109

2 Yong M. The Rise of the Meritocracy. L, 1958. p. 261

გ) დემოკრატიის კომპარატიული ხარისხი

დემოკრატიულ ელიტისტებს პოლიტიკურ ღირებულებათა შორის უმნიშვნელოვანესად მიაჩნიათ თავისუფლება, სტაბილურობა და საარჩევნო პროცედურებით მიღწეული ლეგიტიმურობა. სტაბილურობის რეალიზაცია ხორციელდება კონკურენტული შუალედური ჯგუფების მრავალრიცხოვანი წევრების ქმედებით, რომელთა ელიტები პოლიტიკურ სისტემას პოტენციურად დომინანტურ ელიტასა და მასებისაგან გამომდინარე საშიშროებისაგან იცავენ. მათი გაგებით, პარტიციპაცია და ეგალიტარიზმი "პერიფერული" ღირებულებებია, დემოკრატიული ელიტისტების აზრით, არაელიტის მონაწილეობა სოციალურ-პოლიტიკურ პროცესებში მხოლოდ იმდენად არის სასურველი, რამდენადაც იგი ელიტის ლეგიტიმურობას უზრუნველყოფს. ხოლო თანასწორობისა - რამდენადაც იგი საშიშროებას არ უქმნის პოლიტიკური ელიტის პოზიციებს. ადამიანებზე დემოკრატიული ელიტისტების შეხედულებას ხანგრძლივი ტრადიცია აქვს , რომელსაც საუძველი ნაუყარეს ჰობსმა, იუმმა და მედისონმა. მათი აზრით (დემოკრატიული ელიტისტების), საკარაუდოა, რომ ყოველი ადამიანი პოლიტიკაში თაღლითია. თუ საზოგადოება ამ ატრიბუტის და ეგოიზმის პრეზუმფციით იხელმძღვანელებს საკუთარი წევრების ქმედების დეფინირებისას, მაშინ იგი შეძლებს რეალურად აღკვეთოს პოლიტიკურად თაღლითი პიროვნებების აქციები. მათი მტკიცებით პლურალისტურ ელიტარულ სტრუქტურებს ძალუძთ წინ აღუდგნენ როგორც ტოტალიტარიზმის, ისე მასობრივი საზოგადოების საშიშროებას. დემოკრატიული ელიტისტების შეხედულებით, რაც უფრო ინტენსიურია შუალედური ჯგუფების დონეზე საზოგადოების წევრების ურთიერთქმედება პოლიტიკის სფეროში, მით უფრო სტაბილურია საზოგადოება.

"რადიკალური დემოკრატები" ადამიანზე შედარებით დადებითი შეხედულების არიან. გარკვეული აზრით, მათ წინამორბედნი ჟ.ჟ.რუსო და კ. მარქსია, შენიშნავს პოლიტოლოგი ჯ. პერი[1] (კ.მარქსს იგი "რომანტიკოსად" აცხადებს, ვინაიდან კ.მარქსს სწამდა, ადამიანის უკეთესობისაკენ შეცვლის შესაძლებლობა). "რადიკალური დემოკრატები" განსაზღვრულ მნიშვნელობას პარტიციპაციას და თვითგანვითარებას ანიჭებენ, რომლებიც ადამი-

1 Parry, G, Political Elites, L, 1969, p. 157

ანთა მიერ თანამედროვე საზოგადოების ძალების კონტროლის ერთადერთი და აუცილებელი გზაა. არ შეიძლება არ დავეთანხმოთ პოლიტოლოგთა აზრს, რომ "რადიკალური დემოკრატებიც" და დემოკრატიული ელიტისტები" - პლურალისტები არიან. "რადიკალური დემოკრატები მოითხოვენ პარტიციპაციის განორციელებას მმართველობასა და ეკონომიკურ ცხოვრებაში. მათი შეხედულებით, ოპონენტებისათვის მნიშვნელოვანი შუალედური ჯგუფები ვერ უზრუნველყოფენ აქტუალურ ზეგავლენას მოსახლეობის ცხოვრებაზე. "რადიკალური დემოკრატებისათვის", ისევე, როგორც ჟ.ჟ.რუსოს და კ.მარქსისათვის, რომელთა შრომებს ისინი ხშირად მიმართავენ: სოციალურ პასუხისმგებლობას მოკლებული ადამიანები, რომლებიც ვერ არიან საკუთარი თავის პატრონები, არ შეიძლება ჩაითვალონ სრულყოფილად ჩამოყალიბებულ პიროვნებებად. რაოდენ კეთილმსურველი და მოხერხებული არ უნდა იყოს პოლიტიკური ელიტა, მისი არსებობა ვერ შეცვლის ინდივიდუალურ პარტიციპაციას სოციალურ გადაწყვეტილებათა მიღების დონეზე.

შეიძლება ითქვას, რომ დემოკრატიის იდეა და ელიტების სოციალ ერ-პოლიტიკური როლი შეუთავსებლად გვევლინება. ერთი შეხედვით იქმნება შთაბეჭდილება, რომ შესაძლებელია ერთი ან მეორე პოლიტიკური სისტემის არსებობა და გამორიცხულია მათი თანასწორობა, ინგლისელი სოციოლოგი ჯ. ფილდი შეეცადა გადაეწყვიტა დემოკრატიის დეფინიციის პრობლემა. სახელმწიფო დემოკრატიულია, - წერს ჯ. ფილდი, - თუ იგი უზრუნველყოფს მოსახლეობის დიდი მასის ეფექტურ ზემოქმედებას მმართველობის პროცესზე.[1]

ამრიგად, ელიტისტებისა და პლურალისტების დებულებების ანალიზის საფუძველზე გვეძლევა შესაძლებლობა დავასკვნათ, რომ პოლიტიკურ რეჟიმებს , სადაც მოქალაქეთა ზემოქმედება პოლიტიკურ პროცესებზე სუსტი და ხშირად არაეფექტურია, შეიძლება ელიტისტური ეწოდოს, ხოლო პოლიტიკურ სისტემებს, სადაც მოსახლეობის პარტიციპაციის დონე მაღალია (თუმცა სტრატეგიულ გადაწყვეტილებათა მიღებაში მონაწილეობა, ყველა მოქალაქისათვის მისაწვდომი არ არის - დემოკრატიულია.

1 Fild. G. L. Political Theory. L. 1956. p. 93

2. ელიტიზმი - მეცნიერება თუ იდეოლოგია

ელიტიზმის თანამედროვე თეორიას, როგორც პოლიტიკური მეცნიერების ნაწილს, საფუძველი ჩაეყარა XIX საუკუნის დამლევს და XX საუკუნის დამდეგს იტალიელი სოციოლოგების, ვილფრედო პარეტოსა (1848-1923) და გაეტანო მოსკას (1858-1941) პირველი ნაშრომებით. მათი სამეცნიერო მოღვაწეობა დაემთხვა პერიოდს, როდესაც სახელმწიფომ იწყო ექსპანსია საზოგადებრივი ცხოვრების იმ სფეროში რომელსაც ადრე არ არეგულირებდა სახელმწიფო სტრუქტურები, ესენია სამუშაო დღის ხანგრძლიობის ლიმიტირება, მუშაობის პირობების რეგულირება, საპენსიო კანონმდებლობა და ე.წ. კეთილდღეობის სახელმწიფოს სხვა რუდიმენტების წარმოქმნა.

პოლიტიკური თეორია ასახავს პოლიტიკურ პრაქტიკას და თავისი დროის აქტუალურ მოსაზრებებსა და დასკვნებს საზოგადოების მართვის ხასიათსა და კონტროლის შესახებ. დასავლეთში ფართოდ ცნობილ ლექციების კურსში ა. დაისი აღნიშნავდა, რომ 1870 წლიდან მოყოლებული, ბრიტანეთის პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მიმდინარეობდა კარდინალური გარდაქმნები, რამაც თავის გაძოხატულება ჰპოვა "ინდივიდუალისტური ლიბერალიზმიდან" "საკანონმდებლო კოლექტივიზმზე", როგორც მთავრობის სამოქმედო პრინციპზე გადასვლაში".1 სახელმწიფოს მიერ სოციალური ამოცანების გადაწყვეტა გარდუვლად საჭიროებდა აღმასრულებელი ხელისუფლების აპარატისა და სტრუქტურების გაფართოებას. ადრეულ პერიოდშიც შეიმჩნეოდა აღმასრულებელი ხელისუფლების განმტკიცების და გაფართოების ტენდენცია. მაგრამ ეს პროცესი კიდევ უფრო დაჩქარდა XIX საუკუნის დამლევს, დასავლეთის შედარებით უფრო დემოკრატიულ საზოგადოებებში. სახელმწიფო სამსახურის ბიუროკრატიული წესით ჩამოყალიბებას, როგორც იმ დროისათვის პროგრესულ მოვლენას საზოგადოების მოწონება ხვდა წილად. ბიუროკრატიის ორგანო ორგანიზებული სახელმწიფო რგოლის წარმოქმნამ ფართო სამოქმედო ასპარეზი შეუქმნა ახალგაზრდა თაობას, სახელმწიფო ადმინისტრაციის სტრუქტურებში სამსახური პრესტიჟულ და პატრიოტულ საქმიანობად იქცა. სადაც

1 Dicey, A., V, Law and Public Opinion in England during die Nineteenth Century, AL, 1905, p. 71

კანდიდატურის შერჩევა ნიჭიერებისა და არა პატრონაჟის მიხედვით ხდებოდა.

ბიუროკრატიული ადმინისტრაცია ზღუდავდა სახელმწიფო ხელისუფლების თვითნებობას, პირველად სოციალურ ისტორიაში, მკაცრად იყო განსაზღვრული მისი მოქმედების არე და წესები. ბიუროკრატია, როგორც სახელმწიფო ხელისუფლების დასაყრდენი, ახდენს მმართველი ელიტის პოლიტიკის დეპერსონიფიცირებას და ვოლუნტარისტულ ტენდენციების შესუსტებას და თუ გარკვეული მიზეზების გამო ვერ უზრუნველყოფს, ყოველ შემთხვევაში, ქმნის მაინც კანონის უზენაესობის ილუზიას. ამ გზით იგი აადვილებს საზოგადების მიერ მმართველი ელიტის და მისი პოლიტიკური კურსის ლეგიტიმირებას. მაგრამ ბიუროკრატიას გააჩნია სხვა მხარეც, რომელიც შესანიშნავად გამოყო მაქს ვებერმა, კერძოდ, ბიუროკრატიის ლიბერალური და დომინანტური ასპექტები, მისი შეხედულებებით , ბიუროკრატია ადამიანთა კოლექტიური მოღვაწეობის რაციონალურ ფორმას წარმოადგენს. რაციონალიზმი არის რწმენა, რომ ყოველი გარემომცველი საგანი ფუნქციონირებს რაციონალურად. ექვემდებარება, გარკვეულ წესებს, რომ ადამიანის ყოველდღიური ცხოვრების პირობები რაციონალური წარმოშობისაა, ამიტომ შესაძლებელია მათი რაციონალური ცოდნა და კონტროლი. რაციონალობა, განმარტავს მ. ვებერი, - თანამედროვე კაპიტალიზმის არსებას წარმოადგენს, რომლის შემქმნელად მას მიაჩნია რაციონალური მუდმივი მეწარმეობა, რაციონალური ბუღალტერია, რაციონალური სამართალი; უფრო მეტიც, ამ დემიურგებად იგი აცხადებს აზრის რაციონალურ წესს, ცხოვრების წესის რაციონალიზაციას, რაციონალურ სამეურნეო ეთიკას.

ფორმალურ-რაციონალური საწყისი მეცნიერებიდან, ეკონომიკაში გადატანილი, თავს იჩენს, აგრეთვე, პოლიტიკაში, მმართველობაში, მ. ვებერი გამოყოფს მმართველობის, ანუ ბატონობის სამ ტიპს: ტრადიციულს, ქარიზმატულს და რაციონალურ-ლეგალურს. ტრადიციული და ქარიზმატული ბატონობა გამორიცხავს ფორმალური რაციონალობის პრინციპს და ვერ უზრუნველყოფს მართვას, რომელიც გამოირჩევა სიზუსტით, მდგრადობით, სიმტკიცით, დისციპლინის სიმკაცრით და საიმედოობით. ამგვარი მართვა შესაძლებელია მხოლოდ სახელმწიფოებრივი ორგანიზაციის ბიუროკრატიული სისტემით, რომელიც

თავისი პოზიციური მახასიათებლებით კაპიტალისტური საზოგადოების სხვა ნებისმიერ სისტემასთან შედარებით უპირატესობით გამოირჩევა. მოხელეთა კომპეტენტურობა, სპეციალიზაცია და საქმიანი მიდგომა დამახასიათებელია მხოლოდ ბატონობის რაციონალურ-ლეგალური ტიპისათვის. ბიუროკრატიული მმართველობა ნიშნავს ბატონობას ცოდნის მეშვეობით. ამაში მდგომარეობს მისი სპეციფიკურ-რაციონალური ხასიათი. "სრულიად განვითარებული ბიუროკრატიული მექანიზმი, - წერს მ. ვებერი, - სხვა ორგანიზაციებთან შედარებით ზუსტად ისე გამოიყენება, როგორც მანქანა-წარმოების არამექანიზებულ სახეობებთან შედარებით".[1]

სახელმწიფოებრივი ორგანიზაციის ბიუროკრატიული სისტემის უპირატესობის დასაბუთებისას მ.ვებერი აღნიშნავდა, რომ იგი შესაძლებელს ხდის ინდივიდუმთა მოღვაწეობა აიგოს როგორც ფორმალურ-რაციონალური, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, იგი დროის ნებისმიერ მონაკვეთში ამ მოღვაწეობის წინდაწინ დაეგმვის და მისი ეფექტიანობის ფუნქციური რეზულტატობის საღი გაანგარიშების შესაძლებლობას იძლევა. სასურველი მიზნების მიღწევისა და ფუნქციური ეფექტაინობის უზრუნველსაყოფად სახელმწიფო-ბიუროკრატიული ორგანიზაცია ახდენს მთლიანად მოღვაწეობა-მოქმედების დანაწევრებას ელემენტარულ, უმარტივეს ოპერაციებად და აგრეთვე ორგანიზაციის ყველა რგოლის ამოცანებისა და მოვალეობების მკაცრად ფორმალურ განსაზღვრას. შრომის ამდაგვარი დანაწილება აუცილებელ პირობებს ქმნის სპეციალისტების, ექსპერტების გამოყენებისათვის, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან თავიანთი მოვალეობების შესრულების ეფექტურობაზე. მაქსიმალუად შესაძლებელი შრომის დანაწილების განხორციელების ყველაზე მოსახერხებელი ფორმაა ორგანიზაციის აგებულების იერარქიული პრინციპი, როდესაც ყოველი ქვემდგომი მოხელე ან ბიუროკრატიული ორგანიზაციის ყოველი ქვედანაყოფი ზემდგომს ექვემდებარება. ამასთან, ბიუროკრატიულ იერარქიაში ყოველი მოხელე პასუხისმგებელია ზემდგომი პირის წინაშე როგორც საკუთარი, ისე თავისი ხელქვეითების ქმედებისათვის. ამ მიზნით იგი აღიჭურვება გარკვეული ზომის ძალაუფლებით და ავტორიტ-

1 Weber, M, Essays in Socilogy, NY, 1947, p. 214

ეტით,. რაც არ სცილდება ორგანიზაციის ოფიციალური ქმედებისა და მოვაწეობის ფარგლებს.

ბიუროკრატიული ორგანიზაციის მოღვაწეობა-მოქმედებას საფუძვლად უდევს პროფესიული კომპეტენტურობის პრინციპი, რასაც უნდა ფლობდეს მოხელეთა კადრები. ეს სახელმძღვანელო პრინციპია მუშაკთა შერჩევა თანამდებობათა განაწილების და ორგანიზაციაში დაწინაურებისათვის. ასეთი საკადრო პოლიტიკა იცავს მოხელეს თანამდებობიდან თვითნებური გათავისუფლებისაგან და , ამავე დროს, ხელს უწყობს "კორპორაციული დონის " და ორგანიზაციისადმი ლოიალური დამოკიდებულების განვითარებას მოხელეთა შორის.

ვებერიანულ ბიუროკრატიის თეორიაში მნიშვნელოვანი ადგილი ეომობა პროფესის პრესტიჟს და , აგრეთვე, იმ პრივილეგიებს, რომელთა მეშვეობითაც მტკიცდება ეს სოციალური პრესტიჟი. სახელმწიფო ბიუროკრატიული ორგანიზაციის ნორმალური ფუნქციონირება გულისხმობს მოქმედება-მოღვაწეობის წესების, პროცედურების, ინფორმაციის დაგროვების, შეკრებისა და გადაცემის მექანიზმის შემუშავებას და სტანდარტიზაციას. საერთო სახელმძღვანელო წესების ცოდნას და ბიუროკრატიული ორგანიზაციის სისტემაში მათ მკაცრ დაცვას უპირისპირდება დილეტანტიზმი და იმპროვიზაციები მმართველობის სფეროში. ამ წესების შემუშავება გამოწვეულია დავალებათა შესრულების პროცესში ერთგვაროვნების უზრუნველყოფის აუცილებლობით, მიუხედავად მოხელეთა რაოდენობისა, რომლებიც დაკავებულნი არიან მათი შესრულებით. გარკვეული, მკაფიო წესები და ინსტრუქციები განსაზღვრავს ორგანიზაციის ყოველი წევრის პასუხისმგებლობის და, ასევე, მოღვაწეობის კოორდინაციის ფორმებს.

მმართველობის პროცესში მ. ვებერი განსაკუთრებულ როლს ანიჭებს ფორმალურ დეპერსონალიზაციას. "იდეალური ხელმძღვანელი, წერს იგი, თავის აპარატს მართავს... ფორმალური უპიროვნობის სულისკვეთებით... გულისწყრომისა და მიკერძოების გარეშე, ხოლო... შედეგად სულაც არ ავლენს გრძნობებსა და ენთუზიაზმს"[1] ყველა ურთიერთობის ფორმალიზაცია ბიუროკრატიის ძირითად ამოცანას წამოადგენს მართვის პროცესში იგი გამორიცხავს პირადულ მოსაზრებათა და ემოციე-

1 Weber, M, The Theory of Social and Economic Organization, NY, 1947, p. 331

ბის ჩართვას. "ბიუროკრატიის სპეციფიკური ბუნება, რომელსაც მიეესალმება კაპიტალიზმი, - აღნიშნავს მ. ვებერი, - მით უფრო სრულყოფილად ითვლება, რაც უფრო მეტად... გათავისუფლდება იგი სიყვარულისა და სიძულვილის გრძნობებისაგან, ირაციონალიზმისა და ემოციების პირადული ელემენტებისაგან".[1]

ბიუროკრატიული ორგანიზაციის ზედა ეშელონსა და ხელქვეით ფუნქციონერებს შორის არსებულ ურთიერთობათა ხასიათი, განმარტავს მ. ვებერი, უზრუნველყოფს გარკვეული "სოციალური დისტანციის" შენარჩუნებას მოხელეთა შორის. ის ხელმძღვანელი, რომელიც არ იცავს სათანადო "სოციალურ დისტანციას" და პირად დაინტერესებას იჩენს ხელქვეითთა მიმართ, ავლენს მიკერძოებას, ფავორიტიზმს, რის შედეგადაც ბიუროკრატიული ორგანიზაციის ფუნქცონერთა ერთ ნაწილს სხვათა ინტერესებს უპირისპირებს. ამ ვითარების საპირისპიროდ, უპიროვნო მიუკერძოებლობა, ხელს უწყობს ორგანიზაციის ყველა ფუნქციონერისადმი სამართლიან დამოკიდებულებას და, ამდენად, ორგანიზაციის სწორად ფუნქციონირებას. "ფორმალიზებული უპიროვნობის" სისტემა რაციონალიზმისა და ეფექტიანობის წანამძღვარს წარმოადგენს, იცავს პროფესიონალ ადმინისტრატორს დისკრიმინაციისაგან, უფროს ფუნქციონერთა თვითნებობისაგან, მათ გადაწყვეტილებათა ირაციონალობისა და სუბიექტივიზმისაგან.

მ. ვებერი მის თანამედროვე საზოგადოებაში ბიუროკრატიის როლის ზრდის ფენომენზე ყურადღების აქცენტირებისას ბიუროკრატიისა და დემოკრატიის თანაფარდობის უფრო ზოგად პრობლემას განიხილავდა. აღნიშნავდა რა დემოკრატიისათვის ბიუროკრატიის საშიშროებას ეს, მისი თეორიის მიხედვით, ბიუროკრატიულ ორგანიზაციებში პიროვნებათა "დეპერსონალიზაციის" პროცესს უკავშირდება.

ელიტისტების მტკიცებათა თანახმად, "მეცნიერული ხასიათისაა" მათ მიერ შემუშავებული თანამედროვე პოლიტიკური პროცესების ინტერპრეტირების მოდელი. ელიტისტების ნაწილს მიაჩნდა, რომ მათი სამეცნიერო მოღვაწეობით საფუძველი ჩაეყარა ნეიტრალურს, "ობიექტურს", ეთიკური კონტამინაციისაგან თავისუფალ პოლიტიკურ მეცნიერებას.

---

1 Weber. M. Essays in Sociology. NY. 1947. p. 216

გ. მოსკა ნაშრომს "მმართველი კლასი" - იწყებს ბუნებისმეცნიერებათა ციკლის დისციპლინების და სოციალურ მეცნიერებათა ციკლის დისციპლინების და სოციალურ მეცნიერებათა სპეციფიკური კვლევის საგნების ახსნა-განმარტებაში მიღწეული შედეგების შედარებითი ანალიზით. ზოგადი კანონებით ფიზიკური მოელენების კვლევაში ზუსტ მეცნიერებათა წარმატებებს იგი სოციალურ მეცნიერებებში ანალოგიური წარმატებების უქონლობას უპირისპირებს.[1]

გ. მოსკას შრომის "მმართველი კლასი" - პირველი თავი ეძღვნება პოლიტიკური მეცნიერებებისათვის მისაღები და გამოსაყენებელი მეთოდის ანალიზს და დესკრიპციას. ვ. პარეტოც დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა სოციალური მეცნიერების მეთოდოლოგიური საფუძვლების ჩამოყალიბებას. გ. მოსკასა და ვ. პარეტოს თვალსაზრისით, ელიტების მეცნიერული ანალიზი საზოგადოებისა და მის წიაღში მიმდინარე პოლიტიკური პროცესების უფრო ფართო "მეცნიერული" ანალიზის მხოლოდ ერთ ნაწილს შეადგენს. მათ მიერ შემოთავაზებული მეთოდები არ არის ზუსტ მეცნიერებებში გამოყენებული მეთოდების იდენტური, სიკვლევი ობიექტისა და საგნის ხასიათის გამო. გ. მოსკასა და ვ. პარეტოს მიაჩნდათ, რომ პრობლემისადმი მათი მიდგომა ისევე ობიექტური ბუნებისაა, როგორც ბუნების მეცნიერებათა ციკლის დისციპლინებში გამოყენებული მეცნიერული კვლევის მეთოდები. მათ აზრით, სწორედ ობიექტურობას იყო მოკლებული წინამორბედია პოლიტიკური მოძღვრებები.

ვ.მოსკას შეხედულებებით, პოლიტიკური პროცესებისა და პრინციპების ახსნა, რომლის შესაბამისად ფუნქციონირებდა პოლიტიკური სისტემები წინათ ნაკლებად წარმოდგენდა მეცნიერულ კვლევისა და შესწავლის საგანს. ძირითადი აქცენტი, - განმარტავს იგი, გადატანილი იყო მართვის ხელოვნების შესწავლისა და პოლიტიკური ელიტისათვის რეკომენდაციების შემუშავებაზე. ნ.მაკიაველის მსგავსად, მკვლევარებს "ნაკლებად აინტერესებდათ, - წერს გ. მოსკა, - ადამიანთა საზოგადოებებში მუდმივად მოქმედი ტენდენციების დეტერმინირება და უფრო მეტად იმ ხელოვნების გარკვევა, რომლის მეშვეობითაც ინდივიდუმს ან ინდივიდუუმთა კლასს შეეძლო მიეღწია წარმატებისა-

1 Mosca, G. The Ruling Class, (ed Livingston) NY, 1939, p.1.

თვის მოცემულ საზოგადოებაში უზენაესი ხელისუფლების მოპოვებისა და ამ პროცესისაგან სხვა პიროვნებათა ან ჯგუფთა ჩამოცილების საქმეში.

გ.მოსკა ხაზგასმით მიუთითებს იმ განსხვავებაზე, რომელიც არსებობს პოლიტიკას, როგორც მართვის ხელოვნებასა და პოლიტიკისა, როგორც მართვის მეცნიერებას შორის.

გ. მოსკაც და ვ. პარეტოც სოციალური მეცნიერების ადრეულ ცდებს და ძალისხმევას რეკომენდაციებისა და იდეოლოგიების მაგალითებად მიიჩნევენ. XIX საუკუნის დიდ სოციოლოგიურ სისტემებს - ოგიუსტ კონტის და ჰერბერტ სპენსერის სისტემებს - ვ. პარეტო რელიგიის ერთ-ერთ ფორმად რაცხს[2]. რელიგიისა და მორალის ქადაგების ნაცვლად ელიტისტები კანონებსა და ფაქტებს გვთავაზობენ. გ. მოსკას პოლიტიკური მეცნიერების ე.წ. "ისტორიული მეთოდი" დაფუძნებულია "საზოგადოებრივი ფაქტების შესწავლაზე" და როგორც იგი შენიშნავს. "ეს ფაქტები შეიძლება გამოინახოს მხოლოდ სხვადასხვა ეროვნებათა ისტორიაში[3]. გ. მოსკას აზრით, წინა თაობებს არ ჰქონდათ სოციალური ისტორიის ცოდნა, რომელიც ამჟამად მისაწვდომია მეცნიერებისათვის, და ამიტომ უუნარონი იყვნენ არასრულ და არაადეკვატურ ცოდნაზე დაყრდნობით მოეხდინათ "სარწმუნო ფაქტებისა და ტენდენციების". "უცილობელ ჭეშმარიტებათა" ფორმულირება, რომელთა აღმოჩენა არ ძალუძს ჩვეულებრივი ადამიანის ორდინალურ დაკვირვებას". ეს მეცნირების პრობლემაა. ელიტოლოგთა გარკვეული ნაწილისათვის ხსენებული ტენდენციები ფიზიკის კანონების ტოლმნიშვნელოვანია იმ ასპექტით, რომ გამორიცხავენ გამონაკლისს. მათი მოქმედება გარდაუვალი ბუნებისაა და ვერ შეეწინააღმდეგება ადამიანთა ძალისხმევა.

პოლიტიკური სოციოლოგიის ერთ-ერთი დამაარსებლის რობერტ მიხელსის მიხედვით, ოლიგარქიის კანონი, რომელიც მან ჩამოაყალიბა "ექსპერიმენტის ფაქტებზე" დაყრდნობით,

---

1 Mosca. G. The Ruling Class. NY. 1939. p.6

2 Pareto V.The Mind and Society. NY. 1935. 6. Sociologicak Writings (ed., S.. E.Fines) L... 1966. p.171.

3 Mosca. G. The Ruling Classs, NY. 1939. p.41.

"გარდაუვალი" და "არსებითი მახასიათებელია ადამიანთა ყველა ერთობისათვის" "ისტორიული ევოლუცია უსარგებლოდ ხდის ყველა პროფილაქტიკურ ღონისძიებებს, რომლებიც შეიძლება გამოყენებული იქნეს ოლიგარქიის თავიდან ასაცილებლად[1]. ეს კანონები წარმოადგენს რა ზუსტ ჰიპოთეზებს პოლიტიკური სისტემის ფუნქციონირების ახსნის საქმეში არ გადაქვთ აქცენტი ამ სისტემების ეთიკურ ან სამართლიანობის ასპექტებზე. ელიტოლოგები უარყოფენ ყოველგვარ განზრახვას, ეთიკის თვალთახედვით შეფასდეს მათ მიერ აღწერილი სოციალურ-პოლიტიკური მოვლენები.

რ. მიხელსის "ოლიგარქიის კანონი" სხვა სოციოლოგიური კანონების მსგავსად, "სიკეთისა და ბოროტების მიღმა" იმყოფება". "მეცნიერების ამოცანას არ წარმოადგენს, - განმარტავს რ. მიხელსი, - იკვლიოს არის თუ არა ეს მოვლენები სიკეთისა და ბოროტების განსახიერება, ანდა უპირატესად ერთი ან მეორე.[2] ვ. პარეტო აცხადებს "ჩვენ მიზნად არ უნდა დავისახოთ, რათა, საერთოდ, დავინტერესდეთ რომელიმე რელიგიის, სარწმუნოების, მეტაფიზიკური ან მორალური შეხედულებების შინაგანი "სიმართლით".[3] ვინაიდან ჩვენ უკუვაგდებთ მოსაზრებას განვიხილოთ ქმედების აქტი, როგორც სამართლებრივი ან არასამართლებრივი, მორალური ან ამორალური.[4]

ჯეიმს ბერნჰემმა, მისივე თქმით მაკიაველიზმის მიმდევარმა, მკაფიოდ გადმო ;ა თავისი თვალსაზრისი გახმაურებულ ნაშრომში "მენეჯერული რევოლუცია" "მე არ ვწერ სოციალური რეფორმის პროგრამას, არც მორალურ შეფასებას ვაძლევ ნებისმიერ მოვლენას... მე არ მაღელვებს მოცემული თეორიით აღნუსხული ფაქტები "კარგია" თუ "ცუდი". სამართლებრივია თუ არასამართლებრივი, სასურველია თუ არასასურველი გადამწყვეტია ამ ფაქტების საფუძველზე გებული თეორია, ჭეშმარიტია თუ მცდარი.[5]

---

1 Michels, R., Politicak Parties, Glencoe, 1915, p.423.

2 Ibit, p.7.

3 Ibit, p.417.

4 Pareto V., Sociological Writings (ed., S.,E Fines) L., 1966, p.172-173

5 Bumham, J, The Managerial Revolution, L., 1942, p.7.

ელიტისტების ღრმა რწმენით, წარსულის პოლიტიკურ მოაზროვნეთა უდიდესი ნაწილი მხოლოდ სუბიექტურ მორალურ ქადაგებას ეწეოდა, ამიტომ, მათ საგრძნობი წელილი არ შეუტანიათ პოლიტიკის მეცნიერული გაგების განვითარებაში. ამდენად, მათი დასკვნები მოკლებულია ემპირიული ტესტირებისათვის საჭირო საფუძვლებს. ამგვარი შეფასების მაგალითს შეიძლება წარმოადგენდეს ჟან ჟაკ რუსოს მეთოდის პარეტოსეული დახასიათება "ემყარება რა საგანთა "ბუნებას", იგი მსჯელობს თუ როგორი უნდა იყოს საგანი და არა როგორიცაა იგი და თავს არ იწუხებს საკუთარი ნატიფი თეორიის ფაქტებით დადასტურებისათვის.[1]

აქვე უნდა შეენიშნოთ, რომ ელიტიზმის თეორიის კლასიკოსებმა წარსულის პოლიტიკური აზრი თავის მთლიანობაში არ უარყვეს. კერძოდ, გ. მოსკას მიაჩნდა, რომ იგი ემპირიული პოლიტიკური მეცნიერების ტრადიციების გამგრძელებელია, რომელსაც სათავე დაუდო არასტოტელემ და რომლის თვალსაჩინო წარმომადგენლებია ნიკოლო მაკიაველი (1469-1527), შარლ ლუი მონტესკიე (1689-1755), სენ-სიმონი (1760-1825), კარლ მარქსი (1818-1883) XIX საუკუნის დამლევისა და XX საუკუნის დამდეგის ევოლუციური მკვლევარნი.[2] მიუხედავად ამისა, გ. მოსკა კრიტიკულად იყო განწყობილი მათ მიმართ, განსაკუთრებით კი არისტოტელესა და კ. მარქსის მოძღვრებათა მიმართ. იგი სათანადო ყურადღებას არ მიაპყრობს არისტოტელეს მოძღვრების ნორმატიულ სტრუქტურას, ხოლო კანონისა და სამართლის ფილოსოფიას უგულვებელყოფს იმ მიზნით, რომ მკაფიოდ გამოეკვეთა არისტოტელეს, როგორც "პოლიტიკური მეცნიერის" სახე.[3] გ. მოსკა გადმოგვცემს არისტოტელეს ძალისხმევას, მმართველობის ტიპების თეორიის ფორმულირების მიზნით, დაედგინა ქალაქსახელმწიფოების ზუსტი გეგმა, ოპტიმალური ზომა და აღმოეჩინა პოლიტიკურ ცვლილებათა კანონზომიერებანი ის, რასაც გ. მოსკა წარმოგვიდგენს, არის პოლიტიკური დოქტრინების ისტორია, როგორც პოლიტიკური მეცნიერების დაფუძნების მცდელობათა ისტორია.[4]

---

1 Pareto. V., Sociological Writings. L., 1966, p.212.

2 Mosca. G. The Historic des doctrines politicues. Paris, 1936, p.173.

3 Albertini. Ettore A. Mosca and the Tbeory of Elitismi Oxford, 1987, p.61.

4 I bid. p.63.

ელიტისტები უარყოფენ ეთიკური პრამეტრების გამოყენების მართლზომიერებას სოციალურ-პოლიტიკური მოვლენების კვლევის პროცესში, მაგრამ ვერ ძლევენ ეთიკურ მიდგომას, როდესაც მიზნად ისახავენ დაამსხვრიონ საზოგადოებაში აკუმულირებული ილუზიები. მათი შეხედულებით, ეს ილუზიები აბრკოლებს პოლიტიკური "რეალობის" აღმოჩენას და გაცნობიერებას, "თანასწორობის" ან "კანონის მართვის" (კანონის უზენაესობის) იდეალებს და წინამორბედთა მიერ აღმოჩენილი პოლიტიკური მეცნიერების "კანონების" არსს იზიარებენ რიგითი მოქალაქენი, "პოლიტიკური ფილოსოფოსები", სოციალური დემაგოგებიც, აგრეთვე, ლიბერალები და სოციალისტები. ზოგიერთი ილუზია მრავალი საუკუნის მანძილზე არ კარგავს ცხოველმყოველობას. ამის მაგალითად ელიტისტები ასახელებენ პოლიტიკური მმართველობის არისტოტელესეულ კლასიფიკაციას. არისტოტელე სახელმწიფოებრივ ფორმათა ეთიკურ კლასიფიკაციას ახდენს. სწორად და არასწორად პირველი ჯგუფის მმართველობის ფორმებია: მონარქია, არისტოკრატია და პოლიტეა, თუ დომინირებს მმართველთა პირადი სიკეთე, მაშინ გვექნება სისწორისაგან გადახვევა: მონარქიიდან გადახვევა არის ტირანია, არსიტოკრატიიდან ოლიგარქია, პოლიტეადან - დემოკრატია. ასეთია მმართველობის არასწორი ფორმები.

XIX საუკუნემდე არისტოტელესეული ტრადიციის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი რევიზია განახორციელა მონტესკიემ, რომელიც სახელმწიფო მმართველობის კლასიფიკაციის კრიტერიუმად იყენებს: პოლიტიკური მონაწილეობის (პარტიციპაციის) დონეს, მთავრობის ლეგიტიმურობას და სახელმწიფო აპარატის ფუნქციონირებას. ტირანია და ოლიგარქია - კანონის უზენაესობის უგულებელმყოფი მმართველობის ფორმები მონტესკიეს მიხედვით, შეადგენს სახელმწიფო მმართველობის საერთო ტიპს დესპოტიზმს, მმართველობის არისტოკრატიული და დემოკრატიული ფორმები, სადაც მართვის პროცესი კანონების შესაბამისად და კრებების მეშვეობით ხორციელდება შეადგენს სახელმწიფო მმართველობის მეორე საერთო ტიპს - რესპუბლიკას. მონტესკიე დაასკვნის, რომ არსებობს პოლიტიკური სისტემის სამი "იდეალური ტიპი" - მონარქია, რესპუბლიკა და დესპოტიზმი. ნებისმიერი ფაქტობრივად არსებული პოლიტიკური სისტემა მოცემულ კატეგორიალურ დიფერენცირებას ექვემდებარება.

გ. მოსკა წინ უძღოდა ელიტისტებს ზემოხსენებული მმართველობის ტიპოლოგიის გადამჭრელ უარყოფაში. მისი აზრით,

რომელსაც იზიარებს ელიტისტების უმრავლესობა, გარეგან ნიშან-თვისებებზე დაყრდნობით განხორციელებული პოლიტიკური სისტემების კომპარატიული ანალიზი ვერ იქნება ობიექტური და ადეკვატური. არისტოტელეს მიერ დახასიათებული სახელმწიფოებრივი მმართველობის სხვადასხვა ფორმა მხოლოდ "ფასადს" წარმოადგენს, რომლის უკან მცირერიცხოვანი მმართველი კლასი დგას, რომელსაც ხელთ უპყრია რეალური პოლიტიკური ხელისუფლება საზოგადოებაში.

პრობლემისადმი მეცნიერული მიდგომა საჭიროებს დე-იურე და დე-ფაქტო ხელისუფლების, ან უფრო მართებული იქნება ითქვას, პოლიტიკური ძალაუფლების ფორმალური და არაფორმალური სტრუქტურის დიფერენცირებას.[2] დემოკრატიის პირობებში კონსტიტუციით შესაძლებელია უზენაესი ხელისუფლების ხალხის გამგებლობაში ან მაღალი სოციალური სტატუსის მქონე ჯგუფის ხელში გადაცემა არისტოკრატიული სახელმწიფოებრივი წყობილების პირობებში. ხოლო მონარქიის არსებობისას სახელმწიფო ხელისუფლება ერთი პიროვნების ხელშია კონცენტრირებული. მაგრამ ყველა ვითარებაში სახელმწიფო ხელისუფლება რეალურად ხელთ უპყრია ორგანიზებულ უმცირესობას - "პოლიტიკურ კლასს", რომელიც პოლიტიკურ და სოციალურ გადაწყვეტილებათა მიღების უფლებით არის აღჭურვილი.[3] მონარქს პოლიტიკური გადაწყვეტილებები, ჩვეულებრივ, მრჩეველთა მონაწილეობით და მათთან კონსულტაციების შედეგად გამოაქვს. არისტოკრატიულ საზოგადოებაში რეალურად პოლიტიკის გამტარებელია საერთოდ არისტოკრატიის სახელით მოქმედი აქტიურ პიროვნებათა მცირე ჯგუფი. დემოკრატიული სახელმწიფო წყობილების პირობებში ადგილი აქვს პოლიტიკოსთა მიერ სუვერენული ელექტორატის მანიპულირებას სახელმწიფო ხელისუფლების სადავეების რეალურად მცირე ჯგუფის ხელში თავმოყრის მიზნით.

ელიტისტებისათვის სახელმწიფო ფორმების ძველი ტიპოლოგია მხოლოდ პოლიტიკურ მითოსს წარმოადგენს, რომელსაც, როგორც პოლიტიკურ მეცნიერებას, პროპაგანდას უწევდნენ კომპარატიული პოლიტიკის ადეპტები. მაგრამ მითოსების გარდა, არსებობს, როგორც პოლიტიკოსთა, ისე საზოგადოების მიერ

---

1 Mosca. G. The Ruling Class. NY. 1939. p.63.

2 Albertoni. Ettore A. Mosca and the Theory of Elitism. Oxford. 1987. p.147.

3 Ibid.p. 151

აღიარებული უმნიშვნელოვანესი "კანონები" და "ჭეშმარიტებანი", რომელთა შესატყვისად ფუნქციონირებს ნებისმიერი საზოგადოება. ელიტისტები, კერძოდ ვ.პარეტო, აღნიშნავენ, რომ ეს საყოველთაოდ აღიარებული "ჭეშმარიტებანი" ან "კანონები" იმ პიროვნებათა იმედების, მისწრაფებისა და ინტერესების რაციონალიზებას წარმოადგენს, ვინც იზიარებს ან ქმნის მათ. ელიტისტებს ღრმად სწამდათ, რომ აუცილებელი იყო განსაკუთრებით ერთი "ჭეშმარიტების" და ერთი "კანონის" მხილება, როგორც იდეოლოგიისა, მათი შეხედულებით, მოარული "ჭეშმარიტებაა, რომ დემოკრატიულ საზოგადოებაში პოლიტიკური ხელისუფლება "ხალხის მიერ" ხორციელდება... გ. მოსკას თხზულების - "მმართველი კლასი" - მთავარ ამოცანას შეადგენს რუსოსეული მითოსის უარყოფა, რომელსაც ჟან ჟაკ რუსომ სახალხო სუვერენიტეტი უწოდა.[1] მართალია, პოლიტიკური მმართველობის არნევა დემოკრატიულ პოლიტიკურ სისტემაში "ხალხის მიერ" ხდება და იგი ხშირად ხალხის ინტერესებს ემსახურება, მაგრამ მმართველობა არასდროს არ ხორციელდება ხალხის მიერ, არამედ მხოლოდ მმართველი კლასის მიერ. "კანონი", რომელიც ელიტისტების აზრით კატეგორიული უკუგდებას საჭიროებს საყოველთაოდ, და განსაკუთრებით, სოციალისტებს შორის ფართოდ გავრცელებულ იდეოლოგიურ დოგმას წარმოადგენს, რომლის მიხედვით, კაცობრიობის ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე არსებული კლასობრივი კონფლიქტი გარდუვალად დაგვირგვინდებოდა უკლასო ეგალიტარული საზოგადოების შექმნით. ეს კანონი იმედებით და ილუზიებით ასულდგმულებდა და ასულდგმულებს ხალხთა მასებს და თავისი ბუნებით არ განსხვავდება რელიგიისაგან. ვ. პარეტო მისთვის დამახასიათებელი ენამჭევრობით გადმოგვცემს ამ ვითარების ორონიულობას: "პარადოქსულია, რომ სწორედ ადამიანთა უთანასწორობა უბიძგებს მათ გამოაცხადონ, რომ ისინი თანასწორნი არიან.[2] ერთადერთი ჭეშმარიტი კანონია აცხადებენ ელიტისტები, საზოგადოების დეფაქტო მმართველი იყოს, არის და ყოველთვის იქნება სოციალურად და პოლიტიკურად აქტიური პიროვნებების მცირერიცხოვანი ორგანიზებული ჯგუფი - პოლიტიკური ელიტა.[3]

---

1 Mosca G. The Ruling Class, NY., 1939, p.52

2 Pareto V.. Sociological Writings, L., 1966, p.164.

3 Mosca G. The Ruling Class, NY., 1939, p.52

ელიტისტების კვლევის მეთოდი, რომელიც ნებისმიერ. სოციალური და პოლიტიკური მოვლენის ემპირიულად დადასტურების აუცილებლობას ითვალისწინებს, განასხვავებს მეცნიერებას რელიგიისაგან, ჭეშმარიტებას-მეტაფიზიკისაგან ფილოსოფიაში და მითოსს-რეალობისაგან პოლიტიკაში. უნდა შევნიშნოთ, რომ ელიტისტების ნაწერებში ობიექტურობა არ იყო იმ ზომით, როგორც ეს მათ მიაჩნდათ. ვინაიდან მათი განსაზღვრებით, ელიტიზმი "იდეოლოგიას" ან "დოქტრინას" წარმოადგენს, რომელიც რაციონალური ან მეცნიერული ტერმინოლოგიით გამოხატავს საზოგადოების "საშუალო კლასის" პოლიტიკურ ინტერესებს და სოციალურ სტატუსს.

მიუხედავად იმისა, რომ ელიტისტები აკრიტიკებდნენ ნ. მაკიაველის მოძღვრების რეკომენდაციულ და არამეცნიერულ ხასიათს, მათი ნაშრომების თანმდევ პროდუქტს მაინც შეადგენდა იმ მეთოდების ერთობლიობა, რომლის გამოყენებით "საშუალო კლასი" უზრუნველყოფდა დომინანტურ როლს საზოგადოებაში. მოსკას მოღვაწეობის ადრინდელი პერიოდი დაემთხვა დასავლეთის დემოკრატიების წარმომადგენლობითი (რეპრეზენტატული) სისტემების დამკვიდრება-განვითარებას და საშუალო კლასის, როგორც სოციალური ჯგუფის, წარმოჩინება-ტრიუმფს, რომელიც პარლამენტში პარტიების და ადგილობრივი ადმინისტრაციის დონეზე კონტროლით, პოლიტიკური ორიენტაციით საზოგადოებრივი ბალანსის გადამწყვეტ ფაქტორად იქცა, რაც აისახა გ. მოსკას მეცნიერულ მოღვაწეობაში.1 ფაქტობრივი ვითარების დესკრიფციაზე გადატანილი აქცენტი და ამის საფუძველზე გამოტანილი დასკვნები და პოლიტიკური ელიტისათვის შეთავაზებული "რეცეპტები" არ იყო თავისუფალი რეკომენდაციული ელემენტებისაგან. ელიტისტების წინამორბედ პოლიტიკურ. მოაზროვნეთა ანალოგიურად, რომლებსაც ისინი პოლიტიკური მეცნიერების იდეოლოგიზირებაში სდებენ ბრალს. ელიტისტების კატეგორიული ფორმის რეცეპტურა, რომელსაც წარმატებით იყენებს პოლიტიკური ელიტა საკუთარი მიზნების, პოლიტიკური კურსის დასაბუთება-გამართლებისა და ლეგიტიმიზაციისათვის ობიექტურად გარდაუვალად იძენს იდეოლოგიურ ხასიათს და იდეოლოგიის ფორმას.

---

1 Meisel T.H. Pareto and Mosca, New Iersey, 1965, p.139.

3. პოლიტიკური ელიტა და სოციალური კონტროლი

ელიტიზმის თეორიულ ლიტერატურაში პოლიტიკური ელიტის "კოერციული ძალის" (იძულების ძალის) შესწავლასა და ანალიზს უმნიშვნელო ადგილი ეთმობა.

ასრულებს რა ინტეგრაციისა და კონტროლის ფუნქციას, პოლიტიკური ელიტა მოცემული საზოგადოების სხვადასხვა სოციალურ ერთობათა ინტერესებს გამოხატავს. მიუხედავად იმისა, რომ პოლიტიკური ელიტა საზოგადოების უმცირესობას წარმოადგენს ელტიზმის ადეპტები მისი სოციალურ-პოლიტიკური როლის შეფასებისათვის დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ. პოლიტიკური ელიტა მცირე სოციალურ ერთობათა თუ მოსახლეობის ფართო ფენების სახელით მოქმედებს. სხვადასხვა პოლიტიკური სისტემებისათვის დამახასიათებელია საერთო ფენომენი ეს არის სახელმწიფო ხელისუფლების სათავეში მყოფი ინდივიდების გამოცალკევება, იმათგან, ვინც მათ ემორჩილება. საბოლოო ანგარიშით, პოლიტიკური რეჟიმები მმართველთა და მართულთა იერარქიულ[1] გაერთიანებას წარმოადგენს.

შეგვიძლია სრული დარწმუნებით აღვნიშნოთ, რომ ამ რეჟიმების კლასიფიკაციის ერთ-ერთ მთავარ კრიტერიუმს ის კონკრეტული ფორმები შეადგენს, რომლებშიც ეს ურთიერთობები გამოვლინდება. ბუნებრივია, პოლიტიკური ელიტა მიზნად ისახავს რაც შეიძლება უმტკივნეულოდ, ინტენსიური სოციალურ-პოლიტიკური დაძაბულობის გარეშე, მიაღწიოს მოსახლეობის მიერ მისი სახელმწიფო ხელისუფლების აღიარებას ლეგიტიმიზმის პრინციპების საფუძველზე, ვინაიდან ამ პირობების დაკმაყოფილების შემთხვევაში პოლიტიკური სისტემა, რასაკვირველია, ბევრად უფრო სტაბილური იქნება.

შორს არ ვიქნებით ჭეშმარიტებისაგან თუ ვიტყვით, რომ სტაბილურ საზოგადოებაში პოლიტიკური ელიტის ნება-გარეხორციელოს საკუთარი ბატონობა გარკვეულწილად

---

1 ტერმინი "იერარქია" შემოღებულ იქნა ფსევდო-დიონისე აერეოპაგიელის მიერ V ს. ტრაქტატებში "ზეციური იერარქიის შესახებ", "საეკლესიო იერარქიის შესახებ". სოციალურ მეცნირებებში ცნება იერარქია თავდაპირველად გამოიყენებოდა საზოგადოების წოდებრივ-კლასობრივი დაყოფის დესკრიფციის მიზნით და ხელისუფლების სტრუქტურების, განსაკუთრებით, ბიუროკრატიის დახასიათებისათვის. თანამედროვე სოციოლოგიურ და პოლიტოლოგიურ ლიტერატურაში მრავალრიცხოვანი შრომები ეძღვნება ხელისუფლების, სიმდიდრის პრესტიჟის, კონტროლის იერარქიას, როგორც საზოგადოების სოციალური სტრატიფიკაციის, საზოგადოებრივი უთანაბრობის გამოხატულებას. იხ. Философский энциклопедический словарь, М., 1983, с.202.

რამდენადმე მნიშვნელოვანი სიძნელეების გარეშე ხდება. ამ მიზნით იგი სხვადასხვა საშუალებებს იყენებს, როგორიცაა: ბიუროკრატიული აპარატი, იდეოლოგიური კონსტრუქციები, ძალოვანი სტრუქტურები. როგორც წესი, პოლიტიკური ელიტა თავის ხელისუფლებას საზოგადოების დანარჩენ ნაწილზე ახორციელებს არა უშუალოდ, არამედ შუალედური რგოლებით - ბიუროკრატიის ან მომხრეთა მეშვეობით. ამიტომ დიდად ფასეული და მნიშვნელოვანი აქტია პოლიტიკური ელიტის ძალისხმევა, ბიუროკრატიისა და მისი მომხრეთა გამაერთიანებელი ორგანიზაციის "ერთგული" სისტემის ნამოყალიბებისათვის. ამდაგვარ შუამავალთა გარეშე ის მოკლებული იქნება შესაძლებლობას, მასებს სტაბილურად თავს მოახვიოს საკუთარი პოლიტიკურ-სოციალური ნება. პოლიტიკური სისტემები ეფუძნება არა მხოლოდ ელიტარისტების ნებას, არამედ მასების თანხმობასაც, რათა ელიტამ საკუთარი პოლიტიკური ნების რეალიზაცია მოახდინოს. ამდენად, მმართველობა და მორჩილება ნებისმიერი პოლიტიკური რეჟიმის ურთიერთშემავსებელ ასპექტებს წარმოადგენს. როგორც ზემოთ იყო ნათქვამი, პოლიტიკური ელიტები ცდილობენ პოლიტიკური ლეგიტიმურობის პრინციპების საფუძველზე მიაღწიონ მასების მიერ მათი ხელისუფლების ნებაყოფლობით ცნობას.

ელიტისტების მიხედვით, წარმომადგენლობითი დემოკრატიის პირობებშიც მასა პოლიტიკურად არაკომპეტენტური, აპათიური და ინერტულია. მასა არსებითად "ატომიზებულია". მასის ადამიანები არ არიან ორგანიზებულნი და კოორდინირებულნი პოლიტიკური აქტების განსახორციელებლად. მათ არ გააჩნიათ სოციალურ-პოლიტიკური პროცესების ფართო ხედვა, რაც აუცილებელი ფაქტორია საზოგადოების მართვისათვის. თავისუფალნი არიან რა პოლიტიკური ამბიციებისაგან, მასის ადამიანები დიდი მონდომებით ნამოიშორებენ ან სხვას გადააბარებენ ხოლმე გადაწყვეტილებათა მიღების პასუხისმგებლობას. მასისათვის დამახასიათებელია ფსიქოლოგიური მოთხოვნილება, რომ მას მართავდნენ და ხელმძღვანელობდნენ. მასის მიერ სოციალურ-პოლიტიკური ფაქტებისა და ხდომილებების გაცნობიერება ფრაგმენტული ხასიათისაა. მასა უნარმოკლებულია აღიქვას საკუთარი აქტივობის მიზნები, რამდენადაც ვერ არკვევს, თუ რა როლს ასრულებს იგი მთლიან სტრუქტურაში. მასას ძალუძს დაძლიოს პოლიტიკური ინერტულობა და იმოქმედოს, როგორც "ერთიანმა მთელმა ორგანიზმმა" მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი ვერ წარმოიქმნება

სპონტანურად. ელიტა ძალისხმევას არ იშურებს მასის ცნობიერების კულტივირებისათვის, ვიდრე მასა არ შეითვისებს "გაყავი და იბატონე"-ს პოლიტიკას.[1]

მასების მიერ პოლიტიკური ელიტის კანონზომიერ სოციალურ ფენომენად აღიარება შეიძლება სხვადასხვა მიეზეზებით იქნეს გამოწვეული. მაგრამ ყურადსაღებია ის ფაქტი, რომ იგი ყველა ვითარებაში და ყოველთვის სრულიადაც არ ნიშნავს პოლიტიკური ელიტის ბატონობის "მხურვალე" მხარდაჭერას. თუ პოლიტიკური სისტემები კრიზისს განიცდის, ელიტები აწყდებიან კონტრელიტისა და მასების მზარდ წინააღმდეგობას, რამაც შეიძლება სხვადასხვა ფორმა მიიღოს, ისეთი, როგორიცაა: აჯანყება, პოლიტიკური ელიტის ძალაუფლების დამხობა, რადიკალური კრიტიკა, სამოქალაქო დაუმორჩილებლობა, სოციალური პროტესტის უმდაბლესი და ნაკლებეფექტიანი ფორმა - აბსენტეიზმი[2] და სხვა.

პოლიტიკურ ელიტებს აქვთ იმის ცოდნა და გამოცდილება, რომ სახელმწიფო ხელისუფლება, რომელიც ემყარება მარტოოდენ ძალისმიერი მეთოდების გამოყენების მექანიზმს, ანდა სინამდვილეში პრაქტიკულად მათ გამოყენებას არ არის მტკიცე და სტაბილური. ამიტომ, ელიტა ძალისხმევას არ იშურებს შეიმუშა..ს სოციალური და ნაციონალური თანხმობის ფართო პროგრამა და, გარკვეულ იდეოლოგიურ მიმდინარეობათა გამოყენებით, მასებში დანერგოს რწმენა, რომ არსებული პოლიტიკური რეჟიმი მოწოდებულია სრულად დააკმაყოფილოს საზოგადოების სოციალურ-პოლიტიკური საჭიროებანი და მოთხოვნილებანი.

შეგვიძლია სრული დარწმუნებით ვთქვათ, რომ როგორც საზოგადოებაში გაბატონებული პოლიტიკური იდეოლოგია[3], ისე ე.წ.

---

1 Mosca, G. The Ruling Class. NY, 1939, ch.11 3,p53

2 აბსენტეიზმი - სოციალური - მოქალაქეთა შეგნებული თავის არიდება დაწესებულ სამოქალაქო მოვალეობათა და ქმედებათა შესრულებისაგან; თავის შეკავება საზოგადოებრივი აქტიურობისა და საკუთარი შეხედულებების გამოხატვისაგან. სამოქალაქო დაუმორჩილებლობისაგან განსხვავებით, აბსენტეიზმი არ ატარებს ორგანიზებულ ხასიათს, იგი სტიქიური, სპონტანური პროცესია. მაგალითად, თავის არიდება არჩევნებში მონაწილეობისაგან.

3 ტერმინი "იდეოლოგია" სამეცნიერო ხმარებაში შემოიღო ფრანგმა ფილოსოფოსმა და ეკონომისტმა ა.ლ. კ. დეტუ დე ტრასიმ ("Elements d ideologie", vol. 1-4, 1801-1815) იდეების შესახებ მოძღვრების აღსანიშნავად, რომელიც შესაძლებლობას იძლევა დადგინდეს მტკიცე თეორიული საფუძვლები პოლიტიკისათვის, ეთიკისათვის და ა.შ. ასეთი პოზიტიური თვალსაზრისით აფასებდნენ იდეოლოგიას ფრანგი მატერიალისტები და სენსუალისტური სკოლის გვიანდელი წარმომადგენლები (ძ.ჟ. კაბანისი და სხვა). შემდგომში იდეოლოგიის ცნებას უარყოფითი მნიშვნელობით ხმარობდნენ და ფაქტობრივად მმართველი პოლიტიკური ელიტის ბატონობის თეორიულ დასაბუთებასთან აიგივებდნენ (ჰ.შორა, ე.ბიორგი, ვ.პარეტო და სხვ.). იხ. "ქართული საბჭოთა ენციკლოპედია". ტ.6., გვ.78.

"მარგინალური" - რეფორმისტული ან რევოლუციური - იდეოლოგია წარმოადგენს იარაღს პოლიტიკურ ბრძოლაში და არა უბრალოდ პოლიტიკური სინამდვილის ინტერპრეტაციას. მასთან ერთად, იდეოლოგია ინტელექტუალური მექანიზმია, რომლის უმთავრესი და განმსაზღვრელი ფუნქციაა გარკვეული სოციალურ-პოლიტიკური რეჟიმის არსებობის გამართლება ან მისი შეცვლის აუცილებობის დასაბუთება.

მრავალი სოციოლოგი თუ პოლიტიკური სოციოლოგი და პოლიტოლოგი ახდენს იდეოლოგიის ამ რთული სოციალური ფენომენის - ამა თუ იმ ასპექტის აბსოლუტიზაციას. მაგალითად, ცნობილი მკვლევრები (ამერიკელი სპეციალისტი პოლიტიკურ მიმდინარეობათა და სოციალური პროგნოზირების დარგში, დანიელ ბელი და გერმანელი ფილოსოფოსი და სოციოლოგი კარლ მანჰაიმი) იდეოლოგიას ცნობიერების სხვა ფორმებისაგან (უტოპიასა და სხვა) რომ ასხვავებენ, მას იდეებისა და შეხედულებათა იმ ერთობლიობად მიიჩნევენ, რომელიც სამოქმედო პროგრამას სთავაზობს არა ყველა სოციალურ ერთობას, არამედ მხოლოდ საგანთა არსებული წესრიგის დამცველთ. ე.ი. ახდენენ ერთი ტიპის იდეოლოგიის - status qvuo-ს შენარჩუნების ფუნქციის მქონე იდეოლოგიის აბსოლუტიზაციას და სხვების, მაგალითად, status qvuo-ს უარმყოფელი პოლიტიკური იდეოლოგიების, გამორიცხვას.

პოლიტიკური ელიტა საზოგადოების უმრავლესობაზე თავისი ბატონობის გამართლებისა და კანონიერების დასაბუთების მიზნით, ფართოდ იყენებს პოლიტიკურ და იდეოლოგიურ პროპაგანდას შეხედულებების, იდეებისა და თეორიების გავრცელებას მასებში, გარკვეული მსოფლმხედველობითი სტერეოტიპებისა და წარმოდგენების ჩამოყალიბებისა და მათი შესატყვისი პრაკტიკული მოქმედების სტიმულირებისათვის. პროპაგანდის სუბიექტის-პოლიტიკური ელიტის-სოციალურ-პოლიტიკური ინტერესების თანაფარდობა საერთად საზოგადოებისა და ცალკეულ სოციალურ ერთობათა ინტერესებთან, განსაზღვრავს პროპაგანდის შინაარსს და უდიდეს გავლენას ახდენს პოლიტიკური ელიტის მიერ მისი ფორმების, მეთოდების, საშუალებების შერჩევაზე.

იმ შემთხვევაში, თუ პოლიტიკური ელიტის მიზანმიმართული ცდები-დაარწმუნონ საზოგადოება თავის ლეგიტიმურობაში, მარცხს განიცდის, მაშინ იგი ძალზე ხშირად, სულ უფრო აქტიურად და სისტემატურად მიმართავს ინსტიტუციონალიზებულ ფი-

ზიკურ ძალადობას. ელიტის ძალაუფლება, საბოლოო ანგარიშით, ეფუძნება იმ ფაქტს, რომ იგი ერთადერთ პოლიტიკურ ძალას წარმოადგენს, რომელსაც არსებული სამართლებრივი წესრიგის ნარჩოებში აქვს ძალის გამოყენების უფლება. ძალადობა საბოლოო არგუმენტია, რითაც სარგებლობენ პოლიტიკური ელიტები ძალაუფლების შესანარჩუნებლად სხვადასხვა სოციალურ ძალებთან - კონტრელიტასთან, მასებთან - კონსენსუსის მიუღწეველობის შემთხვევაში. შესაბამისად, სამართლებრივი სისტემა იმგვარად არის ორგანიზებული, რომ კონფლიქტურ სიტუაციაში პოლიტიკურ ელიტას გაუადვილოს ძალოვანი სტრუქტურების დროული და ეფექტიანი ამოქმედება.

სისტემური მიდგომის ასპექტით, კონფლიქტები და თანამშრომლობა პოლიტიკური სისტემის ფუნქციონირების უმნიშვნელოვანესი პირობების რიცხვს განეკუთვნება, რომლებიც ცხადყოფს მისი სტაბილურობის დონეს და, ამავე დროს, სისტემის მახასიათებლებს წარმოადგენს. გაზვიადება არ იქნება თუ ვიტყვით, რომ პოლიტიკური სისტემის სტაბილურობის კრიტერიუმები დაკავშირებულია სისტემის ცვლილებასთან, რომლებთან დამოკიდებულებაში იგი ან ინარჩუნებს თავისთავადობას, ან იმ ხარისხით ტრანსფორმირდება, რომ წარმოებს გადასვლა სხვა ტიპის სისტემაზე, ანდა საბოლოოდ ნადგურდება. უნდა შევნიშნოთ, რომ, ამ აზრით, კონფლიქტი დამახასიათებელია როგორც არასტაბილური (მაგ., "რევოლუციური"), ისე სტაბილური ტიპის პოლიტიკური რეჟიმისათვის. მაგრამ სტაბილური პოლიტიკური სისტემის განმასხვავებელ ნიშანთვისებას წარმოადგენს ის, რომ ღირებულებითი ორიენტაციები, რომლებსაც იზიარებენ სისტემის შემადგენელი ნაწილები ელიტა, კონტრელიტა, მასები - არ იწვევს პერმანენტულ სკეპსისს და ისიც, რომ არსებობს კონსენსუსი სისტემის მონაწილეთა შორის პოლიტიკური და სოციალური მეტოქეობის წესების თაობაზე. არასტაბილურ პოლიტიკურ სისტემაში, პირიქით, ადგილი აქვს ღირებულებათა შეუთავსებლობას, თანამშრომლობის წესების თაობაზე მუდმივ დავას და ამის შედეგად თანამშრომლობის დაბალ დონეს.

პოლიტიკურ სისტემებში არსებული სოციალურ-პოლიტიკური კონფლიქტები და სოციალურ ერთობათა თანამშრომლობა საზოგადოებრივი ურთიერთობების ყველაზე არსებით მახასიათებელს

წარმოადგენს. ამ პროცესების მონაწილეთა ურთიერთქმედების მხარეები უწყვეტად არიან დაკავშირებულნი. ჰეგელის სიტყვით რომ ვთქვათ, ისინი "დიალექტიკურ წყვილს" შეადგენენ. ეს კი იმის მანვენებელია, რომ სოციალურ - პოლიტიკური თანამშრომლობა ყოველთვის შეიცავს კონფლიქტურ განზომილებას და, პირიქით, ყოველი სოციალურ - პოლიტიკური კონფლიქტი გულისხმობს მის მონაწილეთა თანამშრომლობის ამა თუ იმ წილს.

სოციალურ პოლიტიკური კონფლიქტების ანალიზისა და კვლევის პრობლემისადმი მრავალი კონცეპტუალური მიდგომისათვის საერთო მახასიათებელია პოლიტიკური სისტემის ფუნქციონირებისა და მისი სხვადასხვა სოციალური ერთობების ურთიერთობებში მოცემული სოციალური ფენომენის როლის გააზრება და ამის საფუძველზე, პრაქტიკული მნიშვნელობის დასკვნების ფორმულირება. ამავე დროს, მათ შორის არსებობს განსხვავებებიც, რომლებიც ეხება მეთოდოლოგიურ საფუძვლებს და კვლევის შინაარსობრივ პრობლემატიკას, მათი კავშირის ხასიათს სოციალურ - პოლიტიკურ პრაქტიკასთან და ა.შ. აღნიშნული განსხვავებები შეიძლება ავხსნათ ცნების "სოციალური კონფლიქტის" შინაარსის ინტერპრეტაციაში არსებული განსხვავებებით.

ცნობილი ამერიკელი სოციოლოგის ლ. კოზერის განსზაღვრებით, სოციალური კონფლიქტი არის "შეჯახება კოლექტიურ აქტორებს შორის ღირებულებათა, სტატუსების, ხელისუფლების.

გამო, რომლებშიც ყოველი მხარის მიზანია თავიანთი მეტოქეების განეიტრალება, დასუსტება ან ჩამოცილება.[1]" ეთანხმება რა კონფლიქტის ამგვარ გაგებას, მკვლევართა ერთ ნაწილს (ლ. კლაისბერგი, მ. კროზიე, ტ.ბოულდინგი და სხვ.) მიანნია, რომ კონფლიქტს ობიექტური შინაარსი აქვს. ასე, მაგალითად, ცნობილი სოციოლოგისა და ეკონომისტის ტ. ბოულდინგის თვალსაზრისით, კონფლიქტი წარმოადგენს "მეტოქეობის სიტუაციას, რომელშიც მხარეები აცნობიერებენ შესაძლებელი პოზიციების შეუთავსებლობას და ყოველი მხარე ისწრაფვის დაიკავოს მდგომარეობა, რომელიც შეუთავსებელია იმასთან, რომელიც

1 Cozer, L.A. The functions of Social Conflicts N.Y. 1956. p.8.

2 Boulding K. Conflict and Defence A.General Theory., N.Y., 1962. p.26

სურს დაიკავოს სხვა მხარე[2]". სხვაგვარად რომ ვთქვათ, აქ საუბარია ინტერესების დაპირისპირებულობაზე, რომელთა ეროდროული რეალიზაცია მათი ობიექტურობის გამო შეუძლებელია კონფლიქტის მონაწილეთა მიერ. საწინააღმდეგო თვალსაზრისს იზიარებს ამერიკელი მკვლევარი ჯ.ბერტონი, რომლის შეხედულებით, "კონფლიქტი ძირითადად სუბიექტური ხასიათისაა... კონფლიქტი, რომელიც თითქოსდა შეხებაშია ინტერესების "ობიექტურ" სხვადასხვაობასთან, შესაძლებელია გარდაიქმნას ორივე მხარისათვის პოზიტიური რეზულტატის მქონე აქციად იმ პირობით, თუ მათ მიერ ერთმანეთის აღქმის "ახლებური გააზრება" ფუნქციურ საფუძველზე თანამშრომლობას შესაძლებელს გახდის[1]". კონფლიქტის კონცეფციათა აქციონალისტური მიმართულების წარმომადგენლების ძალისხმევა მიმართულია ზემოაღნიშნული ორივე კონცეპტუალური მიდგომის უპირატესობათა გაერთიანებისაკენ განიხილავენ რა სოციალურ-პოლიტიკურ კონფლიქტს, როგორც მიზნების შეუთავსებლობას, მათ ამავე დროს, სიმძიმის ცენტრი გადააქვთ იმ ფაქტზე, რომ მსჯელობა ამის თაობაზე არ შეიძლება დაეფუძნოს მხოლოდ ამ უკანასკნელთა ლოგიკურ შეპირისპირებას, არამედ საჭიროებს მათი რეალიზაციისათვის აუცილებელი პრაქტიკული პირობების ანალიზს.[2]

როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, კონფლიქტი არის სოციალური ურთიერთობის ტიპი, რომელშიც კონფლიქტის მონაწილენი ერთიმეორეს უპირისპირდებიან შეუთავსებელი მიზნებისა და მათი განხორციელების მეთოდების ურთიერთსაწინააღმდეგო ხასიათის გამო. კონფლიქტი შეიძლება იყოს განსხვავებული ინტენსივობის - რეგულირებისადმი დაქვემდებარებული ან არადაქვემდებარებული. აგრეთვე ნაწილობრივი ან რადიკალური. და, ბოლოს, კონფლიქტის მხარეები შეიძლება ფლობდნენ თანაბარ ან არათანაბარ შესაძლებლობებს, აიძულონ მოწინააღმდეგე, მოახდინოს გარკვეული აქტის რეალიზება.

სოციალური კონფლიქტები განსხვავებული ტიპისაა. მაგრამ, პოლიტიკის თვალსაზრისით, უმნიშვნელოვანესია, რომლებიც

---

1 Burton Y. The Theory of Social Conflict, Boston, 1979, p.19.

2 Huber D. Multiple Paradigm Science, N.Y. 1971. p.64.

დაკავშირებულია ისეთ ღირებულებებთან, როგორიცაა: ხელისუფლება, მატერიალური კეთილდღეობა და სოციალური პრესტიჟი. "ამერიკელი პოლიტოლოგი დევიდ ისტონი შენიშნავს, რომ "სიმწირე ჭარბობს ყველა საზოგადოებაში. ეს პოლიტიკური ანალიზის მთავარი ამოსავალი პუნქტია... ფასეული ნივთები იმ რაოდენობით, რომელიც საკმარისია საზოგადოების წევრების მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად, არ არსებობს... სოციალური განსხვავებანი და კონფლიქტები მატერიალური კეთილდღეობის გამო, რომელთა მიწოდება შეზღუდულია, გარდაუვალია."[1]

სოციოლოგიურ და პოლიტოლოგიურ ლიტერატურაში კონფლიქტი მინნეულია საზოგადოებრივი განვითარების გადამწყვეტ ან ერთ-ერთ ფაქტორად. პოლიტოლოგთა

აზრით, საზოგადოებაში რომ არ არსებობდეს კონფლიქტური ფაქტორები, და სოციალური ურთიერთობები ჰარმონიული იყოს, ამ შემთხვევაში გაუგებარი იქნებოდა პოლიტიკური ინსტიტუტების წარმოქმნა და ფუნქციონირება, რომლებიც იძულებისა და კონფლიქტების დარეგულირების ფუნქციებს ასრულებენ პოლიტიკურ სისტემაში. პოლიტიკური ელიტის, როგორც პოლიტიკური მართვის სუბიექტის, ერთ-ერთი ძირითადი ფუნქცია, არბიტრაჟი კონფლიქტში მყოფ სოციალურ ერთობებს შორის. ამ მიზნით, როგორც ზემოთ იყო აუცილებლობის შემთხვევაში, პოლიტიკური ელიტა იყენებს იძულების მეთოდებს. ამავე დროს, ანალოგიურ ვითარებაში, პოლიტიკური ელიტა სტაბილური საზოგადოების ცხოვრებაში საკმაოდ ხშირად წარმატებით აღწევს კონსენსუსს.

---

1 Yston D. The Study of Sociology, N.Y., 1969, p.139.

თავი მეხუთე

ტოტალიტარული და პოსტტოტალიტარული პერიოდის ელიტები

1. ელიტიზმი და მარქსიზმის თეორია და პრაქტიკა

ელიტარისტების სოციალური და პოლიტიკური ნააზრევის არსში სათანადო ნაწვდომა საკმაოდ რთულია, თუ მხედველობაში არ იქნება მიღებული ზეგავლენა, რომელიც მარქსიზმმა მოახდინა ელიტიზმის თეორიაზე, "კლასიკური" ელიტარისტების ვ. პარეტოსა და გ. მოსკასათვის ისევე მნიშვნელოვანი ამოცანა იყო მარქსიზმის მოძღვრების უარყოფა, როგორც ეთიკური ელემენტებისაგან თავისუფალი, ეთიკურად ნეიტრალური პოლიტიკური მეცნიერების დაფუძნება. შემდგომ პერიოდში მოღვაწე მკვლევარები ჯ.ბერნემი და, გარკვეული ზომით მემარცხენე რადიკალური პოლიტიკური ორიენტაციის ელიტარისტი, ჩარლზ რაიტ მილსი შეეცადნენ მოეხდინათ მარქსიზმის მეცნიერების საფუძვლების და მარქსიზმისადმი გენეზისით ანტაგონისტური ელიტიზმის თეორიის პოზიციის სინთეზი.[1] სოციალური პროცესების კვლევის პრობლემისადმი მარქსიზმისა და ელიტიზმის ორი საპირისპირო მიდგომის გამო, შეტევა მარქსიზმის მოძღვრების წინააღმდეგ, ორ სიბრტყეში ხორციელდებოდა: პირველი, როგორც მეცნიერებისა და, მეორე, როგორც იდეოლოგიის წინააღმდეგ, ვ. პარეტომ მიზნად დაისახა ემხილებინა მარქსის ანალიზის მცდარობა და აეხსნა როგორ ჰპოყა, მისი აზრით, ასეთმა ცხადმა "სიყალბემ" ფართო აღიარება. მიზნის მისაღწევად ვ. პარეტომ განავითარა სოციოლოგიური სისტემა, რომლის

---

1 Gijson G. The Context of Elite theorizing N.Y.L., 1997 p.27.

მეშვეობითაც შეეცადა დეტალურად, პუნქტობრივი ანალიზით დაეკნინებინა მარქსის ეკონომიკური და პოლიტიკური მოძღვრების, როგორც მეცნიერების, სტატუსი იდეოლოგიის ან რელიგიური მითოსის დონემდე.[1]

ელიტიზმის თეორიისა და მარქსიზმის ყაკვლევი ობიექტები თითქმის იდენტურია, მაგრამ დასკვნები რადიკალურად განსხვავდება ერთიმეორისაგან. მარქსმა ჯერ კიდევ გ. მოსკასა და ვ. პარეტოს სამეცნიერო ასპარეზზე გამოჩენამდე ამხილა წინამორბედ პოლიტიკურ მოაზროვნეთა ლიბერალური მითოსები. მარქსის მიხედვით პოლიტიკური სისტემების ანალიზი, რომელიც განახორციელეს პოლიტიკურმა ანალიტიკოსებმა, ეკონომისტებმა და ფილოსოფოსებმა, და მათ მიერ ფორმულირებული უნივერსალური ღირებულების იდეალები, იყო მოცემული "ეპოქის ილუზიების" ტყვეობაში მათი შემოქმედთა ყოფის შედეგი. ისინი ჭეშმარიტებად აღიარებდნენ იმას, რაც სინამდვილეში მმართველი კლასის იდეოლოგიურ მხარდაჭერას წარმოადგენდა. ელიტარისტები იზიარებენ მარქსის მრავალ არგუმენტს, მაგრამ თუ მარქსმა თავისი დასკვნები მუშათა კლასის ინტერესებს მიუსადაგა რევოლუციური ქმედების სტიმულირების მიზნით, ელიტარისტებმა თავიანთი დასკვნები, რომლებიც გაკეთდა ანალოგიური მასალის კვლევისა და ანალიზის საფუძველზე, დაუქვემდებარეს ერთ მთავარ მიზანს, კერძოდ, მმართველი კლასის ინტერესებს. ელიტარისტების აზრით, მარქსისტების "უუნარობა" ცნონ სოციალური უთანასწორობის არსებობის გარდაუვალობა წარმოადგენს იმ მითოლოგიურ ელემენტს, რომელიც მარქსიზმის მოძღვრებას იდეოლოგიურ ხასიათს ანიჭებს. ვ. პარეტო აღნიშნავს, რომ მარქსისტები ფაქტს ვერ ასხვავებენ ღირებულებისაგან, ე.ი. ობიექტურ რეალობას ანიჭებენ მიზნობრივ ხასიათს და მისი გარდაქმნა ღირებულებით ჩარჩოებში უნდა ხდებოდეს. მათი შეხედულებით

1 Gijson G. The Context of Elite theorizing N.Y.L., 1997, p. 39.

მეცნიერული თეორიის მიზანს უნდა შეადგენდეს ობიექტური რეალობის პრაქტიკულ-რევოლუციური გარდამქმნელი ქმედების მოდიფიცირება.[1]

ელიტიზმის თეორიები მარქსისტულ მოძღვრებას უპირისპირდება პოლიტიკისა და ეკონომიკის თანაფარდობის, კლასობრივი ბრძოლის შესახებ. მარქსისტული ტრადიციის მიხედვით, ეკონომიკური ურთიერთობები განსაზღვრავს ყველა სხვა საზოგადოებრივ ურთიერთობებს. პოლიტიკა არის ეკონომიკური ბაზისის ზედანაშენი, როგორც ეკონომიკისა და კლასობრივი ინტერესების კონცენტრირებული გამოხატულება. ელიტიზმის თეორიებში პოლიტიკური ძალაუფლება არ განიხილება, როგორც ეკონომიკური ბატონობისა და ეკონომიკურ წინააღმდეგობათა პირდაპირი შედეგი. საზოგადოების ისტორიის მარქსისტულ გაგებას, რომელიც ეკონომიკური ნიშნით დაყოფილი კლასების კონფლიქტს ეფუძნება, ელიტარისტებმა დაუპირისპირეს პოლიტიკური ხასიათის ინტერპრეტაცია. ელიტარისტებისათვის ვ.ბერნემის გარდა, პოლიტიკა არ წარმოადგენს საზოგადოების ეკონომიკური სტრუქტურის ანარეკლს. გ. მოსკასა და ვ. პარეტოს მიხედვით, ნებისმიერი საზოგადოების ძალაუფლებრივი სტრუქტურა დეტერმინირებულია მისი პოლიტიკური ხელმძღვანელობის შესაძლებლობებით და უნარით. მარქსის მიხედვით, რომელი კლასის წარმომადგენელიც არ უნდა იყოს პოლიტიკური ლიდერი, იგი ეკონომიკურად გაბატონებული (დომინანტი) კლასის ინტერესების დამცველია. მხოლოდ იქ, სადაც არსებობს ბალანსი კლასებს შორის, პოლიტიკურ ელიტას შესწევს უნარი იმოქმედოს დამოუკიდებლად. ელიტარისტები არ უარყოფენ ეკონომიკური ფაქტორის მნიშვნელობას, მაგრამ ამტკიცებენ, რომ ელიტას ძალუძს პოლიტიკური საშუალებებით აკონტროლოს, მართოს,

---

1 Pareto V.. The Mind and Society. N.Y.. 1935. p.207.

თუნდაც დაუპირისპირდეს ეკონომიკურ ძალებს. მარქსის მიხედვით, მნიშვნელოვანი სოციალური დაძაბულობა არსებობს წარმოების საშუალებების მფლობელ და ამის შედეგად საზოგადოების მმართველ კლასსა და იმ მართულ კლასსა ან კლასებს შორის, რომელთა ეკონომიკური მდგომარეობა აიძულებთ მათ, ანტაგონისტურად განეწყონ მმართველი კლასის მიმართ. ელიტარისტების შეხედულებით კი, სოციალურ და პოლიტიკურ დაძაბულობას ადგილი აქვს გაბატონებულ პოლიტიკურ ელიტასა და კონტრელიტას შორის, რომელსაც ხელეწიფება მისი ძალაუფლებისათვის ბრძოლაში გამოწვევა. მოსახლეობის მასა არაორგანიზებულია და პოლიტიკურ ფაქტორად მხოლოდ იმ შემთხვევაში იქცევა, თუ იგი დარაზმა რომელიმე ელიტამ. ელიტიზმზე მარქსის თეორიის მნიშვნელოვანი ზემოქმედების შედეგი იყო მეტოქე დოქტრინის სტიმულირება, რომელმაც პოლიტიკა და პოლიტიკური ხელმძღვანელობა ეკონომიკისადმი დაქვემდებარებისაგან გამოიყვანა.

ამრიგად, ელიტარისტებმა სამი მიმართულებით განახორციელეს შეტევა მარქსიზმის წინააღმდეგ. პირველი: წარმოადგენდა მარქსის თეორიის, როგორც მუშათა კლასის მოქმედებისა და ძალისხმევის ორიენტირებისათვის განკუთვნილი დროის მიხედვით შემოსამღვრული იდეოლოგიის მხილებას; მეორე ელიტარისტებმა უარყვეს მარქსის პრედიქცია (წინასწარმეტყველება) მომავალში უკლასო, ეგალიტარული საზოგადოების შექმნის შესახებ, რომელიც გააამათლებდა მარქსის რწმენას, რომ საზოგადოების იერარქიული სტრუქტურა არ წარმოადგენს გარდაუვალ-გადაულახავ სოციალურ-პოლიტიკურ ფენომენს; მესამე მათ უარყვეს თვალსაზრისი, რომლის თანახმად ეკონომიკა და არა პოლიტიკა წარმოადგენს განმსაზღვრელ ძალას საზოგადოების ისტორიაში.

მიუხედავად იმისა, რომ სოციოლოგიურ და პოლიტოლოგიურ ლიტერატურაში მოცემულია საერთოდ ელიტისა და, კერძოდ, პოლიტიკური ელიტის თეორიის რაციონალური დასაბუთება, მარქსისტულ საზოგადოებათმცოდნეობაში მრავალი წლის მანძილზე ელიტიზმის თეორიები, მათი ანტიმარქსისტული ორიენტაციის გამო, განიხილებოდა, როგორც ანტიდემოკრატიული, ტენდენციური, ფსევდომეცნიერული. ამდენად, იგი პრაქტიკულად არ გამოიყენებოდა პოზიტიური მნიშვნელობით.

ელიტიზმისადმი მარქსისტული მოძღვრების ნეგატიურმა დამოკიდებულებამ არ შეუშალა ხელი ვ.ი. ლენინს შეემუშავებინა პოლიტიკური ელიტის სპეციფიკური თეორია. პარტიის ავანგარდულ-ელიტარული როლის დასაბუთება მან განახორციელა 1903 წელს ნაშრომში "რა ვაკეთოთ?". სადაც ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ მეფის რუსეთის სპეციფიკურ პირობებში არ არის მიზანშეწონილი გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის მსგავსი მასობრივი ორგანიზაციის დაარსება; საჭირო და აუცილებელიცაა მცირერიცხოვანი, დიდად ორგანიზებული, რკინისებრი დისციპლინის კადრის პარტიის შექმნა. ვ.ი. ლენინის გეგმით, ეს უნდა ყოფილიყო "აგენტთა სამხედრო ორგანიზაცია". ის მოითხოვდა ისეთ ადამიანთა ორგანიზაციის შექმნას, რომელ ისათვის ერთადერთი საქმიანობა რევოლუციური მოღვაწეობა იქნებოდა - ე.ი. "პროფესიონალ რევოლუციონერთა ორგანიზაციის" ჩამოყალიბებას. მათ ეკისრებოდათ ამოცანა რუსეთის მუშათა კლასში შეეტანათ დოგმატიზებული მარქსიზმი, დაერაზმათ და წაეყვანათ მასები პროლეტარული რევოლუციისაკენ. არ იყო სავალდებულო პროფესიონალი რევოლუციონერები ყოფილიყვნენ პროლეტარები. ე.ი. ლენინის თეორიის ერთ-ერთი პარადოქსი ის იყო, რომ მუშათა კლასის საქმისათვის მებრძოლი ორგანიზაცია არ უნდა ყოფილიყო მუშათა ორგანიზაცია, როგორც შენიშნავს დასავლეთში ფართოდ ცნობილი სოვეტოლ-

ოგი მ. ვოსლენსკი, იგივე პარადოქსულობა გამოვლინდა, აგრეთვე, ორგანიზაციის სტრუქტურის საკითხშიც. ყველაზე ფართო დემოკრატიისათვის მებრძოლი ეს ორგანიზაცია თვითონ არ უნდა ყოფილიყო დემოკრატიული.[1] ვ.ი. ლენინის გეგმით გათვალისწინებული იყო თავისებური რევოლუციური კოჰორტის შექმნა, რომელიც დაეფუძნებოდა კონსპირაციასა და ეროიერთთავდებობას[2]. მას უნდა განეხორციელებინა კონტროლი პარტიის ყველა დანარჩენ წევრზე. პარტიული ორგანიზაციის წევრობა აუცილებელ მოთხოვნას წარმოადგენდა. ვ.ი. ლენინის გეგმის შესაბამისად ჩამოყალიბდა ორი განსხვავებული, თუმცა ურთიერთშემავსებელი, საერთო სახელწოდების მქონე (რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია) ორგანიზაცია: პროფესიონალ რევოლუციონერთა ორგანიზაცია და მისადმი დაქვემდებარებული პარტიის ორგანიზაციები საკუთრივ პარტია. პროფესიონალ რევოლუციონერებს გაბატონებულ პარტიულ ელიტას ამოძრავებდა რევოლუციის გზით ძალაუფლების ხელში ჩაგდების უძლიერესი სურვილი, რაც, ამ ერთი მუჭა ინტელიგენტებს, მათი "ხმაურიანი ენერგიის" მიუხედავად, არ ძალუძდათ რევოლუციის პოლიტიკური არმიის - მუშათა კლასის გარეშე. მიზნად გამოცხადებული იყო პროლეტარიატის დიქტატურა, მაგრამ ოქტომბრის გადატრიალებამ, ფაქტობრივად პარტიის დიქტატურა დაამყარა, რომლის სათავეში მოექცა პროფესიონალ რევოლუციონერთა მცირერიცხოვანი ფენა. ძალაუფლების მოპოვების შემდგომ პერიოდში შეიცვალა პარტიის ფუნქციონალურ -სოციალური ბუნება, რაც გაპირობებული იყო საზოგადოებასა და სახელმწიფოში მისი დომინანტური პოლიტიკური პოზიციით. მხედველობაში მისაღებია ის ვითარება, რომ

---

1 Восленский М. Номенклатура, журн., "Новый Мир". 1990. /6. с. 207.

2 Там же.

საბჭოთა პოლიტიკური ელიტის ფორმირება არ წარმოადგენდა ხანმოკლე პროცესს. თავდაპირველად, სამოქალაქო ომისა და ახალი ეკონომიკური პოლიტიკის ფუნქციონირების პირველ წლებში, საზოგადოების სოციალურ სტრუქტურაში მმართველი სტრატის გამოყოფა გარკვეულწილად უსისტემოდ მიმდინარეობდა. ამ სოციალური ერთობისადმი კუთვნილების განმსაზღვრელ კრიტერიუმს რევოლუციის წინაშე დამსახურება შეადგენდა. სოციალური თვალსაზრისით, მმართველთა ფენა არაერთგვაროვანი იყო - "გონის არისტოკრატით" დაწყებული, ნახევრად უწიგნური მუშით დამთავრებული. ასევე კონტრასტულ ფენომენს წარმოადგენდა "ამა ქვეყნის ძლიერთა" ფსიქოლოგიაც რევოლუციური ფანატიზმი უთავსდებოდა მაროდიორის სიხარბეს.

უზარმაზარ ქვეყანაში მთელი ცხოვრების გასახელმწიფოებრიობისა და მმართველი პარტიის მონოპოლიური მდგომარეობის პირობებში, პროფესიონალ რევოლუციონერთა ლენინურ ორგანიზაციას მცირერიცხოვნობის გამო არ შეეძლო უზრუნველეყო სწრაფად მზარდ პარტიულ და სახელმწიფო აპარატში ყველა საპასუხისმგებლო თანამდებობის დაკავება. ხელისუფლებრივ სტრუქტურებში წარმოქმნილ ვაკუუმში ინტენსიურად მიიწევდა მედროვე კარიერისტების ზვავი. ასეთ ვითარებაში კადრების შერჩევის აუცილებლობა ეჭვს არ იწვევდა. გამოინახა ახალი კრიტერიუმები, რომელთა საფუძველზე უნდა მომხდარიყო მმართველი კადრების ახალი ფენის ფორმირება. განმსაზღვრელ ფაქტორს წარმოადგენდა სათანადო სოციალური წარმოშობა (პიროვნება არ უნდა ყოფილიყო წარმოშობილ [illegible]ავადაზნაურთა ან ბურჟუაზიული წრიდან), ორგანიზაციის წევრობა (პარტიის ან კომკავშირის) და პოლიტიკური საიმედოობა. ამ უკანასკნელს ენიჭებოდა განსაკუთრებული და გადამწყვეტი მნიშვნელობა. სტალინმა შექმნა პოლიტიკური ელიტის რეკრუტირების ნომენკლატურული სისტემა, რამაც დასაბამი მისცა ნომენკლატუ-

რის ფორმირების პროცესს. "ნომენკლატურა, შენიშნავს ამერიკელი პოლიტოლოგი ზ. ბორგი, - მატერიალურ - ინსტიტუციონალური გამოხატულებაა სტალინური ლოზუნგისა "კადრები წყვეტენ ყველაფერს"[1]. საბჭოეთში ელიტარობა ხელისუფლების ფუნქციას შეადგენდა და სახელმწიფოებრივი სტრუქტურების იერარქიაში სათანადო თანამდებობის დაკავება "მაღალი საზოგადოებისადმი" კუთვნილებას განაპირობებდა. საბჭოთა ელიტისათვის ეს იყო თანამდებობისათვის დაუნდობელი და სასტიკი ბრძოლის პერიოდი. მედროვე კარიერისტები ბრძოლის მეთოდებად წარმატებით იყენებდნენ უკიდურესად გამძაფრებულ ადამიანურ მანკიერებებს - მოქრთამვას, დასმენას, პროვოკაციას, სიცრუეს; არ ერიდებოდნენ მკვლელობასაც, "არსებობისათვის ბრძოლის" მსვლელობაში მიმდინარეობდა განსაკუთრებით "ნიჭიერ ინდივიდთა" კარიერისტ-ფუნქციონერთა გამოყოფის პროცესი. ახლა მათ საერთო ფსიქოლოგიური თარგი აერთიანებდა. ეს იყო დირექტივების განმახორციელებელთა ფართო ფენა. მოხდა პარტიის ბიუროკრატიზაცია, რომელიც, არსებითად, მბრძანებელთა და შემსრულებელთა ორი ფენისაგან შედგებოდა. ასეთი პრინციპით აიგო მთელი საბჭოთა საზოგადოება.

გადასახლებაში მყოფი ტროცკი ნაშრომში "გაცემული რევოლუცია"[2] ამტკიცებდა, რომ საბჭოთა კომუნისტური "ბიუროკრატია" - კომუნისტური პოლიტიკური ელიტა - საბჭოთა საზოგადოების ექსპლოატატორულ ფენას წარმოადგენს, მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა სახელმწიფო ჯერ კიდევ არის და რჩება მუშათა სახელმწიფოდ წარმოების საშუალებების განსაზოგადოების დონის მიხედვით, იგი მაინც გადაგვარების პროცესში

1 Borg, G. Class Struqturre of Advanced Societies. N.Y. -L. 1972, p.88.
2 ტროცკის წიგნის ფრანგული სახელწოდება, რომელიც რუსულად დასათაურებელია "რა არის სსრკ და სით მიდის ოგი". იხ. Дойчер И. Троцкий в изгнании. М. 1991, с.299.

იმყოფება, რამდენადაც აქ სახელმწიფო ხელისუფლება უზურპირებულია სტალინისა და საბჭოთა ბიუროკრატიის მიერ. ტროცკის აზრით, ამ ვითარების გამომწვევ მიზეზს წარმოადგენდა რუსეთის ეკონომიკური და კულტურული ნამორჩენილობა და მსოფლიო პროლეტარული რევოლუციის დაყოვნება. ტროცკი საბჭოეთის მმართველ პოლიტიკურ ელიტას "პარაზიტულ ფენას" უწოდებდა.

პარტია ხელმძღვანელ როლს თავისი უჯრედების შექმნით ახორციელებდა სამინისტროებში, საზოგადოებრივ ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში, არმიასა და საწარმოებში და ა.შ., რაც კონტროლის მეტად ეფექტიან მეთოდს წარმოადგენდა, მთლიანად ქვეყნის მასშტაბით გადაწყვეტილებათა გამოტანა მხოლოდ პარტიული ელიტის - ნომენკლატურის კომპეტენცია იყო, დასაწყისში პარტიული აპარატი პარტიის შიგნით ახორციელებდა ხელმძღვანელობას და კადრების შერჩევას, შემდგომში კი სახელმწიფოში ყველა მმართველი ორგანოს კადრების შერჩევა მხოლოდ პარტიულ აპარატს მიენდო. მოელი სახალხო მეურნეობის ხელმძღვანელობა პარტიული რეკომენდაციებით კომპლექტდებოდა, რომელთაც კანონის ძალა ჰქონდათ.

საბჭოთა ნომენკლატურული ელიტა, რომლის სათავეში ი. სტალინი იდგა, შემდეგ ელიტარულ ჯგუფებს მოიცავდა:

1. ქვეყნის ხელმძღვანელობა პოლიტბიურო და სკკპ ცკ-ს სამდივნო - განასახიერებდა საკანონმდებლო ხელისუფლებას;
2. სკკპ ცკ-ს აპარატის ხელმძღვანელები - წარმოადგენდნენ აღმასრულებელ ხელისუფლებას;
3. სკკპ რეგიონული კომიტეტების ხელმძღვანელები;
4. მინისტრები;
5. ძალოვანი სტრუქტურების ხელმძღვანელები;
6. საბჭოების ხელმძღვანელები;
7. მაღალი რანგის დიპლომატები;

8. ახალგაზრდული, პროფკავშირული, შემოქმედებითი. და სხვა კავშირების, საზოგადოებათა, ორგანიზაციათა ხელმძღვანელები.[1]

მ. ვოსლენსკის მიხედვით, ნომენკლატურის რაოდენობა 750 ათასი კაცი იყო, ოჯახებით 3 მილიონი, უფრო ზუსტად, მთელი მოსახლეობის 1,5%-ს შეადგენდა. მ. ვოსლენსკის აზრით, ნომენკლატურის სოციალური ბაზა საბჭოთა ელიტა იყო. განსხვავებულ მოსაზრებას ავითარებს ცნობილი რუსი ელიტოლოგი გ. აშინი. იგი სავსებით სამართლიანად თვლის, რომ ნომენკლატურა უფრო ფართო ცნებაა, ვიდრე ელიტა, რომელსაც ხელმძღვანელი პოსტები ეკავა ნომენკლატურულ იერარქიაში. ამიტომ, საბჭოთა ელიტების რაოდენობა გაცილებით დაბალია. პოლიტიკურ ელიტაში შედიოდა, აგრეთვე, სკკპ ცკ-ს წევრობის კანდიდატები და წევრები, სკკპ ცკ-ს სარევიზიო კომისიის წევრები. ესეც გარკვეული აზრით, ფორმალური მიდგომაა და დაზუსტებას საჭიროებს. აქ შეიძლება არ შესულიყვნენ საოლქო კომიტეტის პირველი მდივნები, სკკპ ცკ-ს გავლენიანი განყოფილების გამგეები, სამხედრო ზედა ფენის ზოგიერთი წევრები, მინისტრები, აგრეთვე სკკპ ცკ-ს ზოგიერთი წევრი და კანდიდატი (ე.წ. მშრომელთა წარმომადგენლები, რომლებიც არ ფლობდნენ ხელისუფლების რესურსებს, მართვის ხელოვნებას და ა.შ. მოკლედ რომ ვთქვათ, დე ფაქტო ორ ნიშნავდა პოლიტიკური ელიტისადმი კუთვნილებას)[1].

მ. ვოსლენსკის აზრით, ნომენკლატურამ გამოდევნა და ფიზიკურად გაანადგურა პროფესიონალ რევოლუციონერთა ლენინური კოჰორტა. მ. ვოსლენსკის მიხედვით. "სსრკ-ს ახალი გაბატონებული კლასის წარმოშობა სამ ეტაპად განხორციელდა:

---

1 Мухаев Р.Т., Политология. М., 1997. с. 107.

2 Ашин Г. Рекрутирование элиты, журн. "Власть". 1997. 5 с. 28.

პირველი ეტაპი იყო ძველი საზოგადოების წიაღში პროფესიონალ რევოლუციონერთა დეკლასირებული ორგანიზაციის "ახალი კლასის" ნანასახის შექმნა; მეორე ეტაპი იყო ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ ამ ორგანიზაციის ხელისუფლების სათავეში მოსვლა და ორი მმართველი ფენის წარმოქმნა: უმაღლესის ლენინურისა, რომელიც პროფესიონალ რევოლუციონერთა და მისი ქვემდებარე სტალინური ნომენკლატურისაგან შედგებოდა. მესამე ეტაპი იყო ლენინური გვარდიის ლიკვიდირება სტალინური ნომენკლატურის მიერ[1]". როგორც შემდეგ შენიშნავს მ. ვოსლენსკი, ამ სამსაფეხუროვანი პროცესის ყოველ ეტაპს გააჩნდა სოციალურ-ფსიქოლოგიური საფუძვლები და ისტორიული საზრისიც. გაბატონებული კლასის ყარმოქმნის სამსაფეხურიანი სქემა რეალური სოციალიზმის ყველა საზოგადოების სოციალური სტრუქტურისათვის იყო დამახასიათებელი და ისტორიულ კანონზომიერებას წარმოადგენს[2].

ორმოცდაათიან წლებში ბროზ ტიტოს უახლოესი თანამებრძოლი მილოვან ჯილასი იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის სოციალური სტრუქტურის კვლევის საფუძველზე მივიდა დასკვნამდე, რომ ტოტალიტარული სოციალიზმის საზოგადოების პარტიული ბიუროკრატია პრივილეგირებული ცხოვრების წესით წარმოადგენს საზოგადოების "ახალ კლასს"[3], რომელიც განკარგავს წარმოების საშუალებებს საკუთარი ინტერესების შესატყვისად, თუმცა ნომინალურად ქვეყნის წარმოების საშუალებები საერთო-სახალხო საკუთრებას

---

1 Восленский М. Номенклатура, журн. "Новый Мир". 1990, /6, с. 207.

2 Там же, с.218-220

3 ტერმინი "ახალი კლასი" მეცნიერული ხმარებაში შემოიტანა მ. ჯილასმა. См. Современная западная социоология, словарь М., 1990, с.224.

წარმოადგენდა[1]. მ. ჯილასზე გარკვეული ზეგავლენა მოახდინა ყოფილი ტროცკისტის ჯეიმ ბერნემის ნააზრევმა, რომელიც თავის გახმაურებულ ნაშრომში "მენეჯერული რევოლუცია" უპირატეს მნიშვნელობას ანიჭებს არა წარმოების საშუალებების მფლობელობის ფორმებს, არამედ კონტროლს წარმოების საშუალებებზე, რომელსაც ახორციელებს ახალი მენეჯერული ელიტა[2].

ტოტალიტარული სოციალიზმის ქვეყნებში რეალური ხორცშესხმა პოვა ელიტის პარტოკრატიულმა თეორიამ, ამ თეორიის ფუძემდებელი ნიშან-თვისებებია: პოლიტიკური ელიტის მესიანური ხასიათი[3], იგი მინნეულია ინტერნაციონალურ ძალად, პოლიტიკური ელიტის ისტორიული მოწოდებაა გლობალური მასშტაბით უხელმძღვანელოს კაცობრიობის გადასვლის პროცესს ეგალიტარულ საზოგადოებაზე. ეს მსოფლიო-ისტორიული ამოცანა - კაცობრიობის წინა ისტორიიდან მის ნამდვილ ისტორიაზე, კაპიტალიზმიდან კომუნიზმზე გადასვლა ეცნობრება საერთაშორისო კომუნისტურ მოძრაობას. პოლიტიკური ქლიტის უმნიშვნელოვანესი განმსაზღვრელი ნიშანთვისებებია იდეოლოგიურობა და პოლიტიკური ხელმძღვანელობის ყოვლისმომცველი ხასიათი. კომუნისტური პარტიულ-სახელმწიფოებრივი ელიტა მოწოდებულია უშუალოდ უხელმძღვანელოს საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროს, მის უარსებითეს ფუნქციას წარმოადგენს პოლიტიკური მმართველობა, ხოლო "ერთადერთი" ჭეშმარიტი იდეოლოგიით შეიარაღება განსაზღვრავს მის მოწინავე მახასიათებლებს, წარმოადგენს საზოგადოების წარმატებით ხელმძღვანელობის გარანტიას. პოლიტიკური ელიტა, მკაცრი იერარქიული სტრუქტურული წყობით, შინაგან ურთიერთობათა მი-

---

1 Djilas M. The new class, L., 1967.

2 See: Burnhan J. The Managerial Revolution. L., 1942

3 რუსეთის რევოლუციაში, - წერს ნ. ბერდიაევი, -მოხდა ორი ხალხის შეხვედრა და გაერთიანება - პროლეტარიატისა და რუსი ხალხის. რუსი ხალხი ეკავშირებული იყო პროლეტარიატთან, რომელსაც იგი სავსებით არ შეესაბამებოდა ემპირიულად..
См. Бердяев Н.А. Правда и ложь коммунизма, Париж, 1931, с.10.

ლიტარიზაციით, ჯგუფობრივი ინტეგრაციის მაღალი დონით, ემსგავსება არმიის სტრუქტურებს და, როგორც აღნიშნავდა ი. სტალინი ნაშრომში "ლენინიზმის საკითხები", იყოფა "გენერლებად", "ოფიცრებად", "უნტეროფიცრებად". ფაქტობრივად ძალაუფლება უმაღლესი ხელმძღვანელობის ხელშია თავმოყრილი.

ტოტალიტარული სოციალიზმის ქვეყნებში პოლიტიკური ელიტის რეკრუტირების ნომენკლატურული სისტემის სოციალურ-პოლიტიკური შედეგების ნეგატიურობას მნიშვნელოვანწილად აღრმავებდა ამ სისტემის ყოვლისმომცველი ხასიათი, კონკურენტული საბაზრო მექანიზმების სრული ამოძირკვა, პარტიული, ადმინისტრაციული და სამეურნეო ხელმძღვანელი კადრების შერჩევის იდეოლოგიზაცია და პოლიტიზება. ტოტალიტარული სოციალიზმის საზოგადოებებში ამდაგვარ განსაზღვრელ ფაქტორებს წარმოადგენდა სრული იდეოლოგიური და პოლიტიკური კონფორმიზმი (საბჭოური საკადრო ტერმინოლოგიით "პოლიტიკური სიმწიფე"), პარტიულობა, ზემდგომი ხელმძღვანელებისადმი პირადი ერთგულება, მაამებლობა, პირმოთნეობა, მლიქვნელობა, ნათესაური კავშირები (ნეპოტიზმი),[1] საკუთარი პრინციპების, ზნეობრივი და პოლიტიკური პოზიციის უქონლობა, აპარატის "თამაშის წესების" ცოდნა, სოლიდური სტაჟი და ნამსახურობის ნუსხა, მოჩვენებითი აქტიურობა და ა.შ. ამ და სხვა ნორმატიული ფილტრებით ხორციელდებოდა მაღალი ინტელექტუალური, ნებელობითი და, საერთოდ, პოზიტიური ინდივიდუალური თვისებების მქონე ადამიანთა გაცხრილვა. ამდაგვარი პროცედურა ამახინჯებდა პიროვნებებს, ქმნიდა უფერული, იდე-

1 ყურადსარებია საგულისხმო ფაქტი, რომ საბჭოური ტიპის რეალური სოციალიზმის საზოგადოებებში ხელმძღვანელ პირთა შთამომავლობამ გაცნობიერა პოლიტიკური კარიერის ხიფათი ტოტალიტარული სოციალიზმის ქვეყნებში, და ამჯობინა მოღვაწეობის შედარებით მუუდრო სარბიელი მეცნიერების, კულტურისა და საგარეო ვაჭრობის სფეროში.

ოლოგიურად დაკომპლექსებული, ნამდვილი ინიციატივის უნარს-მოკლებული ხელმძღვანელი მუშაკის მასობრივ ტიპს.[1] გაზვიადება არ იქნება თუ ვიტყვით, რომ ჩამოყალიბდა ნახევრადინტელიგენტის ახალი ანთროპოლოგიური ტიპი დამახასიათებელი სახის გამომეტყველებით, ქცევის მანერებით და ა.შ. საბჭოთა პოლიტიკური ელიტის ფორმირების პროცესში 50-იანი წლების მეორე ნახევარი აღსანიშნავია იმით, რომ ამ პერიოდისათვის მოწესრიგდა თანამდებობათა დაკავების პროცედურა. "წესების გარეშე" ბრძოლა შეცვალა ბრძოლამ "წესების დაცვით". საბჭოთა ელიტა როგორც სტრუქტურულად, ისე სოციალურ ასპექტში უფრო ერთგვაროვანი გახდა. სახელმწიფო ხელისუფლების ზედა ეშელონების შევსება მსგავსი ბიოგრაფიის პიროვნებებით, ხშირად გლეხთა წრიდან გამოსული უმაღლესი განათლების მქონე ადამიანებით ხდებოდა. ამავე დროს, როგორც ამ პროცესის სრულიად კანონზომიერი თანმდევი ფენომენი საგრძნობლად განმტკიცდა მმართველი ელიტის ფსიქოლოგიური ერთიანობა. ხოლო 60-იანი წლების მეორე ნახევრიდან მოყოლებული, იქმნება სუბიექტური და ობიექტური წანამძღვრები ნომენკლატურის ძალისხმევის გაფართოებისათვის, რომელიც მიზნად ისახავდა სახელმწიფო მმართველობის მუდმივად დასაკუთრებას. ამის შედეგად სახელმწიფო ხელისუფლების იერარქიის ყველა საფეხურზე შენელდა თანამდებობათა სუბიექტების მონაცვლეობის პროცესი. ასეთ ვითარებაში, ბუნებრივია, დაიწყო საბჭოთა ელიტის გარდაუვალი დაბერება. ერთდროულად მოხდა საზოგადოების სოციალურ-პოლიტიკური განვითარების შეკავება-დამუხრუჭება, რამაც თვისებრივად ახალი სიტუაცია შექმნა - ქვეყანა სტანგაციის მორევში ჩაიძირა. უძრაობის წლებში საბოლოოდ ჩამოყალიბდა საბჭოთა "ახალი კლასის" - მმართვე-

1 См. "Основы политической науки", (под ред. В.П. Пугачева) М., ч.I, 1995, с.183.

ლი ელიტის სოციალური იერსახე. პარტიული და სახელმწიფო-ბიუროკრატიული თანამდებობანი აშკარად იქნა მინნეული სახელმწიფო-საზოგადოებრივი საკუთრების არაპროპორციულად მნიშვნელოვანი წილით სარგებლობის შესაძლებლობის მექანიზმად. ამავე პერიოდში, ერთი მხრივ, საგრძნობლად გაფართოვდა სსრკ-ის და რეალური სოციალიზმის ბანაკის სხვა სახელმწიფო ელიტები: ახლა მათ მიეკუთვნებოდნენ არა მხოლოდ პარტიული და სახელმწიფო აპარატის უმაღლესი რანგის ფუნქციონერები, დამსჯელი ორგანოების ჩინოსნები, არამედ სოლიდური რანგის მრავალრიცხოვანი ადმინისტრაციული ტექნიკური, ეკონომიკური ხელმძღვანელები საბჭოთა მეურნეობათა დირექტორების "აგრობარონების" ჩათვლით და ა.შ. მეორე მხრივ, ელიტა დაიყო კარჩაკეტილ კლანებად. საზოგადოებაში ჩამოყალიბდა ელიტარული და ნახევრადელიტარული კორპორაციები, რომლებიც თავიანთ ინტერესებსა და პრივილეგიებს იცავდნენ.

უძრაობის პერიოდში ფაქტობრივად შეწყდა ელიტების ცირკულაცია-განახლების პროცესი, ნომენკლატურული სისტემა ერთი შეხედვით მტკიცდება, სინამდვილეში კი ლპობას განიცდის. უმაღლესი აღმასრულებელი და საკანონმდებლო თანამდებობები "ბრეჟნევური კოჰორტის" წარმომადგენლებს სიკვდილამდე ჰქონდათ დაკავებული. პოლიტიკური ელიტის საშუალო ასაკი 60 წელს უახლოვდებოდა, ქვეყანაში ფაქტობრივი გერონტოკრატია დამყარდა. თანამდებობისაკენ მიმავალი გზა მოჭრილი ჰქონდათ ინტელექტუალებს. ყოველივე ეს მათ ერთი მხრივ ემიგრაციისაკენ უბიძგებდათ, მეორეს მხრივ, დისიდენტური მოძრაობისაკენ. ქვეყანაში თანდათან ყალიბდება კონტრელიტა, რომლის შემოქმედებითი შესაძლებლობები და მორალური თვისებები გაცილებით აღემატებოდა მმართველი ელიტის ანალოგიურ მონაცემებს. ქვეყნის პოლიტიკურმა, ეკონომიკურმა და სოციალურმა განვითარებამ მთელი სიგრძე-სიგანით დააყენა პოლიტიკ-

ური ელიტის განახლების აუცილებლობა და პოლიტიკური სისტემის რეორგანიზაცია.

მმართველი ელიტის "განვითარების" პროცესში ისტორიული გარდაუვალობით დადგა მომენტი, როდესაც მისთვის უკვე ვიწრო გახდა ძველი საზოგადოებრივი და პოლიტიკური ჩარჩოები და მან ენერგიული მოქმედება იწყო საზოგადოებრივი წყობილების თავის სასარგებლოდ შეცვლისათვის. ეს პროცესი განსაკუთრებით მკაფიოდ გამოიკვეთა ე.წ. "პერესტროიკის" წლებში "გორბაჩოვის ერის" დროს. პოლიტიკურ ელიტას სურდა საზოგადოებაში განემტკიცებინა თავისი ფაქტიური ბატონობა de jure. გარდაქმნის მიმართულებები, მიზნები და შესაძლო შედეგები წინასწარ იქნა განსაზღვრული. ამ პოლიტიკური პროცესის "არქიტექტორები" ინიციატორები და მაძიებელნი ხელმძღვანელობდნენ არა ჰუმანური და დემოკრატიული მოტივებით, არამედ გაბატონებული ელიტის ეკონომიკური ინტერესებით.

"კერძო მესაკუთრედ" გადაქცევისათვის ელიტას აუცილებლად უნდა გაეუქმებინა "სოციალისტური" საკუთრება და დაემსხვევრია მისი შეაბამისი სახელმწიფოებრივი ზედნაშენი, რომელიც ათეული წლების მანძილზე მისი შეუბღალავი ბატონობის საფუძველს შეადგენდა. ამრიგად, გაშუალებული ბურჟუაზიული ურთიერთობები, რომლებიც 60-70-იან წლებში ჩამოყალიბდა, უშულო ბურჟუაზიულ ურთიერთობებად გადაიქცა. ჰეგელის ტერმინოლოგია რომ მოვიშველიოთ, პოლიტიკურმა ელიტამ მოახდინა თავის თავის მოხსნა და გადაიქცა ბურჟუაზიულ ელიტად." ტერორზე დაფუძნებული კრიმინალური სახელმწიფო, განაცხადა გარდაქმნის ერთ-ერთმა მთავარმა ინიციატორმა ა. იაკოვლევმა "კრიმინალური ქრონიკის" კორესპონდენტთან ინტერვიუში, გადაიქცა ვულგარული სისხლის სამართლის დანაშაულზე დამყარებულ კრიმინალურ სახელმწიფოდ. ვინაიდან არ დააყოვნა იმ დროის დადგომამ,

როდესაც ხელისუფლება ... შეუერთდა პროფესიულ ქურდებს, თაღლითებს, მძარცველებს. მკვლელებს. შიშის ხელისუფლებიდან გადავედით ფულის ხელისუფლებაზე"[1].

მ. გორბაჩოვი მიზნად ისახავდა სისტემის გადარჩენას, მმართველი ელიტის რიგებიდან კონსერვატიული ელემენტების გამოდევნას. მაგრამ ყოველივე ეს შეუძლებელი იყო. კომუნისტური პარტიის ხელისუფლებრივი მონოპოლიის პირობებში პოლიტიკური სისტემა პრინციპულად არარეფორმირებადი იყო. აქედან გამომდინარე, გადაქმნა და საჯაროობა ფაქტობრივად განწირული იყო. ყოველივე ეს ისტორიამ დაადასტურა. მიმდინარეობდა მმართველი ელიტის მუდმივი წმენდა, მაგრამ არც ამას შეეძლო ეშველა გორბაჩოვის კურსისათვის, რადგანაც საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა ანგრევდა საბჭოთა პარტიული ელიტის სიმყარეს, საფრთხეს უქმნიდა მთელ ელიტარულ ისტებლიშმენტს. "რევოლუცია ზემოდან" ნიშნავდა საკუთარი ბატონობის დამხობას და, ბუნებრივია, მმართველი ელიტა ვერ წავიდოდა ასეთ ქმედებაზე.

მიუხედავად ზემოთ თქმულისა, გარდაქმნას უკვალოდ არ ჩაუვლია. ნებით თუ უნებლიედ პოლიტიკური სისტემის რეფორმირების ნაცვლად მივიღეთ მისი არაცივილიზებული ნგრევის პროცესი, რამაც გზა გაუხსნა ბურჟუაზიულ ურთიერთობებზე გადასვლას. გარდაქმნის პერიოდში მოხდა მმართველი ელიტის გაახალგაზრდავება. "გორბაჩოვის კოჰორტის" საშუალო ასაკი 52.2 წელს შეადგენდა, გაიზარდა სოციალური მობილობის ტემპები, გზა გაეხსნა დემოკრატიზაციის პროცესს.

ამრიგად, საბჭოთა კავშირში ნომენკლატურული სისტემის ანალიზი გვიჩვენებს, რომ კადრების შერჩევის ნომენკლატურული სისტემა იყო უსამართლო, არაეფექტური და არადემოკრატიული. მთლიანობაში საბჭოთა ელიტის რეკრუტირების სისტემა იყო

1 Газета "Панорама недели", 1997, 29.09-5.10. с.4.

დახურული და ვერ დაეთანხმებით მკვლევართა ნაწილის მსჯელობას, რომ თითქოს იგი .ნახევრად დახურულ მოდელს წარმოადგენდა (თუმცა დრო და დრო იქმნებოდა ამის შთაბეჭდილება, მაგრამ მთლიანობაში მაინც ელიტების ცირკულაციის პროცესი დახურულ ხასიათს ატარებდა) ავტორიტარულ და ტოტალიტარული პოლიტიკური სისტემები დახურული გაუმჯვირვალე ტიპის პოლიტიკურ ელიტებს წარმოშობენ[1]. ეს სრულებითაც არ ნიშნავს იმას, რომ ამ სისტემაში არ აღზრდილა უნარიანი და თვითმყოფადი აზროვნების მქონე პიროვნებები, რომლებიც "წარმატებით" მოღვაწეობენ პოსტსაბჭოთა რესპუბლიკებში. ნომენკლატურული სკოლა გაიარეს ბ. ელცინმა, ე.შევარდნაძემ, ნ. ნაზარბაევმა, გ. ალიევმა ხ. ნიაზოვმა ა.ბრაზაუსკასმა და სხვებმა,[2] რომლებსაც კონკურენცია ვერ გაუწიეს ეროვნული მოძრაობის ლიდერებმა, რომელთაც გავლილი არ ჰქონდათ სახელმწიო მართვის სკოლა.

ცენტრალურ და სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპაში 1989 წლის და სსრკ-ში 1991 წლის დიდმასშტაბიანი ისტორიული მოვლენების შემდგომ პერიოდში, პოსტტოტალიტარული სივრცის მრავალ რეგიონში დომინირებს არა ლიბერალურ -დემოკრატიული,

---

1 ისტორია გვიჩვენებს, რომ არ შეიძლება არსებობდეს უსტრუქტურო საზოგადოებები და, შესაბამისად, როგორც გამოჩენილი სოციოლოგი, პ. სოროკინი წერს - აბსოლუტურად დახურული და ღია ელიტები, სადაც გამორიცხული იყო ვერტიკალური მობილობა, ან კიდევ მიმდინარეობდეს აბსოლუტურად თავისუფალი დაწინაურებების პროცესი ხელმძღვანელ თანამდებობებზე. დახურულ მოდელს უახლოვდება ძველი აღმოსავლეთის დესპოტიები, განსაკუთრებით ძველინდური კასტური სისტემა, სადაც ბრაჰმანების კასტა გადაულახავი ზღუდეებით იყო გამოყოფილი კშატრიების კასტისაგან, ხოლო ღია მოდელს ნაწილობრივ განასახიერებს თანამედროვე დემოკრატიები. თუმცა ლაპარაკი თანბარი შესაძლებლობების საზოგადოებებზე უფრო უტოპიის სფეროს განეკუთვნება, ვიდრე პოლიტიკურ სინამდვილეს.

2 თუმცა ცხოვრება გვიჩვენებს რამდენად შეძლეს მათ "გარდაქმნა". ძველი სტერეოტიპების დაძლევა და, რაც მთავარია, ფორმალური შემსრულებელი პარტოკრატობიდან, ინიციატივიან. შემოქმედებით, არაფორმალურ ლიდერებად ქცევა. ხელისუფლების შენარჩუნების უნარი ერთია და მეორეა, მიაღწიო წარმატებებს გარდამავალი პერიოდის სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური, კულტურული და ეროვნული განვითარების რთულ სფეროებში.

არამედ ეროვნულ ღირებულებათა ორიენტაციები და იდეები, ნაციონალისტურმა ტენდენციებმა მოიცვა ლინგვო-ეთნიკური ერთობები როგორც ეკონომიკურად სუსტად განვითარებულ, ისე განვითარებული ეკონომიკის ქვეყნებში.[1]

ნაციონალიზმის პოსტტოტალიტარული ვარიანტის დამახასიათებელ ახალ ფენომენს წარმოადგენს ის, რომ მისი მთავარი მატარებელია ეთნოკრატია. ექსსოციალისტური ქვეყნების პოლიტიკურ სარბიელზე ამ სოციალური ერთობის გამოსვლამ განაპირობა ეროვნებათაშორისი კონფლიქტების სიმწვავე და ინტენსივობა. ისინი გასცდნენ ეროი სახელმწიფოს საზღვრებს და, როგორც არაერთგზის შენიშნავდა საქართველოს პრეზიდენტი, გლობალური პრობლემების ჟღერადობა შეიძინა. სოციალურ-პოლიტიკური სტრუქტურებისა და საზოგადოების მორალურ-ზნეობრივი საფუძვლების რღვევის პროცესში ყველაზე მტკიცე აღმოჩნდა სოციალობის მარტივი ეროვნული ფორმები. ასეთ ვითარებაში სახელმწიფო ხელისუფლების მოპოვების და შენარჩუნების აუცილებელ პირობად იქცა ეროვნული შეფერილობის იდეებისა და ლოზუნგების გამოყენება, ეთნოეროვნულ ერთობებზე დაყრდნობა. გარდა ამისა, ეროვნული იდეებით მანიპულირებამ პარტოკრატიულ და ბიუროკრატიულ კლანებს ხელსაყრელი პირობები შეუქმნა კომუნისტური იდეებისაგან "განწმენდისათვის". პირველი გამიჯვნა მმართველი ელიტების რიგებში 1988-1989 წლებში მოხდა, როდესაც "პერესტროიკის" მსვლელობაში თავიანთი სოციალურ-პოლიტიკური პოზიციებისათვის საფრთხე იგრძნეს.

---

1 მრავალეროვანი სახელმწიფოების-სსრკ-ის იუგოსლავიის დაშლამ ევრაზიის უზარმაზარ სივრცეებზე ეროვნული პრობლემების საყოველთაო გამწვავება გამოიწვია. ამ სიტუაციის თანმხლებ ფენომენს წარმოადგენს შეიარაღებული ეთნიკური კონფლიქტების (იუგოსლავიის კრიზისი, ყარაბაღი, აფხაზეთი, ტაჯიკეთი, ჩრდილოეთ კავკასია). სიმწვავე და ინტენსივობა,

პოლიტიკური ელიტის ერთი ნაწილი რესპუბლიკისა და საოლქო დონის პარტოკრატიული კლანების ნაწილი -შეეცადა "ცენტრის" ყველაზე კონსერვატიულ და რეაქციულ ძალებთან გაერთიანებას; მეორე ნაწილი კი, არ უგულებელყოფდა რა მოქმედების აღნიშნულ ვარიანტს, ძალისხმევას არ იშურებდა ეროვნულ ინტელიგენციასთან დაახლოებისათვის, რომლის წინააღმდეგ ადრეულ წლებში თანმიმდევრულად იბრძოდა, ვინაიდან მისი მოღვაწეობა საკუთარი ხელისუფლებრივი მონოპოლიის ხელყოფად მიაჩნდა. ცალკეულ შემთხვევებში ადგილობრივი პარტოკრატები პირდაპირ "შეეკრნენ" ეროვნულ მოძრაობას. ეს ვითარება მკაფიოდ გამოვლინდა რესპუბლიკების "სუვერენიტეტების აღლუმში" 1990-1991 წლებში, იქ ნატარებული თავისუფალი, თუ ნახევრადთავისუფალი არჩევნების შემდეგ. სწორედ ამ დროს იწყება კომუნისტური ნომენკლატურის "ეროვნული" ფერებით შენიღბვა.

სახელმწიფოებრივ სუვენერიტეტს, ხოლო შემდგომ სრულ სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობას დაჟინებით მოითხოვდა ეთნოკრატიის ყველა შემადგენელი ელემენტი, თუმცა ყოველი მათგანი დამოუკიდებლობის ცნებას საკუთარი შინაარსით ავსებს. ეროვნული ინტელიგენციისათვის, რომელიც XIX საუკუნის თვალსაზრისთა ზეგავლენას განიცდის, კონცეფცია "სახელმწიფო ერი"[1] უფრო ღირებულია, ვიდრე ადამიანის პირადი თავისუფლება და უფლებები. ჩრდილოვანი ეკონომიკის მესვეურნი "თავიანთ" სახელმწიფოს განიხილავენ, როგორც საშუალებას ადგილობრივ პარტოკრატიულ კლანებთან უკვე მოწესრიგებული კავშირების გამოყენებით უფრო ხელსაყრელი

1 სრული ეროვნული თვითცნობიერებისა და ეროვნული ნების მატარებელ ეთნოსს, რომელსაც თავისი ერთობა აქვს რეალიზებული სუვერენული სახელმწიფოს სახით. სოციალურ და პოლიტოლოგიურ ლიტერატურაში "სახელმწიფო - ერი" (Staatnation) ეწოდება.

პირობები შექმნან სახელმწიფო საკუთრების პრივატიზაციისათვის და სწარფი ტემპით მოახდინონ საკუთარი ინტერესების ლეგალიზება. ექსნომენკლატურისათვის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა უკანასკნელი შანსია შეინარჩუნოს თავისი ადგილი სისტემაში "ხელისუფლება-საკუთრება". ამავე ამოცანას ექვემდებარება მისი ძალისხმევა, შეინარჩუნოს მთლიანად "საქვეუწყებო" ტერიტორია, მიუხედავად მოსახლეობის რეალური შემადგენლობისა და კომუნისტური ელიტის მიერ თვითნებურად დადგენილი საზღვრებისა.

მმართველი ელიტების ერთნოკრატიული ატრიბუტი ავტორიტარიზმი განსაკუთრებით რელიეფურად ვლინდება "თავის" ტერიტორიაზე სხვა ხალხების. იმ უფლებების აღიარების უარყოფაში, რომლის რეალიზაციას ელიტებმა თავისთვის უკვე მიაღწიეს, ეთნოკრატიის გააფთრებულ წინააღმდეგობას იწვევს ეროვნულ უმცირესობათა თვითგამორკვევის მოთხოვნა, განსაკუთრებით, თუ საქმე ეხება მათ შესაძლო ტერიტორიულ გამოყოფას. ეთნოპოლიტიკური სიტუაციის შეცვლის ტენდენციები თავდაპირველად მკვეთრად გამოვლინდა იუგოსლავიის სოციალისტურ ფედერაციულ რესპუბლიკაში, 80-იანი წლების დამდეგს აქ "ეთნიკური წმენდის ლოზუნგით გამოვიდნენ ალბანელი ნაციონალისტები (კოსოვოს ოლქი). მოგვიანებით ამდაგვარ მოთხოვნებს პრაქტიკულად ახორციელებდნენ ბოსნიელი და ჰერცეგოვინელი ნაციონალისტები. ანალოგიურმა ტენდენციებმა თავი ინინა ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებში."

საკვლევ თემასთან დაკავშირებული სპეციალური პოლიტოლოგიური და სოციოლოგიური ლიტერატურის შესწავლამ და ანალიზმა, აგრეთვე, საზოგადოებრივ-პოლიტიკური ხასიათის ინფორმაციის სისტემატურმა გაცნობამ პოსტტოტალიტარულ ქვეყნებში, პირველ რიგში საქართველოში მიმდინარე სოციალურ და პოლიტიკურ პროცესებზე დაკვირვებამ შესაძლებლობა მოგვცა

დასკვნის გამოტანისა, რომ ექსსოციალისტური ქვეყნების პოლიტიკურ სისტემებში ზოგიერთი გამონაკლისის გარდა ჯერ კიდევ შენარჩუნებულია საბჭოთა ტიპის სისტემის მრავალი ელემენტი. მიუხედავად კომუნისტური პარტიის მონოპოლიური მდგომარეობის გაუქმებისა, რამაც ხელისუფლების ახალი ინსტიტუტების (პრეზიდენტი პარლამენტი, ადგილობრივი მმართველობის ორგანოები) ჩამოყალიბება გამოიწვია. ჯერჯერობით ადრეა ვარაუდი პოსტტოტალიტარულ ქვეყნებში, კერძოდ საქართველოში, დემოკრატიული პოლიტიკური სისტემის ფორმირების პროცესის ახლო მომავალში დასრულების შესახებ. სახელმწიფოებრივი ხელისუფლება აქ არსებითად ავტორიტარულია, რაც სამოქალაქო საზოგადოების უმწიფრობის ბუნებრივი შედეგია. ამ პრობლემების ზოგიერთ ასპექტს დაწვრილებით შემდეგ პარაგრაფში განვიხილავთ.

§ 2. მეართველი პოლიტიკური ელიტა და კონტრელიტა გარდამავალი პერიოდის საქართველოში

(პრობლემის ზოგიერთი ასპექტი)

საქართველოში პირველი მრავალპარტიული, დემოკრატიული არჩევნების შედეგად ხელისუფლების სათავეში მოვიდა დისიდენტური ოპოზიცია, ეროვნული ძალები ზეიად გამსახურდიას ქეთაურობით, რომლებიც პოლიტიკურ ბლოკ "მრგვალ მაგიდაში" იყვნენ გაერთიანებული.

დისიდენტური პოლიტიკური პარტიების წარმატება არჩევნებში მათი მოღვაწეობის კანონსომიერ შედეგს წარმოადგენდა. მიუხედავად იმისა, რომ ათწლეულების განმავლობაში დისიდენტები უმცირესობაში იმყოფებოდნენ, ფაქტობრივად გამოხატავდნენ "გაუბედავი" უმრავლესობის "გაუმჟღავნებელ" ინტერესებს. პოსტსაბჭოთა სივრცის რესპუბლიკების ნაწილშიც არჩევნები ეროვნული ძალების გამარჯვებით დამთავრდა.

პოლიტიკური ელიტის რეკრუტირების ნომენკლატურული სისტემა, რომელიც თავისი ხასიათით დახურულ მოდელს წარმოადგენდა, თავისი არსებობის პერიოდში ხელისუფლებისაკენ მიმავალ გზას უკეტავდა შემოქმედებითი უნარის მქონე ინტელექტუალებს. პოტენციურ პოლიტიკურ ელიტას. ამას ემატებოდა ეოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში ეროვნული დამოუკიდებლობისათვის სწრაფვის იდეა, რაც კიდევ უფრო ართულებდა არსებული წყობილების წინააღმდეგ ბრძოლას რეგიონებში.

დისიდენტური ოპოზიციის საქმიანობა გაფართოვდა ნ.ხრუშჩოვის მმართველობის პერიოდში, მაგრამ მალე, უძრაობის ხანაში, დიდი სიძნელეები შეექმნა, როდესაც პრაქტიკულად შეწყდა პოლიტიკური ელიტების ცირკულაცია. განახლების კანონსომიერი პროცესი და იგი დახურულ კასტად იქცა. ქვეყანაში დამყარდა გერონტოკრატიის ეპოქა.

მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა წყობილების პოლიტიკური მტრების წინააღმდეგ, როგორც ცენტრში, ისე რეგიონებში, ოკუპაციებია - ხეგავლენის ლონისძიებების ფართო სპექტრს მიმართავდნენ, დაწყებული მორალური და ფსიქოლოგიური ზეწოლიდან, დამთავრებული ფიზიკური განადგურებით, დისიდენტური ოპოზიციის ლიკვიდაცია პრაქტიკულად შეუძლებელი გახდა. ამის მთავარი მიზეზი ის იყო, რომ ტოტალიტარული იმპერიული სახელმწიფოს წინააღმდეგ ბრძოლა საზოგადოების "დროებით მორჩილი" უმრავლესობის იდეალებს განასახიერებდა.

დისიდენტურ ოპოზიციას გააჩნდა მთელი რიგი თავისებურებები. საერთოდ, ოპოზიციის კლასიკური გაგება[1] უმრავლესობისადმი უმცირესობის დაპირისპირებას ნიშნავს. ე.ი. ოპოზიციონერები მებრძოლ უმცირესობას წარმოადგენენ. მაგრამ ისტორია ადასტურებს, რომ თეორიული დოგმები ყოველთვის არ შეესაბამება სინამდვილეს. ოპოზიცია შესაძლებელია უმრავლესობას შეადგენდეს, ხოლო მმართველი პოლიტიკური ელიტა უმცირესობის ინტერესებს გამოხატავდეს. რუსეთისა და სხვა რესპუბლიკების სინამდვილეში მოსახლეობის დიდი უმრავლესობა სხვადასხვა ფორმით ოპოზიციურათაა განწყობილი სამთავრობო ელიტის მიმართ .ა რაოდენ პარადოქსულადაც არ უნდა ჟღერდეს, მათ ინტე...ესებს კომუნისტები გამოხატავენ.

დისიდენტური ოპოზიციის მთავარი თავისებურება იქიდან მომდინარეობს, რომ იგი არ არის ტიპიური ოპოზიცია, რომელიც პოლიტიკური პლურალიზმის პირობებში ფუნქციონირებს. მისი მთავარი განმასხვავებელი ნიშანი ისაა,

---

1 "opposition" ლათინური სიტყვაა და დაპირისპირებას ნიშნავს.ოპოზიცია საზოგა..ოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროში არსებობს და განსხვავებული სახისა და ხასიათისაა. პოლიტიკური ოპოზიცია, ანუ კონტრელიტა დემოკრატიულ ქვეყნებში უპირისპირდება მმართველ ელიტას და მიზნად ისახავს არჩევნების გზით ხელისუფლების დაუფლებას.

რომ დისიდენტი რევოლუციონერია მხოლოდ ნეგატიური დესტრუქციული ასპექტით. იგი მოითხოვს ტოტალიტარული პოლიტიკური რეჟიმის და შესაბამისი სახელმწიფოებრივი წყობილების შეცვლას. მათი საქმიანობა საკუთარი სიცოცხლის ხელყოფის რეალურ საფრთხესთან არის დაკავშირებული და, ბუნებრივია, ასეთ ქმედებაზე წასვლა ძალუძთ ადამიანთა მცირე ჯგუფს ე.წ. დისიდენტებს, რომლებიც ლეგალურ და არალეგალურ პირობებში ახერხებდნენ თავიანთი შეხედულებების პროპაგანდას.

დისიდენტური ეროვნული მოძრაობის კონსოლიდაციისათვის ხელსაყრელი პირობები შეიქმნა გარდაქმნის პერიოდში, როცა ქვეყანაში "შედარებითი დემოკრატიის" გორბაჩოვისეული ხანა დადგა. დისიდენტური მოძრაობისა და სხვა ახალ წარმოქმნილი პოლიტიკური ძალების ერთიან პოლიტიკურ ელიტად გადაქცევა საქართველოში განაპირობა 1989 წლის 9 აპრილმა, როცა ეროვნული დემოკრატიულობის წმიდანაწმიდა იდეალები ხალხის ფართო მასებს დაეუფლა და ეროვნული თვითშეგნება გააქტიურა. ყოველივე ამან განაპირობა ეროვნული კონტრელიტის ხელისუფლების სათავეში მოსვლა 1990 წლის 28 ოქტომბერს.

მკვლევართა ნაწილს "მრგვალი მაგიდის" არჩევნებში გამარჯვების უმთავრეს მიზეზად, "სოციალურ გარდაქმნებს მოწყურებული მასებისათვის მათი განხორციელების დაპირება" მიაჩნიათ. "ამით "მრგვალმა მაგიდამ" ეროვნული მოძრაობა სოციალურ მოძრაობად გადააქცია, რითაც, ფაქტობრივად, რეალური ვითარება დააფიქსირა. ეს იყო უმოკლესი გზა ძალაუფლებისაკენ".[1]

გარკვეული აზრით, ხალხს ეროვნული დემოკრატიულობა მათი სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესების და თანასწორობის ტოლფასად მიაჩნდა და

---

1 გიორგი ბარამიძე, ირაკლი ბრაჭული, თემურ ფიფია, ედუარდ შევარდნაძე - გონების მოქცევა საქართველოში. თბილისი, 1995, გვ. 31.

ამაში არაფერი იყო გასაკვირი, რადგანაც სოციალური თანასწორობის იდეამ კრახი განიცადა ნომენკლატურული ელიტის სოციალისტური მოღვაწეობის ეპოქაში. მაგრამ საქართველოში განსხვავებულ ტრადიციებთან და ისტორიულ სინამდვილესთან გვქონდა საქმე, რაც მნიშვნელოვნად ცვლის საქმის ვითარებას.

XIX ს. მოყოლებული ინტელიგენციისათვის ყველაზე ძვირად ღირებულ იდეალს ეროვნული დამოუკიდებლობა წარმოადგენდა. ილია ჭავჭავაძის და ეროვნული მოძრაობის სხვა ძალების ლიტერატურული თუ საზოგადოებრივი მოღვაწეობა ამის ნათელი დადასტურებაა. ეროვნულის პრიმატი სოციალურზე წითელი ხაზივით გასდევს ქართველი ხალხის მთელ ისტორიას.[1] სახალხო აჯანყებებითა და სოციალური მოძრაობებით საქართველოს ისტორიული წარსული ღარიბია რუსეთის ისტორიასთან შედარებით. ამას თავისი მიზეზები გააჩნდა და მათი ანალიზი ცალკე პრობლემაა. დაწყებული 1832 წლის შეთქმულებიდან, 1924 წლის აჯანყებით და დისიდენტური ეროვნული მოძრაობით დამთავრებული, ეროვნული იდეალები განაპირობებდა ქართველი ხალხის პოლიტიკურ ორიენტაციებს, როგორც საშინაო ისე საგარეო პოლიტიკის სფეროში. მხოლოდ მარქსისტულმა იდეოლოგიამ და კომუნისტურმა მმართველობამ უმნიშვნელო ცვლილებები შეიტანა ეროვნულ მენტალიტეტში. რაც შეეხება ეროვნული დამოუკიდებლობის იდეალების გაიგივებას სოციალურთან, უფრო ზუსტად სოციალურ სიდუხჭირესთან, ეს მოხდა ცოტა მოგვიანებით, 1993-94 წლებში, როდესაც ქვეყანა რეალური ეკონომიკური და პოლიტიკური კატასტროფის წინაშე აღმოჩნდა და მხოლოდ ხელისუფლების დიდი ძალისხმევისა და

---

1 ამის ნათელი დადასტურებაა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მოკლე ისტორია, როცა მძიმე ეკონომიკური და სოციალური მდგომარეობა არ გამხდარა პოლიტიკური დაპირისპირების მიზეზი ეროვნულ ხელისუფლებასთან.

საერთაშორისო ორგანიზაციების დახმარებით მოსახლეობა გადაურჩა ტოტალურ შიმშილს.

ჩვენი მსჯელობა არ იქნებოდა სრული თუ დისიდენტურ მოძრაობასთან ერთად არ განვიხილავთ ეროვნული იდეალებისათვის მებრძოლ ჯგუფებს, რომელთა რიცხვი გეომეტრიული პროგრესიით გაიზარდა 80-იანი წლების მეორე ნახევარში და, აგრეთვე, იმ ძალებს, რომლებიც აქტიურად თანაუგრძნობდნენ წყობილების წინააღმდეგ ბრძოლას და ქვეყნის დამოუკიდებლობას ადრეულ წლებშიც, მაგრამ "გაბედულ მოქმედებებს" არ აწარმოებდნენ; ასევე საჭიროა მივუთითოთ ეროვნული მოძრაობის "ახალშობილ" ლიდერებს, რომლებსაც იმედი ჰქონდათ, რომ ეროვნული იდეების "ლიფტი" აიყვანდათ პოლიტიკური იერარქიის მაღალ საფეხურზე; ამ გზით, პოლიტიკური მოღვაწეობის ავანსცენაზე გამოვიდნენ პიროვნებები, რომლებსაც ადრე ნაკლებად მნიშვნელოვანი სართულები ეკავათ ხელისუფლებრივ და ბიუროკრატიულ პირამიდაში; მათთან ერთად "ვერტიკალური მობილობის ლიფტში" აღმოჩნდნენ პრაგმატისტები, ცხოვრების აუტსაიდერები, რომელთათვის სულ ერთი იყო, რომელი ღმერთისთვის ილოცებდნენ, ოღონდ თანამდებობები მიეღოთ ახალ ხელისუფლებაში. მათ შეიძლება ვუწოდოთ "დემოკრატები გარეშეებების მიხედვით"; ეროვნულ მოძრაობასთან ერთად მოვიდნენ რეპრესირებულთა, პოლიტიკურ პატიმართა შთამომავლები და დემოკრატიაზე მეოცნებე ინტელიგენციის ნაწილი. მათ დაემატა ნომენკლატურის "გარდაქმნილი", ეროვნული იდეებით შეფერილი "კომუნისტური ინტელიგენციის" მცირე ნაწილი. საბოლოო ჯამში ზემოთ ჩამოთვლილმა ჯგუფებმა შეადგინა პოლიტიკური ელიტა საქართველოში.[1]

---

1 მცირეოდენი სხვაობით ანალოგიური სცენარით ვითარდებოდა პოლიტიკური პროცესები პოსტსაბჭოთა სივრცეში. დაწვრილებით იხილეთ: Политология (под редакцией А.А.Радигина) М.,1998,с.164.

კონტრელიტა იქცა რა სამთავრობო პოლიტიკურ ძალად, აღმოჩნდა ქვეყნის რეალური მართვის ამოცანების წინაშე.

ჯერ ერთი, საჭირო იყო გარდამავალი პერიოდის ურთულესი სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური, ეროვნული, კულტურული პროცესების რეგულირება და მიზანმიმართული მართვა. საბაზრო ეკონომიკის პრინციპებზე გადასვლის პროგრამის შემუშავება, ხელისუფლების დანაწილების დემოკრატიული პოლიტიკური ინსტიტუტების ჩამოყალიბება, კონსტიტუციის მიღება და ა.შ.

მეორე, ქვეყნის წინაშე დადგა, როგორც საშინაო, ისე საგარეო პოლიტიკის სფეროში ეროვნული უშიშროების განმტკიცების აქტუალური ამოცანა. საქართველოს რუსეთის აქტიური ჩარევით, ეთნოკონფლიქტების მთელი სერია დაემუქრა.

ყოველივე ზემოთქმული მოითხოვდა დიდ ძალისხმევას, პოლიტიკურ ნებას, გამოცდილებას, პროფესიონალიზმს, საერთაშორისო მხარდაჭერას. ეს თვისებები არ შეიძლება ჰქონოდა ეროვნულ პოლიტიკურ ელიტას. მათი ძალა და მხარდაჭერა კომუნისტური წყობილებისადმი მკეთრი დაპირისპირებითა და იმპერიასთან შეუპოვარი ბრძოლით იყო გაპირობებული. მაგრამ ცხოვრებამ ცხადყო, რომ ერთიან დაუპირისპირდე არსებულს, თავი გამოიჩინო ეროვნული დამოუკიდებლობისათვის ბრძოლით, და მეორეა, რეალურად აშენო ახალი სტრუქტურები და ცივილიზებული გზით მოახდინო ძველის დემონტაჟი. ემოცია აზროვნება მოქმედების ჯაჭვი საკმაოდ რთული ფენომენია. საჭირო იყო სოციალური და ეროვნული პროცესების ემოციონალური აღქმიდან ეროვნული და სოციალური პროცესების რაციონალურ აღქმაზე გადასვლა, იდეალური შორსმოქმედი მიზნების პრაქტიკული რეალიზაცია და საზოგადოებრივი ურთიერთობების თვისებრივი ცვალებადობა.[1] ისტორიამ იცის შემთხვევები, როდესაც რევოლუციის ბელადებმა განიცადეს

---

1 Социс, №10,.1995,. с.31.

რუტინიზაციის პროცესი და ბიუროკრატიულ დემოკრატიულ ლიდერებად იქცნენ. მაგრამ ქართულ სინამდვილეში მმართველ პოლიტიკურ ელიტას არ აღმოაჩნდა მსგავსი თვისებები.

გარდამავალ პერიოდში, რომელიც გარდამავალია პოლიტიკური ელიტების მონაცვლეობის თვალსაზრისითაც, მარცხს განიცდიდა ნებისმიერი პოლიტიკური ელიტა და, ამის სამწუხარო დადასტურებაა პოსტკომუნისტური სივრცის დღევანდელობა. აქედან გამომდინარე, ზ.გამსახურდიას ხელისუფლება მარტო პატრიოტული გრძნობებითა და ენთუზიაზმით თავს ვერ გაართმევდა ქვეყნის მართვის ურთულეს ამოცანებს.

პოლიტოლოგიურ გამოკვლევებში ავტორთა ნაწილი ზ.გამსახურდიას ხელისუფლების ფუნქციონირების პერიოდს ეთნოკრატიის მმართველობას უწოდებს. ეთნოკრატია პოლიტიკური ელიტის ახალი სახეობაა, რომელიც გარდამავალმა პერიოდმა წარმოშვა. მისი მთავარი ნიშანია ის, რომ იგი ეთნიკურად ერთგვაროვანია მრავალეროვან სახელმწიფოში, ახასიათებს ეროვნული იდეალებისადმი ერთგულება და პირველ ადგილზე აყენებს ეროვნული დამოუკიდებლობის განმტკიცების საკითხს,[2] ხოლო დემოკრატიული ფასეულობების პრობლემებს შემდეგ გადაჭრის ადამიანის უფლებების საყოველთაოდ აღიარებული ნორმების შესაბამისად. (ამ მომენტმაც განაპირობა ინტელიგენციის გარკვეული ნაწილის ოპოზიციონერობა ხელისუფლებასთან). პოლიტიკურ მმართველ ელიტას საქართველოს სინამდვილეში, გარკვეული აზრით, ეთნოკრატიის ზემოთ მოცემული ნიშანი გააჩნდა. ჯერ კიდევ ილია ჭავჭავაძე ქადაგებდა ეროვნული საკითხის პირველადობას სოციალურ-ეკონომიკურ პრობლემებთან მიმართებაში და კლასობრივი დაპირისპირების დაძლევას "საერთო ნიადაგის" თეორიით ცდილობდა. "საერთო ნიადაგზე" დგომას არჩ.ჯორჯაძესთანაც საერთო ეროვნული

---

1 Мухаев Р.Г. Политология. М.,1997,.gv.108.

ამოცანების პრიმატი განაპირობებდა. მაგრამ ფაქტია, რომ დამოუკიდებელ სახელმწიფოში მოქალაქეს, პირველ რიგში, ადამიანის უფლებების დაცვა, სიტყვის, პრესის თავისუფლება და პიროვნული ხელშეუხებლობის კონსტიტუციური გარანტიების რეალიზაცია სურს. ორივე პრობლემა ერთდროულ გადაწყვეტას საჭიროებდა.

ზ.გამსახურდიას ხელისუფლების ეთნოკრატიულობას პირველ რიგში იმითაც ასაბუთებენ, რომ იგი თითქოს უგულვებელყოფდა საქართველოს ტერიტორიაზე მოსახლე სხვა ერების კანონიერ პოლიტიკურ უფლებებს და ფაქტობრივად ისწრაფვოდა ქართველი ხალხის მათზე ბატონობისაკენ. მათ სასარგებლოდ მეტყველებს სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის (კულტურულ ავტონომიის უფლების ერთეულის - ხაზი ჩვენია ა.ტ.) გაუქმება. მაგრამ საპირისპიროზე მეტყველებს ზ.გამსახურდიას ხელისუფლების მიერ მიღებული კანონი, რომელიც აფხაზეთის საკანონმდებლო ორგანოში, პარლამენტში, ხელოვნურად ამცირებდა ქართველი დეპუტატების რაოდენობას და საერთაშორისო სამართლის ნორმების უხეში უგულვებელყოფით უპირატესობას ანიჭებდა აფხაზ დეპუტატებს მნიშვნელოვანი პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღების საქმეში. საკანონმდებლო საქმიანობაში უპირატესობებს პოლიტიკური კონფრონტაცია მოჰყვა ცენტრს და რეგიონს შორის, რომლის ლოგიკურ შედეგად იქცა ავანტურისტული ომის დაწყება მმართველი პოლიტიკური ელიტის ხელშეწყობით.

ჩვენი აზრით, შეიძლება დავეთანხმოთ აზრს, რომ მმართველი პოლიტიკური ელიტა 1990-91 წწ. "ზედმეტი ეროვნული შეფერილობის იყო" და ეს ბუნებრივიცაა - ისინი ხომ ეროვნული მოძრაობიდან მოვიდნენ. მაგრამ სხვა ერებზე უპირატესობის მიღწევა მათ ინტერესებში არ შედიოდა.

მმართველი პოლიტიკური ელიტა მკვეთრად დაუპირისპირდა ნომენკლატურულ ელიტას (რომელთაც არ გააჩნდათ თითქოს ეროვნული იდეები) და მთლიანად იქნა

შეცვლილი კომუნისტური მმართველი პოლიტიკური ელიტა. ისინი შეცვალა ერთი მხრივ, "მრგვალი მაგიდის" პოლიტიკური პარტიების ლიდერებმა, პატრიოტულად განწყობილმა ადამიანებმა; მეორე მხრივ, მაღალი თანამდებობები მიიღეს ეროვნულ მოძრაობას მიტმასნილმა მედროვე და შემთხვევითმა ადამიანებმა. ხელისუფლების იერარქიულ სტრუქტურაში წინსვლის განმსაზღვრელ პრინციპს წარმოადგენდა ეროვნულობა, პატრიოტიზმი, ბელადისადმი ერთგულება, კუთხურობა, საქმის ცოდნა, შემოქმედებითი აზროვნების უნარი უგულვებელყოფილი იქნა. ამ ნიშნით ზ.გამსახურდიას საკადრო პოლიტიკა ნომენკლატურული რეკრუტირების სისტემას მოგვაგონებს. მაგრამ ჩვენთვის მნიშვნელოვანია მოვლენის სხვა ასპექტები. კერძოდ, მმართველი პოლიტიკური ელიტა ღია გახდა ვერტიკალური მობილობისათვის და განახლება-ცირკულაციის პროცესი მემკვიდრეობითობის პრინციპის სრული უგულვებელყოფით, რევოლუციური მეთოდებით მიმდინარეობდა. ღია პოლიტიკური ელიტა არასტაბილური პოლიტიკური ვითარების საფუძველია ნებისმიერ ქვეყანაში. თუმცა აბსოლუტურად ღია და დახურული ელიტები რეალურ ცხოვრებაში არ გვხვდება, მაგრამ ორივე მოდელთან მიახლოება საშიშია ქვეყნის მომავლისათვის. საყოველთაოდ აღიარებულ ჭეშმარიტებას წარმოადგენს, რომ პოლიტიკური ელიტების ცირკულაცია-განახლების პროცესში შენარჩუნებული უნდა იქნეს მემკვიდრეობითობის პრინციპი. პოლიტიკური რეჟიმის გარკვეული ცვლილებების შემდეგ, - წერს პროფესორი ურსულ ჰოფმან ლანგე, - ახალი ელიტის რეკრუტირება მიმდინარეობს იმ რეზერვიდან, რომლებშიც ძველი რეჟიმის დროს დაწინაურებული, წარმატებული პირები შედიან; მაგრამ ისინი ახალი რეჟიმის დროს განიცდიან ელიტურ ტრანსფორმაციას და ემსახურებიან მმართველი პოლიტიკური ელიტის ინტერესებს.[1]

---

1 Социс, №10.1996,. с.50.

მმართველ პოლიტიკურ ელიტას მიაჩნია, რომ ძველი კადრები წინა წყობილების გადმონაშთია. ამ ლოგიკით ნომენკლატურა გარდამავალ პერიოდში სოციალიზმის ინტერესებს იცავს. მათ შეხედულებებს აქვთ გარკვეული საფუძველი და არ შეიძლება ისინი არ გავიზიაროთ.[1] მაგრამ მემკვიდრეობითობის შენარჩუნება კადრების შერჩევის პროცესში აუცილებელია.

ისტორიული ფაქტია, რომ ვ.ლენინი, მთელი მონდომებით ცდილობდა ბურჟუაზიული სპეციალისტების გამოყენებას. მას მიაჩნდა, რომ ეს რთული ამოცანა იყო, მაგრამ მისი წარმატებით გადაჭრის გარეშე შეუძლებელი იყო სოციალიზმის მშენებლობა. საბჭოთა წყობილებამ დიდი გასამრჯელოს ფასად შეძლო მათი გადმობირება და, ამავე დროს, მათ საქმიანობაზე მკაცრი კონტროლი დააწესა. "ჩვენ გვყავს ბურჟუაზიული სპეციალისტები და სხვა არაფერი გაგვაჩნია. ჩვენ არა გვაქვს სხვა აგურები, ჩვენ არაფითარი მასალა არა გვაქვს, რომ ვაშენოთ მიუთითებდა ვ.ლენინი.[2] ყოველივე ეს პოლიტიკური ელიტის პერპეტუაციისა და ალტერნაციის პროცესში მემკვიდრეობითობის პრინციპის შენარჩუნების აუცილებლობაზე მიუთითებს.[3]

მმართველმა პოლიტიკუმა ელიტამ სცადა ძალისმიერი მეთოდებით ჩაეხშო ოპოზიციური გამოსვლები (1991 წლის 2 სექტემბერს დაარბია მშვიდობიანი მიტინგი); რეფორმაციული მეთოდებით, ექსტრემისტულ იდეოლოგიაზე დაყრდნობით, ხელისუფლების გარშემო გაერთიანებულმა "ეროვნულმა

---

1 ამ საკითხზე ქვემოთ გვექნება საუბარი.
2 ვ.ი.ლენინი, თხზ.ტ.34. გვ.66.
3 დაწვრილებით იხ. ა.ტუკვაძე. კულტურული რევოლუციის თეორიისა და პრაქტიკის ზოგიერთი საკითხი. ჟურნ. "მოამბე". თბ. 1980, №1, გვ. 222-224.

ინტელიგენციამ" შეურიგებელი ბრძოლა გამოუცხადა მათ, ვინც აქტიურად მხარს არ უჭერდა "მრგვალი მაგიდის" პოლიტიკოსებს. "28 ოქტომბერი უსისხლო რევოლუციად მოინათლა და თუ რევოლუცია მოხდა, ე.ი. უნდა არსებობდნენ რევოლუციონერები და კონტრრევოლუციონერები, ერის გმირები და ერის მტრები, ექსპლუატატორები და ექსპლოატირებულნი, ელიტები და ორდენოსნები", და თუ ცხოვრებაში წინსელა არ იგრძნობა, ეს იმიტომ, რომ ერის მტრები, შინ და გარეთ, ხელს გვიშლიან ახალი საზოგადოების მშენებლობაში. ...ასეთ პოლიტიკას მოჰყვა საეალალო შედეგი - ეროვნული ერთიანობის რღვევა... დრო ისელთეს ნიჭიერთა, ჭკვიანთა მიმართ ანაგარიშის გასასწორებლად.

ფაქტობრივად, ინტელიგენციამ მოამზადა ერი თაეისუფლებისათვის საბრძოლველად და როცა იგი რეალურად განხორციელდა, თავად გაუცხოებულ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ." [1]

ზემოთ მოყვანილი დებულება მართლაც მმართველი პოლიტიკური ელიტის იდეოლოგიური საქმიანობის დამახასიათეიელ ნიშანს წარმოადგენდა. მაგრამ არ შეიძლება მოვლენების სუბიექტური ინტერპრეტაცია. ჭეშმარიტებაა ისიც, რომ ეროვნული დამოუკიდებლობის იდეის პრაქტიკული რეალიზაციისთვის მზად არ იყო პარტიული ინტელიგენციის ნაწილი, მათ ორიენტაციებს მოსეს პრინციპი განაგებდა.

მას შემდეგ, რაც კომუნისტ დეპუტატებს საპარლამენტო მოღვაწეობის უფლებები შეუკვეცა მმართველმა პოლიტიკურმა ელიტამ, კიდეე უფრო გაიზარდა კონფრონტაცია ისტორიულად

---

1 გიორგი ბარამიძე, ირაკლი ბრაჭული, თემურ ფიფია. ედუარდ შევარდნაძე - გონების მოქცევა საქართველოში. თბ. 1995, გვ. 33-36.

დაპირისპირებულ ამ ორ ძალას შორის.[1] აშკარა გახდა კომუნისტების ოპოზიციური კონსოლიდაცია.

პოლიტიკური მდგომარეობა უკიდურესად დაძაბა "მრგვალი მაგიდის" შიგნით მომხდარმა განხეთქილებამ. მმართველი პოლიტიკური ელიტის შეიარაღებული ნაწილი ოპოზიციაში გადავიდა. მათ გარშემო გაერთიანება იწყო ინტელიგენციის და პოლიტიკური პარტიების ნაწილმა.

დაპირისპირებისას გადამწყვეტი როლი ითამაშა დაბალმა პოლიტიკურმა კულტურამ. მორნილებითი პოლიტიკური კულტურის პირობებში, საზოგადოებრივი პროცესების დემოკრატიზაციამ ურთიერთსაპირისპირო რადიკალიზმამდე მიიყვანა ადამიანთა დიდი ნაწილი. შეიქმნა ისეთი სიტუაცია, როცა "მასა დაუყოვნებლივ მიდის უკიდურესობამდე, გამოთქმული ეჭვები მაშინვე გარდაიქმნება ურყევ რწმენად, ანტიპატიის თესლი - ველურ სიძულვილად."[2] უფრო ზუსტი იქნება თუ ვიტყვით, რომ საზოგადოებას დაეუფლა ბრბოს ფსიქოლოგია და მოვლენები მართალ-მტყუანის, თეთრისა და შავის, მესიისა და სატანის კრიტერიუმებით ფასდებოდა.

---

1 ბალტიისპირეთის რესპუბლიკების მშვიდობიანი, ევოლუციური განვითარება დამოუკიდებლობის პირველ წლებში არა მარტო დასავლეთის სახელმწიფოების დიდმა მონდომებამ და მატერიალურმა დახმარებამ განაპირობა, არამედ, აგრეთვე, დიდი როლი ითამაშა კომუნისტური მმართველი ელიტის დისიდენტურმა განწყობილებამ. ისინი თანაუგრძნობდნენ და შესაძლებლობის ფარგლებში გვერდში ედგნენ ეროვნულ ძალებს. აქედან გამომდინარე, დისიდენტების მმართველ ელიტად გადაქცევამ ბალტიისპირეთში, არ გამოიწვია კონფრონტაცია ეროვნულ ძალებსა და კომუნისტებს შორის. კომუნისტებმა, მცირეოდენი გამონაკლისის გარდა, მხარი არ დაუჭირეს ინტერფრონტის შექმნის რუსულ, შოვინისტურ იდეას. ამ რესპუბლიკებმა მოახერხეს სტაბილური პოლიტიკური ვითარების უზრუნველყოფა და აქედან გამომდინარე, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შენარჩუნება, რომელსაც დიდი როლი შეასრულა ქვეყნის ეკონომიკური განვითარების საქმეში. სამწუხაროდ, საქართველოში მოვლენები საწინააღმდეგო მიმართულებით განვითარდა.

2 Фрейдз, Я и Оно, М: 1998, стр. 778-779.

ერთნი აღიარებდნენ ზ.გამსახურდიას ქარიზმატულ თვისებებს, ფანატიკურად განეწყვნენ მისი პიროვნების მიმართ და მზად იყვნენ დაეცვათ მმართველი პოლიტიკური ელიტა.

მეორენი, კომუნისტური, პრივილეგირებული ინტელიგენციის დიდი ნაწილი, შეურიგებელ ბრძოლას უცხადებს პრეზიდენტს და ფაქტობრივად იდეოლოგიურად ამზადებს მისი ხელისუფლების დამხობას. მალე ასპარეზზე გამოჩნდა, შეიარაღებული "ოპოზიცია", რომელიც პოლიტიკური ბრძოლის მეთოდებით და ხერხებით უფრო დაბალ დონეზე აღმოჩნდა ვიდრე შუასაუკუნეების ყუთლუ არსლანის პოლიტიკური დასი, რომლებმაც ძალით მოქმედებას უკან დახევა და კომპრომისი არჩიეს.

ხშირად ამ დაპირისპირებას უწოდებენ ანტიკომუნისტური დიქტატორული ძალების წინააღმდეგ ბრძოლას, რაც ბევრ უზუსტობასთან არის დაკავშირებული. მოსახლეობის დიდი უმრავლესობა თანაუგრძნობდა დაპირისპირებულ მხარეებს, მაგრამ აქტიური პოლიტიკური მოქმედებისგან თავს იკავებდა.

და ი[illegible]ს კითხვა - რა შეეძლო მმართველ პოლიტიკურ ელიტას შექმნილ რთულ სიტუაციაში. შესაძლოა მათი პოლიტიკური ქმედება შედეგს ვერ გამოიღებდა, მაგრამ, ჩვენი აზრით, ხელისუფლებას უნდა გამოეძებნა კომპრომისის შესაძლებლობა. ხშირად (და არცთუ უსაფუძვლოდ) დემოკრატიაში ესმით საპირისპირო ელიტებს შორის კონსენსუნსის მიღწევა, რომელიც პოლიტიკური კრიზისის დაძლევის შესაძლებლობას იძლევა. ეს შანსი პრეზიდენტს და მის გარშემო გაერთიანებულ პოლიტიკურ ელიტას გამოუყენებელი დარჩა. აქ უდავოდ დიდი როლი ითამაშა მოვლენების შეუფასებლობამ, მისმა პიროვნულმა თვისებებმა (გარკვეული აზრით ზ.გამსახურდია პრეზიდენტის პოსტზეც დისიდენტად დარჩა), მმართველი პოლიტიკური ელიტის გამოუცდელობამ და სხვა.

იყო მოელენების განვითარების მეორე გზა ნებაყოფლობით უარის თქმა ხელისუფლებაზე. პრეზიდენტის გადადგომა, რადგანაც აშკარა იყო საშინაო და საგარეო ძალების კონსოლიდაცია (რუსეთი ვერ მოითმენდა კავკასიაში გამსახურდიას ტიპის ეროვნულ მოღვაწეს) და უპირატესობა მთავრობის სახლში ჩაკეტილ დახმარების მომლოდინე ხელისუფლებასთან შედარებით. გადადგომით შედეგები შემსუბუქდებოდა და, შესაძლოა, სამოქალაქო ომიც აგვცდებოდა, მაგრამ ამ ვარიანტს რეალური საფუძველი არ აღმოაჩნდა ქართულ სინამდვილეში.

რადიკალურმა დაპირისპირებამ ლოგიკური დასასრული შეიარაღებულ კონფლიქტში პოვა: იარაღით, უკანონო გზით, გვარდიისა და მხედრიონის მიერ, გარეშე ძალების აქტიური ჩარევით, კრიმინალური ელემენტების ფართო მონაწილეობით, დამხობილ იქნა ზვიად გამსახურდიას კანონიერი, ხალხის მიერ არჩეული ლეგიტიმური ხელისუფლება და სათავე დაედო სამოქალაქო ომს და ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის რღვევის პროცესს.[1]

1991-92 წლების დეკემბერ-იანვარში, პრეზიდენტ ზ.გამსახურდიას ხელისუფლების დამხობის შედეგად, არსებობა შეწყვიტა ქვეყნის აღმასრულებელმა, სასამართლო და საკანონმდებლო ხელისუფლებამ. ქვეყნის მმართველობის ფუნქციები ხელში აიღო სამხედრო საბჭომ. თ.კიტოვანის (ყოფილი თავდაცვის მინისტრი), თ.სიგუას (ყოფილი პრემიერი), ჯ.იოსელიანი (მხედრიონის მეთაური) მეთაურობით.[2]

სამხედრო საბჭოს ინიციატივით (ჯ.იოსელიანის განსაკუთრებული აქტივობით), 1992 წლის მარტში თბილისში

---

1 ოფიციოზი თავს არიდებს მოელენების პოლიტიკურ შეფასებას.
2 ეს ფაქტი და მოელენების შემდგომი განვითარება იმის ნათელი დადასტურებაა, რომ "მრგვალი მაგიდის" შიგნით მომხდარი განხეთქილება, რომელიც სამხედრო დაპირისპირებაში გადაიზარდა, გამოწვეული იყო არა პოლიტიკური პრინციპების ან ეროვნული იდეალების განსხვავებული ხედვით, არამედ ხელისუფლებისათვის ბრძოლის ტრადიციული პრინციპებით.

ნამოვიდა ედუარდ შევარდნაძე. აეროპორტში, ჟურნალისტებთან შეხვედრის დროს ე.შევარდნაძემ მაღალი შეფასება მისცა "ოპოზიციონერების" ნამოქმედარს და „სახალხო აჯანყება" უწოდა საქართველოში განხორციელებულ სამხედრო გადატრიალებას და ამით აქტიური დახმარება აღუთქვა დიქტატურის წინააღმდეგ მებრძოლებს.[1]

მალე სამხედრო საბჭო სახელმწიფო საბჭოდ გარდაიქმნა, სადაც ფართოდ იქნა წარმოდგენილი გამსახურდიას ხელისუფლებას დაპირისპირებული კონტრელიტა ყოფილი ოპოზიციური პარტიები, ინტელიგენციის ნაწილი და კრიმინალური ელიტა. მათ ადგილები სახელმწიფო საბჭოში "დამსახურების" მიხედვით ერგოთ, ანუ იმის გათვალისწინებით, თუ რა როლი ითამაშეს მათ წინა ხელისუფლების დამხობაში (იდეოლოგიური, მორალური და სამხედრო თვალსაზრისით). სახელმწიფო საბჭოს შემადგენლობის არსებანს სიტუაცია განაპირობებდა და მოვლენების განვითარებას "გამარჯვებული ძალები" განსაზღვრავდნენ. მათ ეერდნობოდა სახელმწიფო საბჭოს მეთაური, მაგრამ იგი, თავის მხრივ, ცდილობდა საკუთარი პოზიციების განმტკიცებას, როგორც სახელმწიფო საბჭოში გაერთიანებული პოლიტიკური ელიტის შიგნით, ისე მის გარეთ.

სახელმწიფო საბჭომ იტვირთა არა მარტო ადმინისტრაციული, არამედ, აგრეთვე, კანონშემოქმედი ორგანოს როლიც. აღდგენილ იქნა 1921 წლის საქართველოს

---

1 ე.შევარდნაძის ეს განცხადება ტაქტიკური მოსაზრებით იყო ნაკარნახევი. მიუხედავად პირადი სიმპათიებისა და თანადგომისა, მას კარგად ესმოდა უკანონო, ძალადობის გზით ხელისუფლების დამხობის საერთაშორისო რეზონანსი. მოგვიანებით ხელისუფლების დამხობის შევარდნაძისეულ შეფასებას აკრიტიკებს თ.კიტოვანი და ხაზს უსვამს, რომ ეს იყო სამხედრო გადატრიალება, რომელიც გვარდიამ მისი მეთაურობით განახორციელა. თ.კიტოვანს კანონიერი ხელისუფლების იარაღის ძალით დამხობა დღესაც დიდ დამსახურებად მიაჩნია.

დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუცია და მისი კანონქვემდებარე აქტების ნაწილი.

სახელმწიფო საბჭოს წევრებს კარგად ესმოდათ, რომ ეს ორგანო არ იყო კანონიერი ხელისუფლება და გამორიცხული იყო საერთაშორისო სამართლის სუბიექტად ასეთი ხელისუფლებისა და ქვეყნის აღიარება. ამიტომ, დღის წესრიგში დადგა ლეგიტიმური, კანონიერი, დემოკრატიული ხელისუფლების არჩევნები საერთაშორისო დამკვირვებლების თანდასწრებით.

1992 წლის 30 აპრილს, სახელმწიფო საბჭოს გადაწყვეტილებით, ახალი პარლამენტის, ქვეყნის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს, არჩევნების თარიღად დადგინდა 11 ოქტომბერი, რაც უდავოდ წინ გადადგმულ ნაბიჯს წარმოადგენდა ქვეყნის დემოკრატიზაციის გზაზე. 29 იელისს, სახელმწიფო საბჭოს სხდომაზე, 30 პოლიტიკური პარტიის ინიციატივით წამოყენებული იქნა მოთხოვნა, რომ დეპუტატთა რაოდენობა მომავალ პარლამენტში 169-დან 180-მდე გაზრდილიყო. მაგრამ იმავე სხდომამ დეპუტატების რაოდენობა, ე.შევარდნაძის წინადადებით 234 კაცით განსაზღვრა. სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარემ თავისი მოსაზრება იმით დაასაბუთა, რომ საჭირო იყო საქართველოს 84 ქალაქსა და რაიონს თავიანთი წარმომადგენლები ჰყოლოდათ ქვეყნის პარლამენტში, "რათა უკეთ გავრკვეულიყავით მათ საზრუნავში."[1] ამ რაოდენობას დაემატებოდა პარტიული სიების მიხედვით პროპორციული წესით არჩეული 150 დეპუტატი.

1992 წლის 11 ოქტომბრის არჩევნებში მონაწილეობას ღებულობდა 47 პარტია და ორგანიზაცია. აქედან 15 პარტია და ორგანიზაცია ოთხ ბლოკში იყო გაერთიანებული. პარლამენტში, პროპორციული წარმომადგენლობისა და საკომპენსაციო სიების საფუძველზე, ოცდაოთხი პარტია და ბლოკი იქნა არჩეული. პარლამენტის თავმჯდომარის პოსტზე

---

1 საქართველოს პარლამენტი (1992-1995), თბ. 1995,გვ. 4.

კენჭს იყრიდა "ალტერნატივო კანდიდატურა ე.შევარდნაძე (დააგროვა ამომრჩეველთა ხმების 95%-ზე მეტი).

საქართველოში ჩამოსულმა საერთაშორისო ურთიერთობის ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის (ედი) 24 კაციანმა დელეგაციამ, რომლის შემადგენლობაში იყვნენ აშშ, ევროპისა და აფრიკის ქვეყნების პარლამენტარები, პოლიტიკურ პარტიათა ლიდერები, ექსპერტები, სპეციალისტები არჩევნების შედეგების შესახებ აცხადებდნენ: "ყოველივე ის, რისი თვითმსილველიც იყო ჩვენი დელეგაცია, მიანიშნებს, რომ ეს არჩევნები დემოკრატიულ კანონიერებას მიანიჭებს ახალ მთავრობას და ხელსაყრელ პირობებს შეუქმნის "შვიდობიან შერიგებას საქართველოში".[1]

11 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნები დადებითად შეაფასეს სხვადასხვა პოლიტიკური პარტიების ლიდერებმა ნ.ნათაძემ, გ.ჭანტურიამ, აკ.ასათიანმა, გ.თუმანიშვილმა და სხვებმა.

ამრიგად, ე.შევარდნაძის მეთაურობით, სხვადასხვა პოლიტიკური ძალების თანადგომით, ინტელიგენციის დიდი ნაწილის მხარდაჭერით, შესაძლებელი გახდა უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს არჩევა და თავისი შემადგენლობით საკმაოდ "ჭრელი" პოლიტიკური ძალების პარლამენტში გაერთიანება, რაც პოლიტიკური პროცესების დემოკრატიული ნორმებით მართვის გარანტიას იძლეოდა. ყოველივე ეს უდავოდ დიდ მონაპოვარს წარმოადგენდა დემოკრატიული აღმშენებლობის გზაზე.

მოვლენების ამგვარი განვითარება საკმაოდ ძნელი იყო, რადგანაც ქვეყანაში სრული ქაოსი და განუკითხაობა ბატონობდა. კრიმინალური ელიტის მიერ ხელისუფლების პასიური თუ აქტიური მხარდაჭერით, მტრის ქვეყნის მსგავსად დარბეული და გაძარცული იქნა სამეგრელო იმ საბაბით, რომ იგი ყოფილი პრეზიდენტის პოლიტიკურ და სამხედრო

---

1 საქართველოს პარლამენტი (1992-1995), თბ. 1995,გვ. 4.

დასაერდენს წარმოადგენდა. ყოველივე ამან კიდევ უფრო გააღვივა სეპარატიზმის ტენდენციები ადგილობრივ მოსახლეობაში. "უკანონო" თუ "კანონიერმა" სამხედრო დაჯგუფებებმა "ზურგის მოშლის" შემდეგ დაიწყეს ავანტურისტული, დამღუპველი ომი აფხაზეთის წინააღმდეგ და სათავე დაუდეს ქვეყნის დაქუცმაცებულობის პროცესს.

ძნელია განსაჯო ქვეყნის დღევანდელი პრეზიდენტის როლი და ადგილი 1992-93 წლებში განვითარებული დრამატული მოვლენების დროს,[1] რადგანაც ქვეყნის მმართველი პოლიტიკური ელიტის ნაწილს კრიმინალები შეადგენდნენ.

კრიმინალების ინტეგრაცია პოლიტიკურ ხელისუფლებასთან გლობალური მოვლენაა, მაგრამ მან განსაკუთრებით ფართო ხასიათი მიიღო პოსტკომუნისტურ სივრცეში. საქართველოს სინამდვილეში იგი ეროვნული ტრაგედიის ტოლფასი აღმოჩნდა: "ძარცვა-გლეჯის ქურდული კანონებით იყო შეცვლილი სახელმწიფოს კანონები. მეფობდა ქაოსი და გაუგონარი კრიზისი" - წერს ედუარდ შევარდნაძე.[2] ჩამოყალიბდა კრიმინალური საჯარისო ფორმირებები ცენტრალური და რეგიონული განშტოებებით, განხორციელდა პოლიტიკის კრიმინალიზაციის და კრიმინალების პოლიტიზაციის პროცესი.

სახელმწიფოს მეთაურის დიდი ძალისხმევისა და ბრძოლის შედეგად მათი როლი თანდათან მცირდებოდა მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღებაში. მაგრამ მათ 'მოღვაწეობამ", 'პოლიტიკურმა" საქმიანობამ გამოუსწორებელი დაღი დაასვა ეკონომიკას, პოლიტიკას, სოციალურ განვითარებას და ეროვნულ თვითშეგნებას.

---

1 ჩვენ აქ გვინდა მკითხველს შევახსენოთ ილია ჭავჭავაძის ერთი მეტად ნიშანდობლივი მეთოდოლოგიური მითითება: "ჯერ იმ დროების ქურქში უნდა ჩავჯდეთ და მერე განვიკითხოთ ამ დროების შვილნიცა".

2 ედუარდ შევარდნაძე. დამოუკიდებელი, განუყოფელი, დემოკრატიული საქართველოსთვის. თბ. 1995, გვ. 4.

ფაქტია, რომ ხოგ შემთხვევაში ე.შევარდნაძეს არ შეეძლო რეალური ზეგავლენა მოეხდინა "უმართვადი პროცესების" განვითარებაზე. თუმცა მას იმის შესაძლებლობაც მიეცა, რომ თავისი მძიმე შეცდომები ოპოზიციურად განწყობილი ძალებისათვის მიეწერა. ბევრი მოელენა და პროცესი ხელასლა გარკვევას და აღქმას საჭიროებს. კერძოდ, ვინ ღებულობდა ქვეყანაში მნიშვნელოვან პოლიტიკურ გადაწყვეტილებებს: მმართველი პოლიტიკური ელიტა შევარდნაძის მეთაურობით თუ სხვა ძალები. იქნებ ორი რუსეთის (რეაქციული და პროგრესული) ლენინური იდეის ახლებური ინტერპრეტაცია მიესადაგება საქართველოს, შევარდნაძის და იოსელიანის ხელისუფლებას, და უნდა ვიხმაროთ ორი საქართველოს ცნება; პოლიტიკური ოპონენტების აზრით, გაუგებარია ის ფაქტი, რომ სოხუმს, ელცინის მითითებით და პ.გრაჩოვის ბრძანებით, ბომბავდა რუსეთის შეიარაღებული ძალები, ხოლო ფოთში, აფხაზეთში ლ ამარცხებული შევარდნაძის დასახმარებლად და ზ.გამსახურდიას გასანადგურებლად გადმოსხდნენ რუსი სამხედროები.

ჩვენ არ ვაპირებთ აფხაზეთის ტრაგედიაში მხოლოდ მმართველი პოლიტიკური ელიტის შეცდომების ანალიზს. კარგად გვესმის, რომ ქართველთა მარცხში ლომის წილი მიუძღვის პოლიტიკურ კონტრელიტას, გამსახურდიას მომხრე ძალებს. მათ ოპოზიციონერობა ეროვნულ ინტერესებზე მაღლა დააყენეს. თუმცა საქართველოს ისტორიაში მრავლადაა იმის მაგალითები, როცა ურთიერთდაპირისპირებული ძალები პირადულზე მაღლდებოდნენ და ერთად იდგნენ ეროვნული დამოუკიდებლობის სადარაჯოზე. ფაქტია ისიც, რომ გახლეჩილმა ეროვნულმა ცნობიერებამ სრულად ვერ აღიქვა აფხაზეთში ომის მნიშვნელობა. ხალხის უმრავლესობამ ომი შევარდნაძისტებისა და ზვიადისტების ანდა მხედრიონისა და გვარდიის პირად საქმედ მიიჩნია. ბუნებრივია, შედეგმაც არ დააყოვნა.

ობიექტურობას იქნებოდა მოკლებული ჩვენი მსჯელობა, თუ ხაზს არ გაეუსვამთ მმართველი პოლიტიკური ელიტის იდეოლოგიურად და პოლიტიკურად მცდარ პოზიციას. აფხაზეთის ომის დროს ე.შევარდნაძემ ხელახლა გააცოცხლა ორი რუსეთის ლენინური იდეა. თანდათანობით, გეგმაზომიერი პროპაგანდის შედეგად, ხალხის ცნობიერებას დაეუფლა აზრი, რომ აფხაზეთის მხარდამჭერი რეაქციული ძალები თვით რუსეთშიც დამარცხდებიან და საქართველოს დასახმარებლად ხელს გამოუწვდის პროგრესული რუსეთი, რომელიც ასოცირდებოდა "ელცინის დემოკრატიულ ხელისუფლებასთან". რეაქციონერებად მიჩნეული იყო რუსეთის სხვადასხვა პოლიტიკური პარტიები, შოვინისტურად განწყობილი სათათბიროს ფრაქციები. მართალია, რუსეთის სამხედროების ნაწილი, ასევე სხვადასხვა პოლიტიკური ძალები, მტრულად იყო განწყობილი ე.შევარდნაძის პიროვნების მიმართ და ასევე საქართველოს ხელისუფლებისადმი, მაგრამ რეალურ ძალაუფლებას ფლობდა და მნიშვნელოვან პოლიტიკურ გადაწყვეტილებას ღებულობდა რუსეთის პრეზიდენტი ძალოვანი სტრუქტურების მინისტრებთან ერთად. ხოლო მათი "პროგრესული" საქმიანობის შედეგად დავკარგეთ აფხაზეთი და სამაჩაბლო.[1]

მეორე მომენტი, რომელმაც მნიშვნელოვანწილად განაპირობა ჩვენი მარცხი აფხაზეთსა და სამაჩაბლოში, იქიდან

---

1 შოვინიზმი რუსეთისათვის ისტორიული ქრონიკული სენია, რომელიც, გარკვეული აზრით, თვითმპყრობელური ხელისუფლების გარშემო აერთიანებდა ინტელიგენციის დიდ ნაწილს. დეკაბრისტების შეხედულებებიდან დაწყებული, ლენინურ ერთა თვითგამორკვევის პოლიტიკით დამთავრებული, მცირე ერების კანონიერი უფლებები უგულებელყოფილი იყო. საბჭოთა კავშირის დროს იდეოლოგიურად დასაბუთდა რუსიფიკაციის პოლიტიკის აუცილებლობა. ასე, რომ მცირე ერებთან მიმართებაში, რუსეთი ყოველთვის ერთი იყო და რეაქციული იდეების ერთგულებას ამჟღავნებდა. ამის დასადასტურებლად საკმარისია სახაროვის ეროვნული პოზიცია, როცა მან საქართველოს პატარა იმპერია უწოდა.

მომდინარეობს, რომ გამსახურდიას ხელისუფლების დამხობის შემდეგ ქვეყანაში გეგმაზომიერად დაიწყო ქართველი ხალხის არასრულფასოვნების სინდრომის გაღვივება, რომლის დიდი ტრადიციებიც არსებობდა საბჭოთა პერიოდში. მცირე ერების არასრულფასოვნების იდეოლოგიის გარეშე ხალხთა იმპერია, საბჭოთა კავშირი ვერ იარსებებდა. ამ იდეის ერთგული პროპაგანდისტები, ქართველი კომუნისტების ნაწილი, თაეგამოდებით ებრძოდნენ დისიდენტურ ეროვნულ მოძრაობას. ეს თვისებები მათ გადმოიტანეს გარდამავალ პერიოდში და, მიუხედავად მათი "ფერისცვალებისა", ყურადღება მაინც უფროსი ძმისკენ პროგრესული რუსეთისაკენ ჰქონდათ მიპყრობილი. ამას დაემატა (ს.გამსახურდიას ხელისუფლების მსგავსად) ქარიზმატული ლიდერისადმი ფანატიკური რწმენის კვლავ გაღვივება, დაიწყო მიზანმიმართული, მლიქვნელობის რანგში აყვანილი ე.შევარდნაძის პიროვნული თვისებების განდიდება. ყველა წარმატება (პირველ რიგში ქვეყნის სტაბილურობა, გაეროს მიერ საქართველოს აღიარება, სხვადასხვა საერთაშორისო დემოკრატიულ ინსტიტუტებში საქართველოს გაწევრიანება და სხვა) პრეზიდენტს უნდა მიეწეროს, ხოლო წარუმატებლობა კონტრელიტის დესტრუქციული საქმიანობის და ეროვნული უმწიფრობის ნაყოფია.[1] ქართველი ხალხის ეროვნული პოტენციალის შეუფასებლობის შედეგია ის, რომ მხოლოდ სოხუმის დაცემის დღეს გამოაცხადა ე.შევარდნაძემ საყოველთაო სამხედრო მობილიზაცია. ხოლო პარლამენტის სპიკერმა ვ.გოგუაძემ დსთ-ში 'შესვლის აუცილებლობა განაცხადა. ბუნებრივია, მათი "დროული" გადაწყვეტილებები ვეღარაფერში წაადგა საქართველოს სეპარატისტების წინააღმდეგ წარმოებულ ომში.

---

1 ამ გარემოებამ მნიშვნელოვანწილად განაპირობა ტერორისტული აქტების განხორციელება პრეზიდენტზე. ასე, რომ შევარდნაძის შეუცვლელობის იდეა გარკვეულ საფუძველს ემყარება და მასზე აქცენტირება არა მარტო ავტორიტარული რეჟიმის ჩამოყალიბებას უწყობს ხელს, არამედ საშიშია თვით პრეზიდენტის პიროვნებისათვის

მმართველ ნეონომენკლატურულ ელიტას ყოველთვის შეუძლებლად მიაჩნდა რუსეთთან დაპირისპირება (მხოლოდ რამდენიმე წლის შემდეგ აღიარა ჩვენმა პრეზიდენტმა რუსეთის აფხაზეთის ომში აშკარა მონაწილეობის ფაქტი), მაგრამ ბოლო წლების მოვლენები მათ საწინააღმდეგოდ მეტყველებს: ჩეჩნეთთან წარმოებულ კოლონიურ ომში ძალთა თანაფარდობა 130-1-ზე იყო რუსეთის სასარგებლოდ, მაგრამ ეროვნული დამოუკიდებლობისაკენ სწრაფვამ გაიმარჯვა. ჩვენ შორს ვართ რუსეთთან ომის "ოპოზიციურ თეზისთან" (მხედველობაში გვაქვს რადიკალური ოპოზიცია), ამავე დროს, ვითვალისწინებთ გახლეჩილ ეროვნულ ცნობიერებას, მაგრამ ერთი რამ ცხადია - ეროვნული იდეალების გარშემო გაერთიანებულ ერს უდავოდ წარმატების მეტი გარანტია ჰქონდა სეპარატისტების წინააღმდეგ წარმოებულ ომში.

1992 წლის 11 ოქტომბერს არჩეულმა პარლამენტმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ქვეყნის დემოკრატიზაციის პროცესში. ყველაზე დიდ მონაპოვრად უნდა ჩაითვალოს ახალი კონსტიტუციის მიღება, რომელიც ამერიკული დემოკრატიის მოდელის ქართულ ნიადაგზე გადმოტანის შემოქმედებით ცდას წარმოადგენს. ქვეყანაში შემოღებული იქნა პრეზიდენტის ძლიერი ხელისუფლების ინსტიტუტი, რომელიც გარდამავალი პერიოდის ამოცანების წარმატებით გადაწყვეტის პირობას წარმოადგენს, რადგანაც საზოგადოების განვითარების თანამედროვე ეტაპზე იზრდება სუბიექტური ფაქტორის როლი.[1] პარლამენტის თავმჯდომარის პოსტზე ე.შევარდნაძეს არ შეეძლო თავისი პოლიტიკური პროგრამის ეფექტური რეალიზაცია, რადგანაც შეზღუდული იყო მისი დამოუკიდებელი მოქმედების შესაძლებლობები.

ყოფილი ტოტალიტარული სოციალიზმის ქვეყნებში არსებობს ერთპიროვნული პრეზიდენტის ინსტიტუტი. ამ ქვეყნებში საზოგადოების განვითარების განმსაზღვრელ

---

1 Социс, №10.1995, с. 31.

ტენდენციას წარმოადგენს ეროვნულ-ეტატისტური ტენდენცია. ამიტომ, პოლიტიკური ელიტის ფუნქციონალური პირამიდის სტრუქტურის დამაგვირგვინებელი პიროვნება - პოლიტიკური ლიდერი სახელმწიფოს მეთაური, პრეზიდენტი ფართო უფლებამოსილებით სარგებლობს სახელმწიფოებრივი მოღვაწეობის ყველა სფეროში. მას უსენაესი მდგომარეობა უკავია თანამდებობრივ პიროვნებათა და სახელმწიფო ორგანოების იერარქიაში, იგი აღჭურვილია ხელისუფლების ატრიბუტებით და ცალკეული პრივილეგიებით.

რესპუბლიკის პრეზიდენტი, როგორც მმართველობის ცენტრალური აპარატის ხელმძღვანელი ყოფილ ტოტალიტარულ სოციალიზმის ქვეყნებში, აღჭურვილია მთელი რიგი უფლებამოსილებით, რაც მნიშვნელოვანწილად დაკავშირებულია სახელმწიფოებრივ აღმასრულებელ-განმკარგულებელი მთელი აპარატის მოქმედება-მოღვაწეობასთან. მისი ამოცანები და კომპეტენცია, როგორც მთლიანად სახელმწიფოებრივი აპარატისა, განისაზღვრება სახელმწიფოს ძირითადი მიზნებით და ამოცანებით. პრეზიდენტი და მის მიერ კონტროლირებადი მთავრობა ხელმძღვანელობს ეკონომიკურ გარდაქმნებს, ახდენს ყველა სამინისტროსა და უწყების მოღვაწეობის კოორდინაციას. კონტროლისა და კოორდინირების მნიშვნელოვან ბერკეტს წარმოადგენს პრეზიდენტის სხვადასხვა სამოქალაქო და სამხედრო თანამდებობრივ პიროვნებათა დანიშვნისა და გადაყენების უფლებამოსილება. პრეზიდენტს (პოსტკომუნისტური სივრცის ქვეყნებში) ჩვეულებრივ, ენიჭებათ ფართო უფლებამოსილებანი ქვეყნის თავდაცვის სფეროში. იგი შეიარაღებული ძალების უმაღლესი მთავარსარდალია და ამის გამო უფლებამოსილია გასცეს ბრძანება შეიარაღებული ძალების ამოქმედების შესახებ თავდაცვის, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიზნით და სხვა.

პოსტკომუნისტური სივრცის კონსტიტუციებში ანტიდემოკრატიული ტენდენციის გამოვლენაა ის მუხლები,

რომლებიც პრეზიდენტს ანიჭებს უფლებას ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე ან მის ნაწილში შემოიღოს საგანგებო მდგომარეობა. თუ იგი გამოცხადდება, წყდება კონსტიტუციური უფლებების და თავისუფლების პროცესუალური გარანტიების და სხვა დემოკრატიული ინსტიტუტების მოქმედება, მთელ ძალაუფლებას ხელში იღებს რესპუბლიკის პრეზიდენტი.

მთავრობის წევრების დანიშვნა და გადაყენება დაკავებული თანამდებობიდან წარმოადგენს პრეზიდენტის კონსტიტუციურ პრეროგატივას.

სოციალურ-პოლიტიკური ძალების გარკვეულმა თანაფარდობამ, პოლიტიკური პარტიების მდგომარეობამ და ე.შევარდნაძის პიროვნების ზეგავლენამ თავისი ასახვა პოვა საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციაში. იგი გარკვეულწილად უარყოფს ზოგიერთ ისეთ ნიშან-თვისებას, რომელიც ტრადიციულია დასავლეთის დემოკრატიისათვის. პარლამენტური რესპუბლიკის ნაცვლად კონსტიტუცია აწესებს მართვა-გამგეობის ისეთ ფორმას, რომელშიც პრეზიდენტური რესპუბლიკის ნიშნები ჭარბობს. ეს არ არის გამოხატული კონსტიტუციის სტრუქტურაში, მისი განყოფილებების თანმიმდევრობაში. მასში ჯერ მოდის ნაწილი, რომელიც პარლამენტს და სხვა ორგანოებს ეხება, მხოლოდ ამის შემდეგ აღმასრულებელი ხელისუფლებისადმი (რესპუბლიკის პრეზიდენტი, მთავრობა) მიძღვნილი თავებია მოთავსებული.

საქართველოს კონსტიტუციის 69-ე მუხლის მიხედვით[1], საქართველოს პრეზიდენტი არის საქართველოს სახელმწიფოსა და აღმასრულებელი ხელისუფლების მეთაური. იგი წარმართავს და ახორციელებს სახელმწიფოს საშინაო და საგარეო პოლიტიკას, უზრუნველყოფს ქვეყნის ერთიანობას და მთლიანობას. საქართველოს პრეზიდენტი საქართველოს უმაღლესი წარმომადგენელია საგარეო ურთიერთობებში. იგი დებს საერთაშორისო ხელშეკრულებებს და შეთანხმებებს

---

1 საქართველოს კონსტიტუცია, თბ., 1995, გვ. 26.

(მუხლი 73)[1], პარლამენტის თანხმობით ნიშნავს მთავრობის წევრებს მინისტრებს, უფლებამოსილია თანამდებობიდან გაათავისუფლოს მინისტრები.[2] საქართველოზე შეიარაღებული თავდასხმის შემთხვევაში აცხადებს საომარ მდგომარეობას, სათანადო პირობების არსებობისას დებს ზავს, ომიანობის თუ მასობრივი არეულობის, ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფის, სამხედრო გადატრიალებისა და შეიარაღებული ამბოხების, ეკოლოგიური კატასტროფების და ეპიდემიების დროს ან სხვა შემთხვევებში... აცხადებს საგანგებო მდგომარეობას ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე ან რომელიმე მის ნაწილში. საგანგებო მდგომარეობის დროს გამოსცემს კანონის ძალის დეკრეტებს, რომლებიც მოქმედებს საგანგებო მდგომარეობის დამთავრებამდე, ახორციელებს საგანგებო ღონისძიებებს. პარლამენტის თანხმობით პრეზიდენტი უფლებამოსილია შეაჩეროს თვითმმართველობის ან ტერიტორიული ერთეულების სხვა წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობა, ან დაითხოვოს ისინი, თუ მათი მოქმედებით საფრთხე შეექმნა ქვეყნის სუვერენიტეტს, ტერიტორიულ მთლიანობას, სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოთა კონსტიტუციურ უფლებამოსილებათა განხორციელებას. საქართველოს პრეზიდენტი კონსტიტუციისა და კანონის საფუძველზე გამოსცემს ბრძანებულებებს და განკარგულებებს, აქვეყნებს კანონებს კონსტიტუციის განსაზღვრული წესით. იგი უფლებამოსილია გააუქმოს მისადმი ანგარიშვალდებული აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოთა აქტები. პრეზიდენტი არის საქართველოს სამხედრო ძალების უმაღლესი მთავარსარდალი. იგი ნიშნავს ეროვნული უშიშროების საბჭოს წევრებს, თავმჯდომარეობს მის სხდომებს, ნიშნავს და გადააყენებს მხედართმთავრებს (მუხლი 98); სამხედრო ძალების სტრუქტურას ამტკიცებს საქართველოს პრეზიდენტი (მუხლი 99); ეროვნული უშიშროების საბჭოს

1 საქართველოს კონსტიტუცია, თბ., 1995, გვ. 26.
2 იქვე., გვ. 28.

ხელმძღვანელობს საქართველოს პრეზიდენტი; (მუხლი 100) საქართველოს თავდაცვის მიზნით, განსაკუთრებულ და კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში, ქვეყანაში სხვა სახელმწიფოს სამხედრო ძალის შემოყვანის, გამოყენების და გადაადგილების გადაწყვეტილებას იღებს საქართველოს პრეზიდენტი. საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით (მუხლი 75) საქართველოს პრეზიდენტი ხელშეუვალია.

უფლებამოსილებათა მოყვანილი ნუსხა არ არის არსებითი სახელმწიფოს სისტემაში პრეზიდენტის რეალური როლის განსაზღვრისას. ამაზე მეტყველებს როგორც პარლამენტსა და მთავრობას შორის მისი, როგორც პრეზიდენტ-არბიტრის კომპეტენცია. უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს ე. შევარდნაძესთან არსებული აღმასრულებელი პრეზიდენტის აპარატი საკოორდინაციო და საკონსულტაციო ფუნქციების შესრულებისათვის შექმნილი მექანიზმია. მისთვის დამახასიათებელია საიდუმლოების ატმოსფერო გადაწყვეტილებათა მიღების პროცესში. მთავრობის კაბინეტის წევრებისაგან განსხვავებით, პრეზიდენტის აპარატის თანამშრომლები არ არიან ანგარიშვალდებულნი ქვეყნის უზენაესი საკანონმდებლო ორგანოს საქართველოს პარლამენტის წინაშე.

ამრიგად, პრეზიდენტი აღჭურვილია სახელმწიფო საკითხების გადაწყვეტის განუსაზღვრელი უფლებამოსილებით. მისი ხელისუფლების როლის ზრდა არ შეიძლება გამართლებული იყოს ურთულესი სოციალურ-პოლიტიკური და ეკონომიკური პრობლემების წინაშე მდგარი დეფორმირებული, სტაგნაციაში მყოფი აგრარულ-სამრეწველო ეკონომიკის მქონე მცირე ქვეყნის მართვის აუცილებლობით. ეჭვს არ იწვევს ის უცილობელი ფაქტი, რომ ძლიერმა საპრეზიდენტო ხელისუფლებამ ვერ შეძლო ეფექტურად აემოქმედებინა მთელი სახელმწიფოებრივ-მმართველობითი სისტემა. დინამიური აღმასრულებელი ხელისუფლების შემოქმედებითი, თანმიმდევრული და ენერგიული

ფუნქციონირების გარეშე გადაუჭრელი იქნება ქვეყნის წინაშე მდგარი ყველა პრობლემა. ასევე ვერაფერ'ში წაადგა რუსეთის ეკონომიკას პრეზიდენტ ელცინის უფლებამოსილებანი.[1]

საქართველოს ახლად არჩეული პრეზიდენტი აფასებდა რა ბოლო სამი წლის (1992-95) მმართველი პოლიტიკური ელიტის მუშაობის შედეგებს, მიუთითებდა: "ამ სამი წლის მთავარი შედეგი ის არის, რომ ერთი სოციალურ-ეკონომიკური წყობილება იცვლება სხვა, უფრო პროგრესული სოციალური წყობილებით და ეს პროცესი შეუქცევადი გახდა.

სამი წლის წინათ სახელმწიფო არ გაგვაჩნდა, დღეს სახელმწიფო ასე თუ ისე გვაქვს, მართალია, ის სრულყოფას მოითხოვს.

სამი წლის წინათ ჩვენ გვქონდა მხოლოდ კანონი ხელისუფლების შესახებ, დღეს გვაქვს დემოკრატიული კონსტიტუცია.

დღეს ჩვენ გვაქვს გაცილებით უფრო სრულყოფილი, ახალი საარჩევნო კანონი.

სამი წლის წინათ საერთოდ არ ფუნქციონირებდა საქართველოს ეკონომიკა.

სამი წლის წინ, ფაქტობრივად, არ გვყავდა არმია, პოლიცია, უმიშროების სამსახური, სხვა ძალოვანი სტრუქტურები. დღეს ამ მიმართულებით დიდი ნაბიჯებია გადადგმული.

განხორციელდა ძირფესვიანი ფულადი რეფორმა შემოღებულია ლარი, ფულის სუროგატის - კუპონის ნაცვლად.

სამი წლის წინათ მძვინვარებდ სამოქალაქო ომი, დღეს მშვიდობა, სტაბილურობა ქვეყნის აღმშენებლობის განმსაზღვრელი ფაქტორი გახდა". [2]

---

1 Конституция (основной закон) Российской Федерации.М.,1997,. გვ. 33-40.

2 ედუარდ შევარდნაძე. დამოუკიდებელი, განუყოფელი, დემოკრატიული საქართველოსთვის. თბ., 1995, გვ. 3-5.

ქვეყნის დემოკრატიულობას მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს კონსტიტუციით განსაზღვრული ადამიანის უფლებების საყოველთაოდ აღიარებული პრინციპების განუხრელად დაცვა. დემოკრატიზაციის პროცესის განვითარების უცილობელ პირობას წარმოადგენს საპარლამენტო და პარლამენტს გარეთ დარჩენილი ოპოზიციური ძალების კონსტრუქციული საქმიანობა, რომელიც "პოზიციისა" და ოპოზიციის ნორმალური თანაარსებობის გარანტიებს განაპირობებს.

ოპოზიცია პირველ რიგში დაინტერესებული უნდა იყოს დემოკრატიული პოლიტიკური ინსტიტუტების დამკვიდრებით, რომლებიც საშუალებას მისცემს ყოველგვარი შეზღუდვების გარეშე გამოხატონ თავიანთი პოზიციები და იდეოლოგიური კრედო. საჭიროა ხელისუფლებისათვის ბრძოლა ქვეყნის კონსტიტუციით განსაზღვრული წესების შესაბამისად მიმდინარეობდეს. აღნიშნული მიმართულებით დაშვებულმა ორმხრივმა შეცდომებმა საგალალო შედეგებამდე მიიყვანა დაპირისპირებული ძალები 1991-92 წლების დეკემბერ-იანვარში. ამიტომ, მეორედ შეცდომის დაშვების უფლება არც მმართველ სამთავრობო ელიტას აქვს და არც ოპოზიციას.

საკითხის აქტუალურობას ისიც განაპირობებს, რომ ხელისუფლებასთან ურთიერთობის პროცესში ახლანდელი ოპოზიციური ძალები კვლავ დისიდენტურ, დესტრუქციულ მოქმედებებს მიმართავენ: "მოგეხსენებათ ჩვენი პოლიტიკური პარტიების პროგრამების, პოლიტიკური სტრატეგიისა და ტაქტიკის პლურალობა, მსოფლმხედველობრივი მრავალფეროვნება, "სოგჯერ ექსტრემიზმამდე, დესტრუქციულ ქმედებამდე მისული საქმიანობა".[1] არ შეიძლება ამჯერად არ დაეთანხმო ე.შევარდნაძის დასკვნას, როდესაც გადავხედავთ და გავაანალიზებთ საპარლამენტო და პარლამენტს გარეთ დარჩენილი ოპოზიციური პარტიების საქმიანობას.

---

1 ედუარდ შევარდნაძე. დამოუკიდებელი, განუყოფელი, დემოკრატიული საქართველოსთვის. თბ. 1995., გვ. 11.

კონსტრუქციული ოპოზიციის ცნება არც ტაშისკვრას ნიშნავს სამთავრობო ელიტის წარმატებებზე. არც ის არის საჭირო, მმართველი ელიტის სასარგებლოდ ოპოზიციამ უარი თქვას თავის პოლიტიკურ იდეალებზე და "გაწოვილ" იქნეს ხელისუფლებაში. კონსტრუქციულობა, პირველ რიგში, ალტერნატიული სამოქმედო პროგრამის, მიმდინარე პოლიტიკური პროცესების ღრმა ანალიზს, პროექტებისა და წინადადებების ხალხის ფართო სამსჯავროზე გამოტანას ითვალისწინებს.

პოლიტიკურ კონტრელიტას საქართველოში არ ჰქონია საკმარისი დრო და გამოცდილება დემოკრატიული თამაშის წესების ათვისებისათვის, რომელთა დამკვიდრების გარანტიას საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლების ურთიერთკონტროლის მექანიზმის ამოქმედება იძლევა. მმართველი პოლიტიკური ელიტა ხშირად არღვევს პოლიტიკური ბრძოლის დემოკრატიულ წესებს და ადეკვატურ რეაქციასაც აწყდება პოლიტიკური ოპოზიციის მხრიდან. ამას ემატება ქვეყანაში დამკვიდრებული ავტორიტარული პოლიტიკური რეჟიმი, რომელიც ზღუდავს მოსახლეობის პარტიციპაციის შესაძლებლობებს. მაგრამ ყოველივე ზემოთ თქმული არ ათავისუფლებს პოლიტიკურ კონტრელიტას საქართველოში კონსტრუქციული საქმიანობის აუცილებლობისგან.

პრეზიდენტის გარშემო გაერთიანებული მმართველი პოლიტიკური ელიტა, რომელიც აღმასრულებელ ხელისუფლებაში იყო ძირითადად განთავსებული, მალე დარწმუნდა ქვეყნის პარლამენტის "ძნელად მართვადობაში". უმრავლესობის და უმცირესობის პრინციპებით პარლამენტში გადაწყვეტილებების გამოტანა დღითიდღე ძნელდებოდა. ამან პრეზიდენტი მიიყვანა ახალი პოლიტიკური პარტიის "მოქალაქეთა კავშირის" შექმნის იდეამდე. ახალ პოლიტიკურ ძალას თვით პრეზიდენტი ჩაუდგა სათავეში, რამაც მნიშვნელოვანწილად განაპირობა მათი გამარჯვება 1995 წლის

საპარლამენტო არჩევნებში. პარტიული ელიტა, რომელიც "მოქალაქეთა კავშირში" გაერთიანდა, თავდაპირველად სამართლებრივი სახელმწიფოს შექმნის იდეის და საბაზრო ეკონომიკის ქომაგებად აცხადებდა თავს, შემდეგ დასავლეთის ლიბერალური ღირებულებების დაცვა დაიწყეს, ხოლო არჩევნებში გამარჯვების შემდეგ სოციალისტურ ინტერნაციონალში გაერთიანდნენ.

პარლამენტში "მოქალაქეთა კავშირის" გამარჯვებამ უსრუნველყო საკანონმდებლო ორგანოს მხარდაჭერა, ხოლო აღმასრულებელ ხელისუფლებაში პრეზიდენტმა თავის გარშემო შემოიკრიბა ყოფილი ერთგული პარტიული ფუნქციონერები, ანუ, როგორც მათ ხშირად უწოდებენ, ნეონომენკლატურა; ჩამოყალიბდა ქვეყნისათვის შეუფერებელი სიდიდის ბიუროკრატიული აპარატი და მასში გაერთიანდა ადმინისტრაციული ელიტა; ასევე სრულად არის გათვალისწინებული პრეზიდენტის ინტერესები ადგილებსაც, სადაც მისი ბრძანებით ინიშნებიან გამგებლები, მერები, გუბერნატორები. 1997 წლის 16 ოქტომბერს მიღებულ კანონში "ადგილობრივი თვითმმართველობის და მმართველობის შესახებ", ეკითხულობთ: "სახელმწიფოს რწმუნებულის ანალოგიური ინსტიტუტები მოქმედებენ მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში. ამასთან აქვე ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ეს ინსტიტუტი უპირატესად სწორედ უნიტარული, ცენტრალიზებული სახელმწიფოებისათვისაა დამახასიათებელი. ამ ინსტიტუტების შემოღებით არ იქმნება ე.წ. "სეპარატიზმის" საფრთხე. პირიქით, კრიტიკა შეიძლება მხოლოდ იმ კუთხით, რომ ეს ინსტიტუტი აძლიერებს ცენტრალურ ხელისუფლებას".[1] რეგიონული პოლიტიკური ელიტის შემადგენლობის დემოკრატიული გზით ფუნქციონირების პრეტენზია აქვს 1998 წლის 15 ნოემბერს ადგილობრივი მმართველობის ორგანოების საკრებულოების არჩევნებს, რომლის შედეგადაც "მოქალაქეთა

1 ედუარდ შევარდნაძე. დამოუკიდებელი, განვითარებული, დემოკრატიული საქართველოსთვის. თბ. 1995., გვ. 11.

კავშირის" გვერდით ხმების გარკვეული რაოდენობა მოიპოვეს და მიიღეს მანდატები ლიბერალისტურმა, სოციალისტურმა, ეროვნულ-დემოკრატიულმა, სახალხო, ტრადიციონალისტებმა, აღორძინების პარტიებმა (მათ გადალახეს დაწესებული 5% ზღვარი). ასევე საკრებულოებში წარმოდგენილია სხვა პარტიების კანდიდატები.

ქვეყნის პრეზიდენტმა თავის გარშემო შემოიკრიბა ყოფილი ფუნქციონერები, როგორც კომკავშირის, ისე პარტიის რიგებიდან, ე.წ. ნეონომენკლატურა და მათ ახალი ფუნქციები დააკისრა.[1] მათი დანიშვნა ნომენკლატურული რეკრუტირების პრინციპით ხორციელდება. მთავარი ყურადღება ექცევა პირად ერთგულებას და თითქმის უგულვებელყოფილი იქნა პროფესიონალიზმი, საქმის ცოდნა, ინიციატივისა და არასტანდარტული აზროვნების უნარი. ყოველივე ამას ემატება მემკვიდრეობით მიღებული მორჩილებითი პოლიტიკური კულტურა, რომელიც კომუნისტური ტოტალიტარული რეჟიმის მძიმე გადმონაშთს წარმოადგენს. მმართველი პოლიტიკური ელიტის საურთიერთობო ენა მორჩილებით კულტურასა აგებული, რაც ზემდგომი ორგანოს და შესაბამისი პიროვნებისადმი უსიტყვო მორჩილებაში პოულობს გამოხატულებას იშვიათი გამონაკლისის გარდა. ასე იყო ნომენკლატურის ბიუროკრატიული იერარქიული სტრუქტურა აგებული. იგივე თვისებებს ავლენს პოსტსაბჭოთა სივრცის აზიური ნაწილი და რუსეთის რეგიონები, სადაც ხელისუფლება ძირითადად "გარდაქმნილი" კომუნისტების ხელშია. რუსეთში დღესაც შენარჩუნებულია ელიტების წარმოქმნა-ცირკულაციის ნომენკლატურული პრინციპი, რომლის სტიმულირებას ახდენს

---

1 ს.გამსახურდიამ თითქმის მთლიანად შეცვალა მმართველი პოლიტიკური ელიტა და ამან ქვეყანაში არასტაბილური ვითარება გამოიწვია. ე.შევარდნაძემ კი საპირისპიროდ, იშვიათი გამონაკლისის გარდა, შეინარჩუნა ძველი მემკვიდრეობა და ფაქტობრივად უარყო ის, რაც განახლება-ცირკულაციას უსრულველყოფდა.

რამდენადმე მნიშვნელოვანი "პოლიტიკური ბაზრის" არქონა, რომელსაც შეეძლო, დემოკრატიული თამაშის კონკურენციული თუ შეჯიბრებითი წესების პირობებში, ხელი შეეწყო პროფესიონალთა მოზიდვისათვის პოლიტიკურ ელიტაში. "პოლიტიკური ელიტების კვლავწარმოების პროცესი კიდევ დიდხანს დარჩება გარდამავალი პერიოდის პოლიტიკური მოვლენების ხასიათის და მიმართულების განმსაზღვრელ ფაქტორად".[1]

პრეზიდენტის ხელისუფლების განუსაზღვრელ ზრდას, ნეონომენკლატურის მორჩილებით პოლიტიკურ კულტურას დაემატა რა ქვეყანაში შექმნილი მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა და მოსახლეობის ადეკვატური რეაქცია მიმდინარე მოვლენებზე, ნოყიერი ნიადაგი შეექმნა საქართველოში ერთ პიროვნებაზე გათვლილ ავტორიტარულ პოლიტიკურ რეჟიმს, როგორც ცენტრში, ასევე რეგიონებში. საზოგადოებაში, რომელიც განიცდის ისტორიულ კრიზისს, ვკითხულობთ რ. ინელჰარტის სტატიაში "პოსტმოდერნი: ღირებულების მონაცვლეობა და ცვალებადი საზოგადოება", შეიმჩნევა ფენომენი, რომელსაც შეგვიძლია ვუწოდოთ ავტორიტარული რეფლექსი. სწრაფ ცვლილებებს მიეყავართ მერყეობამდე, რომელიც ბადებს წინასწარმეტყველების დიდ მოთხოვნებს.[2] გარდამავალ პერიოდს შეიძლება, გარკვეული აზრით "ნეიტრალური ზონა"[3] ვუწოდოთ, ვინაიდან ძველი საზოგადოდ არ არის უარეყოფილი, ხოლო ახლის სახე გამოკვეთილად არ არის წარმოდგენილი. ყოველივე ეს რთული ფსიქოლოგიური პროცესია. ადამიანზე ზემოქმედებს "ძველ'ში ყოფნისა" და "ახლის შექმნისაკენ" წარმმართველი ძალები. ამ სტადიაზე ადამიანები თავიანთ მოქმედებებსა და

---

1 В.В.Ильин, А.С.Панарин, Д.В.Бадовский. Политическая Антропология.М.,1995, გვ. 209.
2 Полис ,1997, №4. გვ.17.
3 Тичи Н., Деванна М.Л., Лидеры Реорганизации., М.,1990, გვ .68.

მოლეაწეობაში არათანმიმდევრულნი არიან[1] და იოლად ექცევიან ცალკეული პოლიტიკური ლიდერების გავლენაში.

ერთი შეხედვით, არაფერი საგანგაშო არ უნდა იყოს, რომ ქვეყანას მართავს გარდაქმნილი, ფერშეცვლილი ნეონომენკლატურული პოლიტიკური ელიტა, მაგრამ საქმის არსში ნაწვდომისას დაერწმუნდებით რომ ეს ასე არ არის.

გარდამავალი პერიოდის სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური, კულტურული და ეროვნული პროცესების განვითარებაში თავი იჩინა არასტანდარტულმა, შემთხვევითმა, უმართავადმა ქაოსურმა მოვლენებმა, რომელთა მიხედვით პოლიტოლოგთა ნაწილი დასავლეთის დემოკრატიულ ღირებულებებზე სწრაფ ორიენტირებას ასახელებს. დასავლეთ ევროპის იდეოლოგიის ლიბერალიზმის, სულიერი რეფორმიზმის, რუსულ სამამულო ნიადაგზე გადმოტანის მექანიკური ცდები წარუმატებლად მთავრდება, - ვკითხულობთ 1998 წელს გამოცემულ პოლიტოლოგიის სახელმძღვანელოში, მათი ღირებულებები სწრაფად გარდაიქმნება თავისებურ პრაგმატულობად. ინდივიდუალიზმი - შეუკავებელ ეგოიზმად, თავისუფლება უპასუხისმგებლობად და თვითნებობად, კონკურენცია - ძლიერთა მაფიოზურ თარეშად.* გარდამავალ პერიოდში სახეზე გვაქვს ნაწილობრივ დეფორმირებული, დანგრეული, ნაწილობრივ მოდერნიზებული საზოგადოება. მმართველი პოლიტიკური ელიტის წარმატება შეიძლება იმით გაიზომოს თუ რამდენად მიაღწევს წარმატებებს მოდერნიზაციის სექტორში და შეამცირებს დამანგრეველი ტენდენციების როლს. ქაოსს, უმართავად პროცესებს, როგორც სინერგეტიკოსების გამოკვლევები გვეუბნებს, შეიძლება ჰქონდეს შინაგანი ტენდენცია წესრიგისაკენ. ქაოსიდან წესრიგის წარმოშობის დროს გამოყოფენ მისგან შედარებით მოწესრიგებულ და ორგანიზებულ სფეროს. ამავე დროს,

---

1 ავთანდილ ბუცხრიკიძე. პოლიტიკური ლიდერი. თბ., 1995, გვ- 87.

2 Политология (под редакцией А.А.Радигина) .М, 1998, გვ.165.

წესრიგი შეიძლება წარმოიშვას ქაოსიდან, შეიძლება არ.
სოციალურ-პოლიტიკურ სფეროში ეს ძალიან სა'მიშია, რადგანაც შეიძლება წესრიგი გარეშე ძალებმა დაამყაროს.[1]

შემთხვევითი, უმართველი მოვლენები გარდამავალი პერიოდის განმსაზღვრელ ტენდენციას წარმოადგენს და იგი მომდინარეობს საზოგადოების განვითარების წინააღმდეგობრივი ბუნებიდან. "თანამედროვე რუსეთის პოლიტიკური ცხოვრების ემპირიული სურათი აღსავსეა წინააღმდეგობებით. ერთმანეთის გამომრიცხავი ფაქტების ზღვაშია ჩაძირული ტენდენციები. მისი უდიდებულესობა შემთხვევა მართავს მეჯლისს. ყველა დასკვნა და პროგნოზი - შედარებითი და სუბიექტურია".[2]

ამრიგად, ზემოთ ჩამოთვლილი "არატიპური", შემთხვევითი, უმართველი პროცესების მართვა-რეგულირება-პროგნოზირება მმართველი პოლიტიკური ელიტის საქმიანობის განმსაზღვრელ მიმართულებას წარმოადგენს.

ტრადიციული დიალექტიკური მეთოდით, მიზეზ-შედეგობრივი კავშირების უნივერსალური კანონებით, "ობიექტური კანონზომიერებებით", "საზოგადოების მეცნიერული მართვის" და სხვა ცნებებითა და თეორიული ცოდნით ნომენკლატურა "წარმატებებს" აღწევდა სოციალიზმის მშენებლობის დროს, ხოლო გარდამავალი პერიოდის წინააღმდეგობრივი პოლიტიკური, ეკონომიკური და ეთნიკური პროცესების მართვა ცოდნის ძველი მარაგითა და მეთოდებით თითქმის შეუძლებელია და ამის სამწუხარო მაგალითები მრავლადაა პოსტსაბჭოთა სივრცეში და, პირველ რიგში, საქართველოს სინამდვილეში.

ნომენკლატურული ელიტის საქმიანობა მოკლებული იყო შემოქმედებით მიდგომას და ინდივიდუალურ ინიციატივას. უფრო მეტიც, ყოველივე ეს ვერ ეტეოდა ნომენკლატურული სტრუქტურის დოგმატურ ჩარჩოებში, ხოლო გარდამავალ

1 Вопросы философии. М.,1998, №5,.გვ.7.
2 Полис, 1997,. №4,. გვ.17.

პერიოდში ეს მონაცემები მათი პოლიტიკური საქმიანობის განმსაზღვრელი ფაქტორი გახდა.

ბოლო წლებმა დაგვარწმუნა, რომ ამ საქმეს ვერც თანამდებობის პირების სწრაფი მონაცვლეობა შეელის; ამის დადასტურებაა პრეზიდენტის საკადრო პოლიტიკა. ერთი შეხედვით, ელიტის პოტენციური რეზერვი საქართველოში საკმაოდ სტაბილურია. მაგრამ პოლიტიკური ელიტის ინდივიდუალური თვისებები რჩება საკმაოდ არამყარი – გარდამავალი პერიოდის ამოცანების "არატიპურობა" და სირთულე იწვევს ამა თუ იმ პოლიტიკური მოღვაწის საქმიანობის კრახს; საკადრო ცვლილებები სწრაფად ხდება; ეს იწვევს ერთი მხრივ, ხალხის ნდობის დაკარგვას და, მეორე მხრივ, მმართველი პოლიტიკური ელიტის შიგნით ოპოზიციურად განწყობილი ე.წ. "კონფლიქტური პიროვნებების" გამოცალკევებას, რომლებიც კონსტრუქციული თანამშრომლობისაგან თავს იკავებენ და ხელს უწყობენ ქვეყანაში პოლიტიკური ვითარების დაძაბვას.

საქართველოში თანამდებობის დაკარგვა ოპოზიციონრობის ტოლფასია. უფრო მეტიც, "პოზიცია" და ოპოზიცია თანამდებობის ფლობა არ ფლობით განისაზღვრება და არა რომელიმე პოლიტიკური იდეალის ან იდეოლოგიური პლატფორმის მიხედვით.

ოპოზიცია და "პოზიცია" დემოკრატიულ ქვეყნებშიც ხელისუფლებისათვის ბრძოლიდან მომდინარეობს. მაგრამ ამ პროცესს პოსტსაბჭოთა სივრცეში მნიშვნელოვანი თავისებურებები გააჩნია. კომუნისტური ტოტალიტარული რეჟიმის პირობებში საზოგადოებაში არსებული ყველა მატერიალური და სულიერი ღირებულებებით (სპეცმაღაზიები, აგარაკები, სამედიცინო მომსახურება, საზღვარგარეთ მოგზაურობა და სხვა) უზრუნველყოფილი იყო მმართველი პოლიტიკური კლასი, ნომენკლატურა.

საზოგადოების სხვა ნაწილისათვის ასეთი პრიეილეგიების შექმნა კანონითაც კი ისჯებოდა. ამიტომ,

ბუნებრივია, ნომენკლატურულ მმართველ ელიტაში შეღწევა, თანამდებობისათვის ბრძოლა ადამიანთა დიდი უმრავლესობის პოლიტიკურ იდეალს წარმოადგენდა.

ზემოჩამოთვლილმა მომენტებმა თავი ინინა გარდამავალი პერიოდის პოლიტიკურ ცხოვრებაში. თავდაპირველად ეროვნული მოძრაობა ბევრმა "ეროვნულმა მოღვაწემ" თანამდებობისათვის დაუნდობელ ბრძოლად აღიქვა, ხოლო მოგვიანებით, ნეონომენკლატურული მოღვაწეობის თანამედროვე ეტაპზე, იგი ოპოზიციონერობის განმსაზღვრელ კრიტერიუმად იქცა. ამას ადასტურებს, როგორც ზემოთ მივუთითეთ, პრეზიდენტის საკადრო ცვლილებები, რომელთა განმსაზღვრელი მიზეზია მმართველი პოლიტიკური ელიტის არაკომპეტენტურობა, დაბალი პროფესიონალიზმი და არა საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის განსხვავებული ხედვა თავისებურებები.

ქვეყნის მობილური მართვის გარანტიას არ წარმოადგენს ბიუროკრატიული აპარატის კატასტროფული ზრდა, აღმასრულებელ და საკანონმდებლო ხელისუფლებაში პარალელური სტრუქტურების შექმნა, ისევე, როგორც შედეგს არ იძლევა, "კორუფციის წინააღმდეგ მიმართული" მაკონტროლებელი ორგანოების გეომეტრიული პროგრესიით მატება და ბიუროკრატიული, ადმინისტრაციული ელიტის მიერ საკუთარი აპარატული ბატონობის დამყარება.

მდგომარეობიდან გამოსვლის ერთადერთი გზაა მმართველი პოლიტიკური ელიტის განახლება პროფესიული კადრებით დამოუკიდებლად მათი პარტიული კუთვნილებისა. საჭიროა თანამდებობებზე შევინარჩუნოთ ნომენკლატურის ის ნაწილი, რომელიც წარმატებით ართმევს თავს ქვეყნის წინაშე მდგარ ამოცანებს. ნომენკლატურული წარსული აღარ უნდა იყოს ხელის-შემშლელი ან ხელისშემწყობი ფაქტორი. ამას შეიძლება ადგილი ჰქონოდა გარდამავალი პერიოდის საწყის ეტაპზე.

პროფესიონალების მოზიდვა სახელმწიფოებრივი სტრუქტურის სხვადასხვა რგოლებში რეფორმის წარმატებით

წარმართვის მთავარი გარანტიაა. სასამართლო რეფორმის დაწყებამ გარკვეული ნაბიჯები გადადგა სამართლებრივი სახელმწიფოს მშენებლობის გზაზე, გარკვეული შედეგები გვაქვს ადგილობრივი მმართველობის დემოკრატიზაციის საქმეში. მმართველი პოლიტიკური ელიტა ყოველდღიურ საქმიანობაში უნდა ითვალისწინებდეს პოლიტიკური პროცესების ტრანსფორმაციის ყველა შესაძლო ვარიანტის ანალიზს. ფაქტია, რომ დემოკრატიულ ქვეყნებში სოციალურ-პოლიტიკური პროცესების რეგულირებისას ფართოდ იყენებენ მათემატიკური მოდელირებისა და კომპიუტერული პროგრამირების თანამედროვე ხერხებსა და მეთოდებს, რომლებიც საშუალებას იძლევა წინასწარ იქნეს გათვლილი მოვლენების განვითარება, უფრო მეტიც, განიხილავენ პრაქტიკულად "არარეალურ", "აბსურდულ" ვარიანტებსაც, რომელთა რეალურად ქცევა ძალუძს საზოგადოებრივი პროცესების წინააღმდეგობრივ ბუნებას. ასეთი ალბათობა განსაკუთრებით დიდია გარდამავალ პერიოდში და ამიტომ ვაწყდებით, ჩვენი აზრით, შემთხვევით, გაუცნობიერებელ, ქაოსურ და ანარქიულ პროცესებს. საჭიროა სამთავრობო სტრუქტურების დონეზე წახალისდეს მსგავსი პროგრამების და მეთოდების დამუშავება.

საქართველოში მმართველობა ელიტარულია, რაც, უპირველეს ყოელისა, იმით არის გაპირობებული, რომ პოლიტიკურმა ელიტამ დაკარგა სოციალური დასაყრდენი და იგი მოკლებულია ქვემოდან ორგანიზებულ მხარდაჭერას. დაბალია ხალხის პარტიციპაციის ხარისხი, მათ მონაწილეობას პოლიტიკურ პროცესებში არჩევნებში მონაწილეთა დაბალი პროცენტი განსაზღვრავს. ქვეყნისათვის მნიშვნელოვან პოლიტიკურ გადაწყვეტილებებს ღებულობს პრეზიდენტი თავის გარშემო გაერთიანებულ მცირე ჯგუფთან ერთად. არარსებობს საშუამავლო დემოკრატიული პოლიტიკური ინსტიტუტები, რომლებიც ხალხის "ზეწოლის", "ზეგავლენის" მექანიზმს აამოქმედებს.

მმართველი პოლიტიკური ელიტის პრივილეგიების ზრდა კიდევ უფრო ამწვავებს სოციალურ მდგომარეობას ქვეყანაში და განაპირობებს ხალხის უმრავლესობასთან მათ დაპირისპირებას. დღის წესრიგში დგება პოლიტიკური პროცესების ანალიზისას მასისა და ელიტის ურთიერთდაპირისპირებულობის მეთოდოლოგიაზე დაყრდნობის აუცილებლობა. მმართველი, სამთავრობო ელიტა, შემოქმედებითად იყენებს "ეროვნულ სიმდიდრეზე კონტროლის" საბჭოთა მეთოდს, გარდამავალ პერიოდში და თავისთვის ქმნის განუსაზღვრელ უპირატესობებსა და პრივილეგიებს. რუსეთში, საქართველოში და სხვა რესპუბლიკებში ხელისუფლების ფლობა სიმდიდრის სინონიმად იქცა. კორუფციამ სახელმწიფო მოხელეთა შორის ფართო გასაქანი პოვა. მოხდა პოლიტიკურ ელიტასთან მძლავრი მაფიოზური ეკონომიკური ჯგუფების გაერთიანება. ფაქტორიულად გარდამავალი პერიოდის დღევანდელ ეტაპზე სახელმწიფო მმართველი უმცირესობის ინტერესებს იცავს.[1]

ამავე დროს, სახეზეა კრიზისი სულიერ სფეროში. მხოლოდ არჩევნების დროს მიმდინარე მოვლენებში არის შესაძლებელი ოპოზიციისა და პოზიციის ორიენტაციების გამოკვეთა, რაც შეეხება ხანგრძლივ მოქმედ პროგრამებს, იდეოლოგიურ ორიენტაციებს, ზნეობრივ ღირებულებებს, ეს მათ ნაკლები ხარისხით გააჩნიათ და, ამდენად, ძნელდება მათი შეფასება-ანალიზი.

*

* *

მიუხედავად იმისა, რომ პოლიტიკურ ელიტებს საქართველოში ობიექტური და სუბიექტური ხასიათის ნაკლოვანებანი ახასიათებთ, რომელთა ნაწილი მემკვიდრეობით მივიღეთ ადმინისტრაციულ-მბრძანებლური ტოტალიტარული რეჟიმისგან, ზოგი გარდამავალმა პერიოდმა და საბაზრო

1 გ.ინწკირველი, სახელმწიფოს და სამართლის თეორია. თბ., 1996, გვ. 33.

ეკონომიკის დამკვიდრების თავისებურებებმა წარმოშვა, მაინც შესამჩნევი შედეგებია მიღწეული პოლიტიკური სისტემის მოდერნიზაციისა და ეკონომიკური რეფორმების გატარების საქმეში. ამის საილუსტრაციოდ საკმარისია 1993/94 წლების სოციალ-ეკონომიკური და პოლიტიკური მდგომარეობის შედარება დღევანდელობასთან.

1992-94 წლებში სხვადასხვა სახის ომებმა ქვეყანას 6-7 მილიარდი დოლარის ეკვივალენტის ეკონომიკური ზარალი მიაყენა.[1] მინიმალური ხელფასი და პენსია 1994 წელს 2,5 მლნ. კუპონამდე (1,78 აშშ დოლარი) დაეცა; საშუალო ხელფასი შესაბამისად - 6,27 მლნ კუპონამდე (5,62 აშშ დოლარი)[2]. ქვეყანა პრაქტიკულად კატასტროფის პირას იმყოფებოდა. რეალურად დადგა რესპუბლიკის მოსახლეობის შიმშილის პრობლემა. საქართველო კვების პროდუქტების ექსპორტიორი ქვეყნიდან იმპორტიორად იქცა.[3]

მდგომარეობა მოითხოვდა რადიკალური ხასიათის ეკონომიკური რეფორმების გატარებას, რათა ქვეყანა გვეხსნა ანარქიისა და ქაოსისაგან, გადაგვერჩინა საქართველოს სახელმწიფოებრიობა. ამ მიზნით მმართველმა პოლიტიკურმა ელიტამ მიიღო ანტიკრიზისული პროგრამა, რომელიც 1994 წლის 7 თებერვალს მოიწონა სახელმწიფოს მეთაურმა.

ხელისუფლების დიდი ძალისხმევის შედეგად შესაძლებელი გახდა ინფლაციური პროცესების მართვა, მყარი ეროვნული ვალუტის შემოღება, ფულად-საკრედიტო პოლიტიკის რეფორმირება, პურზე და ენერგოშემცველებზე ფასების ლიბერალიზაცია, პრივატიზაციის პროცესის დაჩქარება და ა.შ.

მთავარი შედეგი ისაა, რომ პოლიტიკური სისტემის მსარდმა დემოკრატიზაციამ გამორიცხა ხელისუფლების კრიმინალიზაციის შესაძლებლობა და ცხოვრებაში ინერგება

---

1 რეფორმების პირველი შედეგები. თბ. 1998, გვ. 5.
2 იქვე, გვ. 10.
3 იქვე, გვ. 9.

დასავლეთის დემოკრატიების ლიბერალური ღირებულებები და ფასეულობები.

და, ბოლოს, ოპტიმიზმის პერსპექტივას იძლევა ის გარემოება, რომ ‘ სემოთ ნამოთვლილი ნეგატიური მოვლენები ტიპიურია პოსტსაბჭოთა სივრცის ქვეყნებისათვის. ბალტიისპირეთის რესპუბლიკებმა დაძლიეს სიძნელეთა დიდი ნაწილი. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ უახლოეს პერიოდში ნავთობსადენის მშენებლობა საქართველოში და დასავლეთის ეკონომიკური და პოლიტიკური ინტერესების ‘ სრდა ქვეყნის მტკიცე სტაბილურობის გარანტად იქცევა. და ნაკლები შესაძლებლობა ექნება გარეშე ძალებს პოლიტიკურ ავანტურაში ჩაითრიოს ქართველი ხალხი; პრაქტიკულად იმუშავებს ხელისუფლების დანაწილების დემოკრატიული პრინციპი, გაძლიერდება აღმასრულებელი, საკანონმდებლო და სასამართლო ხელისუფლების ‘ ურთიერთკონტროლის მექანიზმი, ავტოკრატიულ მმართველობას შეცვლის გუნდური მართვის პარტიული პრინციპი, ჩამოყალიბდება სამოქალაქო საზოგადოება და შესაბამისი დემოკრატიული პოლიტიკური კულტურა; ხელისუფლებაში მოვლენ დამოუკიდებელი ა‘ ზროვნების პროფესიონალები; ცივილიზებულ, კონსტრუქციულ ხასიათს მიიღებს პოლიტიკური ელიტის და კონტრელიტის თანაარსებობა და საქართველო ღირსეულ ადგილს დაიმკვიდრებს თავისუფალ ერთა თანამეგობრობაში.

გამოყენებული ლიტერატურა

გ. ასათიანი. საზოგადოების სოციალური სტრუქტურა, თბ., 1969წ.

გ. აბესაძე პოლიტიკური სოციალიზაცია. თბილისი, 1996.

ამერიკული დემოკრატია, თბილისი, 1995წ.

თ. ბუაჩიძე, თანამედროვე ბურჟუაზიული ფილოსოფიის სათავეებთან, თბ., 1986წ.

გ. ბარამიძე, მ. ბრაჭული, თ.ფიფია, ედუარდ შევარდნაძე - გონის მოქცევა საქართველოში, თბ., 1996

ო. გოგიაშვილი, ე. ბატიაშვილი, იოანე ჯავახიშვილი და ახალი ქართული სახელმწიფოებრიობა, თბილისი, 1998წ.

გ. ინწკირველი სახელმწიფოსა და სამართლის თეორია. თბ., 1996.

ე. კოდუა. "სოციოლოგია" II ნაკეთი, თბ., 1995 წ.

ე. კოდუა. "ისტორიის საზრისის საკითხისათვის" .თბ.,1976

ვ. მეტრეველი, გიორგი დავითაშვილი, პოლიტიკურ და სამართლებრივ მოძღვრებათა ისტორია, თბ., 1997წ.

საქართველოს პარლამენტი (1992-1995) თბ., 1996

ფ. ნიცშე, ესე იტყოდა ზარატუსტრა. თბ., 1992

გ. ნადარეიშვილი სახელმწიფოს და სამართლის ისტორია, 1998

ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. 5

გ. ყორანაშვილი ელიტა და ხალხის შახა ივანე ჯავახიშვილის ნააზრევში. იხ. მიეძღვნა ალექსანდრე ორბელიანის ხსოვნას (პირველი სამეცნიერო კონფერენცია) თბ., 1997

ილია ჭავჭავაძე, თხზ. თბ., 1984წ.

Алмонд, Г., Верба С., "Гражданская культура" и стабильность демократии - "Полис" 1992 /4,

Ашин Г. Рекрутирование элиты. журн. "Власть" 1997 /5

Бердяев Н.А. Правда и ложь коммунизма. Париж 1931

Восленский В., Номенклатура, журн. Новый Мир 1996, /6

Газета "Панорама недели" 1997, 29.09.

Зотов, А.А., Путь В. Парето в социологии .в журн. Социологические исследования - Социс", М., 1995, /10

Мухаев Р.Т. Политология М. 1997

Ницше Ф., и др., Сумерки богов, М., 1989г.

Основы политической науки (под ред. В.П. Пугачева) М, ч.1 1995

Политология (под ред. В.П. Радигина) М. 1998

Ривера Ш.В. Тенденции формирования состава посткоммунистической элиты России., Репутационный анализ (в журн. "Полис" 1995 , /6 (30),

Современная западная социология (Словарь). М., 1990.

Сен-Симон Избранные сочинения т.1., М-Л 1948

Тарусина И.Г. Элитисты и плуралисты в современной политической теории (Историографический экскурс), в журн. - "Полис" 1997 , /4.

Томас Р., Дай Л., Харман зиглер. Демократия для Элиты. М., 1984г.

Франк С.Л., Сочинения, М., 1990Г.

Философский энциклопедический словарь М. 1983

Aaronovitch S., The Ruling Class, L., 1961

Agger K, goldich D., Swanson B., The Rulers and the Ruled, NY., 1964

Albertoni E., Mosca and the Theory of Eliten, Oxford, 1987

Avon Aleman U, Politikwissenschaftliche Metoden, fr, 1997

Ambrock R., Establishment, Karl Marx und die Neue Elite, Berlin, 1970

Arendt H., "What is Authority"?, Beetween Past and Future, L., 1961

Armstrong J., The Sowiet Bureaucratic Elite, L., 1959

Aubert V., The Hidden Society, L., NY., 1965

Bachrach P., Poitical Elites in a Dremocracy, NY., 1971

Bachrach P., The Theory of Democratic Elitism; a Critique, Boston-Toranto, 1967

Bonfield E.C., Political Influence, NY., 1961

Barry B., Politicak Argument, L., 1965

Baumann Z., Between Class and Elite, Manchester, 1973

Bendix R., Max Weber, L., - NY, 1960

Beyme K., Die Politische Elite in BDD, Munchen, 1971

Bichop T., Wilkinson R., Winchester and the Public school Elite, L., 1967

Blondel J., Voters, Parties and Leaders, NY., 1964

Boltanski L., Die Fuhrungskraft, Frankfurt, 1990

Banilla F., The Failure of Elites, Boston, 1970

Battamore T., Elites and Society , NY., 1965

Borkenau F., Pareto, L., 1936

Brinton G., The Anatomy of Revolution, NY., 1957

Burklin W., Eliten in Deutschland, Opladen, 1997

Burnham J., The Machiavellians, NY., 1943

Chang P., Eliten Conflict in the Post - Mao Chine Baltimore, 1983

Christopher R.C., Crashing the Gates, NY., 1989

Clark D., The Industrial Manoger, L., 1966

Clark H.D., Grudnowski (eds), Political Elites in Anglo-American Democracies - Changes in Stable Regimes, Illinais, 1987

Clements R,V., Manogers, L., 1950

Copeman. G.H., The Leaderif British Industry, l., 1955

Dahl R.A, IINDBLAM c., Politics, Economics and Welfare, NY., 1953

Dahl R.A., Who Governs? New Haven, 1961

Dahl R,A., Modern Political Analusis, new Jersey, 1963

Dahl R.A., A preface to Democratic Theory, Chicago, 1963

Dalzell R.F/., Enterprising Elite, Cambridge, 1987,

Derlien H., Comparative Elite Study, Bamberg, 1987

Djilas M., The New Class, L., 1957

Dawns A., An Economic Theory of Democracy, NY., 1957

Dreyer L., The Modern African Elite of South Africa, Bstk, 1989

Druve U., Kunz V., Rational chaice in der Politik Wissenschaft, Opladen, 1994

Elster J., Rational Choice , Oxford, 1986

Endruweit G., Elite und Entwicklung: Theorie und Empire zum Einflus von Eliten auf Entwickungstprozesse, Francfurt 1986

Felber W., Eliteforschung in der BDR: Analuse, Kritik, Alternativen. Stutgart, 1986

Fidler J., The British busness Elite: its attitudes to Class, Status and Power, L., 1981

Field G., Eliten und Liberalismus, Opladen, 1983

Field G., Political Theory, L., NY., 1956

Finer S.E., The Man on Horseback. The Role of the Military on Politics, L., 1988

Fischer F., Bundnis der Eliten, Dusseldorf, 1979

Friedrich C., Man and His Government, NY., 1963

Fuhmann F., Die Elite, Zurich, 1970

Galbraith J.K., The New Industrial State, Boston, 1967

Ginsberg M., The Sociology of Pareto, L., 1947

Gloed G., Elite, Studtgart, 1958

Gould, J.M., The Technical Elite, NY., 1968 .

Graig , G.A., The Polites of the Prussian Army, NY., 1964

Granick D., The European Executive, NY., 1962

Guttsnman W.U.. The Britich Political Elite, L., 1963

Hording R., Anatomy of a power Elite, new Hoven, 1978

Hort H.L.A., The Concept of Law, L., 1961

Hortz L., The Founding of new Societies, NY., 1964

Helberstam D., Die Elite, Hamburg, 1974

Higley J., Elite Structure and Ideology, Oslo, 1976

Hill R., Soviet Political Elite, NY., 1977

Hoppe H., Die neue Politische Elite Kroatiens Koln, 1997

Hoppe H., Der Profil der neuen Bulgarischen Elite, Koln, 1996

Hoppe H., Der Profil der neuer Politischen Elite Albanies, Koln, 1993

Huebner R., Herrschende Klasse und Elite, Berlin, 1967

Hienter F., Community Power Structure, NY., 1963

Ianowitz M., The professional Soldier, NY., 1960

Koriel H.S., The Decline of American Pluralism, Stanfard, 1991

Kariel HS., The Promise of polities, New Jersey 1966

Huntington S.P., Political Order in Changing Socteties, New Hoven, 1968

Kellen S., Beyond th Ruling Class, NY., 1963

Kellner P., The Siviel Servants: an inquiry into Britich Ruling Class, L., 1980

Kelsall R., Higher Civil Servants in Britain, 1955

Kelsall R.K., Graduates; the Sociology of an Elite, L., 1974

Klitgaard R., Choosing Elites, NY., 1985

Kornhauser W., The Politics of Mass Society, L., 1960

Kofler Z., Geistiger Verfall und Progressive Elite, Bochum, 1981

Kuran T., Privat Truths Public Lies. The Social consequences of prefarence Falsification, L., 1997

Lane E.R., Political Thinking and Conciousness, CH., 1969

Lapina N., Die Formierung der neuen Kublandicen Eliten, Koln, 1996

Lasch C., Die Blinde Elite: Macht ohne Verant-wortung, Hamburg, 1995

Lasswell D.H., A Pre-view of policy Sciences, NY, 1971

Lennsky, G., Power and Privilege , NY., 1966

Lipset S.M., Solori A (ed) Elites in Lotin America, NY., 1967

Lipset S. M., (ed) Politics and Social Sciences , NY., 1969

Lodge .M., Soviet Elite attitudes since Stalin, Columbus, 1969

Lompe R., Wissenschaftliche Beratung der Politik, Gottingen, 1979

Lord Jomes, Education and Leadership, L., 1951

Marceau J., The Making of an International Busness Elite, Cambridge, 1989

Mokenzie R.T., Britich Political Parties, NY, 1955

Meisel J.H. The Myth of the Ruling Class : Gaetano Mosca and Elite, Michigann, 1958

Meisel J.H., Pareto and Mosca, New Jersey, 1965

Metthews M., Privilege in the Soviet Union, L., 1978

Metthews D.R., The Social Background of political Decision - Makers, NY., 1954

Michels R.,·Political parties, Glencoe, 1958

Mill J.S., Reprsentative government, NY, 1986

Mills J. S., Representative Goverment, NY, 1986

Mills C. W., The Pover Elite, NY, 1969

Mills C. W., The New Men of Power, NY, 1948

Mills C. W., The Sociological Imagination, NY, 1961

Moring J., Political Elite Action: Strategy and Autcome, Helsinki, 1989

Morkel A., Politik und Wissenschaft, Hamburg, 1967

Mosca G., The Ruling Class, NY, 1939

Mosca G., Historie des doctrines politiques, Paris, 1936

Moyser G., Wagstaffem, Research Methods for Elite Strudies, L-NY, 1988

Muller U., The reproductive succes of the Eliten Germany, Great Britain, Japan and th USA during the 19th and 20th century. Mannheim., 1991

Nadel S. F., The Concept of Social Elities., NY, 1956

Nettl J. P., Consensus or Eliten Domination, New Jersey, 1987

Oakeshoff M., Political Education: Rationalism in Politics., NY, 1962

Ostrogorsky M., Democracy and the Organization of Political Parties, L., 1902

Pareto V., The Mind of Society, NY, 1935

Pareto V., Sociological Writings, L-NY, 1966

Parry G., political Elites, L., 1969

Parson T., The Structure of Social Action, Gliencol, 1949

Pavanela V., Interpreting corruption. Elite transformation in Denmark, L., 1976

Polsby N. W., Community Power and Political Theory, New Haven, 1963

Porter J., The Vertical Mosaic, Toronto, 1965

Potter A., Organzed Groups in British National politics, L., 1961

Presthus R., Elite accomodation in Canadien Politics, L., 1973

Presthus R., Men at the Top, NY, 1964

Prewitt K., The Ruling Elites: Elite theory, power and American Democracy, NY, 1973

Rose A. M., The Power Structure, NY, 1967

Rose R., Politics in England, Toronto, 1964

Rothacher A., The Japanise power Elite, Ny, 1993

Runciman W.G., Social Science and Political Theory, Z, 1961

Sargent-Florence P., Ownership, Control and Success of targe Compenies, L, 1961

Sampson A., Anatomy of Britain, NY, 1962

Sartory G., Democratic Theory, Detoit, 1962

Sartory G., From the Sociology of Politics to Political Sociology, NY, 1969

Schneier E., Die Politische Elite der Ehemaligen DDR, Koln, 1991

Schneider E., Die Sowgetische Politische Elite, Koln, 1981

Schumpeter J.,A., Imperialism and Social Classes, Oxford, 1951

Schumper J., Capitalism, Socialism and Democracy. NY, 1956

Semmler R., Machtceliten, Koln, 1930

Simon D., Elite deviance, Boston, 1986

Smelser R., Die braune Elite, Darmstadt, 1993

Sterbling A., Eliten, Realitats deutung, Madernisi erung Probleme, Hamburg, 1989

Stumpf R., Die Wermact-Elite, Boppard, 1982

Suleiman E., Politics, Power and Bureacracy in France, Princeton, 1974

The structure of Power in Ameica (ed by Swarts M.) NY, 1988

The Central Political Elite of the GDR, Koln, 1988

Thornes P., The Elite in the Welfare State, L, 1966

Truman D., The Govemental Process, NY, 1951

Veblen T., The Theory of the Leisure Class, L, 1962

Walker J., A Critique of the Elitist Theory of Democracy, Chicago, 1978

Walles G., Human Nature in Politics, L. 1908

Warner W.L., Abegglen J.C., Big Business Zeaders in America, NY, 1955

Weber M., "Bureuacracy" in From Max Weber, ed Ly Gerth H.H. and C Wright Mills. L., 1047

Welrb S., Industrial Democracy, L, 1897

Weinberg I., The English Public ScKools: He Sociology of Elite Education, NY, 1967

Willson H.H., Pressure Goup, L., 1961

Wittfogel K., Oriental Despotism, New Haven 1957

Wolin S., Politic and Vision, Boston, 1960

Zahl K.F., The Politisch Elite Japans nach dem Z WeltKrieg, Wiesbeden, 1973

Zapf W., Wandlungen den Beutschen Elite, Munchen, 1965

სარჩევი

შესავალი 3

თავი პირველი. პოლიტიკური ელიტის ფენომენის კვლევის თეორიული და მეთოდოლოგიური კონტექსტი. 19

თავი მეორე. პოლიტიკური ელიტის კლასიკური თეორიები. 40
1. სოციალური დიქოტომიის საკითხის ისტორიიდან 40
2. გაეტანო მოსკა, რობერტ მიხელსი. 60
3. ვილფრედო პარეტო . . . 76
4. ჯეიმს ბერნემი, ჩარლზ რაით მილსი . . . 88
5. პოლიტიკური ელიტების პერპეტუაცია და ალტერნაცია 97

თავი მესამე. ელიტების ტიპოლოგია 105

თავი მეოთხე. ელიტიზმი, დემოკრატია, იდეოლოგია. 122
1. ელიტიზმი და დემოკრატია 122
ა) "პლურალიზმი" თუ "დემოკრატიული ელიტიზმი" 124
ბ) რადიკაური ალტერნატივა . . . 138
გ) დემოკრატიის კომპარატიული ხარისხი 143
2) ელიტიზმი მეცნიერება თუ იდეოლოგია . . 145
3) პოლიტიკური ელიტა და სოციალური კონტროლი 158

თავი მესუთე. ტოტალიტარული და პოსტტოტალიტარული პერიოდის პოლიტიკური ელიტები. . . . 166
1. ელიტიზმი და მარქსიზმის თეორია და პრაქტიკა 166
2. მმართველი პოლიტიკური ელიტა და კონტრელიტა გარდამავალი პერიოდის საქართველოში. 187

გამოყენებული ლიტერატურა 228

Автандил Туквадзе

ПОЛИТИЧЕСКАЯ ЭЛИТА

გამომცემლობის რედაქტორი თ. თიგიშვილი
ტექნიკური რედაქტორი დ. ბაბუხადია

სააქციო საზოგადოება "პირველი სტამბა"
თბილისი, ნუბინაშვილის ქ. №50

დაიბეჭდა 25.XI 98

ტირაჟი 600

ფასი სახელშეკრულებო